


# მოთამაშე



ფიოდორ დოსტოევსკი

ფიოდორ დოსტოევსკი

# მოთაგაშე

წიგნის ელექტრონული ვერსია  
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

# მოთამაშე

(ყმანვილკაცის ჩანაწერები)

## თავი პირველი

როგორც იქნა, ორი კვირის შემდეგ დავბრუნდი. ჩვენები უკვე სამი დღეა რულეტენბურგში იყვნენ. რომ მეგონა, მოუთმენლად მელოდნენ, თურმე ვცდებოდი. გენერალს ფრიად დამოუკიდებლად ეჭირა თავი. გაბლენძილი მელაპარაკა და მერე თავის დასთან გამგზავნა. ეტყობა, სადღაც იშოვეს ფული. ისიც კი მომეჩვენა, გენერალი, ცოტა არ იყოს, სირცხვილით თვალს ვერ მისწორებს-მეთქი. მარია ფილიპოვნა დიდ ფაციფუცში იყო და ჩემთან სალაპარაკოდ არ ეცალა. ეს კია, ფული გამომართვა, გადათვალა და ჩემი ანგარიშიც მოისმინა. სადილად თურმე მეზენცოვს, იმ ფრანგსა და კიდევ ვიღაც ინგლისელს ელოდნენ. თუ ფული ჩაიგდეს ხელში, მაშინვე წვეულება უნდა გამართონ მოსკოვურ ყაიდაზე. პოლინა ალექსანდროვნამ დამინახა თუ არა, მაშინვე მკითხა, რატომ დაიგვიანეო, მაგრამ პასუხს არ დაელოდა და სადღაც წავიდა. რასაკვირველია, განზრახ მოიქცა ასე. აუცილებლად უნდა ველაპარაკო, სათქმელი ბევრი დამიგროვდა.

ბინად ერთი პანანკინტელა ოთახი მომცეს სასტუმროს მეოთხე სართულზე. იციან, გენერლის ამაღლას რომ ვეკუთვნი. ყველაფერზე ეტყობათ, რომ უკვე მოახერხეს თავის გამოჩენა. გენერალი ყველას მართლაც მდიდარი რუსი ბატონი ჰგონია. სხვა დავალებების გარდა, მოასწრო და სადილობამდე



ორი ათასფრანკიანი ბილეთი მომცა გადასახურდავებლად, რომლებიც სასტუმროს კანტორაში დავახურდავე. ახლა ერთი კვირა მაინც დარწმუნებულები იქნებიან, რომ მილიონრები ვართ. მიშა და ნადია სასეირნოდ მიმყავდა, როცა კიბიდან დამაბრუნეს, გენერალი გიხმობსო. თურმე იმის გაგება მოეგუნება, ბავშვები სად მიმყავდა. არა, ეს კაცი ნამდვილად ვერ მისწორებს თვალს; ყოველთვის ისე ჯიქურ, უპატივცემულოდ ვუყურებ, რომც მოინდომოს თვალის გასწორება, მაინც იბნევა და საქციელი წაუხდება ხოლმე. გენერალმა გატყლარჭულად დაიწყო და იმდენი ილაპარაკა, ბოლოს სათქმელი აერია. ძლივს გამაგებინა, ბავშვები ქალაქის ცენტრალური პარკიდან ანუ ვოკსალიდან მოშორებით წაიყვანეო. მერე თვითონვე მოუვიდა გული და მოკლედ მოჭრა: „თორემ შეიძლება სათამაშო დარბაზშიც წაიყვანოთ. უკაცრავად, მაგრამ თქვენი თავქარიანობის ამბავი რომ ვიცი, არ გამიკვირდება, ისევ თამაში დაიწყოთ. მართალია, თქვენი მენტორი<sup>1</sup> არ ვარ და არც მაქვს ამის სურვილი, მაგრამ არ მინდა, სახელი გამიტეხოთ“.

დინჯად ვუთხარი:

— კაცმა რომ ითამაშოს, ფული უნდა ჰქონდეს. მე კი ფული არა მაქვს.

გენერალს ოდნავ აელენა სახე.

— ფულს ახლავე მიიღებთ, — მითხრა. ბიურო<sup>2</sup> გადაქე-ქა და წიგნაკში შეამონმა. თურმე ას ოცი რუბლი ემართა ჩემი.

— აღარ ვიცი, როგორ გაგისწორდეთ, აქ ტალერებზე<sup>3</sup> გადაანგარიშება მოგვიწევს. თუმცა აგერ ას ტალერს მოგცემთ მთლიანად, დანარჩენი მერე იყოს, არ დაგეკარგებათ.

---

**1 დამრიგებელი (ძველი ბერძენი პროეტის, ჰომეროსის პოემა „ოდისეის“ მთავარი გმირის, ოდისეუსის შვილის, ტელემაქეს გამზრდელ მენტორის სახელის მიხედვით).**

**2 სანერი მაგიდა გამოსანევი სახურავით, რომელსაც აქვს თაროები და უჯრები ქალაქების, საბუთების შესანახად.**

**3 ძველებური გერმანული ვერცხლის ფული.**

უხმოდ გამოვართვი ფული.

— არ იწყინოთ, გეთაყვა, ჩემი სიტყვები! განა არ ვიცი, რა ფხუკიანი ბრძანდებით. თუ ვთქვი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ გამეფრთხილებინეთ. ამის უფლება, ვგონებ, ცოტათი მაინც მაქვს...

მე და ბავშვები სადილის წინ დავბრუნდით. გზაში ჩვენების მთელი კავალკადა<sup>1</sup> შემოგვხვდა. სადღაც ნანგრევების სანახავად ყოფილიყვნენ. რა მშვენიერი ორი ეტლი და დიდებული ბედაურები იყო! Mademoiselle Blanche, მარია ფილიპოვნა და პოლინა ერთ ეტლში ისხდნენ. ის ფრანგი კაცუნა, ინგლისელი და ჩვენი გენერალი ცხენებს მოაჯირითებდნენ. ქუჩაში ყველა ჩერდებოდა და მათ უყურებდა. შთაბეჭდილება დიდი იყო, თუმცა გენერალს კარგი დღე არ დაადგება. რომ ვიანგარიშე, ჩემს ჩამოტანილ ოთხი ათას ფრანკს დამატებული ის, რაც აქ იშოვა, სულ შვიდი თუ რვა ათასი ფრანკი ექნებათ. ეს კი mademoiselle Blanche-ს ერთ ლუკმად არ ეყოფა.

Mademoiselle Blanche და დედამისი ჩვენს სასტუმროში ცხოვრობენ. აქვე უნდა იყოს ჩვენი ფრანგიც. ლაქიები მას m-r le comte-ს<sup>2</sup> ეძახიან, m-lle Blanche-ის დედას კი — m-me la comtesse-ს.<sup>3</sup> არ ვიცი, იქნებ მართლაც ბრძანდებიან comte et comtesse.

ასეც ვიცოდი, m-r le comte სადილზე რომ ვერ მიცნობდა. ცხადია, გენერალს ფიქრადაც არ მოსვლია ჩვენი გაცნობა ან თუნდაც ჩემი წარდგენა; m-r le comte რუსეთში ნამყოფი კაცი გახლავთ და კარგად მოეხსენება, რა ფასიც აქვს ჩვენში იმ კაცს, ვისაც outchitel<sup>4</sup> ჰქვია, თუმცა კი ისე ძალიან კარგად მიცნობს. გამოგიტყდებით და, სადილზე მართლაც დაუპატიუებელი სტუმარი აღმოვჩნდი. გენერალს, მგონი, არ გავ-

---

1 ერთად მიმავალ ცხენოსანთა ჯგუფი.

2 ბატონი გრაფი (ფრანგ.).

3 ქალბატონი გრაფინია (ფრანგ.).

4 მასწავლებელი (ფრანგ.).

ხსენებია, თორემ თადარიგს დაიჭერდა და სადილად table d'hot-ზე<sup>1</sup> გამგზავნიდა. თვითონ მივედი, ამიტომაც გენერალმა უკმაყოფილოდ გამოძხვინა. კეთილმა მარია ფილიპოვნამ მაშინვე მიმითითა, სად დავმჯდარიყავი. კიდევ კარგი, მისტერ ასტლეი ვნახე იქ. მისი წყალობით, ძალაუნებურად, მათ მარაქაში გავერიე.

ამ საკვირველ ინგლისელს პირველად პრუსიაში შევხვდი, როცა მატარებელში ვიჯექი და ჩვენებთან მივემგზავრებოდი, ვაგონში პირისპირ აღმოვჩნდით. შემდეგ — საფრანგეთის საზღვარზე, ბოლოს კი შვეიცარიაში ვნახე. ამ ორი კვირის განმავლობაში ბედმა ორჯერ შემახვედრა მას და ახლა უცებ რულეტენბურგშიც ვიხილე. მასავით მოკრძალებული ადამიანი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. უგუნურობამდე მორცხვია და, ვინაიდან უგუნური სულაც არ არის, თვითონაც გრძნობს ამას. ისე კი, ძალიან სათნო და მშვიდი ადამიანია. პრუსიაში პირველი შეხვედრისას გამოველაპარაკე და საუბარში ჩავითრიე. მითხრა, ამ ზაფხულს ნორდ-კაპში ვიყავი და ძალიან მინდა ნიუეგოროდის ბაზრობაზეც მოვხვდეო. საიდან გაეცნო გენერალს, არ ვიცი. როგორც შევატყვე, პოლინა თავდავინყებით უყვარს. მის შემოსვლაზე უცებ წამოენთო. ძალიან გაუხარდა, გვერდით რომ მივუჯექი. მგონი, უკვე თავის მეგობრად მთვლის.

სუფრაზე სულ ის ფრანგი ლაპარაკობდა, დაუდევრად და მედიდურად ექცეოდა ყველას. თუმცა მოსკოვში, როგორც მახსოვს, დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. საშინლად ბევრი ილაქლაქა ფინანსებსა და რუსულ პოლიტიკაზე. გენერალი დროდადრო თუ გაბედავდა შეპასუხებას, ისიც მორიდებით და მხოლოდ იმიტომ, მედიდურობა რომ არ შელახვოდა.

უცნაურ გუნებაზე ვიყავი. რა თქმა უნდა, სადილზე კვლავ ვკითხე ჩემს თავს: „ნეტავ რას გადავეკიდე გენერალს, ან ამ

---

**1 საერთო სუფრა საერთო მენიუთი (ფრანგ.).**

ხალხს რად არ მოვშორდები-მეთქი?“ შიგადაშიგ პოლინას გადავხედავდი, იგი ზედაც არ მიყურებდა. ბოლოს მართლა მომერია ბრაზი და გადავწყვიტე, რამე უდიერება ჩამედინა.

ჯერ იყო და ხმამაღლა, დაუკითხავად ჩავერიე საუბარში. ყველაზე მეტად იმ ფრანგის გამოლანძლვა მინდოდა. მერე გენერალს მივუბრუნდი, მგონი, სიტყვაც გავანწყვეტინე და ხმამაღლა და მკაფიოდ გამოვუცხადე, ამ ზაფხულს სასტუმროებში რუსებისთვის ტაბლდოტებზე სადილობა შეუძლებელი გახდა-მეთქი. გენერალი განცვიფრებით მომაჩერდა.

— თუ კაცმა საკუთარი თავის ყადრი იცი, უთუოდ გაილანძლები და წკიპურტებს მიიღებ, — განვაგრძე ფრანგულადვე, — მარტო პარიზში და რაინზე კი არა, შვეიცარიაშიც იმდენი პოლონელი და მათი თანამგრძნობი ფრანგი კაცუნა შეგხვდება ტაბლდოტებზე, რუსი თუ ხარ, კრინტის დაძვრას ვერ შეძლებ.

გენერალი გაოცებული მიყურებდა. აღარ იცოდა, ჩემს თავხედობაზე გაბრაზებულიყო თუ მხოლოდ გაკვირვება გამოეხატა.

— მაშასადამე, ვილაცამ ჭკუა გასწავლათ, — დაუდევრად და ზიზლით ჩაილაპარაკა ფრანგმა.

— პარიზში ჯერ ერთ პოლონელს წავეჩხუბე, — ვუპასუხე მე, — მერე იმ პოლონელს ვილაც ფრანგი ოფიცერი გამოექომაგა და ისიც შემომელანძლა. შემდეგ ფრანგების ერთი ნაწილი მე მომემხრო, როცა ვუამბე, როგორ მინდოდა მონსინიორის ყავაში ჩაფურთხება.

— ჩაფურთხება? — მკითხა გენერალმა მედიდური განცვიფრებით და სხვებს გადახედა. ფრანგმა კაცუნამ უნდობლად შემათვალიერა.

— დიახ, დიახ! რაკი მთელი ორი დღე დარწმუნებული ვიყავი, ჩვენს საქმეებზე ცოტა ხნით რომში მომიწევდა ჩასვლა, პასპორტის ვიზებისთვის მისი უწმინდესობის საელჩოს კანცელარიას მივაკითხე პარიზში. იქ ერთი ხმელ-ხმელი, უკმეხი



სახის აბატი დამხვდა, ასე ორმოცდაათი წლის. ზრდილობიანად, თუმცა მეტად ცივად მომისმინა და მთხოვა, მოითმინეთო. სხვა რა გზა იყო, დავჯექი, *Opinion nationale*<sup>1</sup> ამოვიღე და იმ წერილის კითხვას შევუდექი, სადაც რუსეთს უშვერად ლანძღავდნენ. გავიგონე, მეორე ოთახიდან ვილაც რომ შევიდა მონსინიორთან. თვალიც მოვკარი, რა ამბით დაუკრა თავი ჩემმა აბატმა. ავდექი და ისევ გავუმეორე თხოვნა. მან კიდევ უფრო უკმეხად მომახალა, მოითმინეთო. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი უცხო კაცი შემოვიდა, ავსტრიელი, რაღაც საქმეზე. მასაც მოუსმინეს და მყისვე ზევით მიაბრძანეს. მაშინ კი მართლა მომივიდა გული. ავდექი, მივედი აბატთან და გადაჭრით გამოვუცხადე, რადგან მონსინიორს სხვებისთვის სცალია, იქნებ ჩემთვისაც მოიცალოს-მეთქი. აბატმა გაოცებისგან უკანაც კი დაიხია, ისე ეუცხოვა ალბათ, მონსინიორის სტუმრებს ამ უბედურმა რუსმა თავი როგორ გაუტოლაო? თავხედურად ამათვალეირ-ჩამათვალეირა, თითქოს გაუხარდა, ჩემი დამცირება რომ შეძლო და მერე შესძახა: „ნეტავ თუ გგონიათ, მონსინიორი თქვენი გულისთვის ყავის სმას მიატოვებს?“ ყვირილი ასე არ უნდა-მეთქი, იმაზე არანაკლებ ხმამალლა ვიყვირე: მიმიფურთხებია მაგ თქვენი მონსინიორის ყავისთვის. თუ პასპორტის საქმეს ახლავე არ მომიგვარებთ, მასთან მე თვითონ ავალ-მეთქი.

„იქ ხომ ახლა კარდინალი ბრძანდება!“ — შეჰყვირა აბატმა. შიშით თავზარდაცემული კარს აეკრა და გადაჯვარედინებული ხელები ისე გამოიშვირა ჩემკენ, თითქოს უნდოდა ეთქვა, უწინამც სულს განვუტევებ, ვიდრე გაგიშვებო.

ვუთხარი, რომ ერეტიკოსი და ბარბაროსი ვარ, *que je suis hérétique et barbare* და თქვენი მთავარეპისკოპოსები, კარდინალები, მონსინიორები თუ სხვები ფეხებზე მკიდია-მეთქი. ერთი სიტყვით, ვაგრძნობინე, რომ არ მოვეშვებოდი. აბატმა უსაზღ-

---

<sup>1</sup> გაზეთი „სახალხო აზრი“ (ფრანგ.).



ვრო სიძულვილით შემომხედა, მერე პასპორტი გამომგლიჯა და ზევით გააქანა. ერთი წუთის შემდეგ ჩემს პასპორტს უკვე ვიზა ერტყა. აგერ, თუ გნებავთ, ნახეთ, — პასპორტი ამოვიღე და შიგ ჩარტყმული ვიზა დავანახვე.

— ეგ მაინცდამაინც... — დაიწყო გენერალმა.

— თქვენი ბედი, რომ თავი ბარბაროსად და ერეტიკოსად გაასაღეთ, — ჩაეცინა ფრანგს, — *cela n'était pas si bête*<sup>1</sup>.

— აბა, ჩვენი რუსებივით ხომ არ მოვიქცეოდი? სხედან აქ და კრინტის დაძვრა ვერ გაუბედავთ. ლამისაა რუსობა-ზეც უარი თქვან. თქვენ რაც გინდათ, თქვით და პარიზის იმ სასტუმროში მას შემდეგ, რაც აბატთან ჩემი შეტაკების ამბავი მოვყევი, უფრო მეტი პატივისცემით მექცეოდნენ. ტაბლ-დოტზე ჩემი ყველაზე დიდი მტერი, ჩასუქებული პოლონელი პანიც კი დავჩრდილე ამ ამბით. ფრანგებმა ისიც უხმოდ გადაყლაპეს, როცა ვუამბე, ამ ორი წლის წინ ჩემი თვალით ვნახე კაცი, ვისაც ფრანგმა ეგერმა თორმეტ წელში ტყვია მხოლოდ იმიტომ ესროლა, რომ თოფის დაცლა უნდოდა-მეთქი. ეს კაცი მაშინ მხოლოდ ათი წლის იყო, მის ოჯახს მოსკოვიდან გასვლა ვერ მოუსწრია.

ფრანგი ადულდა.

— ეგ შეუძლებელია. ფრანგი ჯარისკაცი ბავშვს არაფრით არ ესროდა.

— წარმოიდგინეთ, ესროლა! ეს ამბავი ერთმა დარბაისელმა გადამდგარმა კაპიტანმა მიამბო. ლოყაზე ნატყვიარი ჩემი თვალით ვნახე...

ოჰ, რა მიაყარა და მიაყარა ფრანგმა. გენერალიც მას მიემხრო. მე კი ვურჩიე, ნაწყვეტები მაინც ნაიკითხეთ გენერალ პეროვსკის „ჩანაწერებიდან“, რომელიც თორმეტ წელში ფრანგების ტყვე იყო-მეთქი. მარია ფილიპოვნამ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი და ლაპარაკი შეგვანყვეტინა. გენერალი

---

<sup>1</sup> ეს არც ისე უჭკუო საქციელი იყო (ფრანგ.).

ჩემით უკმაყოფილო დარჩა, ვინაიდან მე და ფრანგი ლამის ვყვიროდით, მაგრამ მისტერ ასტლეის კი ფრანგთან შეკამათებით, მგონი, ძალიან ვაამე; სუფრიდან რომ წამოვდექით, შემომთავაზა, ერთი ჭიქა ღვინო დავლიოთო. საღამოს მოვახერხე და თხუთმეტი წუთი პოლინას ვესაუბრე. ყველანი სასეირნოდ პარკში წავედით, ვოკსალისკენ, პოლინა შადრევნის წინ დაჯდა სკამზე და ნადენკა იქვე ახლოს, ბავშვებთან გაუშვა სათამაშოდ. მეც შადრევანთან გავგზავნე მიშა. მე და პოლინა მარტონი დავრჩით.

ჯერ, რასაკვირველია, საქმეებზე ვილაპარაკეთ. პოლინა გაბრაზდა, როცა მხოლოდ შვიდასი გულდენი<sup>1</sup> მივეცი. დარწმუნებული იყო, მისი ბრილიანტების გირაოდ პარიზიდან სულ მცირე, ორი ათას გულდენს მაინც ჩამოვუტანდი.

— ფული ძალიან მჭირდება, თუ ვერ ვიშოვე, დავიღუპები, — მითხრა მან.

გამოვკითხე, ახალი რა მოხდა ჩემს აქ არყოფნაში-მეთქი.

— პეტერბურგიდან ორი ცნობა მოვიდა. ჯერ — ბებია ძალიან ცუდად არისო, ორი დღის შემდეგ კი, მგონი, უკვე გარდაიცვალაო. ეს არის და ეს. ტიმოფეი პეტროვიჩს უცნობებია. ის ტყუილს არ შემოთვლიდა, — დასძინა პოლინამ, — ახლა საბოლოო ცნობას ველით.

— მაშასადამე, ყველა ელოდება? — შევეკითხე.

— ცხადია, ახალი სხვა არაფერია. ეს ნახევარი წელიწადი ამ იმედითლა ვცოცხლობთ.

— თქვენც?

— მე ხომ გენერლის გერი ვარ და ნათესავად არ ვერგები. მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ანდერძში არ გამომტოვებს.

— მეც მგონია, რომ კარგა ბლომად გერგებათ, — ვუთხარი დარწმუნებით.

— ჰო, ძალიან ვუყვარდი, თუმცა თქვენ რატომ გგონიათ ასე?

---

*1 ოქროს (მოგვიანებით ვერცხლის) ფული გერმანიასა და მის მეზობელ ქვეყნებში XV-XIX საუკუნეებში.*

— ეს მითხარით, ამ ჩვენს მარკიზსაც ხომ არ გაანდეს ოჯახური საიდუმლოებანი? — შევუბრუნე კითხვა.

პოლინამ გოროზად შემომხედა:

— ნეტავ თქვენ რა გენალვლებათ?

— რატომაც არა! თუ არ ვცდები, გენერალმა მოასწრო და უკვე ფული ესესხა.

— რა გამჭრიახი ყოფილხართ.

— ბებიკოს ამბავი რომ არ სცოდნოდა, განა ასესხებდა? ვერ შეამჩნიეთ, ორ-სამჯერ სუფრასთან ბებიაზე რომ საუბრობდა, ბებიკო უწოდა: la baboulinka. მაშ, მაშ, რა შინაურები და მეგობრები გავმხდარვართ!

— მართალი ბრძანდებით, ხოლო იმას რომ გაიგებს, ანდერძით მეც რალაც მერგება, მაშინვე ცოლობას მთხოვს. მგონი, ამის გაგება გსურდათ?

— მხოლოდ მაშინ? ჩემი აზრით, ეს დიდი ხანია უნდა.

— მშვენივრად იცით, რომ არა! — გაბრაზდა პოლინა და ცოტა ხნის მერე დასძინა, — ეგ ინგლისელი სად გაიცანით?

— ვიცოდი, ახლა ამას მკითხავდით.

ვუამბე, სად და როგორ შევხვდი მისტერ ასტლეის. „იგი მორცხვი, მოკრძალებული კაცია, სიყვარული უცებ შემოენტება ხოლმე. ალბათ კიდევ გეტრფით, ხომ?“

— დიახ, მეტრფის! — მომიჭრა პოლინამ.

— რასაკვირველია, ფრანგზე ათასჯერ მდიდარია. არა, მართლა აქვს იმ ფრანგს რამე? თუ ჯერ საექვოა?

— არა, საექვო არაფერია. რალაც château<sup>1</sup> უნდა ჰქონდეს, სწორედ გუშინ თქვა დაბეჯითებით გენერალმა. დაკმაყოფილდით?

— თქვენს ადგილზე მე ინგლისელს ვარჩევდი.

— რატომ?

— ფრანგი შესახედავად სჯობია, მაგრამ უნამუსოა. ინგ-

---

<sup>1</sup> სასახლე, ციხე-კოშკი (ფრანგ.).



ლისელი კი პატიოსანიც არის და ათჯერ უფრო მდიდარიც, — მივახალე მე.

— სამაგიეროდ, ფრანგი მარკიზია და ბევრად ჭკვიანი, — გულდინჯად მიპასუხა პოლინამ.

— ვითომ არ ცდებით? — არ ვიშლიდი ჩემსას.

— არა, არ ვცდები!

შევატყვე, პოლინას ჩემი კითხვები არ ესიამოვნა. ცივი კილოთი და უკმეხი პასუხებით ჩემს გამწარებას ცდილობდა. ასეც ვუთხარი.

— ჰო, თქვენი გამწარება მართლა მსიამოვნებს. ასეთი ვარაუდებისა და კითხვების ნება რომ მოგეცით, კიდევაც უნდა გაზღვევინოთ.

— თუ უფლებას ვაძლევ ჩემს თავს გკითხოთ, რაც მინდა, — მივუგე მშვიდად, — იმიტომ, რომ ყველანაირ საზღაურზე მზად ვარ. ახლა სიცოცხლე ჩალადაც არ მიღირს.

პოლინამ გადაიკისკისა.

— გახსოვთ, ბოლოს შლანგენბერგში რა მითხარით: თქვენი ერთი სიტყვა და თავქვე დავეშვებო. იქ კი, მგონი, ათასფუტიანი უფსკრული იყო. ოდესმე მართლა გეტყვით ამ სიტყვას, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვნახო, როგორ ზღავთ ყველაფერს. არ გეგონოთ, შევდრკე. დიახ, მძულხართ იმიტომ, რომ ამდენი უფლება მოგანიჭეთ და კიდევ უფრო იმიტომ, რომ ასე მჭირდებით. მაგრამ სანამ მჭირდებით, უნდა დაგინდოთ.

პოლინა წამოდგა. გაგულისებული ჩანდა. ამ ბოლო დროს მუდამ ასე გაგულისებითა და გაბოროტებით, დიახ, დიახ, ნამდვილი გაბოროტებით ამთავრებს ხოლმე ჩემთან საუბარს.

არ მინდოდა საქმის გაურკვევლად გამეშვა და ვკითხე:

— ერთი ეს მითხარით, mademoiselle Blanche რა ჩიტია?

— ძალიან კარგად იცით, mademoiselle Blanche რაც ბრძანდება. მას შემდეგ არაფერი მომატებია. Mademoiselle Blanche

ალბათ გენერლის ცოლი გახდება, თუკი, რა თქმა უნდა, ბეზიას გარდაცვალების ამბავი დადასტურდა, იმიტომ, რომ mademoiselle Blanche-მა, დედამისმა და მისმა გარე ბიძაშვილმა მარკიზ-მა ძალიან კარგად იციან ჩვენი გაკოტრების ამბავი.

— მაშ, გენერალი მართლა ასეა შეყვარებული?

— საქმე ახლა ამაში არ არის! მისმინეთ და დაიხსომეთ: აჰა, ეს შვიდასი ფლორინი<sup>1</sup>, წადით, რულეტზე ითამაშეთ და რაც შეიძლება, მეტი ფული მოიგეთ ჩემთვის. ახლა ფული ძალიან მჭირდება.

პოლინამ ნადენკას დაუძახა და მალე ვოკსალთან მყოფ ჩვენს საზოგადოებას შეუერთდა. მე კი პირველივე ბილიკზე გადავუხვით მარცხნივ და ჩაფიქრებული გავყევი გზას. მიკვირდა, ძალიან მიკვირდა ყველაფერი. თითქოს თავში რაღაც ჩამცხესო, ისე იმოქმედა ჩემზე მისმა ბრძანებამ, წადი და რულეტზე ითამაშეო. საკვირველია, კაცს ამდენი საფიქრალი მქონდა, მე კი პოლინასადმი ჩემი გრძნობების გარკვევამ გამიტაცა. მართალი გითხრათ, ეს ორი კვირა, რაც წასული ვიყავი, თავს უკეთ ვგრძნობდი, ვიდრე აქ ჩამოსვლის შემდეგ, თუმცა გზაში უსაზღვროდ მენატრებოდა და გიჟივით ვბორგავდი. ძილშიც კი სულ ის მესიზმრებოდა. ერთხელ (შვეიცარიაში) ვაგონში ჩამძინებოდა, სიზმარში, მგონი, ხმამაღლა ველაპარაკებოდი პოლინას და ჩემი მგზავრები სიცილით დაიხოცნენ. ჰოდა, ახლაც ერთხელ კიდევ ვკითხე ჩემს თავს, მიყვარს თუ არა ეს ქალი-მეთქი, და ახლაც ვერ შევძელი ზუსტი პასუხის გაცემა, უფრო სწორად, მგონი, მეასეჯერ ვუთხარი ჩემს თავს, მძულს-მეთქი. დიახ, მე იგი მძულდა. დროდადრო (და სწორედ ჩვენი ლაპარაკის დამთავრებისას) სიცოცხლის ნახევარს გავიღებდი, ოღონდაც მიმეხრჩო! ვფიცავ, ვინმეს გალესილი დანა რომ მოეცა ჩემთვის და ეთქვა, გული გაუპეო, ალბათ, ნეტარებით ვტაცებდი იმ დანას ხელს. მაგრამ ყველაფერს ვფი-

---

<sup>1</sup> ძველებური ფლორენციული ოქროს ან ვერცხლის ფული.



ცავ, რაც კი წმინდაა, მაშინ, იმ შლანგენბერგში მართლა რომ ეთქვა ჩემთვის, უფსკრულში გადაეშვიო, იმნუთშივე სიამოვნებით გადავეშვებოდი. ასეა თუ ისე, ეს რალაცნაირად უნდა გადაწყდეს. პოლინას მშვენივრად ესმის ყველაფერი. ის, რომ ძალიან კარგად ვიცი, რაოდენ მიუწვდომელია ჩემთვის და რა განუხორციელებელია ჩემი ოცნება — დარწმუნებული ვარ, უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის, თორემ მისნაირი ფრთხილი და ჭკვიანი ქალი ასე როგორ დამიახლოვდებოდა და გულს გადამიშლიდა. აქამდე ხომ ისე მიყურებდა, როგორც ძველად დედოფალი — თავის მონას, ვის წინაშეც დაურიდებლად შიშვლდებოდა, ეს ხომ მამაკაცი არ არისო. კი, კი, პოლინა მართლაც ხშირად არ მთვლიდა მამაკაცად...

ახლა დამავალა, წადი, რულეტზე ითამაშე და ჩემთვის ფული მოიგეო. იმის გასარკვევად, რაში დასჭირდა ეს ფული, ან რამდენად სწრაფად უნდა, ანდა რა ახალი ზრახვები დაებადა ამ ნიადაგ ანგარიშიან ქალს, დრო აღარ მრჩებოდა. თანაც, ამ ორ კვირაში ალბათ უამრავი რამ მოხდა, რაზეც წარმოდგენა არ მქონდა. ეს ყველაფერი კი მალე უნდა გამერკვია, მაგრამ ახლა ამისთვის არ მეცალა: რულეტზე სათამაშოდ უნდა წავსულიყავი.

## თავი მორა

გამოგიტყდებით და, ეს ამბავი სულაც არ მსიამოვნებდა. მართალია, გადანყვეტილი მქონდა, მეთამაშა, მაგრამ ამის გაკეთებას სხვისი გულისთვის არ ვაპირებდი. ამიტომაც სათამაშოდ დარბაზში ფრიად გუნებანამხდარი შევედი. იქაურობა მაშინვე არ მომივიდა თვალში. ჭირივით მძულს ხოლმე ის ლაქიური ფელეტონები, მთელი ქვეყნის, მეტადრე კი ამ ჩვენს რუსულ გაზეთებში თითქმის ყოველ გაზაფხულზე რომ ბეჭდავენ: რა გასაოცრად მდიდრულადაა მორთული რაინისპი-



რა ქალაქების რულეტის სათამაშო დარბაზები და რა ოქროს ზვინებია იქ მაგიდებზე დახვავებულიო. ნეტავ ვინ აძლევთ ამაში ფულს ფელეტონისტებს! მხოლოდ და მხოლოდ უანგარო პირფერობა აწერინებთ! იმ უბადრუკ დარბაზებში ხომ ვერც დიდებულებას ნახავ და ვერც ოქროს ზვინებს! დიდი-დიდი, თითო-ოროლა ოქროს ფული გამოეჩინოს. რა თქმა უნდა, მთელი სეზონის განმავლობაში გამოჩნდება ხოლმე ვინმე ახირებული, ინგლისელი ან აზიელი, როგორც წლევეანდელ ზაფხულში ის თურქი, და უცბად წააგებს ან მოიგებს დიდძალ ფულს, დანარჩენები კი გულდენებს ჩამოდიან. მაგიდებზე საერთო ჯამში ძალზე ცოტა ფულია ხოლმე. მე რომ ბანქოს სათამაშო დარბაზში შევედი (ჩემს სიცოცხლეში პირველად), ერთხანს თამაში ვერ გავბედე. თანაც, მაგიდებთან ჭედვა იყო. თუმცა მარტოც რომ ვყოფილიყავი, მაინც არა მგონია, მეთამაშა, ალბათ უკანვე წამოვიდოდი. მართალი გითხრათ, გული ამიძგერდა და ავლელდი კიდეც. მჯეროდა და რა ხანია გადაწყვეტილიც მქონდა, რულეტენბურგიდან ისე არ წავალ, ჩემს ბედ-იღბალში დიდი გარდატეხა არ მოხდეს-მეთქი. ასეა საჭირო, და ასეც იქნება. სასაცილოც კია, რულეტიდან ამდენ რამეს რომ გამოველი, თუმცა, ჩემი აზრით, ის უფრო სასაცილოა, სხვებს რომ სისულელედ და უგუნურებად მიაჩნიათ, კაცი თამაშისგან რამეს გამოელოდეს. ნეტავ რით ჩამოუვარდება თამაში ფულის შოვნის სხვა საშუალებას, თუნდაც მაგალითად, ვაჭრობას? მართალია, ასიდან მხოლოდ ერთი იგებს, მაგრამ ეს მე რაში მენალვლება?

ასე თუ ისე, გადავწყვიტე, ჯერ კარგად დავკვირვებოდი ყველაფერს და ამ საღამოს მეტისმეტად არ შემეტოპა. კიდეც რომ რამე გამომსვლოდა, ეს შემთხვევითი იქნებოდა — ასე გადავწყვიტე თავიდან. თანაც, ჯერ თამაში უნდა შემესწავლა. რულეტი ათას ვინმეს აქვს აღწერილი და მეც მუდამ ხარბად ვკითხულობდი ხოლმე მათ ნაწერებს, მაგრამ, ვიდრე ჩემი თვალით არ ვნახე, მანამდე მისი ვერაფერი გავიგე.

ჯერ ერთი, იქ ყველაფერი ბინძური მეჩვენა — რატომღაც ზნეობრივად ბინძური და საზიზღარი. იმ ადამიანების დახარბებულ და შეშფოთებულ სახეებს არ ვგულისხმობ, ათობით და ათასობით რომ დაეხვევიან ხოლმე სათამაშო მაგიდებს. კაცმა რომ თქვას, ერთბაშად ბევრი ფულის მოგების სურვილი სულაც არ მიმაჩნია მიუღებლად. მუდამ სულელურად ვთვლიდი ერთი გაქსუებული, ჯიბესავსე მორალისტის მოსაზრებას, რომელმაც ვილაციის თავის მართლებაზე, წვრილი ფულითაც ხომ თამაშობენო, პასუხად ასე ბრძანა: წვრილმანი ანგარება კიდევ უფრო უარესიაო. თითქოსდა წვრილმანსა თუ მსხვილმან ანგარებაში რამე განსხვავება იყოს. ეს ერთმანეთის პროპორციული რამაა, რაც როტშილდისთვის<sup>1</sup> წვრილმანია, ჩემთვის დიახაც მსხვილმანი გახლავთ. რაც შეეხება გამორჩენასა და მოგებას, მხოლოდ რულეტზე კი არა, სადაც გინდათ, ადამიანები მუდამ ერთმანეთს აცლიან ლუკმას და ყოველთვის მოგებას ცდილობენ. ხოლო გამორჩენა და მოგება რამდენად საძაგლობაა, ეს უკვე სხვა საკითხია. თუმცა ახლა ამ საკითხს არ ვწყვეტდი, რადგან თავადაც მოგების წყურვილით ვიყავი შეპყრობილი, მართალი თუ გნებავთ, ეს ანგარება და ანგარების მთელი სიბინძურე დარბაზში შესვლისას სწორედაც ხელს მაძლევდა. იმას რა სჯობია, როცა არავინ გებოდიშება, როცა ყველა აშკარად, დაუფარავად მოქმედებს. ან თავის მოტყუება რა საჭიროა? ამაზე უჭკუო საქმე ნეტავ რა არის! ყველაზე უსიამოვნო, პირველი შეხედვით, ის დამოკიდებულება იყო, რაც აქ თავმოყრილ ნაძირალებს ეტყობოდათ თავიანთი საქმისადმი. არც ის მომეწონა, ასეთი სერიოზულობითა და მონივნებით რომ შემოხვეოდნენ მაგიდებს. ალბათ ამიტომაც განსხვავდება ასე მკვეთრად თამაში, რომელიც mauvais genr<sup>2</sup>-ად იწოდება იმისგან, რომელიც რიგიან ხალხს შეჰფერის. ერთი

---

**1 ებრაული წარმომავლობის ევროპელ ბანკირთა და საზოგადო მოღვაწეთა დინასტია.**

**2 ცუდი ტონი (ფრანგ.).**



ჯენტლმენურია, მეორე — მდაბიური, ანგარებით სავსე და ყველა ნაძირალას საკადრისი. ამ ორ თამაშს აქ მკვეთრად ასხვავებენ, რაც დიდ უნამუსობად მიმაჩნია! ჯენტლმენს, მაგალითად, შეუძლია ხუთი ან ათი ლუიდორი<sup>1</sup> ჩამოვიდეს, იშვიათად უფრო მეტი; თუმცა მდიდარი თუა, იქნებ ათასი ფრანკიც<sup>2</sup> დადოს, მაგრამ მხოლოდ თამაშისთვის, გასართობად, მხოლოდ იმიტომ, მოგებისა თუ წაგების შესაძლებლობა იხილოს, ოღონდ არამც და არამც მოგების მიზნით. თუ მოიგებს, შეუძლია, მაგალითად, ხმამაღლა გაიცინოს, იქ მყოფთაგან ვინმეს რაღაც გადაულაპარაკოს, ერთხელ კიდევ ჩამოვიდეს ფულს, თუნდაც ორმაგად, მაგრამ მხოლოდ ცნობისმოყვარეობისა და მოგების ალბათობის შემონმების თვალსაზრისით და არა მოგების მდაბიური სურვილით. ერთი სიტყვით, ამ სათამაშო მაგიდებს, რულეტებსა თუ trente et quarante-ს<sup>3</sup>, ისე უნდა უყურროს, როგორც მისი სიამოვნებისთვის მოწყობილ გასართობს და არა ფულის მახეს, რომლის მიზანიც ანგარება და გამორჩენაა. არც ის იქნებოდა ურიგო, დანარჩენი მოთამაშეები, ეს ნაძირალები, ყოველ გულდენს რომ დაჰკანკალებენ, მასავით მდიდრებად და ჯენტლმენებად, მასავით გართობის მიზნით მოსულ ხალხად მიეჩნია. თქმა არ უნდა, რომ სინამდვილის ეს სრული უცოდინარობა და აქ მყოფთა გულუბრყვილო შეფასება დიდ არისტოკრატიობად ჩაეთვლებოდა. ჩემი თვალით ვნახე, რამდენმა დედიკომ მისცა თავის კეკლუც თხუთმეტი-თექვსმეტი წლის უმანკო ასულს ოქროს ფული და ასწავლა, როგორ ეთამაშა. ქალიშვილი წაგებისა თუ მოგების მიუხედავად, კმაყოფილი ღიმილით გაეცლებოდა ხოლმე იქაურობას. ჩვენი გენერალიც მედიდურად მოადგა მაგიდას. ლაქიამ იმწუთში სკა-

---

1 ძველებური ოქროს ფული.

2 საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ლუქსემბურგისა და მონაკოს ფულის ერთეული.

3 ოცდაათსა და ორმოცს (ფრანგ.).



მი მოურბენინა, მაგრამ მას ლაქია არც შეუმჩნევია. დინჯად ამოიღო ჯიბიდან ქისა, დინჯად გამოაძვრინა იქიდან სამასი ოქროს ფრანკი, შავზე დადო და მოიგო. მოგებული ფული მაგიდაზე დატოვა, ისევ შავი ამოვიდა და კვლავ მოიგო. ფული არც ახლა აიღო. მესამედ წითელი ამოვიდა და ათას ორასი ფრანკი ერთიანად წააგო. გენერალი ღიმილით გაეცალა მაგიდას, თითქოს არაფერი იყო. დარწმუნებული ვარ, ძალიანაც ეწყინა, ხოლო ორჯერ ან სამჯერ მეტი რომ დაედო, თავს ვერ შეიკავებდა და ალელვებას გამოამჟღავნებდა. თუმცა ჩემს იქ ყოფნაში ერთმა ფრანგმა ოცდაათი ათასამდე ფრანკი სიცხის სიცილით ჯერ მოიგო, მერე წააგო და უდარდელად მოშორდა მაგიდას. ნამდვილმა ჯენტლმენმა მთელი ქონებაც რომ წააგოს, არ უნდა ალელდეს. ფული მისთვის ღირსებასთან შედარებით იმდენად უმნიშვნელოა, თავის შეწუხებად არ უღირს. რა თქმა უნდა, თუ სულ ვერ შეამჩნევ ამ ნაძირალებსა და ბინძურ გარემოს, ეს შენი დიდი არისტოკრატიულობის დამადასტურებელია, მაგრამ ზოგჯერ ისიც არანაკლები არისტოკრატიულობის მანიშნებელი გახლავთ, თუკი, პირიქით, შეამჩნევ ყველაფერს, ესე იგი, დაუკვირდები და თუნდაც, მაგალითად, ლორნეტით დაათვალიერებ ამ სალახანებს. ოღონდ ისე კი, ვითომც ეს ბრბო და მთელი ეს სიბინძურე ჯენტლმენის სასერიოდ მოწყობილ ერთგვარ სანახაობად მიგაჩნია. შეიძლება ამ ბრბოშიც გაერიო, მაგრამ ისეთი იერით, თითქოს აქ მხოლოდ სეირის მაყურებელი ხარ და არა მისი წევრი. თუმცა მეტი სმეტად დიდი ყურადღების გამოჩენაც არ ღირს, ვინაიდან ეს სანახაობა განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებს. ისედაც რომ ვთქვათ, ჯენტლმენის ყურადღების ღირსი სანახაობა ამქვეყნად ძალიან ცოტა უნდა მოიძებნებოდეს. მაგრამ მე თუ მკითხავთ, ეს ყველაფერი ნამდვილად დიდი დაკვირვების ღირსი იყო, მეტადრე იმ კაცისთვის, რომელიც მხოლოდ დაკვირვების სურვილს არ მოუყვანია და თავის თავს გულწრფელად და კეთილსინდისიერად მიიჩნევს ამ ნაძირალების

ამფსონად. ხოლო ჩემს გულში სინდის-ნამუსად რა მიმაჩნია, ამაზე, რა თქმა უნდა, ახლა არაფერს ვიტყვი. თუმცა იმას კი შევნიშნავ: ამ ბოლო ხანს რატომღაც უჩვეულო ზიზღს მგვრიდა ჩემი საქციელისა და ფიქრებისთვის ზნეობრივი საზომი მიმესადაგებინა. მე სხვა რამ მამოძრავებდა...

ნაძირალები მართლა საზიზღრად თამაშობენ. ისიც კი მგონია, ამ მაგიდასთან ქურდობაც ხშირად ხდება. მაგიდის თავსა და ბოლოში მსხდომ კრუპიეებს<sup>1</sup>, რომლებიც თვალს ადევნებენ, ვინ რამდენს ჩამოდის, რამდენს მოიგებს ან წააგებს, ძალიან ბევრი საქმე აქვთ. აი, კიდევ ნაძირალები! მათ უმეტესობას ფრანგები წარმოადგენენ. თუმცა აქ დასაკვირვებლად ვარ მოსული და არა რულეტის აღწერისთვის, მე მხოლოდ ჩემთვის ვინიშნავ და ვიმახსოვრებ, როგორ მოვიქცე შემდგომ. მაგალითად, შევამჩნიე, რომ სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, მაგიდიდან ვილაცამ ხელი წამოიღოს და შენი მოგებულის თავისკენ მიიხვეტოს. რამდენიც უნდა იდავო და იყვირო, მაინც ვერ მოძებნი მოწმეებს და ვერ დაამტკიცებ, ფული მე დავდე და არა სხვამო!

თავდაპირველად ყველაფერი ჩინურ ანბანად მომეჩვენა, იმას კი მივხვდი, რომ ფული ლუნ ან კენტ რიცხვზე უნდა დამედო, ან შავსა და წითელ ფერზე. იმ სალამოს ბედის ცდა პოლინას ასი გულდენით დავაპირე. ის აზრი, რომ ჩემთვის არ ვთამაშობდი, რატომღაც ძალიან მაბნევდა და გუნებას მიფუჭებდა. ჰოდა, გადავწყვიტე, ეს საქმე ჩქარა მომეცილებინა თავიდან. ასე მეგონა, პოლინასთვის თამაში დამნავსავს-მეთქი. განა შეიძლება კაცი სათამაშო მაგიდას მიუახლოვდე და ცრუმორწმუნე არ გახდე? პირველად ხუთი ფრიდრიხსდორი, ანუ ორმოცდაათი გულდენი ამოვიღე და ლუნზე დავდე. ბორბლის დატრიალების შემდეგ ცამეტი გამოვიდა და წავაგე. გული შემეკუმშა, მაგრამ მალე რომ მოვშორებოდი იქაურობას,

---

**1 სათამაშო სახლის (კაზინოს) თანამფლობელი ან მოსამსახურე, რომელიც უძღვება და თვალყურს ადევნებს თამაშს.**

ხუთი ფრიდრიხსდორი ისევ წითელზე დავდე. დატრიალების შემდეგ წითელზე გაჩერდა. ახლა კვლავ წითელზე დავდე და ისევ წითელზე გაჩერდა. ორმოცი ფრიდრიხსდორი რომ მოვიგე, აქედან ოცი შუა ციფრების თორმეტზე ჩავედი, აბა, რა გამოვა-მეთქი. სამჯერ მეტი ფული ჩამითვალეს. ასე რომ, ათმა ფრიდრიხსდორმა ოთხმოცი მომაგებინა. ისეთმა უჩვეულო და უცნაურმა გრძნობამ ამიტანა, წასვლა გადავწყვიტე, ასე მეგონა, ჩემთვის სულ სხვანაირად ვითამაშებდი. მიუხედავად ამისა, ეს ოთხმოცი ფრიდრიხსდორი კიდევ ერთხელ დავდე ლუნზე. ამჯერად ოთხზე შეჩერდა. მოვხვეტე ეს ჩემი მოგებული ას სამოცი ფრიდრიხსდორი და პოლინას საძებრად წამოვედი.

ყველანი პარკში სეირნობდნენ, ამიტომ პოლინას მხოლოდ ვახშამზე შევხვდი. ფრანგი არ გვესწრებოდა და გენერალმაც ფრთები გაშალა: რატომღაც საჭიროდ მიიჩნია კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ჩემთვის, სულაც არ მესიამოვნა სათამაშო მაგიდასთან შენი ხილვაო. მისი აზრით, მაგალითად, ბევრი რომ წამეგო, ეს ამბავი მის სახელს ჩრდილს მიაყენებდა; „თუმცა კიდევ რომ მოიგოთ, არც ეს ივარგებს ჩემთვის, — დასძინა ხაზგასმით, — რა თქმა უნდა, უფლება არ მაქვს რამე აგიკრძალოთ, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ“... და, ჩვეულებისამებრ, აღარ დაამთავრა. ცივად ვუპასუხე, ფული ძალიან ცოტა მაქვს და, კიდევ რომ ვითამაშო, ბევრს ვერც წავაგებ-მეთქი. ვიდრე ზევით, ჩემს ოთახში ავიდოდი, მოვასწარი და პოლინას მისი მონაგები მივეცი. ისიც ვუთხარი, თქვენთვის მეორედ არაფრით აღარ ვითამაშებ-მეთქი.

პოლინა შეშფოთდა.

— რატომ?

გაკვირვებით შევხედე:

— იმიტომ, რომ ჩემთვის მინდა თამაში, ეს კი ხელს მიშლის.

— მაშ, კიდევ გჯერათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ რულეტი გიხსნით? — მკითხა დაცინვით. ჰო-მეთქი, მივუგე სერიო-



ზულად. ხოლო თუ მწამს, რომ უსათუოდ მოვიგებ, რა ვუყოთ, იყოს სასაცილო, ოღონდ ყველამ თავი დამანებოს-მეთქი.

პოლინა არა და არ მომეშვა, დღევანდელი მოგება თანაბრად უნდა გავიყოთ, ოთხმოცი ფრიდრიხსდორი შენ უნდა და იტოვო და შემდეგშიც მხოლოდ ამ პირობით ითამაშებო. ცივი უარი განვუცხადე და ვუთხარი, სხვებისთვის იმის გამო არ მინდა თამაში, ვიცი, წავაგებ-მეთქი.

— თუმცა მეც, რაც უნდა სულელურად ჟღერდეს, მხოლოდ რულეტის იმედი მაქვს, — მითხრა ჩაფიქრებით, — ამიტომაც, გინდათ თუ არა, ჩემთვის უნდა ითამაშოთ, ოღონდ ნახევარი თვითონ დაიტოვოთ. ეჭვი არ მეპარება, ასეც მოიქცევით, — პოლინამ ყური აღარ მათხოვა და წავიდა.

## თავი მასაჟი

მაგრამ გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, თამაშის თაობაზე კრინტი აღარ დაუძრავს, საერთოდაც გაურბოდა ჩემთან ლაპარაკს. ისევე მექცევა, როგორც წინათ, აგდებულად, ზიზღითა და სიძულვილით. არც ცდილობს ამ ზიზღის დამალვას, მაგრამ არც იმას მალავს, რაღაც მიზნისთვის რომ ვჭირდები და მიფრთხილდება. ჩვენ შორის ისეთი უცნაური ურთიერთობა დამყარდა, ვერ ვხვდები, რა ვიფიქრო. მით უფრო, რომ კარგად ვიცი, რა ამაყი და მედიდურია ყველასთან. პოლინამ იცის, მაგალითად, რა გაგიჟებით მიყვარს, არც მიშლის ამ სიყვარულზე წარამარა და უბოდნო ლაპარაკს და ამით უფრო მეტად მიდასტურებს თავის ზიზღს. „მაშასადამე, იმდენად არაფრად მიმაჩნია შენი გრძნობები, ჩემთვის სულერთია, რას მეტყვი და რას გრძნობ ჩემდამი“. თავის პირად საქმეებზე ადრეც ბევრჯერ ულაპარაკია ჩემთან, მაგრამ ბოლომდე გულახდილი არასოდეს ყოფილა. უფრო მეტიც, თავის უპატივცემულობას ყოვლად დახვეწილად მაგრძნობინებს

ხოლმე. ვთქვათ, იცის, რომ მისი ცხოვრებიდან რალაც ამბავი გავიგე, ან ისეთი რამ, რაც ძალიან ანუხებს. მეტიც, თვითონვე მიაბო იმ მიზნით, რომ ყურმოჭრილ ყმასავით გამომიყენოს ან პატარა ბიჭვით დამასაქმოს. მაგრამ მუდამ იმდენს მიაბობს, რამდენიც საჭიროა, ყურმოჭრილმა ყმამ იცოდეს. ხოლო თუ ამ ამბებში თავიდან ბოლომდე გარკვეული არა ვარ, თუ თვითონაც ხედავს, რარიგ მაშფოთებს და მანუხებს მისი დარდი და ღელვა, ღირსად მაინც არ გამხდის, მეგობრულად გადამიშალოს გული და დამამშვიდოს, მერე რა, რომ ვალდებულებაც არის, ყველაფერი მითხრას, რადგან სადავიდარაბო და ხშირად სახიფათო საქმეს მავალებს. რაში ენალვლება ჩემი გრძნობები, ან ის ამბავი, რომ იქნებ მისი დარდი თუ მარცხი სამჯერ მეტად მანუხებს!

ამ სამიოდე კვირის წინ უკვე ვიცოდი, რულეტზე თამაშს რომ აპირებდა. ისიც მითხრა წინასწარ, ჩემ მაგივრად უნდა ითამაშო, ვინაიდან ჩემთვის უხერხული იქნებო. მაშინვე შევატყვე ხმაზე, ფულის მოგებაზე მეტად სხვა ამბავი ანუხებდა. ხომ ვიცი, ფული მისთვის არაფერს ნიშნავს! აქ რალაც სხვა უნდა იყოს, მე რომ არ ვიცი და მხოლოდ გუმანით შემიძლია მივხვდე. ცხადია ის, რომ ასე მამცირებს და ყმა ბიჭვით მასაქმებს, კიდევაც მაძლევს საშუალებას (და ძალიან ხშირად) უხეშად და პირდაპირ ვკითხო ყველაფერი. რადგან მის თვალში არარაობა და ყურმოჭრილი მონა ვარ, ჩემი უხეში ცნობისწადილი საწყენად არ უნდა დარჩეს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ შეკითხვებს არ მიშლის, ოლონდ როდი მპასუხობს. ზოგჯერ არც მიგდებს ყურს. ასეა ჩვენი ამბავი!

გუშინ ჩვენთან დიდი მსჯელობა იყო ოთხი დღის წინ პეტერბურგში გაგზავნილ ტელეგრამაზე, რომლის პასუხი არა და არ ჩანს. გენერალი, ეტყობა ღელავს და საგონებელშია ჩავარდნილი. რა თქმა უნდა, მიზეზი ბებია გახლავთ. ფრანგსაც მოუსვენრობა ემჩნევა. გუშინ, მაგალითად, ნასადილევს დიდხანს საუბრობდნენ რალაცაზე. ფრანგი ყველას საოცრად

ზვიადად და დაუდევრად გვექცევა. პოლინასთანაც თავხედურად უჭირავს თავი, თუმცა სასეირნოდ სიამოვნებით დაჰყვება ხოლმე ჩვენებს ვოკსალსა თუ ქალაქგარეთ. დიდი ხანია ვიცი ფრანგისა და გენერლის ასეთი სიახლოვის მიზეზი: რუსეთში ერთად აპირებდნენ თურმე რალაც ფაბრიკის გახსნას, არ ვიცი, საბოლოოდ ჩაეფუშათ გეგმები თუ კიდევ არის ამაზე ლაპარაკი. გარდა ამისა, შემთხვევით გავიგე ოჯახური საიდუმლოების ნაწილიც: შარშან ფრანგმა მართლა იხსნა თურმე გენერალი, ოცდაათი ათასი ასესხა, სამსახურისთვის თავის დანებებისას რომ დაჰკლებია ხაზინაში და, ცხადია, ამის წყალობით გამოჭერილიც ჰყავს, მაგრამ ამჟამად კი, დიახ, ამჟამად დარწმუნებული ვარ, ყველაფრის მიზეზი m-lle Blanche გახლავთ.

მაინც ვინ ბრძანდება ეს m-lle Blanche? აქ ამბობენ, დიდგვაროვანი ფრანგი ქალია, დიდძალი ქონების პატრონიო. ისიც ცნობილია, რომ ჩვენს მარკიზს რალაც შორეულ ნათესავად ერგება, მგონი, გარე ბიძაშვილი უნდა იყოს. ამბობენ, პარიზში ჩემს გამგზავრებამდე ფრანგი და m-lle Blanche მეტი თავაზითა და პატივით ექცეოდნენ ერთმანეთსო. ახლა კი მათ ნაცნობ-ნათესაობას უბოდიშო ელფერი დაჰკრავს. ალბათ ჰგონიათ, ისე ცუდად გვაქვს საქმე, რომ ჩვენთან თვალთმაქცობა საჭირო აღარ არის. ჯერ კიდევ ამ სამი დღის წინ შევამჩნიე, მისტერ ასტლეი რა თვალთ უყურებდა m-lle Blanche-სა და დედამისს. მომეჩვენა, თითქოს უნდა იცნობდეს. ისიც კი მგონია, ჩვენი ფრანგი წინათაც შეხვედრია მისტერ ასტლეის. თუმცა მისტერ ასტლეი ისეთი მორიდებული, უთქმელი კაცია, შენი ოჯახის ამბავს ქვეყანას არ მოჰფენს. ყოველ შემთხვევაში, ფრანგი დამადლებით ესაღმება და თითქმის ზედ არ უყურებს. მაშასადამე, არ ეშინია. ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ m-lle Blanche-იც რომ ასევე იქცევა, ვითომ რა მიზეზია? მით უმეტეს, რომ, მარკიზს გუშინ რატომღაც საუბარში წამოსცდა, მისტერ ასტლეი ძალზე მდიდარია, კარგად ვიციო. M-lle



**Blanche**-ს სწორედაც მართებს, თვალი დაადგას მისტერ ასტ-  
ლეის! ისე კი, გენერალი მართლაც შეშფოთებული ჩანს, ადვი-  
ლი გასაგებია, რას ნიშნავს ახლა მისთვის მამიდამისის სიკვ-  
დილის ცნობა!

კარგად შევამჩნიე, პოლინა თითქოს გაურბის ჩემთან სა-  
უბარს. მეც ვითომ გულგრილი იერი მივიღე, თუმცა მეგონა,  
მაინც მოვა და დამელაპარაკება-მეთქი. სამაგიეროდ, გუშინ  
და დღეს მთელი ჩემი ყურადღება m-lle Blanche-ს მივაპყარი.  
წასულია საწყალი გენერლის საქმე! უბედურებაა, ორმოც-  
დათხუთმეტი წლის კაცს, თანაც ქვრივს, შვილების პატრონს,  
გაკოტრებულს, კისრამდე ვალებში ჩაფლულს ასე გატაცე-  
ბით რომ შეუყვარდება ვინმე, და თანაც ამისთანა. M-lle Blan-  
che ლამაზი ქალია, მაგრამ არ ვიცი, გამიგებთ თუ არა, ისეთი  
გარეგნობა აქვს, კაცს ნამდვილად შეაშინებს, ყოველ შემთხ-  
ვევაში, მე მუდამ მაფრთხობდნენ ასეთი ქალები. ოცდახუთი  
წლის იქნება, მალალია და მოსული, დაქანებული მხრებით.  
ყელი და გულმკერდი დიდებული აქვს. მოშავგვრემანო-მოყ-  
ვითალოა, მისი ყორანივით შავი გრუზა თმა ორ ქალს თავი-  
სუფლად ეყოფა. შავთვალაა, ოდნავ მოყვითალო თვალის  
გარსით. თავხედური გამოხედვა, ბროლივით კბილები და მუ-  
დამ შეღებილი ტუჩები აქვს. ყოველთვის მუშკის სურნელი  
ასდის. მდიდრულად, თანაც დიდი გემოვნებით იცვამს. გასა-  
ოცარი ხელ-ფეხის პატრონია. ჩახლეჩილი კონტრალტოთი<sup>1</sup>  
ლაპარაკობს. ზოგჯერ რომ გაიციინებს, ყველა კბილს გამო-  
აჩენს ხოლმე. მეტწილად კი დუმს, თავხედურად იყურება —  
ყოველ შემთხვევაში, პოლინასა და მარია ფილიპოვნას საზო-  
გადოებაში (უცნაური ხმა დაირბა: მარია ფილიპოვნა რუსეთ-  
ში მიემგზავრებაო). M-lle Blanche-ს, ჩემი აზრით, არც განათ-  
ლება ანუხებს და არც ჭკუა. სამაგიეროდ, გამოუცნობი და  
ეშმაკია. ისიც მეგონია, მთლად უმნიკვლო წარსული არ უნდა

---

<sup>1</sup> ქალის ყველაზე დაბალი ხმა.

ჰქონდეს. ის კი არა, შესაძლოა, არც მარკიზი იყოს მისი ნათესავი და არც ეს ქალი — მისი დედა. მაგრამ ცნობილია, რომ ბერლინში, სადაც ერთმანეთს შევხვდით, მას და დედამისს რამდენიმე რიგიანი ნაცნობი ჰყავდათ. თვითონ მარკიზი რომ მოსკოვსა და გერმანიაში კარგ საზოგადოებას ეკუთვნოდა, ეს, მგონი, ეჭვგარეშეა, თუმცა მისი მარკიზობის დიდად არ მჯერა. არ ვიცი, საფრანგეთში რას წარმოადგენს, ამბობენ, შატოს პატრონიაო. მეგონა, ამ ორ კვირაში ბევრი რამ გაირკვევა-მეთქი, მაგრამ დღესდღეობით დანამდვილებით ისიც არ ვიცი, m-lle Blanche-სა და გენერალს შორის საბოლოოდ არის თუ არა რამე გადაწყვეტილი? ისე კი, ახლა ყველაფერი ქონებაზეა დამოკიდებული, ესე იგი, აღმოაჩნდება თუ არა დიდი ფული გენერალს. მაგალითად, ცნობა რომ მოვიდეს, ბებია არ მომკვდარაო, დარწმუნებული ვარ, m-lle Blanche იმნამსვე გუდა-ნაბადს აიკრავს და აქედან გაქრება. მიკვირს და მეცინება, რა ჭორიკანა ვინმე გავხდი! სიამოვნებით დავკრავდი ფეხს და მივატოვებდი ყველას და ყველაფერს! მაგრამ განა შემოიძლია, პოლინა მივატოვო, წავიდე და არ ვუთვალთვალო, რა ხდება მის ირგვლივ? აი დარდი, ჯაშუშობა თუ უსინდისობაა!

გუშინ და დღეს მისტერ ასტლეიმაც დიდად დამაინტერესა. დიახ, დიახ, ეჭვი არ მეპარება, პოლინას ეტრფის! პირდაპირ საკვირველი და სასაცილოა, რაოდენ მეტყველია მორცხვი და ავადმყოფურად კდემამოსილი შეყვარებული კაცის თვალეები, თუმცა უმალ მიწის გასკდომასა და შიგ ჩავარდნას არჩევს, ვიდრე თავისი გრძნობების სიტყვითა თუ მზერით გამჟღავნებას. მისტერ ასტლეი სეირნობისას ხშირად გვხვდება ხოლმე. ქუდს მოგვიხდის და ჩაგვივლის, თუმცა ჩვენთან ყოფნაზე სული მისდის. როცა ვპატიჟებთ, უარს გვეუბნება. გასართობ ადგილებში, ვოკსალში, მუსიკაზე ან შადრევანთან უთუოდ ჩვენი სკამის შორიახლოს დგას; პარკში, ტყესა თუ შლანგენბერგზე, სადაც კი გაიხედავ, შეუძლებელია მისტერ ასტლეი არ დალანდო უახლოეს ბილიკზე ან ბუჩქთან. ასე



მგონია, შემთხვევას ეძებს, ცალკე გამესაუბროს. დღეს დილას შევხვდით და რამდენიმე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს. ზოგჯერ მეტისმეტად მოკლედ იცის ხოლმე სიტყვის წამოსროლა. „გამარჯობა“ არ უთქვამს, პირდაპირ ასე დაიწყო:

— ოო, mademoiselle Blanche! Mademoiselle Blanche-ისტანა ქალები ბევრი მინახავს.

მერე გაჩუმდა და მრავლისმეტყველად მომაჩერდა. არ ვიცი, რისი თქმა უნდოდა. რომ ვკითხე, რას გულისხმობთ-მეთქი, ცბიერი ღიმილით დამიქნია თავი და დააყოლა, — ასეა, ასე, — mademoiselle Pauline-ს თუ უყვარს ყვავილები?

— არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი.

— როგორ! ესეც არ იცით! — შესძახა საოცრად განცვიფრებულმა.

— რა ვიცი, არ დავკვირვებივარ, — გავუმეორე სიცილით.

— ოჰ, ამასთან დაკავშირებით ერთი აზრი მომივიდა, — დამიქნია თავი და წავიდა. კმაყოფილი ჩანდა. ჩვენ დამტკრეული ფრანგულით ვლაპარაკობდით.

## თავი მეოთხე

დღეს მეტად სასაცილო, უაზრო და სულელური დღე იყო. ახლა ლამის თერთმეტი საათია. ვზივარ ჩემს ოთახში და ვიხსენებ. დილით იძულებული გავხდი, წავსულიყავი და პოლინასთვის რულეტზე მეთამაშა მისი ას სამოცი ფრიდრიხსდორით, მაგრამ მხოლოდ ორი პირობით: ერთი, რომ სანახევროდ არ ვითამაშებ, ანუ, თუ მოვიგებ, არაფერს გამოვართმევ, მეორე — საღამოს უნდა მითხრას, რაში სჭირდება ფული და მაინც რამდენი. ვერ დავიჯერებ, მხოლოდ ფულისთვის სჩადიოდეს ამას: ეტყობა, რალაცისთვის სჭირდება და თანაც, სასწრაფოდ. პოლინა შემპირდა, გეტყვიო და მეც წავედი. სა-



თამაშო დარბაზში ტევა არ იყო. ეს რა თავხედი, რა დახარბე-  
ბული ხალხია! როგორც იყო, გავძვერი და კრუპიეს გვერდით  
ამოვუდექი. ჯერ მეშინოდა და ორ-ორ, სამ-სამ ფრიდრიხს-  
დორს ჩავდიოდი მხოლოდ, თან სახეებს ვუყურებდი და ვი-  
მახსოვრებდი. ჩემი დაკვირვებით, წინასწარ ანგარიში ძალზე  
ცოტას ნიშნავს. სულ ტყუილად მიაჩნია ბევრ მოთამაშეს ასე  
მნიშვნელოვნად, როცა დახაზული ფურცლებით მისხდებიან  
ხოლმე, ანგარიშობენ, ითვლიან, ბოლოს ჩამოდიან და მაინც  
ჩვენისთანა ალაღბედზე მოთამაშეებით აგებენ. სამაგი-  
ეროდ, ერთი დასკვნა გამოვიტანე, რომელიც, მგონი, სწორი  
უნდა იყოს: შემთხვევითი მოგების დროს სისტემა თუ არა, რა-  
ღაც განსაზღვრული თანამიმდევრობა მაინც არსებობს. ეს  
კი, რა თქმა უნდა, ძალზე უცნაურია. მაგალითად, ზოგჯერ  
ხდება ხოლმე, რომ შუა თორმეტი ციფრის შემდეგ უკანასკ-  
ნელი თორმეტი მოდის. მერე ოცჯერ გამოვა ეს უკანასკნელი  
თორმეტი და ისევ პირველი თორმეტის რიგი დგება. პირვე-  
ლი თორმეტის შემდეგ ისევ შუა თორმეტი გამოდის და მერე  
პირველი თორმეტი; პირველი თორმეტის შემდეგ კვლავ შუა  
თორმეტი ჩნდება სამჯერ თუ ოთხჯერ და ისევ უკანასკნელი  
თორმეტის ჯერი დგება. ეს უკანასკნელი თორმეტი ორჯერ  
რომ გამოვა, მერე ისევ პირველი გამოდის ერთხელ, გადადის  
შუა რიცხვებზე, შუა თორმეტი კვლავ სამჯერ გამოჩნდება და  
ასე გრძელდება საათ-ნახევრისა თუ ორი საათის განმავლო-  
ბაში, ერთი, სამი და ორი; ერთი, სამი და ორი! ეს ფრიად სასე-  
ირო სანახავია. ზოგჯერ მთელი დღე თუ დილა, მაგალითად,  
ისე ხდება, რომ წითელს შავი ცვლის ან პირიქით, თითქმის  
ყოველგვარი წესისა და რიგის გარეშე, ისე რომ, ორ-სამჯერ-  
ზე მეტად შავი თუ წითელი მიყოლებით არ გამოდის. მეორე  
დღესა თუ საღამოს კი, მაგალითად, ოცდაორჯერ ან უფრო  
მეტჯერაც შეიძლება წითელი გამოვიდეს და რამდენიმე ხნის,  
თუნდაც მთელი დღის განმავლობაში ასე გაგრძელდეს. აქე-  
დან ბევრი რამ მისტერ ასტლეიმ ამიხსნა. იგი მთელი დილა არ

მოშორებია სათამაშო მაგიდებს, თუმცა თვითონ ერთხელაც არ უთამაშია. მე კი პირწმინდად წავაგე ყველაფერი და ძალიან სწრაფადაც. ამოვიღე ოცი ფრიდრიხსდორი, მაშინვე ლუნზე დავდე და მოვიგე. მერე კიდევ ხუთი დავდე და ისევ მოვიგე. ორჯერ თუ სამჯერ ასე გამიმართლა. სულ რაღაც ხუთ წუთში, მგონი, ოთხასამდე ფრიდრიხსდორი დავაგროვე. იმის მაგივრად, მაგიდას მოვცილებოდი, რაღაც უცნაურმა გრძნობამ ამიტანა, მომინდა ბედი მეცადა, ერთი კარგი ნკიპურტი გამერტყა ან ენა გამომეყო მისთვის. ამოვიღე ფული, ოთხი ათასი გულდენი, ამაზე მეტის დადება აკრძალულია და მთლიანად წავაგე — გაბრაზებულმა, რაც დამრჩა, ისიც იმავე ლუნზე დავდე და ისიც მივაფშვნიტე. დარეტიანებული მოვშორდი მაგიდას. თვითონაც არ ვიცოდი, რა დამემართა. წაგების ამბავი მხოლოდ სადილის წინ ვაცნობე პოლინას. მანამდე ბაღში ვიბოდიხალე.

როგორც ამ სამი დღის წინ ახლაც აგზნებულ გუნებაზე ვიყავი. ფრანგი და m-lle Blanche კვლავ ჩვენთან სადილობდნენ. M-lle Blanche დილით თურმე სათამაშო დარბაზში იყო და ჩემი გმირობა უნახავს. რატომღაც ყურადღებით გამესაუბრა. ფრანგმა კი პირდაპირ მკითხა, ნუთუ თქვენი ფული წააგეთო? მგონი, პოლინაზე აქვს ეჭვი, ერთი სიტყვით, აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს. მაშინვე მოვატყუე, ჩემი წავაგე-მეთქი.

გენერალი დიდად გაოცებული დარჩა: ამდენი ფული საიდან იშოვეთო? მეც ავუხსენი, ჯერ ათი ფრიდრიხსდორით დავიწყე, ექვსჯერ თუ შვიდჯერ ზედიზედ გამიმართლა, ორმაგი მომცეს და ამგვარად ხუთი თუ ექვსი ათასი გულდენი მოვაგროვე, მერე კი ორჯერ ჩასვლით მთელი ფული წავაგე-მეთქი.

ეს ყველაფერი სიმართლეს ჰგავდა. ამას რომ ვამბობდი, პოლინას გადავხედე, თუმცა მის სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე, მაგრამ ხმა რომ არ ამოიღო, მივხვდი, ასე უნდა მოვექცეულიყავი. არ უნდა გამემხილა, მისთვის რომ ვთამაშობდი.

ყოველ შემთხვევაში, ვიფიქრე, მოვალეა, წელანდელი თავისი დანაპირები შეასრულოს და ზოგ რამეში გამარკვიოს-მეთქი.

მეგონა, გენერალი შენიშვნას მომცემდა, მაგრამ აღარაფერი თქვა. თუმცა აღელვება და შეწუხება კი შევატყვე. ვინ იცის, მისნაირ გაჭირვებაში მყოფი კაცისთვის მართლა მძიმე მოსასმენი იყო, რომ ჩემისთანა ბედოვლათმა თხუთმეტიოდე წუთში ამდენი ოქრო ჯერ მოიგო და მერე წააგო.

მას და ფრანგს, ჩემი აზრით, გუშინ ცხარე შელაპარაკება უნდა მოსვლოდათ. ჩაკეტილები რაღაცაზე დიდხანს კამათობდნენ. ფრანგი, მგონი, გულმოსული წავიდა, დილაადრიან კი ისევ მოაკითხა გენერალს, ალბათ გუშინდელი საუბრის გასაგრძელებლად.

ჩემი წაგების მოსმენისას ფრანგმა გესლიანად და ღვარძლიანად მითხრა, მეტი სიდინჯე გმართებდათო. არ ვიცი, რატომ და ესეც დაუმატა, რუსებიდან ბევრი კი თამაშობს, მაგრამ მათ, ჩემი აზრით, არც თამაში ეხერხებათო.

— მე კი მგონია, რულეტი სწორედ რუსებისთვისაა მოგონილი, — ვთქვი და როცა ფრანგმა ზიზლით ჩაიციინა, დავძინე, — ცხადია, სიმართლე ჩემს მხარეზეა და თუნდაც იმიტომ უნდა დამიჯეროთ, რუსებზე, როგორც მოთამაშეებზე რომ ვლაპარაკობ, ეს მათი გინება უფროა, ვიდრე ქება-მეთქი.

— საიდან ასკვნით ამას? — მკითხა ფრანგმა.

— იქიდან, რომ ცივილიზებული ევროპელის ზნეობისა და ღირსებათა კატეხიზმოში ისტორიულად ლამის მთავარ მუხლად მიიჩნევა გამდიდრების ნიჭი და უნარი. ხოლო რუსს არათუ გამდიდრების ნიჭი მომადლებია, რაც აბადია, იმასაც სულელურად და უმსგავსოდ ანიავებს. მაგრამ რაკი ფული რუსებსაც გვჭირდება, მაშასადამე, ძალიანაც ხელს გვაძლევს ისეთი საშუალება, როგორიცაა, მაგალითად, რულეტზე თამაში, სადაც ორ საათში შეგიძლია უშრომლად გამდიდრდე! ეს კი ძალიან გვაცდუნებს, მაგრამ რაკი უაზროდ და უდარდელად ვთამაშობთ, იმიტომაც ვაგებთ ხოლმე.



— ნაწილობრივ სიმართლე გახლავთ, — დიდგულად ჩაურთო ფრანგმა.

— არა, არ გახლავთ მართალი, ან რა სინდისით ლაპარაკობთ ამას საკუთარ სამშობლოზე, — გოროზად მითხრა გენერალმა.

— რას ბრძანებთ! მე თუ მკითხავთ, კაცმა არ იცის, რა უფრო საზიზღარია: რუსების უსაქციელობა თუ გერმანელების პატიოსანი შრომით გამდიდრების უნარი.

— რა უხამსი აზრია! — შეჰყვირა გენერალმა.

— წმინდა რუსული აზრია! — დააყოლა ფრანგმა.

სიცილი ამიტყდა. საოცრად მომინდა, გულზე გამეხეთქა ორივე და შევძახე:

— თუმცა ვარჩევდი, მთელი სიცოცხლე ყირგიზულ კარავში გამეტარებინა, ვიდრე გერმანელების კერპისტვის თაყვანი მეცა.

— რომელ კერპს გულისხმობთ? — გენერალს მართლა მოერია ბრაზი.

— სიმდიდრის დაგროვების წესს. აქ არც ისე დიდი ხანია ვარ, მაგრამ რისი შემჩნევა და შემონმებაც მოვასწარი, ჩემს თათრულ ბუნებას დიახაც აღაშფოთებს. ღმერთმანი, არც ამისთანა სიქველე და პატიოსნება მინდა! გუშინ ათიოდე ვერსი დავარტყი ირგვლივ. პირდაპირ ზნეობის მქადაგებელი დასურათებული გერმანული წიგნები გიცოცხლდება თვალწინ: ყოველ ოჯახს აქ თავისი ფატერი<sup>1</sup> ჰყავს, უზომო სიკეთითა და პატიოსნებით სავსე. კაცი შიშით ვერ გაეკარები მისი პატიოსნების გამო. ვერ ამიტანია ისეთი პატიოსანი ხალხი, ახლოს მისვლა რომ გეშინია. ყოველ ამისთანა ფატერს თავისი ოჯახი ჰყავს და საღამოობით მუდამ ჭკუის სასწავლ წიგნებს კითხულობენ ხმამაღლა. ზემოთ თელისა და ნაბლის ხეები შრიანლებს. მზე ჩადის, სახურავზე ყარყატი წამოსკუპულა... ერთი

---

<sup>1</sup> მამა (გერმ.).

სიტყვით, ძალზე პოეტური და გულის ამარყუებელი სურათი გახლავთ...

— ნუ გამინყრებით, გენერალო, და ნება მიბოძეთ, რაც შეიძლება გულის ამარყუებლად აღვწერო. თავად მახსოვს, განსვენებული მამარჩემი ბაღჩაში, ასევე სალამოობით, ხმამალლა გვიკითხავდა მე და დედას მსგავს წიგნებს... ისე რომ, სწორედაც შემიძლია ამაზე ვიმსჯელო. ჰოდა, ყოველი ასეთი ოჯახი აქ ფატერის ყურმოჭრილი მონაა. ყველანი ვირებივით მუშაობენ და ურიებივით ფულს აგროვებენ. ვთქვათ, ფატერმა უკვე დააგროვა ამდენი და ამდენი გულდენი და იმედი აქვს, რომ უფროს ვაჟს ხელობას შეასწავლის ან მიწას დაუტოვებს. ამიტომ ქალიშვილს მზითევს არ აძლევს და ისიც შინაბერად რჩება. უმცროს ვაჟს მოჯამაგირედ ან სალდათად უკრავს თავს და ამაში აღებულ ფულს დაგროვილ თანხას დაუმატებს. დიახ, დიახ, აქ ასეც ხდება, მე ყველაფერი გამოვიკითხე. ამის მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ პატიოსნებაა, მეტისმეტი პატიოსნება. ისე, რომ გაყიდულ უმცროს ვაჟსაც კი სწამს, პატიოსნებას შემწირესო, — აბა, ამაზე უკეთესი რა არის, როცა მსხვერპლი სიხარულით სწირავს თავს. შემდეგ რა ხდება? ის, რომ არც უფროსი ვაჟია კარგ დღეში: მას უკვე ჰყავს თავისი გულის რჩეული, თავისი ამაღხენი, მაგრამ რაკი ამდენი და ამდენი გულდენი ჯერ არ შეგროვებულა, ვერ ირთავს. ისიც პატიოსნად, გულწრფელად იცდის და ღიმილით ეწირება მსხვერპლად. ამაღხენს კი უკვე ლოყები ჩაუცვივდა, ჩამოჭუნა და გახმა, ბოლოს, ასე ოციოდე წლის შემდეგ, დოვლათი შეძენილია, გულდენები პატიოსანი გზით დაგროვილი. ფატერი ლოცავს ორმოცი წლის პირმშოს და ოცდათხუთმეტი წლის უკვე მკერდჩავარდნილ, ცხვირგანითლებულ ამაღხენს, ატირებული ჭკუას არიგებს და კვდება. უფროსი თვითონ ხდება პატიოსანი, ქველი ფატერი და ყველაფერი თავიდან იწყება. ამრიგად, ასე ორმოცდაათი თუ სამოცდაათი წლის შემდეგ პირველი ფატერის შვილიშვილს უკვე დაუგროვდება საკმაო

ქონება და თავის ვაჟს გადასცემს, მისი ვაჟიც ასევე იქცევა, თავის მხრივ თავის ვაჟს უტოვებს და ხუთი თუ ექვსი თაობის შემდეგ უკვე გვევლინება ბარონი როტშილდი, გოპე, კომპი თუ, ეშმაკმა უწყის, ვინ. აბა, რითი არ არის დიდებული სურათი: თაობათა ასი თუ ორასწლიანი შრომა, მოთმინება, ჭკუა, პატიოსნება, ხასიათის სიმტკიცე, ანგარიში, სახურავზე ყარყატი! ამაზე მეტი რა გინდათ! ჰოდა, ისინიც უკვე ამ თვალსაზრისით ზომავენ ქვეყანას და დამნაშავეებს ანუ, ვინც მათგან ოდნავ მაინც განსხვავდება, მაშინვე სჯიან. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, მირჩევნია, რუსულად ავურიო ანდა რულეტზე თამაშით გავმდიდრდე. ნეტავ რა ჯანდაბად მინდა, გოპე თუ კომპი ვიყო ხუთი თაობის შემდეგ. ფული ჩემთვის მჭირდება, სულაც არ მიმაჩნია თავი ქონების რალაც აუცილებელ დანამატად. ვიცი, საოცარი ტყუილები წამოვროშე, მაგრამ დაე, ასე იყოს. მე ასე მწამს!..

— არ ვიცი, რამდენად მართალი ბრძანდებით, მაგრამ ის კი უდავოა, კაცმა თუ თავის ნებაზე მიგიშვათ, მაშინვე აუტანელ მაიმუნობას იწყებთ ხოლმე!.. — დაფიქრებით ჩაილაპარაკა გენერალმა და, როგორც ყოველთვის, არ დაამთავრა.

თუ ჩვენმა გენერალმა ჩვეულებრივ საუბარზე ოდნავ მაინც რალაც მნიშვნელოვანი ბრძანა, არასოდეს ამთავრებს ხოლმე. ფრანგი დაუდევრად მისმენდა, თვალები ოდნავ გადმოეკარკლა. ჩემი ნათქვამიდან თითქმის ვერაფერი გაიგო. პოლინა ამაყად და გულგრილად იმზირებოდა. თითქოს მხოლოდ ჩემი კი არა, სხვების ნათქვამიდანაც არ გაუგია ერთი სიტყვა.



## თავი მეხუთე

პოლინა უჩვეულოდ ჩაფიქრებული ჩანდა. სუფრიდან რომ ავდექით, მიბრძანა, სასეირნოდ გამომყევითო. წავიყვანეთ ბავშვები და ბაღში, შადრევანთან ჩავედით.

ძალზე აგზნებული ვიყავი და ამიტომ ხეპრულად მივახალე: რა მოხდა, ჩვენი ფრანგი მარკიზი დე გრიე არათუ თან არ დაგყვებათ, მთელი დღეები ხმასაც რომ არ გცემთ-მეთქი?

— იმიტომ, რომ არამზადაა, — მომიგო უცნაურად. დე გრიე ჩემთან ასე არასოდეს უხსენებია. შემეშინდა, გაბრაზების მიზეზი რომ გამეგო და აღარაფერი ვთქვი.

— თუ შეამჩნიეთ, გენერალთან რომ არის ნაჩხუბარი?

პოლინამ ცივად და ბრაზით მიპასუხა:

— გინდა გაიგოთ, რაშია საქმე? განა არ იცით, რომ გენერალმა ყველაფერი მას მიაგირავა? მამულიც მისია! თუ ბებია არ მოკვდა, ყველაფერს ფრანგი დაეპატრონება.

— მაშასადამე, მართალია? ყური კი მოვკარი, მაგრამ არ მეგონა, თუ ყველაფერი დაგირავებული ჰქონდა.

— აბა, რა გეგონათ?

— მაშინ კი მშვიდობით, mademoiselle Blanche გენერლის მეუღლე აღარ გახდება! იცი, რა: mademoiselle Blanche-მა თუ მიატოვა, გენერალი ისეა შეყვარებული, ალბათ, თავს მოიკლავს. მის ასაკში ასეთი სიყვარული სახიფათოა.

— მეც ასე მგონია, რალაც დაემართება, — ჩაფიქრებით თქვა პოლინამ.

— იფ, რა დიდებულია, — შევძახე მე, — არა, სად გაგონილა, ასე უხეშად აგრძნობინო კაცს, მხოლოდ და მხოლოდ ფულისთვის მოგყვებიო. რალაც წესი ხომ არსებობს. ასეთი უტიფრობა იქნება! სასწაულია პირდაპირ! ბებიას რაც შეეხება, იმაზე სასაცილო და საზიზღარი რა უნდა იყოს, ტელეგრამა ტელეგრამაზე აგზავნო: მოკვდა თუ არაო? როგორ მოგწონთ, ჰა, პოლინა ალექსანდროვნა? პოლინამ ზიზღით გამანყვეტინა:

— ეს ყველაფერი სისულელეა. თუმცა, ნეტავ ასე რამ გაგამხიარულათ? ნუთუ ჩემი ფულის წაგებამ?

— მერედა, რატომ მომეცით წასაგებად? ხომ გითხარით, სხვებისთვის ვერ ვითამაშებ-მეთქი, განსაკუთრებით თქვენთვის. რასაც მიბრძანებთ, ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ შედეგი ჩემზე არ არის დამოკიდებული. განა არ გაგაფრთხილეთ, არაფერი გამოვა-მეთქი? არა, მართლა ძალიან დაგწყვიტათ გული წაგებამ? ამდენი რისთვის გჭირდებათ?

— ნეტავ რას კითხულობთ?

— აკი, თვითონ დამპირდით, ყველაფერს გეტყვიო... ყური მიგდეთ: ეჭვი არ მეპარება, ჩემთვის რომ ვითამაშო, უთუოდ მოვიგებ (თორმეტი ფრიდრიხსდორი კიდევ დამრჩა). მაშინ კი წაიღეთ, რამდენიც გენებოთ.

პოლინას სახეზე ზიზლი გამოეხატა.

— არა, არ გამიწყრეთ, — განვაგრძე მე, — ვიცი, თქვენს თვალში არარაობა ვარ, ამიტომ ჩემგან ფულის აღება არც უნდა ითაკილოთ. ჩემი საჩუქარი არ უნდა იწყინოთ. მით უმეტეს, რომ თქვენი ფული წავაგე.

პოლინამ სწრაფად შემავლო თვალი. რომ დაინახა, რა გაგულისებითა და დაცინვით ვლაპარაკობდი, კვლავ შემანწყვეტინა:

— ჩემი ამბები არც ისე საინტერესოა. რადგან ასე გნებავთ, იცოდეთ, უბრალოდ ვალი მაქვს. ვისესხე და მინდა, უკან დავაბრუნო. რატომღაც უგუნური და უცნაური აზრი გამიჯდა თავში, აქ, სათამაშო მაგიდაზე უთუოდ მოვიგებ-მეთქი. რატომ ვიფიქრე, მეც არ ვიცი, იქნებ სულაც იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არა მაქვს.

— ან იქნებ ძალიან გჭირდებათ მოგება. ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. რომ არ იხრჩობოდეს, მერწმუნეთ, ხავსს ხის ტოტად არ მიიჩნევდა.

პოლინას გაუკვირდა.

— განა თქვენც ამ იმედით არა ხართ? ამ ორი კვირის წინ

თვითონვე არ მითხარით, მწამს და მჯერა, აქ, რულეტზე მოვიგებ, ოღონდაც გიჟად ნუ ჩამთვლითო? ან იქნებ იხუმრეთ მაშინ? თუმცა, ისეთი მართალი გულით ამბობდით, არა მგონია, ხუმრობა ყოფილიყო.

— კი, მართალია, დღემდე მჯერა, რომ მოვიგებ, — ვუპასუხე ჩაფიქრებით, — გამოგიტყდებით, თქვენმა სიტყვებმა ახლა საგონებელში ჩამაგდო, ჩემმა დღევანდელმა ბრიყვულმა და უგვანო წაგებამ რატომ არ შემაეჭვა-მეთქი? მაინც გულით მჯერა, როგორც კი ჩემთვის ვითამაშებ, უთუოდ მოვიგებ.

— საიდან გაქვთ ეს რწმენა?

— ვერაფერს გეტყვით, ვიცი მხოლოდ, რომ უთუოდ უნდა მოვიგო, სხვა გამოსავალი არც მე მაქვს. ალბათ ამიტომაც მგონია, უთუოდ მოვიგებ-მეთქი.

— ასე ბრმად რომ გჯერათ, მაშასადამე, თქვენც გიჭირთ?

— სანაძლეოს ჩამოვალ, არ გჯერათ, რომ მეც შეიძლება მიჭირდეს?

პოლინამ ჩუმად, გულგრილად ჩაილაპარაკა:

— ეგ ჩემთვის სულერთია. ისე კი, მართალი თუ გნებავთ, არა მგონია, რამემ დიდად შეგანუხოთ, ისეთი მოუსვენარი და დაუდევარი კაცი ხართ. ფული რად გინდათ? მაშინდელი თქვენი დასაბუთება მაინცდამაინც საგულისხმოდ არ მეჩვენა.

— მოიცათ, ვალი მაქვსო, თქვით, და მინდა გადავიხადოო. კარგი ვალი კი ყოფილა, ფრანგის ხომ არაა? — გავანწყვეტინე მე.

— რაებს მეკითხებით? დღეს მეტისმეტად მკვახედ ლაპარაკობთ. მთვრალი ხომ არ ხართ?

— ხომ იცით, ზოგჯერ ძალიან გულახდილ შეკითხვებს ვსვამ და ჩემს თავს ყველაფრის თქმის უფლებას ვაძლევ. გიმეორებთ, თქვენი მონა ვარ, მონის კი ან ვის რცხვენია, ან ვის სწყენია რამე.



— რას სულელობთ! ვერ ამიტანია ეგ თქვენი „მონობის“ თეორია.

— ისიც ინიშნეთ, თუ ვამბობ, თქვენი მონა ვარ-მეთქი, არა იმიტომ, თითქოს მონობა ძალიან მსურდეს. უბრალოდ, ეს სინამდვილეა, რომელიც ჩემზე არ არის დამოკიდებული.

— პირდაპირ თქვით, რად გინდათ ფული?

— რისთვის გსურთ იცოდეთ?

— როგორც გენებოთ, — პოლინამ ამაყად ასწია თავი.

— მონობის თეორია ვერ ამიტანიაო, მონობას კი ითხოვთ: მიპასუხე, არ შემეკამათო! ბატონი ბრძანდებით. მე-კითხვებით, ფული რად გინდაო? როგორ თუ რად? ფული ხომ ყველაფერია!

— ვიცი, ვიცი, მაგრამ ფულის სურვილმა კი არ უნდა გააგიჟოს კაცი! აგერ ლამის ჭკუა დაკარგოთ, ისე ხართ გადარეული. არა, ალბათ განსაკუთრებული მიზანი გაქვთ. აბა, პირდაპირ თქვით, მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

პოლინას თითქოს ბრაზი მოერია. ძალიან მომეწონა, ასე გაგულისებით რომ მართმევდა ჩვენებას.

— რა თქმა უნდა, მიზანიც მაქვს, მაგრამ ახსნა არ შემიძლია. ალბათ ის, რომ ფულმა შეიძლება თქვენს თვალში სულ სხვა კაცად მაქციოს, მონად აღარ ჩამთვალოთ.

— როგორ? ან რა გზით მიაღწევთ ამას?

— როგორ მივაღწევ? მაშ, ისიც არ გესმით, რა გზით შემიძლია მივაღწიო იმას, რომ მონასავით არ მიყუროთ! აი, სწორედ ეს არ მინდა, ამისთანა გაკვირვება და გაოცება გამოვიწვიო.

— თქვენ არ მეუბნებოდით, მონობა ჩემთვის ნეტარებააო? მეც ასე მეგონა.

— ასე გეგონათ, — აღმომხდა რაღაც უცნაური ნეტარებით, — როგორ მომწონს ასეთი გულუბრყვილობა! დიახ, დიახ, თქვენი მონობა ნეტარებას მანიჭებს. დიახ, დიახ, უკიდურესი დამცირებისა და არარაობის შეგრძნება ნეტარებაა! —

ვბორგავდი მე, — ეშმაკმა დალახვროს! იქნებ მათრახს რომ ზურგში გადაგიჭერენ და ხორცს ამოგგლეჯენ, ესეც ნეტარება იყოს... მაგრამ იქნებ სხვა ნეტარებაც მინდა ვიგემო. განა წელან იქ არ ბრძანდებოდით, როცა გენერალმა სუფრაზე ჭკუის დარიგება დამიწყო. აბა, კაცი წელიწადში შვიდას რუბლს მაძლევს, მერე რა, რომ ეს ფული შეიძლება თვალითაც ვერ ვნახო. მარკიზი დე გრიე წარბებაზიდული მომჩერებია და ამავე დროს ვერც მამჩნევს. მე კი იქნებ ძალიანაც მინდა ის მარკიზი დე გრიე თქვენ თვალწინ ცხვირით დავითრიო?

— ლანირაკივით მსჯელობთ! ადამიანს ყველა გარემოებაში შეუძლია ღირსება შეინარჩუნოს. თუ საამისოდ ბრძოლა დასჭირდა, ეს კიდევ უფრო აამაღლებს, განა დაამცირებს!

— რა გაცვეთილი სიტყვებია! მაგრამ, ვთქვათ და, თავის ღირსეულად დაჭერა არ შემიძლია. ანუ ღირსეული კაცი ვარ, ოღონდ თავის დაჭერას ვერ ვახერხებ. ხომ შეიძლება ასე იყოს? ყველა რუსი ასეთია და იცი, რატომ: იმიტომ, რომ რუსები ესოდენ დიდად და მრავალმხრივად დაჯილდოებული ხალხია, არ ძალუძთ საკუთარ თავს წესიერი გარეგნული ფორმა გამოუნახონ. აქ კი მთავარი სწორედ ფორმაა. ჩვენ, რუსებს, მეტწილად იმდენად დიდი ნიჭი მოგვმადლებია, რომ წესიერი ფორმის მოსაძებნად გენიოსობა გვჭირდება. გენიოსობა კი იოლად არ მოდის, იმიტომ, რომ გენიოსობა საერთოდ იშვიათია. მარტოდენ ფრანგებსა და კიდევ, მგონი, ევროპელებიდან ზოგს გააჩნია ისეთი გარეგნული ფორმა, უღირსი ფრიად ღირსეულად წარმოაჩინოს. ამიტომაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის ფორმას. ფრანგმა შესაძლოა წარბშეუხრელად გადაყლაპოს ნამდვილი შეურაცხყოფა, მაგრამ აბა, გაბედე და ცხვირში წკიპურტი გაჰკარი. რატომ? იმიტომ, რომ ეს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესის დარღვევა იქნება. იმიტომაც მოსწონთ ჩვენს ყმანვილქალებს ფრანგები, რომ გარეგნული ფორმა აქვთ კარგი. თუმცა, მე თუ მკითხავთ, ფორმა აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ

ფრანგი მამლაყინნაა, le coq gaulois<sup>1</sup> და სხვა არაფერი. თუმცა მე ქალი არა ვარ და იქნებ იმიტომ არ მესმის. ვინ იცის, მამლაყინნები სჯობდეს. ღმერთო, რამდენ ტყუილს ვროშავ, თქვენ კი არ მიშლით ლაპარაკს. ხშირად უნდა შემაჩეროთ ხოლმე; თქვენ რომ გელაპარაკებით, ყველაფერი, ყველაფერი მინდა ვთქვა. ყოველგვარ ფორმას ვკარგავ. თუმცა იმაზეც თანახმა ვარ, რომ ფორმა კი არადა, ღირსებაც არა მაქვს. აქვე ვაცხადებ: არც ვცდილობ მქონდეს, ჩემში ახლა ყველაფერი გაყინულია. კარგად იცით, რატომაც. ადამიანურად ფიქრიც არ შემიძლია, რახანია აღარ ვიცი, რა ხდება ამქვეყნად, გინდ რუსეთში და გინდ აქ. აგერ, დრეზდენი გამოვიარე, მაგრამ არც მახსოვს, როგორია. ხომ იცით, რამ დაიპყრო ჩემი გონება და რამ გამხადა ასეთი. რადგან არავითარი იმედი არ მაქვს და თქვენთვის ნული ვარ, ამიტომ პირდაპირ გეუბნებით: ყველგან მხოლოდ და მხოლოდ თქვენ გხედავთ, სხვა ჩემთვის არაფერი არსებობს. რატომ მიყვარხართ ასე, ვერ გეტყვით. იცით კი, რომ შეიძლება სულაც არა ხართ ლამაზი? წარმოიდგინეთ, ისიც კი არ ვიცი, მართლა ლამაზი სახე გაქვთ თუ არა? გული ნამდვილად ცუდი გაქვთ, არა მგონია, ჭკუაც კეთილშობილი გქონდეთ. კი, კი, შესაძლოა ასეც იყოს.

— მაშ, რადგან ჩემი კეთილშობილების არ გჯერათ, იმიტომაც გეგონათ, ფულით მიყიდდით?

— როდის მეგონა, რომ გიყიდდით? — შევძახე მე.

— სისულელეს რომავთ და ველარ გაგიგიათ, რას ლაპარაკობთ. მე თუ არა, ჩემი პატივისცემა ხომ უნდა იყიდოთ.

— ოჰ, არა, მთლად ასე არ არის. აკი გითხარით, ახსნა მიჭირს-მეთქი, ისე მიბნევთ ხოლმე თავგზას. გული ნუ მოგივათ ამ ჩემს ბოდვაზე. ხომ იცით, გიჟი ვარ და ჩემზე გაბრაზება არ ღირს. თუმცა გაბრაზდით, ჩემთვის სულერთია. ზემოთ, ჩემს ოთახში ლამისაა ხელები დავიჭამო თქვენი კაბის შრიალის

---

<sup>1</sup> გალური მამალი (ფრანგ.).



გახსენებაზე. ან რატომ მიწყობით? იმიტომ, რომ თქვენს მონად ვაცხადებ თავს? მერე რა, მიმსახურეთ, ჰო, მიმსახურეთ მონასავით! იცი თუ არა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მოგკლათ? იმიტომ კი არა, გადაგიყვარეთ ან ვიეჭვიანე, არა, უბრალოდ ზოგჯერ ძალიან მინდა შეგყლაპოთ. იცინით?

პოლინა განრისხდა.

— სულაც არ ვიცი. ახლავე ხმა გაიკმინდეთ.

პოლინას ბრაზით სული შეეხუთა და გაჩუმდა. ღმერთმანი, ვერ გეტყვით, ლამაზია თუ არა, ეს კია, ძალიან მიყვარს, როცა ასე გამიჩერდება ხოლმე წინ. ამიტომაც მიყვარს მისი გაბრაზება. ვინ იცის, შემამჩნია და განგებ იმიტომაც ბრაზობს. ასეც ვუთხარი.

— ფუი, რა სიბინძურეა! — შესძახა მან ზიზლით.

— ის თუ იცით, რომ ჩვენი ერთად სიარული სახიფათოა? რომ იცოდეთ, რამდენჯერ მომნდომებია მეცემეთ, დამესახიჩრებინეთ, დამეხრჩეთ. გგონიათ, აქამდე არ მივა საქმე? თქვენ ჭკუაზე შემშლით. ერთბაშად აურზაურის შიშმა ან თქვენმა რისხვამ არ შემაჩეროს! ან რას დამაკლებს თქვენი რისხვა? ჩემი სიყვარული უიმედოა. ვიცი, რომ მერე ათასჯერ უფრო მეტად მეყვარებით. თუ ოდესმე მოგკალით, მეც ხომ უნდა მოვიკლა თავი. ამიტომ თავს დიდხანს არ მოვიკლავ, რათა უთქვენოდ განვიცადო ეს აუტანელი ტკივილი. არ დაიჯერებთ და დღითი დღე უფრო მეტად მიყვარხართ, ეს კი თითქმის შეუძლებელია. მოდი და ნუ იწამებ ბრმად ამის შემდეგ ბედისწერას! გახსოვთ, ამ სამი დღის წინ შლანგენბერგში თქვენგან გამწარებულმა რომ წაგჩურჩულეთ: მითხარით და ამ უფსკრულში გადავეშვები-მეთქი. რომ გეთქვათ, მართლა გადავეშვებოდი. ნუთუ არ გჯერათ, რომ გადავეშვებოდი?

— რა სისულელეს ბოდავთ! — წამოიძახა პოლინამ.

— სისულელეა თუ სიჭკვიანე, არ მენალვლება. მხოლოდ ის ვიცი, თქვენთან რომ ვარ, უნდა ვილაპარაკო, და მეც ვლა-

პარაკობ. თქვენთან როცა ვარ, თავმოყვარეობა მეკარგება, ყველაფერი ფეხებზე მკიდია.

პოლინამ საოცარი ზიზლით მომიჭრა:

— მე რა, შლანგენბერგიდან რომ გადახტეთ? ამით ვერაფერს მოვიგებ.

— რა დიდებულია! ვერაფერს მოვიგებო! ეს დიდებული სიტყვა განზრახ, ჩემს გასანადგურებლად, იხმარეთ. ვერაფერს გამომაპარებთ. ამბობთ, ვერაფერს მოვიგებო? განა სიამოვნება მუდამ მოგება არ არის, ხოლო შენი უსაზღვრო ძალის გამოცდამ, გინდაც ბუზზე, განა შეიძლება ერთგვარი ნეტარება არ მოგანიჭოს? ადამიანი ბუნებით მტარვალა, სხვისი წვალება უყვარს. ეს თქვენც ძალიან გიყვართ.

მახსოვს, რა უცნაური დაკვირვებით შემომხედა პოლინამ. ალბათ სახეზე აღმებეჭდა მთელი ჩემი უგუნური და სულელური განცდები. ახლა მახსენდება, რომ თითქმის სიტყვასიტყვით ისე ვილაპარაკეთ, როგორც აქ აღვწერე. თვალები ჩამისისხლიანდა, პირზე დუჟი მომადგა, მაგრამ შლანგენბერგს რაც შეეხება, პატიოსნებას ვფიცავ, მაშინ ჩემთვის მართლა რომ ეთქვა, გადაეშვიო, გადავეშვებოდი! გინდ ხუმრობითა და გინდ ზიზლით ეთქვა, მაინც გადავეშვებოდი.

— არა, რატომ, მჯერა თქვენი, — წარმოთქვა ისე გესლიანად და მედიდურად, როგორც მხოლოდ მას სჩვევია და რისი გულისთვისაც, ღმერთმანი, იმწუთას შეიძლება მართლა მომეკლა, ვინაიდან ეს მხოლოდ მუქარა როდი იყო.

— ლაჩარი თუ ხართ? — მკითხა უეცრად.

— რა ვიცი, იქნებ ლაჩარიც ვიყო. ვერაფერს გეტყვით... რა ხანია ამაზე აღარ დავფიქრებულვარ.

— რომ მეთქვა ესა და ეს კაცი მოკალით-მეთქი, მოკლავდით?

— ვის?

— ვისზეც გეტყოდით.

— ფრანგს?

— ნუ მეკითხებით, მიპასუხეთ, მინდა გავიგო, მართალი თქვით ახლა თუ არა? — პოლინა ისე მოუთმენლად ელოდა პასუხს, გამიკვირდა კიდევ.

— ბოლოს და ბოლოს, აღარ მეტყვიით, რა ხდება? — შევყვირე, — მართლა ხომ არ გეშინიათ ჩემი? თვითონაც ვხედავ, რა არეულ-დარეული ამბებიცაა! გაკოტრებული და დამთხვეული თქვენი მამინაცვალი, ის ალქაჯი Blanche, რომელიც თქვენს მამინაცვალს სიგიჟემდე უყვარს, შემდეგ ეს ფრანგი, თქვენზე ასეთი იდუმალი გავლენა რომ აქვს... ახლა კიდევ ასე სერიოზულად მეკითხებით ამ ამბავს... ასე თუ ისე, ხომ უნდა გამაგებინოთ რაღაც; თორემ შეიძლება ჭკუიდან გადავიდე და რაღაც ჩავიდინო. ან იქნებ გეთაკილებათ ჩემთან გულახდილობა? თუმცა ჩემთან სათაკილო რა გაქვთ?

— მაგაზე არ გეუბნებით. რაც გკითხეთ, იმაზე მიპასუხეთ.

— რა თქმა უნდა, მოვკლავ, ოღონდ მიბრძანეთ, მაგრამ დავიჯერო... მართლა მიბრძანებთ?

— ხომ არ გგონიათ, დაგინდობთ! გიბრძანებთ, თვითონ კი განზე გავდგები. მოინელებთ ამას? არა მგონია, მოინელოთ! თუმცა ისიც შესაძლოა, ჩემი ბრძანებით ვიღაც მოკლათ და მერე მეც მიმაყოლოთ, როგორ გაბედე და კაცი მომაკვლევინო.

ამ სიტყვებზე თითქოს რაღაცამ დამკრა თავში. მისი შეკითხვა მაშინაც ნახევრად ხუმრობად და გამონვევად ჩავთვალე, მაგრამ კილო კი რაღაც მეტისმეტად სერიოზული მეჩვენა. მაინც გამაოცა, ასე პირდაპირ როგორ თქვა, რომ თანახმაა, ჩემზე ასეთი ძალაუფლება იქონიოს და ასე პირდაპირ მეუბნება: წადი და თავი დაილუპე, მე კი განზე გავდგებიო. ამ სიტყვებში რაღაც ისეთი ცინიკური და დაუფარავი იგრძნობოდა, ჩემი აზრით, მეტისმეტი იყო. მაშასადამე, ვინ ვარ მის თვალში? ეს უკვე იმაზე მეტი იყო, ვიდრე მონად და არარაობად მიჩნევა. როცა ასე ფიქრობ კაცზე, მაშასადამე, მას შენს ტოლად



ხდი. ჰოდა, რაც უნდა სულელური, დაუჯერებელი ყოფილიყო ჩვენი საუბარი, გულმა რეჩხი მიყო.

უეცრად პოლინამ გადაიკისკისა. მაშინ სკამზე ვისხედით ბაღში, ჩვენ წინ ბავშვები თამაშობდნენ, პირდაპირ კი ეტლები ჩერდებოდნენ და მოსეირნენი ვოკსალის წინ ხეივანში გადმოდოდნენ.

— ხედავთ იმ ჩასუქებულ ბარონის მეუღლეს? — შესძახა მან, — ეგ ბარონ ვურმერჰელმის მეუღლე გახლავთ. ამ სამი დღის წინ ჩამობრძანდა მხოლოდ. აგერ მისი ქმარიც: ხმელ-ხმელი, აწონილი პრუსიელი, ჯოხი რომ უჭირავს. გახსოვთ, როგორ შეგვათვალეირა მაშინ? ჰოდა, გასწით ახლა, ბარონის მეუღლეს მიეახლეთ, ქუდი მოუხადეთ და ფრანგულად რამე უთხარით.

— რატომ?

— ხომ მეფიცებოდით, შლანგენბერგიდან გადავხტებო, ეს წუთია, ისიც შემომფიცეთ, ვისზედაც მიბრძანებ, მოვკლავო. არც მკვლელობას გთხოვთ და არც ტრაგედიებს. მინდა, მხოლოდ ვიცინო. ადექით და ულაპარაკოდ გასწით. უნდა ვნახო, როგორ მიგბეგვავთ ბარონი ჯოხით.

— რომ მაგულიანებთ, გგონიათ, არ გავაკეთებ?

— დიახ, გაგულიანებთ! აბა, გასწით, მე ასე მინდა!

— ბატონი ბრძანდებით, ნავალ, თუმცა სიგიჟედ კი მიმაჩნია. მაგრამ ვაითუ, გენერალს ამის გამო უსიამოვნება შეხვდეს, მან კი თქვენზე ამოიყაროს ჯავრი? ღმერთმანი, ჩემი თავი არ მადარდებს, თქვენზე და გენერალზე ვფიქრობ, ან რა საკადრისია ქალის შეურაცხყოფა, რისთვის მოგეპრიანათ ეს სიგიჟე?

— არა, ვხედავ, ყბედობის მეტი არაფერი შეგიძლიათ, — ზიზღით მითხრა პოლინამ, — წელან თვალები ჩაგისისხლიანდათ, თუმცა სადილზე კარგა ბლომად ღვინო ყლურწეთ და იმის ბრალია. განა არ ვიცო, ეს რომ უგვანო, სულელური საქციელია და გენერალი გაჯავრდება? უბრალოდ, სიცილი მინ-

და. დიახ, სიცილი, სხვა არაფერი! ან ქალის შეურაცხყოფა რა შუაშია? თქვენ გცემენ ჯობით, ეს იქნება და ეს.

უხმოდ გავტრიალდი მისი ბრძანების შესასრულებლად. თავისთავად ცხადია, სიბრიყვე იყო და, რასაკვირველია, ვერ მოვახერხე თავის დაძვრენა. მაგრამ ის კი მახსოვს, როცა ბარონის მეუღლეს მივუახლოვდი, თითქოს თვითონვე მომერია სურვილი, ეს ჩამედინა, ალბათ იმიტომ, რომ ბალღური ცულ-ლუტობა მომეძალა, თანაც ისე საშინლად გავბრაზდი, ბრაზმა თითქოს დამათრო.

## თავი მეექვსე

იმ ბრიყვული ამბის შემდეგ აგერ უკვე ორი დღე გავიდა. ოჰ, რა აყალმაყალი, ლაპარაკი და აურზაური გამოიწვია: რა სისულელე, უმსგავსობა და დომხალი გამოვიდა. ყველაფრის მიზეზი კი მე ვიყავი. თუმცა ზოგჯერ სასაცილოც ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ჩემს თვალში. ვერ გამიგია, რა ხდება ჩემს თავს, მართლა ასე გავხელდი თუ უბრალოდ გავაფრინე და ვიდრე თოკით არ შემკრავენ, არ გავჩერდები. დროდადრო მგონია, ჭკუიდან შევიშლები, ზოგჯერ კი მეჩვენება, თითქოს ბავშვობის ასაკიდან არ გამოვსულვარ და უჭკუო ბიჭვით ვცულლუტობ-მეთქი.

ყველაფერი კი პოლინას ბრალია. დიახ, პოლინასი! ის რომ არა, იქნებ ცულლუტი ბიჭვით არ მოვქცეულიყავი. ვინ იცის, ეს ყველაფერი სულაც სასონარკვეთამ ჩამადენინა (თუმცა რა სისულელეს ვამბობ). პირდაპირ ვერ გამიგია, რა აქვს მაინც კარგი! თუმცა მართლა კარგი კია. სხვებსაც აგიჟებს. მაღალი და წერწეტაა, ოღონდ მეტისმეტად წვრილი. ასე მგონია, თასმასავით შეიძლება მოგრიხო ან ორად მოკეცო. ვინრო და გრძელი ტერფი აქვს, კაცს ჭკუაზე შეშლის მისი ფეხის ნაკვალევი. თმაზე წითური ფერი დაჰკრავს. თვალე-

ბი თითქოს კატის აქვს, მაგრამ რა ამაყად და ქედმაღლურად იცის ხოლმე ცქერა. ამ ოთხიოდე თვის წინ, როცა სამსახური ის იყო დავინყე, ერთ სალამოს დავინახე, დარბაზში დე გრიეს დიდხანს და ცხარედ ელაპარაკებოდა. და ისე უყურებდა... მერე, ჩემს ოთახში რომ ავედი დასაძინებლად, წარმოვიდგინე, როგორ გააწნა სილა, — ჰო, ეს წუთია სილა გააწნა, ახლა დგას და უყურებს-მეთქი... აი, სწორედ იმ სალამოს შემეყვარდა.

თუმცა სჯობს ისევ იმ ამბავს დავუბრუნდე.

ბილიკით ჩავედი ხეივანში, შუა გზაზე დავდექი და, როცა ბარონი და მისი მეუღლე ხუთ ნაბიჯზე მომიახლოვდნენ, ქუდი მოვიხადე და მივესალმე.

მახსოვს, ბარონის მეუღლეს წყლისფერი აბრეშუმის ფარფაშა კრინოლინი<sup>1</sup> ეცვა, ფურჩალებით განწყობილი, უკან კუდი დასთრევდა. ამ ჩამრგვალებულ ქალს მსუქანი ღაბაბი ისე დაჰკიდებოდა, კისერი აღარ უჩანდა. წითელი სახე და წვრილი, ბოროტი, უტიფარი თვალები ჰქონდა. ისე მოდიოდა, გეგონება, მიწას ამძიმებსო. ბარონი კი კაფანდარა და მალაღლი იყო. ნაოჭებით დასერილი, მობრეცილი სახით, როგორც საერთოდ გერმანელებს მოსდგამთ. სათვალე ეკეთა. ორმოცდახუთი წლის იქნებოდა. ფეხები ლამის მკერდიდან ეწყებოდა. მაშასადამე, კარგი ჯიშის გახლდათ. ფარშავანგით მედიდური, ოლონდაც, მოუქნელი ჩანდა. ცხვარივით გამოხედვა ჰქონდა, ვითომ დიდად ღრმააზროვანი.

ეს ყველაფერი რაღაც სამიოდე წამში შევამჩნიე.

ჩემს სალამსა და ქუდის მოხდას პირველად თითქმის ყური არ ათხოვეს, ეს კია, ბარონმა ოდნავ შეჭმუხნა წარბები. ბარონის მეუღლე პირდაპირ ჩემკენ მობაჯბაჯებდა.

— Madame la baronne, — წარმოვთქვი მკაფიოდ და ხმაღალა, — j'ai l'honneur d'être votre esclave!<sup>2</sup> შემდეგ თავი და-

---

<sup>1</sup> კაბა, რომელსაც განივრად იჭერდა შიგ დატანებული ფოლადის სარტყლები. მოდაში იყო XIX საუკუნეში.

<sup>2</sup> ბარონესა, პატივი მაქვს, თქვენი მსახური ვიყო! (ფრანგ.).



ვუკარი, დავიხურე ქუდი და ზრდილობიანი ღიმილით ჩავუარე ბარონს.

პოლინამ მხოლოდ ქუდის მოხდა მიბრძანა, დანარჩენი კი ჩემდათავად ვიცუღლლუტე. ეშმაკმა იცის, რამ მიბიძგა, თითქოს მთიდან ჩამოვქანდი.

— ჰეინ! — დაიძახა, უფრო სწორად, დაიყრანტალა ბარონმა და ბრაზითა და გაკვირვებით მომაჩერდა.

მოვტრიალდი, შორიახლოს დავდექი და ზრდილი ღიმილით შევაჩერდი. როგორც ჩანს, არ იცოდა, რა ეფიქრა, და წარბები, *neñ plus ultra*<sup>1</sup>, ისე აჯგომა. სახე თანდათან მოელუშა. ბარონის მეუღლე ჩემკენ მობრუნდა და რისხვით და გაოცებებით შემომაცქერდა. გამვლელებიც მე მიყურებდნენ. ზოგი შეჩერდა კიდევ.

— ჰეინ! — კვლავ დაიყრანტალა ბარონმა გაორკეცებულ რისხვით.

— *Jawohl*<sup>2</sup>, — წარმოვთქვი და თვალი თვალში გავუყარე.

— *Sind sie rasend?*<sup>3</sup> — დამიყვირა და ჯოხი აიქნია. მგონი, ცოტა კიდევ დაფრთხა. იქნებ ჩემმა ჩაცმულობამ დააბნია, რადგან რიგიანად, ასე განსაჯეთ, კობტადაც მეცვა და გარეგნულად საკმაოდ წესიერი კაცი ვჩანდი.

— *Jawo-o-ohl!* — შევძახე მთელი ხმით და ო ისე გავაგრძელე, როგორც ბერლინელებს სჩვევიათ ხოლმე. ისინი ხომ წამდაუნუმ *jawohl*-ს ხმარობენ საუბარში და ო-საც იმის მიხედვით აგრძელებენ, რა გრძნობა და აზრი სურთ ჩააქსოვონ თავიანთ წამოძახილში.

ბარონი და მისი მეუღლე სასწრაფოდ გატრიალდნენ და თითქმის შეშინებულები გაიქცნენ. იქ მყოფთაგან ზოგმა რაღაც თქვა, ზოგიც გაოცებით მომაჩერდა, თუმცა კარგად არ მახსოვს.

---

1 მეტი რომ არ შეიძლება (ლათ.).

2 დიახ (გერმ.).

3 გაგიჟდით თუ რა არის (გერმ.)?

გამოვბრუნდი და ჩვეულებრივი ნაბიჯით პოლინასკენ გავწიე. ასი ნაბიჯი მიკლდა მის სკამამდე, როცა ადგა და ბავშვებთან ერთად სასტუმროსკენ გასწია.

პარმალთან დავეწიე და ვუთხარი:

— პირობა შევასრულე და... ვიპამპულე.

— მერე რა, ახლა თვითონვე აგეთ პასუხი, — მომიჭრა პოლინამ, ზედაც არ შემომხედა და კიბეს აუყვა.

მთელი საღამო პარკში ვიხეტიალე. შემდეგ გადავჭერი პარკი, ტყე გავიარე და სხვა სამთავროში გადავედი. ერთ ქოხში ტაფამწვარი და ღვინო გეახელით. ამ იდილიისთვის მთელი ტალერ-ნახევარი ამაფცქვენეს. შინ მხოლოდ თერთმეტ საათზე დავბრუნდი. მაშინვე გენერლის მსახური მომადგა. მიბარებდა თურმე.

სასტუმროში ჩვენებს ორი ნომერი ეჭირათ, ანუ ოთხი ოთახი. პირველ ვეებერთელა დარბაზში როიალი იდგა. გვერდით დიდ ოთახში გენერლის კაბინეტი იყო. გენერალი სწორედ იქ დამხვდა. ფრიად გაბლენძილი იერით იდგა შუა კაბინეტში. დე გრიე დივანზე გათხლამულიყო.

— ეს რა ჩაგიდენიათ, მოწყალეო ხელმწიფევ? — მომდგა მაშინვე გენერალი.

— უმჯობესია, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, გენერალო, — ვთქვი მე, — ალბათ ჩემს დღევანდელ შეხვედრას გულისხმობთ ვილაც გერმანელთან, არა?

— ვილაც გერმანელთანო?! ეგ გერმანელი დიდად წარჩინებული ბარონი ვურმერჰელმი გახლავთ! ბარონსა და მის მეუღლეს თურმე ძალზე უხეშად მოექეცით.

— სულაც არა!

— თქვენ ისინი შეგიშინებიათ, მოწყალეო ბატონო! — შეჰყვირა გენერალმა.

— ხომ გითხარით, არა-მეთქი. ჯერ კიდევ ბერლინში ყოფნისას ყური გამიხვრიტა მაგათმა Jawohl-მა, ყოველ სიტყვას რომ აყოლებენ და თან გულისამრევად ჭიმავენ. ჰოდა,



ხეივანში რომ შევხვდი, არ ვიცი რატომ, და უცბად ეს Ja wohl გამახსენდა და რატომღაც ძალიან გავლიზიანდი. თანაც ბარონის მეუღლე უკვე მესამედ შემხვდა. ისეთი იერით მოდის ხოლმე ჩემკენ, თითქოს ჭია ვიყო და ფეხით უნდა გამსრისოს. დამეთანხმეთ, რომ მეც მაქვს თავმოყვარეობა. ჰოდა, მოვიხადე ქუდი და თავაზიანად (დიახ, გარნმუნებთ, თავაზიანად) მივმართე, Madame, j'ai l'honneur d'être votre esclave-მეთქი. ბარონმა რომ მოიხედა და „ჰეინ!“ დამიძახა, მეც რაღაც ეშმაკი შემიჯდა და Jawohl-მეთქი, დავუყვირე. ორჯერ დავუყვირე: ერთხელ ჩვეულებრივად, მეორედ კი რამდენადაც შემეძლო, გავჭიმე. ეს იყო და ეს.

გამოგიტყდებით, ძალიან მომეწონა ჩემი საქციელის ასეთი ლანირაკული ახსნა. საოცრად მინდოდა, რაც შეიძლება ბრიყვულად მომეყოლა ეს ამბები. გულისთქმამ თანდათან უფრო გამიტაცა.

— დამცინით თუ რა არის! — შემომიტია გენერალმა. მერე ფრანგს მიუბრუნდა და ფრანგულად უთხრა, ამ კაცს ნამდვილად ალიაქოთის გამოწვევა უნდაო. დე გრიემ ზიზლით ჩაიციხა და მხრები აიჩეჩა.

— ეგ ნუთითაც არ იფიქროთ, არამც და არამც! — შევძახე მე, — არა, ცუდად რომ მოვიქეცი, გულახდილად ვალიარებ. ჩემი საქციელი შეიძლება უნესო ბავშვის სულელურ ცუდლუტობად მიიჩნიოთ, მეტს ხომ ვერაფერს დაარქმევთ. იცით, გენერალო, მართლა ძალიან ვნანობ, მაგრამ არის ერთი გარემოება, რაც თითქმის სინანულსაც მიქარწყლებს. ბოლო ხანია, ორი, უფრო სწორად, სამი კვირაა თავს კარგად ვერ ვგრძნობ: რაღაც უქეიფოდ ვარ, გალიზიანებული. ყველაფერი ნერვებს მიშლის, ზოგჯერ თავს ვერ ვერევი. მართალი გითხრათ, რამდენჯერმე საოცრად მომინდა მარკიზ დე გრიესთვისაც... თუმცა არა, არ ვიტყვი, ვინ იცის, ეწყინოს. მოკლედ, ეს ავადმყოფობის ნიშანია. არ ვიცი, მხედველობაში მიიღებს თუ არა ბარონი ვურმერჰელმის მეუღლე ამ გარემოებას, რო-



ცა ბოდიშს მოვუხდი (ვინაიდან გადანყვეტილი მაქვს, ბოდიში მოვუხადო). ვგონებ, არა. მეტადრე რომ, რამდენადაც ვიცი, ამ ბოლო ხანებში ვექილთა სამყაროში ამ ამბავს ბოროტად იყენებენ: სისხლის სამართლის პროცესებზე ფრიად გაახშირეს თავიანთი ბოროტმოქმედი კლიენტების გამართლება, აქაოდა, დანაშაულის ჩადენისას არაფერი ახსოვდა, ასეთი ავადმყოფობაც არსებობსო. „სცემა და არაფერი ახსოვს“... წარმოიდგინეთ, გენერალო, მედიცინაც ადასტურებს ამ ამბავს. მართლა არისო ასეთი ავადმყოფობა ანუ დროებითი შერყევა, როცა კაცს არაფერი ახსოვს ან, თუ ახსოვს, მხოლოდ ნახევარი ან მეოთხედით. ეს კია, ბარონი და მისი მეუღლე ძველი თაობის ხალხი გახლავთ. თანაც, პრუსიელ იუნკერთა და მეზატონეთა წრიდან. იურიდიულ-სამედიცინო სამყაროს ეს პროგრესი ალბათ მათთვის ჯერ უცნობია და ამიტომ ჩემს ბოდიშსაც არად ჩააგდებენ. როგორ გგონიათ, გენერალო?

— კმარა, ჩემო ბატონო, კმარა! — მკვახედ, თავშეკავებული აღშფოთებით წარმოთქვა გენერალმა, — შევეცდები ერთხელ და სამუდამოდ ვიხსნა თავი მაგ თქვენი ბავშვური ცუდლუტობისგან. ნუ შეწუხდებით, ბარონსა და მის მეუღლესთან ბოდიშის მოხდა არ დაგჭირდებათ. მათთვის თქვენი ბოდიშიც კი მეტად დამამცირებელი იქნება. ბარონმა რომ გაიგო, ჩემს ოჯახს ეკუთვნით, უკვე მელაპარაკა ვოკსალში. მართალი გითხრათ, ცოტაც და, დუელში გამომინვევდა. ხომ გესმით, რა დღეში ჩამაგდეთ, მონყალეო ხელმწიფევ? იძულებული გამხადეთ ბარონისთვის მომებოდიშა და სიტყვა მიმეცა, რომ დღეიდან ჩემს ოჯახში აღარ იქნებით.

— უკაცრავად, უკაცრავად, გენერალო, ბარონმა მართლა მოგთხოვათ ჩემი დათხოვნა, როგორც ახლა ბრძანეთ?

— არა, მაგრამ მოვალედ ჩავთვალე თავი, მის დასაკმაყოფილებლად ასე მოვექცეულიყავი, და რა თქმა უნდა, ბარონიც დაკმაყოფილდა. ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით, მონყალეო ხელმწიფევ. ინებეთ ჩემგან კიდევ ეს ოთხი ფრიდრიხსდორი

და სამი ფლორინი და აქაური ანგარიშიც გასწორებული იქნება. აჰა, ფულიც და დათხოვნის ქალაღდიც. მშვიდობით, ამერიიდან ჩვენ ერთმანეთისთვის უცხონი ვართ. უსიამოვნებისა და დავიდარაბის მეტი თქვენგან არაფერი მახსოვს. ახლა კელნერს<sup>1</sup> გამოვიძახებ და ვეტყვი, რომ ხვალიდან სასტუმროში თქვენს ხარჯებს აღარ გადავიხდი. კარგად ბრძანდებოდეთ.

გამოვართვი გენერალს ფული, ფანქრით დაწერილი დათხოვნის ქალაღდიც, თავი დავუკარი და დინჯად მოვახსენე:

— საქმე ასე ვერ დამთავრდება, გენერალო! ძალიან ვწუხვარ, ბარონმა თუ უსიამოვნება შეგახვედრათ, მაგრამ უკაცრავად და თქვენივე ბრალია. რა უფლება გქონდათ, ჩემ მაგივრად გეპასუხათ ბარონისთვის? რას ნიშნავს ეს სიტყვები, ჩემს ოჯახს ეკუთვნითო? მე მხოლოდ მასწავლებელი ვარ თქვენს ოჯახში და მეტი არაფერი. არც ვაჟი გახლავართ თქვენი და არც თავად ბრძანდებით ჩემი პატრონი, ჩემს საქციელზე რომ პასუხი აგოთ. მე იურიდიულად კომპეტენტური პირი გახლავართ, ოცდახუთი წლის, უნივერსიტეტის კანდიდატი, აზნაური, თქვენთვის სრულიად უცხო. ასეთ დიდ პატივს რომ არ გცემდეთ, ნამდვილად ანგარიშს მოგთხოვდით, ვინ მოგცათ უფლება, ჩემ მაგივრად პასუხი გაგეცათ-მეთქი.

გენერალმა გაოცებისგან ხელებიცი კი გაშალა, მერე უეცრად ფრანგს მიუბრუნდა და სასწრაფოდ გადაუთარგმნა, ამ კაცმა ახლა ლამის დუელში გამომიწვიაო. ფრანგმა გადაიხარხარა.

დე გრიეს ხარხარისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და სრულიად დინჯად განვაგრძე:

— მაგრამ ბარონს კი ამ ამბავს არ შევარჩენ. ჰოდა, რადგან დღეს ისეთი სიკეთე გამოიჩინეთ, ბარონის საჩივარი მოისმინეთ და, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, თქვენივე სურვილით, ამ საქმის მონაწილე გახდით, პატივი მაქვს გაც-

---

<sup>1</sup> ოფიციალტი რესტორანში, ლუდხანაში.

ნობოთ, რომ არა უგვიანეს ხვალინდელი დილისა, ფორმა-  
ლურ ახსნა-განმარტებას მოვთხოვ ბარონს, თუ რა მიზეზით  
ამიარა გვერდი და სხვა პირს მიმართა ჩემს საქმეზე, თით-  
ქოსდა არ შემეძლო, ანდა უღირსი ვყოფილიყავი, თავად გა-  
მეცა პასუხი.

როგორც მოველოდი, ისეც მოხდა. ამ ახალი სისულელის  
გაგონებაზე გენერალი საშინლად დაფრთხა.

— ნუთუ კვლავაც აპირებთ ამ წყეული საქმის გაგრძე-  
ლებას! — შესძახა მან, — ღმერთო ჩემო, ამას რას მიშვრებით!  
არ გაბედოთ, არ გაბედოთ-მეთქი, მონყალეო ხელმწიფევ,  
თორემ გეფიცებით!.. აქაც მოიძებნებიან უფროსები... მერე  
კიდევ ბარონი... ერთი სიტყვით, თქვენს თავს დავაჭერინებთ  
და პოლიციას გავასახლებინებთ აქედან, რომ აღარ იგიჟოთ!  
გესმით თუ არა! — ბრაზმა გენერალს სუნთქვაც კი შეუკრა,  
მაგრამ რომ დაფრთხა, აშკარად შეეტყო.

— ჯერ არანაირი სიგიჟე არ ჩამიდენია, გენერალო და  
ვერც ვერავინ დამიჭერს, — განვაგრძე მშვიდად. ვიცოდი, ეს  
ჩემი სიმშვიდე როგორ შლიდა ჭკუიდან, — არც ახსნა-განმარ-  
ტება მითხოვია ბარონისთვის. რა იცით, როგორ და რანაირად  
მივუდგები ამ საქმეს. მინდა მხოლოდ, ჩემთვის სანყენი აზრი  
გავუფანტო, თითქოსდა სხვისი მზრუნველობის ქვეშ ვიმყო-  
ფებოდე და იმ სხვას უფლება აქვს, რამე აღმიკვეთოს. ტყუი-  
ლად ნუ წუხხართ და ნერვებს ნუ იშლით.

— ღმერთი ინამეთ, ღმერთი, ალექსეი ივანოვიჩი, მოემ-  
ვით მაგ უგუნურ ზრახვას! — ლულლულეებდა გენერალი, რო-  
მელიც რისხვიდან ერთბაშად ვედრებაზე გადავიდა და ხელიც  
კი მტაცა, — აბა, წარმოიდგინეთ, რა გამოვა აქედან? ისევ  
უსიამოვნება და მეტი არაფერი! თვითონაც ხომ გესმით, რომ  
აქ სულ სხვა თავდაჭერა მმართვეს, მეტადრე ახლა!.. დიახ, მე-  
ტადრე ახლა!.. თქვენ რა იცით ჩემი მდგომარეობა!.. აქედან  
რომ გავემგზავრებით, მზად ვარ, ისევ მიგიღოთ ჩემს ოჯახში.  
მხოლოდ ახლა უნდა მოვიქცე ასე, მოკლედ, თქვენც ხომ გეს-



მით, რა მიზეზების გამო! — შესძახა მან სასონარკვეთით, —  
ოჰ, ალექსეი ივანოვიჩი, ალექსეი ივანოვიჩი!..

კარისკენ დავიხიე, კიდევ ერთხელ ვთხოვე, ნუ შენუხდებო-  
ბით-მეთქი. დავპირდი, ყველაფერი წესიერი გზით მოხდება-  
მეთქი, და საჩქაროდ გამოვედი.

ოჰ, ზოგჯერ რა ლაჩრულად იქცევიან ხოლმე საზღვარ-  
გარეთ ჩვენი თანამემამულეები. შიშით კანკალებენ, ვინ რას  
იტყვის, რა თვალთ შეგვხედავს და ლამაზი იქნება თუ არა,  
ასე რომ მოვიქცეთ და ეს გავაკეთოთო! მოკლედ, სულ დაჭი-  
მულეები არიან, კორსეტში გამოკრულელებით. მეტადრე, თუ  
დიდკაცობაზე დებენ თავს. ურჩევნიათ, მონურად მისდიონ  
ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესს სასტუმროებში, სე-  
ირნობებზე, თავყრილობებსა თუ გზაში... გენერალს ისიც წა-  
მოსცდა, განსაკუთრებულ მიზეზთა გამო სულ სხვა „თავდა-  
ჭერა“ მმართველსო. იმიტომაც დაფრთხა ასე ლაჩრულად და  
კილო შეცვალა. მივხვდი და ვინიშნე კიდევ ყველაფერი. არ  
გამიკვირდება, ხვალ რომ ადგეს და თავისი სიბრიყვით მართ-  
ლა მიმართოს ადგილობრივ ხელისუფალთ. ასე რომ, დიახაც  
სიფრთხილე მმართველს.

ისე კი, გენერლის წყენინება სულაც არ მინდოდა, პოლი-  
ნას გაბრაზება უფრო მეწადა. ისე გულქვად მომექცა და ისე-  
თი სისულელე ჩამადენინა, ახიც იქნება, თუ აქეთ შემეხვეწება,  
გაჩერდით. ჩემი ბავშვური ტუტუცობანი, ბოლოს და ბოლოს,  
მასაც ხომ მიაყენებს ჩრდილს. გარდა ამისა, სულ სხვა გრძნო-  
ბა და სურვილი გამიჩნდა: თუ ვთქვათ და, ჩემი ნებით მის წი-  
ნაშე არარაობად მომაქვს თავი, ეს იმას არ ნიშნავს, სხვებთან-  
ნაც გლახაკი ვიყო და ბარონს თავი „გავაჯოხვინო“. მინდოდა  
ყველა გამემასხარავებინა და თავად ვაუკაცი გამოვსულიყა-  
ვი. დაე, ნახონ, ვინც ვარ. ნუ გეშინია, აყალმაყალის შეეშინდე-  
ბა და თვითონვე მიხმობს უკან. არ მიხმობს და იმას მაინც ხომ  
დაინახავს, არც ისეთი ჯაბანი ვარ...

(აი, საოცრება: ეს წუთია ჩვენი გადია შემხვდა კიბეზე და

მიტხრა, მარია ფილიპოვნა სალამოს მატარებლით მარტოდ-მარტო გაემგზავრა კარლსბადში თავის ბიძაშვილ ქალთანო. ეს რას ნიშნავს? გადიამ თქვა, დიდი ხანია აპირებდაო. თუ ასეა, მაშ, რატომ არავინ იცოდა? თუმცა იქნებ მხოლოდ მე არ ვიცოდი. გადიას ისიც წამოსცდა, მარია ფილიპოვნას ამ სამი დღის წინ გენერალთან დიდი შელაპარაკება მოუვიდაო. ახლა კი მესმის. მიზეზი ალბათ m-Ile Blanche-ია. არა, ნამდვილად რაღაც მოხდება, ნამდვილად რაღაც დატრიალდება).

## თავი მეშვიდე

დილით კელნერი გამოვიდახე და ვუთხარი, ჩემი ხარჯები ცალკე იანგარიშე-მეთქი. ოთახი არც ისე ძვირი ღირს, რომ შემეშინდეს და სასტუმროდან გადავიდე. თექვსმეტი ფრიდრიხსდორი კიდევ მაქვს, მერე კი... მერე იქნებ გავმდიდრდე კიდევ! თვითონაც მიკვირს, ჯერ არაფერი მომიგია და ისე ვიქცევი, ვფიქრობ და ვგრძნობ, თითქოს მდიდარი ვიყო. ვერც წარმომიდგენია სხვანაირად.

ადრე კი იყო, მაგრამ მისტერ ასტლეისთან ახლავე ვაპირებდი სასტუმრო d'Angleterre-ში მისვლას. ეს სასტუმრო ჩვენგან ახლოს იყო. მაგრამ უცებ, ჰოი, სასწაულო და, დე გრიემ შემოაღო ჩემი ოთახის კარი, რაც თავის დღეში არ გაუკეთებია. კიდევ მეტი, მე და ამ ვაჟბატონს ბოლო ხანებში ფრიად ცივი და დაძაბული დამოკიდებულება გვქონდა. არც მალავდა, აგდებით რომ მიყურებდა! მალავდა კი არა, განზრახ აჩენდა. მე კი ჩემი მიზეზები მქონდა მის ასათვალწუნებლად. რაღა გავაგრძელო და ჭირივით მძულდა. მისმა მოსვლამ ერთობ გამაკვირვა. იმწუთშივე ვიაზრე, რაღაც განსაკუთრებული ამბავი მოხდებოდა-მეთქი.

დე გრიე თავაზიანად შემოვიდა, მაშინვე მომიწონა და შემიქო ოთახი. ქუდით ხელში რომ დამინახა, მკითხა, განა ასე

ადრე სეირნობთო? რომ გაიგო, მისტერ ასტლეისთან მივდიო-  
დი საქმეზე, დაფიქრდა და სახეზე წუხილი გამოეხატა.

როგორც ყველა ფრანგი, დე გრიეც მხოლოდ მაშინ გახ-  
ლავთ მხიარული და თავაზიანი, როცა საჭიროა და ხელს აძ-  
ლევს ეს ამბავი. მაგრამ თუ საჭიროება არ მოითხოვს, აუტან-  
ლად მოსაწყენი ვინმე ხდება. ბუნებრივად თავაზიან ფრანგს  
იშვიათად შეხვდები. მუდამ ნაძალადევად, ანგარიშით არის  
თავაზიანი. თუ, მაგალითად, შეამჩნია, რომ საჭიროა ფან-  
ტასტიკური, ორიგინალური და ჩვეულებრივისგან განსხვა-  
ვებული ბუნება წარმოაჩინოს, მისი ბრიყვული, არაბუნებ-  
რივი ფანტაზია წინასწარვე დადგენილ და უკვე გაცვეთილ  
ფორმებს არჩევს. ბუნებით ფრანგს მეშჩანური, წვრილმა-  
ნი, ყოვლად ჩვეულებრივი, დადებითი ხასიათი მოსდგამს,  
— ერთი სიტყვით, იმაზე მოსაწყენ კაცს ამქვეყნად მეორეს  
ვერ ნახავ. ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოე-  
ბაში გამოუსვლელებსა და მეტადრე რუს ყმანვილქალებს  
ხიბლავთ ფრანგები. შეუძლებელია, ყოველმა წესიერმა ადა-  
მიანმა მაშინვე არ შეამჩნიოს და აუტანლად არ ჩათვალოს  
სალონური თავაზიანობის, უტიფრობისა და მხიარულების  
ამ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და გაცვეთილი წესის  
გამოხატულება.

დე გრიემ რიხიანად, თუმცა თავაზიანად დაიწყო:

— მე თქვენთან საქმეზე გახლავართ. არ დაგიმალავთ,  
რომ გენერალმა ელჩად, არა, შუაკაცად გამომგზავნა. რუსუ-  
ლი ცუდად მესმის და გუშინ ვერაფერი გავიგე. მაგრამ, როცა  
გენერალმა დაწვრილებით მიამბო, მართალი გითხრათ...

— გამიგონეთ, monsieur დე გრიე, — გავანწყვეტინე მაშინ-  
ვე, — აგერ, უკვე ამ საქმეშიც იკისრეთ შუაკაცობა. მართა-  
ლია, მე un outchitel ვარ და არც არასოდეს გამომიდვია თავი  
ამ ოჯახის ახლო მეგობრობასა თუ მეტისმეტ სიახლოვეზე,  
რის გამოც ყველა გარემოება არ ვიცი, მაგრამ ეს მაინც ამიხ-  
სენით: ნუთუ უკვე საბოლოოდ გახდით ამ ოჯახის წევრი? ვი-



ნაიდან ყველაფერში ერევით და შუაკაცობასაც ხელდახელ  
კისრულობთ...

ჩემი კითხვა მარკიზს არ ეპიტნავა, მიხვდა, რასაც ვგუ-  
ლისხმობდი. არადა, ჩემთან რამე რომ წამოსცდენოდა, არც ეს  
სურდა.

— მე და გენერალს საქმე და ზოგიერთი განსაკუთრე-  
ბული გარემოება გვაკავშირებს, — მითხრა ცივად, — გენე-  
რალმა გამომგზავნა, თქვენთვის მეთხოვა, გუშინდელ გან-  
ზრახვაზე ხელი აიღოთ. თქვენი ჩანაფიქრი, ცხადია, ფრიად  
გონებამახვილურია, მაგრამ გენერალმა სწორედ ის მთხოვა  
თქვენთვის გადმომეცა, რომ ვერაფერს გახდებით. ბარონი  
არ მიგიღებთ, დაბოლოს, სხვა რომ არაფერი, იმდენი ძალა და  
გავლენა კი გააჩნია, რომ თავი დაიზღვიოს და თქვენგან უსი-  
ამოვნება არ შეიხვედროს. ხომ სწორია? მაშ, რა აზრი აქვს ამ  
ამბის გაგრძელებას? გენერალი გპირდებათ, პირველივე ხელ-  
საყრელ შემთხვევაში უკან დაგაბრუნოთ თავის ოჯახში, მა-  
ნამდე კი ჯამაგირი შეგინახოთ, vos appointements. მგონი, ური-  
გო პირობა არ გახლავთ?

ამაზე ფრიად დინჯად მივუგე, აქ რამდენადმე ცდებით-  
მეთქი. ბარონმა შესაძლოა არც გამომამგდოს, პირიქით, იქნებ  
კიდევაც მომისმინოს. თანაც პირდაპირ მითხარით, უფრო  
ხომ ჩემს გამოსატყებად ხართ მოსული, კერძოდ, რას ვფიქრობ  
და როგორ ვაპირებ მოვიქცე?

— ღმერთო ჩემო, რადგან გენერალი ესოდენ დაინტერე-  
სებულია, ცხადია, იმის გაგებაც ესიამოვნება, რას და როგორ  
აპირებთ. ეს ხომ ბუნებრივია!

დე გრიე გადათხლაშული იჯდა. თავი ოდნავ გადმოე-  
ხარა ჩემკენ და აშკარად დაცინვით მისმენდა. საერთოდაც,  
მეტისმეტად ამპარტავნულად იქცეოდა. თავი მოვიკატუნე,  
თითქოსდა ამ საქმეს ძალზე სერიოზულად ვუყურებ. ავუხ-  
სენი, რადგან ბარონმა გენერალთან ისე მიჩივლა, როგორც  
მსახურს უჩივლებენ-მეთქი, ამით ჯერ ერთი, ადგილი დამა-

კარგვინა და მეორეც, ისეთ პირად ჩამთვალა, ვისაც არ შეუძლია საკუთარ საქციელზე აგოს პასუხი და ვისთანაც არ ღირს ლაპარაკი. რა თქმა უნდა, ეს ამბავი მართლა მეწყინა. მაგრამ რადგან ისიც ვიცე, ჩვენ შორის რა სხვაობაა ასაკში, საზოგადოებრივ წონასა თუ სხვა და სხვა (აქ ძლივს შევიკავე სიცილი), არ მინდა კვლავაც თავქარიანობა გამოვიჩინო, ანუ პირდაპირ მოვთხოვო ან თუნდაც მხოლოდ ვთხოვო ბარონს, შეურაცხყოფაზე პასუხი გამცეს. თუმცაღა, სამართლიანად მიმაჩნია, ბოდიში მოვუხადო ბარონსა და მით უმეტეს, ბარონის მეუღლეს, მეტადრე, რომ ამ ბოლო ხანებში თავს კარგად ვერ ვგრძნობ, ნერვები მაქვს აშლილი, ასე ვთქვათ, რაღაც ფანტასტიკურ გუნებაზე ვარ და ასე შემდეგ, მაგრამ გუშინ რომ ბარონმა გენერალთან მიჩვილა და ჩემი დათხოვნა მოისურვა, ამით ისე შეურაცხმყო, ახლა აღარ შემიძლია მას და მის მეუღლეს ბოდიში მოვუხადო, ვინაიდან ბარონს, მის მეუღლესა თუ სხვებს შეუძლიათ იფიქრონ, ბოდიშის მოსახდელად იმიტომ გვეახლა, ეშინია, ადგილი არ დაკარგოსო. ასე რომ, იძულებული ვარ, ბარონს ვთხოვო, პირველად თვითონ მომიხადოს ბოდიში, მაგალითად, მითხრას, რომ ჩემი წყენინება სულაც არ ჰქონდა განზრახული. ხოლო როცა ბარონი ამას მეტყვის, მაშინ მეც ხელ-ფეხი აღარ მექნება შეკრული და გულწრფელად მოვუხდები ბოდიშს. მოკლედ, — ვთქვი ბოლოს, — მე მხოლოდ იმას ვითხოვ, ბარონი ნუ შემზღუდავს.

— ფუი, რა თავმოყვარე ყოფილხართ, რა წვრილმანებს აქცევთ ყურადღებას! ან რად გინდათ ბოდიშის მოხდა? მგონი, დამეთანხმებით, monsieur... monsieur... რომ ამას განზრახ, გენერლის გასაბრაზებლად სჩადიხართ... ან იქნებ სხვა რამ გაქვთ მიზნად... Mon cher monsieur, pardon, j'ai oublié votre nom, monsieur Alexis?.. N'est ce pas?<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ჩემო ძვირფასო, მაპატიეთ, დამავიწყდა, მგონი, ალექსეი გქვიათ, არა? (ფრანგ.).



— კი, მაგრამ, *mon cher marquis*,<sup>1</sup> თქვენ რა გადარდებთ?

— *Mais le général...*<sup>2</sup>

— ან გენერალს რა ადარდებს? გუშინ კი ამბობდა, ახლა სულ სხვა თავდაჭერა მმართველსო... და ისე ღელავდა... მაგრამ ვერაფერი გავიგე.

— დიახ, დიახ, აქ სწორედ ერთი გარემოებაა, — მაშინვე გააგრძელა დე გრიემ თხოვნის კილოთი, თუმცა შევატყვე, ბრაზი უფრო და უფრო ერეოდა, — ხომ იცნობთ *mademoiselle de Cominges*-ს?

— ანუ *mademoiselle Blanche*-ს?

— დიახ, *mademoiselle Blanche de Cominges*, et *madame sa mère*.<sup>3</sup> დამეთანხმებით, რომ გენერალი... მოკლედ, გენერალი შეყვარებულია და იქნებ... საქმე ჯვრისწერიტაც დამთავრდეს. ჰოდა, აბა, განსაჯეთ, თუ რაღაც უსიამოვნება და აურზაური მოხდა...

— მე ვერ ვხედავ, რა უსიამოვნება და აურზაური უნდა მოხდეს ჯვრისწერასთან დაკავშირებით.

— მაგრამ *le baron est si irascible, un caractère prussien, vous savez, enfin il fera une querelle d'Allemand*<sup>4</sup>.

— კი მაგრამ, ჩხუბს მე ამიტეხს და არა თქვენ. მე ხომ ამ ოჯახს აღარ ვეკუთვნი (განზრახ უფრო მეტად მოვისუღელე თავი). ერთი მიბრძანეთ, განა მართლა გადანყვეტილია, რომ *mademoiselle Blanche* გენერალს მიჰყვება? მაშ, რაღას ელიან? ანუ შინაურებს მაინც რატომ გვიმალავენ?

— ვერაფერს გეტყვით... საბოლოოდ მაინც არ... თუმცა ხომ იცით, რუსეთიდან ცნობას ელიან; გენერალს საქმეები აქვს მოსაგვარებელი...

---

1 ძვირფასო მარკიზო (ფრანგ.).

2 გენერალს ხომ (ფრანგ.).

3 მადმუაზელ ბლანშ დე კომენეს და დედამისს (ფრანგ.).

4 ბარონი ისეთი ფიცხია, ხომ იცით პრუსიელების ამბავი, შესაძლოა, რაღაც უბრალო რამის გამო ჩხუბი ატეხოს (ფრანგ.).



— ჰო, მართლა! la baboulinka!

დე გრიემ სიძულვილით შემომხედა და გამანყვეტინა:

— ერთი სიტყვით, თქვენი ზრდილობის, ჭკუისა და ტაქტიკის იმედი მაქვს. რა თქმა უნდა, იმ ოჯახისთვის, სადაც ღვიძლი ნათესავით უყვარდით და პატივს გცემდნენ, ყველაფერს...

— რას ბრძანებთ, მე ხომ იქიდან გამომაგდეს! ახლა ამტკიცებთ, მხოლოდ მოსაჩვენებლადო, მაგრამ აბა, ერთი თქვენ გითხრან: „არა, არ მინდა ყური აგინო, მაგრამ ნება დამრთე, საჩვენებლად მაინც“. როგორ გგონიათ, იგივე არ არის?

— რადგან ასეა, და თქვენზე არავითარი თხოვნა არ ჭრის, — წარმოთქვა მარკიზმა მკვახედ და მედიდურად, — მაშ, იცოდეთ, რომ სხვა გზას მიმართავენ. აქ არიან უფროსები და დღესვე აქედან გაგასახლებენ, — que diable! Un blanbec comme vous! ბარონისთანა კაცი დუელში უნდა გამოიწვიოს! გგონიათ, ამას ვინმე შეგარჩენთ? მერწმუნეთ, აქ თქვენი არავის ეშინია! თუ გთხოვდით, ჩემით გთხოვდით, ვინაიდან გენერალი შეწუხებული იყო. ნუთუ არ ფიქრობთ, რომ ბარონი უბრალოდ თქვენს გაგდებას უბრძანებს ლაქიას?

— თვითონ არც წავალ, — ვუპასუხე მეტისმეტად დინჯად, — ცდებით, monsieur დე გრიე, ეს ამბავი არც ისე უჭკუოდ მოხდება, როგორც გგონიათ. მე ახლავე წავალ მისტერ ასტლეისთან და ვთხოვ, ჩემი შუამავალი, ერთი სიტყვით, ჩემი second<sup>2</sup> იყოს. ამ კაცს ვუყვარვარ და უარს არ მეტყვის. წავა ბარონთან და ბარონიც მიიღებს მას. მე თუ un outchitel ვარ და ვინმეს subalterne<sup>3</sup>-ად მივაჩნივარ, ვისაც ქომაგი არავინ ჰყავს, მისტერ ასტლეი ლორდ პიბროკის ძმისწული გახლავთ, დიახ, ნამდვილი ლორდის, ეს ყველამ იცის, და ეს ლორდი აქ

---

1 ეშმაკმა დალახვროს! მაშ თქვენისთანა ლანირაკმა (ფრანგ.).

2 სეკუნდანტი (ფრანგ.).

3 ხელქვეითი (ფრანგ.).

ბრძანდება. მერნმუნეთ, ბარონი თავაზიანად მოექცევა მისტერ ასტლეის, აუცილებლად მოუსმენს. ხოლო თუ არ მოუსმინა, მისტერ ასტლეი პირად შეურაცხყოფად ჩაუთვლის (ხომ იცით ინგლისელთა სიჯიუტე) და მისდათავად ბარონს ახლო ნაცნობს მიუგზავნის. მისი ნაცნობები კი რიგიანი ხალხია. ასე რომ, იქნებ სულაც არ გამოვიდეს ისე, როგორც თქვენ გგონიათ.

ფრანგი დაფრთხა, მაგრამ რა დაფრთხა; სინამდვილეში ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა სიმართლეს და, მაშასადამე, შეიძლებოდა, მართლაც ერთი ამბავი ამეტეხა.

— გთხოვთ, მოეშვათ ამ საქმეს, — დამინყო ისევ ხვენით, — ასე მგონია, აურზაურის ატეხა გიხარიათ! დუელი კი არ გსურთ, სწორედ აურზაურის ატეხა გინდათ. მე ვთქვი, ეს ყველაფერი თავშესაქცევი და მახვილგონივრულიც შეიძლება გამოდგეს-მეთქი, და ვფიქრობ, სწორედ იმიტომ იქცევით ასე. რალა ბევრი გავაგრძელო, — დაასკვნა მან, როცა დაინახა, წამოვდექი და ქუდი ხელში ავიღე, — ერთმა პიროვნებამ ეს ორი სიტყვა გამომატანა თქვენთან, წაიკითხეთ, — დამავალეს, პასუხი მივუტანო.

მარკიზმა ჯიბიდან დაკეცილი და დალუქული პატარა ბარათი ამოიღო.

ბარათზე პოლინას ხელით ეწერა:

„მგონი, ამ ამბავს არ ეშვებით. გაბრაზდით და ახლა ბავშვივით იქცევით, მაგრამ აქ სხვა ამბებია, შესაძლოა ოდესმე აგიხსნათ; გთხოვთ მოეშვათ ამ საქმეს. რა სისულელეა ეს ყველაფერი! ჩემთვის საჭირო ხართ, პირობა ხომ მომეცით, დაგემორჩილებითო. გაიხსენეთ შლანგენბერგი. გთხოვთ, ან თუ გნებავთ, გიბრძანებთ, შეისმინოთ ჩემი. თქვენი პ.“

P.S. თუ გუშინდელი ამბის გამო ჩემზე გაჯავრებული ხართ, მაპატიეთ“.

ამ სტრიქონების წაკითხვაზე ყველაფერი დამიტრიალდა თვალებში, ტურები გამითეთრდა და ავცახცახდი. ის წყეული



ფრანგი განზრახ იყურებოდა განზე, თითქოს ჩემი შეხედვა ერიდებოდა. თუმცა მერჩია, სიცილი დაეყარა.

— ბატონი ბრძანდებით, გადაეცით mademoiselle-ს, ნულარ შენუხდება. მაგრამ ერთი მიბრძანეთ, — ვთქვი მკვახედ, — აქამდე რატომ არ მომეცით ეს ბარათი? იმ სისულელეებზე ლაქლაქს, მგონი, ჯობდა ამით დაგენწყოთ... თუკი მართლა ამ დავალებით ბრძანდებით მოსული.

— ოჰ, მე ვიფიქრე... საერთოდ, ეს ყველაფერი იმდენად უცნაურია, მაპატიეთ და, ბუნებრივია, მინდოდა პირადად გამეგო, რას აპირებდით. თანაც არ ვიცოდი, რა ეწერა ამ ბარათში და ვიფიქრე, გადაცემას ყოველთვის მოვასწრებ-მეთქი.

— ჰო, ალბათ უბრალოდ დაგავალეს, თუ სიტყვით მოავგარეთ, არ გადასცეთ, თუ არადა, უკიდურეს შემთხვევაში გადაეცითო. ხომ ასეა, monsieur დე გრიე? გამოტყდით!

— Peut-être<sup>1</sup>, — მითხრა რალაც უცნაური თავშეკავებით და ასევე უცნაურად შემომხედა.

ქუდი ავიღე. დე გრიემ თავი დამიქნია და გავიდა. მომეჩვენა, რომ ბაგეზე დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა, ან რა გასაკვირი იყო!

— დამაცა, შე კაცუნა, თუ ანგარიში არ გაგისწორო! — ვბურტყუნებდი კიბეზე ჩასვლისას. ისე ვიყავი დარეტიანებული, არაფრის მოსაზრება არ შემეძლო. სუფთა ჰაერზე ცოტა გამოვერკვიე.

როგორც კი განსჯის უნარი დამიბრუნდა, ასე ორიოდე ნუთის შემდეგ, თავში ორმა აზრმა გამკრა. პირველი — ამისთანა უბრალო ამბავმა, ვილაც ლანირაკის მიერ გუშინ ჰაიჰარად გამოთქმულმა ფუჭმა, ბავშვურმა მუქარამ ყველა ასე როგორ შეაშფოთა! და მეორეც — ნუთუ იმ ფრანგს ისეთი გავლენა აქვს პოლინაზე, მისი ერთი სიტყვა კმარა, რომ პოლინამ ყველაფერი შეასრულოს, წერილი მომწეროს და

---

<sup>1</sup> შესაძლოა (ფრანგ.).



მთხოვოს კიდევ. რა თქმა უნდა, გაცნობის პირველივე დღიდან პოლინასა და დე გრიეს დამოკიდებულება ჩემთვის გამოცანა იყო. თუმცა ეს ბოლო დღეები არც ის გამომპარვია, რა ზიზღითა და სიძულვილით იყო პოლინა მისდამი გამსჭვალული, ფრანგი კი ზედაც არ უყურებდა, უზრდელადაც ექცეოდა. პოლინამ თვითონვე მითხრა, მეზიზღებაო. ამ დღეებში მეტისმეტად საგულისხმო სიტყვები წამოსცდა ჩემთან... მაშასადამე, ამ ფრანგს რაღაც ძალა აქვს მასზე, რაღაცით ჰყავს გამოჭერილი.

## თავი მერვე

წაბლის ხეივანში, რომელსაც აქ პრომენადს ეძახიან, ჩემი ინგლისელი შემხვდა და შემომძახა:

— ოჰო, მე თქვენკენ, თქვენ — ჩემკენ. მაშ, უკვე დაშორდით თქვენებს?

სახტად დავრჩი.

— ჯერ ის მითხარით, საიდან შეიტყობთ ხოლმე ყველაფერს? განა უკვე ყველამ იცის?

— არა, ყველამ არ იცის და არც ღირს, იცოდნენ. არავინ არაფერს ამბობს.

— აბა, თქვენ საიდან იცით?

— ვიცი, უფრო სწორად, შემთხვევით გავიგე. ახლა საით აპირებთ გამგზავრებას? მიყვარხართ და იმიტომაც გამოვეშურე თქვენკენ.

— მართლაც ჩინებული ადამიანი ბრძანდებით, მისტერ ასტლეი (ისე კი ძალიან გამიკვირდა: მართლა, საიდან გაიგო-მეთქი), ჯერ ყავა არ დამიღევია, ალბათ ვერც თქვენ ჩატანდით გემოს. ჰოდა, მოდი, ვოკსალის კაფეში წავიდეთ, იქ დავსხდეთ, გავაბოლოთ და მე ჩემსას გიამბობთ... თქვენ — თქვენსას...

კაფე ასიოდე მეტრზე იქნებოდა. მოგვიტანეს ყავა, მივუსხედით მაგიდას; მე პაპიროსი გავაბოლე, მისტერ ასტლეის არ გაუბოლებია, მომარჩერდა და სმენად იქცა.

— არსად ვაპირებ წასვლას, აქ ვრჩები, — დავინწყე მე.

— ასეც ვიცოდი, რომ დარჩებოდი, — მოწონებით ჩაილაპარაკა მისტერ ასტლეიმ.

მისტერ ასტლეისთან რომ მივდიოდი, სულაც არ ვაპირებდი მისთვის თქმას, პოლინა მიყვარს-მეთქი. განზრახ არ ვაპირებდი. აქამდე ამაზე კრინტი არ დამიძრავს მასთან, თანაც ვიცოდი, რა მოკრძალებული კაცი იყო. იმწამსვე შევამჩნიე, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პირველივე გაცნობისას პოლინამ მასზე, მაგრამ მისი სახელი არასოდეს უხსენებია. არ ვიცი, რატომ და ახლა უცებ, როცა წინ დამიჯდა და თავისი ცივი თვალები მომაშტერა, რატომღაც სურვილი აღმეძრა, ჩემი სიყვარულის ამბავი დაწვრილებით მომეყოლა მისთვის. მთელი ნახევარი საათი სიამოვნებით ვლაპარაკობდი. პირველად ვყვებოდი ამ ამბავს სხვასთან! კარგად შევამჩნიე, ალაგ-ალაგ ჩემი აგზნებული თხრობისას რა დარცხვენით დახრიდა ხოლმე თვალებს და მეც განზრახ მეტი სიფიცხით განვაგრძობდი. ერთს კი ნამდვილად ვნანობ: იმ ფრანგზე მართლა ზედმეტი მოვროშე...

მისტერ ასტლეი უხმოდ, გაუნძრევლად მისმენდა და თვალებში მიყურებდა; მაგრამ დე გრიეზე რომ დავინწყე, მყისვე გამაწყვეტინა და გოროზად მკითხა: უფლება თუ გაქვთ, ამ გარეშე ამბავზე ილაპარაკოთო. მისტერ ასტლეის მუდამ საკვირველი კითხვები სჩვეოდა.

— მართალი ბრძანდებით, ვფიქრობ, რომ არა.

— მარკიზსა და მის პოლინაზე თქვენი ვარაუდის გარდა დანამდვილებით ხომ ვერაფერს იტყვით?

მისტერ ასტლეისთანა მოკრძალებული კაცისგან ასეთმა პირდაპირმა შეკითხვამ გამაოცა.

— ცხადია, დანამდვილებით ვერაფერს.

— მაშასადამე, არა მარტო ჩემთან თქმა, ამის გაფიქრებაც კი დიდი დანაშაულია.

— მართალია, მართალი, ვალიარებ! მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი, — გავანყვეტინე, თუმცა გულში კი გაკვირვებული დავრჩი. მერე დაწვრილებით ვუამბე მთელი გუშინდელი ამბავი, პოლინას საქციელი, ჩემი თავგადასავალი ბარონთან, როგორ დამითხოვეს სამსახურიდან, რარიგ უჩვეულოდ დაფრთხა გენერალი, ბოლოს, როგორ მეწვია დღეს დე გრიე და რა ვილაპარაკეთ. დასასრულ, ბარათიც ვაჩვენე.

— რას დაასკვნით აქედან? — ვკითხე, — სწორედ თქვენი აზრის გასაგებად გეახელით. ჩემდათავად იმ ფრანგს მოვკლავდი და იქნებ მართლაც მოვკლა.

— მეც, — მითხრა მისტერ ასტლეიმ, — რაც შეეხება მის პოლინას... მოგეხსენებათ, როცა გვჭირდება, საქმის დაჭერას ჩვენთვის საძულველ ადამიანებთანაც კი არ ვთაკილობთ. რა იცით, რა საქმეა და რა გარემოებით ნაკარნახევი, მგონი, გულდამშვიდებით შეგიძლიათ იყოთ, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ. ცხადია, მისი გუშინდელი საქციელი, მე თუ მკითხავთ, უცნაურია. არა იმიტომ, რომ თავიდან მოსაშორებლად ბარონთან მიგაგზავნათ, რომელიც შეიძლება კეტით გაგმასპინძლებოდათ (ვერ გამიგია, რატომ შეიკავა თავი), უბრალოდ, მისნაირ მშვენიერ მისს ასეთი... საქციელი არ ეკადრება. რა თქმა უნდა, აზრადაც არ ჰქონდა, თუ დამცინავ სურვილს სიტყვასიტყვით შეუსრულებდით...

დავაკვირდი მისტერ ასტლეის და უცებ შევძახე:

— იცით რა! მე მგონია, ეს ამბები ადრევე იცოდით და თანაც თავად მის პოლინასგან!

მისტერ ასტლეიმ ერთი განცვიფრებით შემომხედა და მერე ისევ ჩვეული სიმშვიდით მითხრა:

— თვალებს ისე აბრიალებთ და ისეთი ეჭვით მიყურებთ... თუმცა მაგ ეჭვების გამჟღავნების უფლება კი არ გაქვთ. დიახ, არა გაქვთ და ამიტომ არც გიპასუხებთ.



— არ მიპასუხებთ და ნუ მიპასუხებთ! — შევყვირე უცნაურად აღელვებულმა, თავადაც არ ვიცი, საიდან მომიფრინდა ეს აზრი! სად ან როდის შეეძლო პოლინას მისტერ ასტლეი მესაიდუმლედ გაეხადა? თუმცა ამ ბოლო ხანს მისტერ ასტლეი ნაწილობრივ გამომრჩა მხედველობის არიდან, პოლინა კი ჩემთვის მუდამ გამოცანა იყო, ამოუხსნელი გამოცანა. ახლა, როცა მისტერ ასტლეის ვუამბე მთელი ჩემი სიყვარულის ამბავი, თავადვე განვცვიფრდი, რომ ჩემსა და მის დამოკიდებულებაზე დანამდვილებით თითქმის არაფრის თქმა არ შემეძლო. პირიქით, ყველაფერი ფანტასტიკური, უცნაური, საფუძველმოკლებული იყო და არაფერს ჰგავდა.

— კი ბატონო, ჭკუაარეული ვარ და ჯერჯერობით მოსაზრების თავი არა მაქვს, — ვუთხარი თითქოს სულშეხუთულმა, — თქვენ კარგი ადამიანი ბრძანდებით. ახლა სხვა რამეს გკითხავთ, მაგრამ ამაზე რჩევა კი არა, თქვენი აზრი მინდა გავიგო.

— როგორ გგონიათ, ასე რატომ დაფრთხა გენერალი? — დავინყე მცირედი დაყოვნების შემდეგ, — ჩემმა სულელურმა საქციელმა რატომ გამოიწვია ისეთი ამბავი, რომ თვით დე გრიემაც საჭიროდ ცნო ჩარევა (ის კი მხოლოდ დიდ-დიდ ამბებში ერევა), მეწვია (აბა, უყურეთ) და მეხვეწა, — მერე ვინ? დე გრიე მე! ისიც ინიშნეთ, რომ ცხრა საათზე მომადგა, ყოველ შემთხვევაში, ცხრას ცოტა აკლდა, მის პოლინას წერილი კი უკვე ხელთ ჰქონდა. საკითხავია, როდისღა დაწერა მის პოლინამ იგი? იქნებ გააღვიძეს კიდეც ამისთვის? გარდა იმისა, რომ, როგორც აქედან ვასკვნი, მის პოლინა დამონებული ჰყავს (ვინაიდან მეც კი მთხოვს პატიებას), თვითონ მის პოლინას რაში ენალვლება ეს ამბავი? რატომ აინტერესებს ასე? რად შეეშინდა ყველას იმ ვიღაც ბარონის? მერე რა, რომ გენერალი mademoiselle Blanche de Cominges-ს ირთავს? გაიძახიან, ამ ამბის გამო სულ სხვა თავდაჭერა გვმართებსო, — მაგრამ დამეთანხმეთ, ეს მართლაც მეტისმეტია! როგორ გგონიათ? თვალებზე გატყობთ, ამ საქმეზეც ჩემზე მეტი იცით.

მისტერ ასტლეის ჩაეცინა და თავი დამიქნია:

— ამ ამბავზე მართლაც თქვენზე მეტი ვიცი. ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ mademoiselle Blanche-ია და მწამს, რომ არ ვცდები.

— მერედა, რა მიზეზია? — წამოვიყვირე მოუთმენლად (უცებ იმედი მომეცა m-lle პოლინაზე ახლა მაინც გავიგებ ზოგ რამეს-მეთქი).

— ჩემი აზრით, mademoiselle Blanche ამჟამად ძალიან ცდილობს, ყველანაირად თავი აარიდოს ბარონთან და ბარონის მეუღლესთან შეხვედრას, მით უმეტეს, უსიამოვნოსა და მეტიც, სკანდალურს.

— მერე! მერე!

— Mademoiselle Blanche ამ სამიოდე წლის წინაც ბრძანდებოდა სეზონის დროს აქ, რულეტენბურგში, მაშინ მეც აქ გახლდით. იმჟამად mademoiselle Blanche mademoiselle de Cominges-ად არ იწოდებოდა და არც დედამისი, madame veuve Cominges არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, იმჟამად მისი ხსენება არ იყო. დე გრიეც მაშინ დე გრიე არ გახლდათ. ღრმად მწამს, რომ ესენი არათუ ნათესავები არიან, არამედ ერთმანეთი ახლახან გაიცნეს. ერთი გარემოების წყალობით იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ დე გრიე მარკიზი სულ ცოტა ხნის წინ გახდა. ისიც დასაშვებია, რომ დე გრიეც ახლახან დაირქვა. აქ ერთ კაცს ვიცნობ, რომელიც მას სულ სხვა გვარით იცნობდა.

— მაგრამ საკმაოდ რიგიანი ნაცნობები რომ ჰყავს?

— მერე რა, ისინი mademoiselle Blanche-საც შეიძლება ჰყავდეს. ეს კია, რომ ამ სამი წლის წინ mademoiselle Blanche-ს ამ ბარონის მეუღლის საჩივრის საფუძველზე აქაურმა პოლიციამ სთხოვა, ქალაქი დაეტოვებინა, და დატოვა კიდეც.

— ეს როგორ?

— მაშინ აქ პირველად ერთ იტალიელ თავადს ჩამოჰყვა, გვარად ბარბერინი თუ რაღაც ამგვარი იყო, ისტორიუ-



ლი გვარი გახლავთ. თავადი ბრილიანტებითა და ბეჭდებით იყო აჩონჩხილი, ყალბი არა, ნამდვილი თვლებით, გასაოცარი ეტლით დაგრილებდნენ. mademoiselle Blanche-ს trente et quarante-ში თავდაპირველად იღბალი სწყალობდა, მერე, როგორც მახსოვს, ბედმა უმტყუნა; ერთ საღამოს დიდძალი ფული წააგო. მაგრამ საუბედუროდ, un beau matin<sup>1</sup> თავადი გაქრა, კაცმა არ იცის, სად. გაქრა ბედაურებიცა და ეტლიც, ერთი სიტყვით, ყველაფერი. სასტუმროში კი უზარმაზარი ვალი დაუგროვდა. Mademoiselle ზელმა (ბარბერინის ნაცვლად ახლა უეცრად mademoiselle ზელმა გახდა) სასონარკვეთილებამ შეიპყრო. მისმა წივილ-კივილმა მთელი სასტუმრო შეძრა, გააფთრებულმა კაბა ტანზე შემოიფხრინა. იმხანად სასტუმროში ერთი პოლონელი გრაფი იყო ჩამოსული (ყველა მოგზაური პოლონელი ხომ გრაფი გახლავთ). ჰოდა, ზელმას საქციელმა, ანუ კაბა რომ შემოიფხრინა და მშვენიერი, სუნამოდაპყრებული თითებით სახე კატასავით დაიკანრა, გრაფზე ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა, მოელაპარაკა ზელმას და მანაც სადილობისთვის უკვე მოინელა მწუხარება. საღამოს ხელიხელგაყრილნი გამოცხადდნენ ვოკსალში. Mademoiselle zelma ჩვეულებისამებრ ხმამაღლა კისკისებდა და თავიც უფრო თავისუფლად ეჭირა. ახლა უკვე რულეტზე მოთამაშე იმ ქალბატონთა რიგებში ჩაენერა, რომლებიც სათამაშო მაგიდასთან მისვლისას სხვა მოთამაშეს მუჯღუგუნით იშორებენ, თავისთვის ადგილი რომ გაითავისუფლონ. აქაურ ქალბატონებს ასეთი საქციელით თავი მოსწონთ. არ შეგიმჩნევიათ?

— როგორ არა.

თუმცა არც ღირს შემჩნევა. ვაი, რომ სამწუხაროდ, აქ მათი რიცხვი არ ილევა, ყოველ შემთხვევაში, ისეთების, ვინც ყოველდღე სათამაშო მაგიდასთან ათასფრანკიანს ახურ-

---

<sup>1</sup> ერთ მშვენიერ დილას (ფრანგ.).



დავებს. თუმცა რანამს ეს ათასფრანკიანები შემოელევათ, უმაღვე, ნაბრძანდითო, სთხოვენ. Mademoiselle ზელმა კი კვლავაც ახურდავებდა ათასფრანკიანებს, მაგრამ მაინც არ უმართლებდა. ისიც ინიშნეთ, რომ ამ ქალბატონებს ბედი ხშირად სწყალობთ ხოლმე, თამაშის დროს გასაოცარი თავშეკავება სჩვევიათ. თუმცა ჩემი ამბავი დასასრულს უახლოვდება. ერთ მშვენიერ დღეს ეს გრაფიც თავადივით გაქრა. Mademoiselle ზელმა სალამოს უკვე მარტო მობრძანდა სათამაშოდ. ამჯერად მხსნელად არავინ მოევლინა. ორ დღეში ყველაფერი წააგო. როცა უკანასკნელი ლუიდორიც მიაფშვნიტა, ირგვლივ მიმოიხედა და ბარონ ვურმერჰელმს მოჰკრა თვალი, რომელიც დიდი აღშფოთებით მისჩერებოდა. Mademoiselle ზელმამ ეს აღშფოთება ვერ შეამჩნია, მრავლისმეტყველად გაუღიმა და სთხოვა, ჩემ მაგივრად წითელზე ათი ლუიდორი დადეთო. სალამოს კი ბარონის მეუღლის საჩივრის შედეგად უკვე თხოვნის ბარათი გამოუგზავნეს, ვოკსალში ნულარ მობრძანდებითო. თუ გიკვირთ, საიდან ვიცი დაწვრილებით ეს უსიამოვნო ამბები, გეტყვით, რომ ჩემმა ნათესავმა, მისტერ ფიდერმა მიაგო, რომელმაც იმავე სალამოს თავისი ეტლით რულეტენბურგიდან სპაში გააქროლა mademoiselle ზელმა. ახლა კი mademoiselle Blanche-ს გენერლის ცოლობა სწადია, ალბათ იმისთვის, რომ ვოკსალის პოლიციამ ბარათი აღარ გამოუგზავნოს, როგორც ამ სამი წლის წინ. Mademoiselle Blanche ამჟამად აღარ თამაშობს, ეტყობა, ფული დააგროვა და აქაურ მოთამაშეებს აძლევს პროცენტით. ეს უფრო სახეიროა. ეჭვი მაქვს, რომ უბედურ გენერალსა და, შესაძლოა, დე გრიესაც მართებს მისი, ან სულაც მისი კომპანიონია. დამეთანხმეთ, რომ mademoiselle Blanche-ს სრულიად არ აძლევს ხელს, ამჟამად ბარონისა და მისი მეუღლის ყურადღება მიიპყროს, ყოველ შემთხვევაში, ქორწინებამდე მაინც. მოკლედ, აურზაური მისთვის ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელია. თქვენ კი გენერლის ოჯახს ეკუთვნით და თქვენმა საქციელმა შესაძლოა ეს

აურზაური გამოიწვიოს, მეტადრე, რომ ყოველ ცისმარე დღე ხან გენერალთან და ხან მის პოლინასთან ხელგაყრილს ხედავენ საზოგადოებაში. ახლა მაინც ხომ გაიგეთ?

— ვერა, ვერ გავიგე! — შევძახე და ისეთი ძალით დავკარი მუშტი მაგიდას, garson<sup>1</sup>-ი გულგახეთქილი მოვარდა.

— თუ ეს ყველაფერი იცოდით, მისტერ ასტლეი, — განვაგრძე გაშმაგებულმა, — თუ იცოდით, ვინ ბრძანდება mademoiselle Blanche de Cominges, მე მაინც რატომ არ გამაფრთხილეთ? ან გენერალი და, რაც მთავარია, მის პოლინა, რომელიც ხელგაყრილი აქ, ვოკსალში, დასეირნობს mademoiselle Blanche-თან ერთად? განა ეს შეიძლებოდა?

მისტერ ასტლეიმ დინჯად მიპასუხა:

— რომ გამეფრთხილებინეთ, ნეტავ რას გაანწყობდით, ან გასაფრთხილებელი რა იყო? გენერალმა იქნებ ჩემზე მეტი იცის mademoiselle Blanche-ის თაობაზე და მაინც მის პოლინასთან ერთად დაჰყვება. გენერალი უბედური კაცია, გუშინ დავინახე, mademoiselle Blanche როგორ მიაჭენებდა მშვენიერ ბედაურს monsieur დე გრიესა და იმ პატარა რუსი თავადის თანხლებით. გენერალი კი თავისი ნაბლათი მიჰყვებოდა უკან. იმ დილას მითხრა, ფეხები მტკივაო, მაგრამ მშვენივრად კი იჯდა ცხენზე. იმნუთასვე ვიფიქრე, დაღუპული კაცია-მეთქი. თანაც ეს ჩემი საქმე არ იყო, მის პოლინა მხოლოდ ახლახან გავიცანი. თუმცა (ენაზე იკბინა მისტერ ასტლეიმ) უკვე მოგახსენეთ, ჩემი თქვენდამი გულწრფელი სიყვარულის მიუხედავად, არა მგონია, უფლება გქონდეთ, ზოგი რამ მკითხოთ.

— კმარა! — წამოვდექი მე, — ახლა ჩემთვის დღესავით ნათელია, რომ mademoiselle Blanche-ის ამბები მის პოლინასაც მშვენივრად მოეხსენება, მაგრამ იმის შიშით, ის ფრანგი კაცუნა არ დაკარგოს, mademoiselle Blanche-თან დასეირნობს. მერწმუნეთ, ეს ფრანგი რომ არა, სხვა არაფერი აიძულებდა, ma-

---

<sup>1</sup> აქ: ოფიციანტი (ფრანგ.).

demoiselle Blanche-თან ესეირნა და წერილში შემვედრებოდა, ბარონს თავი დაანებეთო. მერწმუნეთ, მხოლოდ მისი ხათრით სჩადის ყველაფერს! თუმცა იმ ბარონის გალანძღვა თვითონ დამავალა! ეშმაკმა დალახვროს, კაცი ვერაფერს გაიგებ!

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჯერ ერთი, mademoiselle de Cominges გენერლის საცოლელა და მეორეც, მის პოლინას, გენერლის გერს, პატარა და-ძმა ჰყავს, გენერლის ღვიძლი შვილები, რომლებიც ამ დამთხვეულმა კაცმა სულ მიყარა და მგონი, გაძარცვა კიდევ.

— ჰო, ჰო, მართალია! რომ წავიდეს, მაშასადამე, ბავშვები უპატრონოდ უნდა დატოვოს, დარჩეს — და იქნებ მათი ინტერესები დაიცვას, მამულიდან რაღაც მაინც გადაურჩინოს. კი, კი, მართალია! და მაინც, მაინც! ჰო, ახლა კი მესმის, ყველას ასე რატომ აინტერესებს ბებიკოს ამბები!

— ვისი? — მკითხა მისტერ ასტლეიმ.

— ვისი და იმ ბებერი კუდიანის, რომელიც მოსკოვშია და არა და არ კვდება. ყველანი მისი სიკვდილის ამბავს ელიან მოსკოვიდან.

— რა თქმა უნდა, ერთადერთი ხსნა ეს არის. თავიდათავი მემკვიდრეობაა! თუ მემკვიდრეობა მიიღო, გენერალი ცოლს შეირთავს, მის პოლინასაც ხელ-ფეხი გაეხსნება, დე გრიეს კი...

— დე გრიეს რა?

— დე გრიეს კი ვალს გადაუხდინან, აქ ამასლა ელის.

— ამასლა? გგონიათ, მხოლოდ ამას?

— მეტი არაფერი ვიცი, — ჯიუტად დადუმდა მისტერ ასტლეი.

— მე კი ვიცი, ვიცი! — გავიმეორე გაცოფებით, — ეგეც მემკვიდრეობას ელის, რადგან პოლინა მზითევს მიიღებს თუ არა, მაშინვე ყელზე ჩამოეკიდება. ყველა ქალი ერთნაირია! ყველაზე ამაყიც კი ბოლოს ყველაზე საზიზღარი მონა ხდება ხოლმე. პოლინას მარტო სიყვარული შეუძლია მთელი ვნებიტა და გატაცებით, სხვა არაფერი! ეს გახლავთ ჩემი აზრი!



აბა, ერთი დააკვირდით, როცა მარტო ზის და ფიქრშია წასული, შუბლზეც კი აწერია, რომ ესაა მისი ბედისწერა, ამისთვისაა გაჩენილი და დაწყევლილი! უნდა იგემოს და გამოსცადოს მთელი სიმწარე სიცოცხლისა და ვნებათაღელვის... ეგ... ეგ... თუმცა ვინ მეძახის? — შევყვირე უცებ, — ვინ მიხმობს? გავიგონე, რუსულად დაიყვირეს: „აღექსეი ივანოვიჩ!“ ქალის ხმაა, განა არ გესმით!

უკვე სასტუმროს ვუახლოვდებოდით. როდის წამოვედით კაფედან, არც შეგვიმჩნევია.

— კი, გავიგონე ქალის ყვირილი, მაგრამ არ ვიცი, ვის უყვიროდნენ; რუსულად იძახდა, ახლა კი ვიცი, საიდანაა, — მიმანიშნა მისტერ ასტლეიმ, — აი, ის ქალი ყვირის, ეს წუთია სავარძლით რომ აიყვანეს პარმალზე ლაქიებმა. უკან ჩემოდნები მოაქვთ. მაშასადამე, მატარებელი ახლა ჩამოსულა.

— მაგრამ მე რატომ მეძახის? აი, ისევ ყვირის, ხედავთ, ხელსაც გვიქნევს.

— კი, მეც ვხედავ, გვიქნევს, — თქვა მისტერ ასტლეიმ.

— აღექსეი ივანოვიჩ! აღექსეი ივანოვიჩ! ღმერთო ჩემო, ეს რა ბაიყუში ვინმეა! — ისმოდა სასტუმროს პარმალიდან გააფთრებული კივილი.

ლამის სირბილით გავექანეთ სადარბაზოსკენ, ბაქანზე ავედი და... გაოცებისგან მკლავები ჩამომცვივდა, ადგილზევე გავშეშდი.

წიგნის ელექტრონული ვერსია  
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

სადარბაზოს განიერ მოედანზე, კიბეზე ხელით ატანილ სავარძელში, მოსამსახურეებით, მოახლეებითა და სასტუმროს უამრავი პირმოთნე ლაქიებით გარშემოხვეული ბებია იჯდა! ობერკელნერიც იქვე იდგა, — ამ წარჩინებულ, საკუთარი მსახურებით, ურიცხვი ფუთა-ჩემოდნითა და ერთი აურზაურით ჩამოსულ სტუმარს თავისი ფეხით გამოჰგებებოდა! დიახ, ეს ბებია გახლდათ, მრისხანე, მდიდარი ანტონიდა ვასილიევნა ტარასევიჩევა, სამოცდათხუთმეტი წლის მოსკოველი ქალბატონი და მამულების პატრონი la baboulinka, ვის გამოც ამდენი ტელეგრამა იგზავნებოდა პარიზიდან თუ მოსკოვიდან, ვინც უნდა მომკვდარიყო და არ მოკვდა და ვინც ახლა, ასე უცაბედად, ყოვლად მოულოდნელად, თვითონ დაგვადგა თავს. მართალია, თავისი ფეხით არა, ვინაიდან ბოლო ხუთი წელიწადია სავარძლით დააგორებდნენ ყველგან, მაგრამ ისეთივე თამამი, მოურიდებელი, თვითკმაყოფილი და ჟინიანი, ისეთივე წელში გამართული, ხმამაღლა, ბრძანებით მოლაპარაკე და ყველას გამლანძველ-გამთათხველი — ერთი სიტყვით, ზუსტად ისეთი, როგორიც, პატივი მქონდა და, ორჯერ ვიხილე მას შემდეგ, რაც გენერლის ოჯახში მასწავლებლად დავდექი. რა გასაკვირია, რომ გაოცებისგან მის წინ გამოლენჩებული ვიდექი. ბებია კი ასიოდე ნაბიჯიდან მიცნო თავისი ფოცხვერის თვალებით, როცა კიბეზე აჰყავდათ, და დამიძახა, რამეთუ ერთხელ რომ ჩასწვდა ყურში ჩემი სახელი, სამუდამოდ დაიმახსოვრა. „არა, საიდან იფიქრეს, რომ ამისთანა ქალი მოკვდება, მინაში ჩანვება და ქონება ჩვენ დაგვრჩებაო, — გამიელვა თავში, — ეგ ჩვენცა და მთელ ამ სასტუმროს წინ წაგვიმძღვარებს! ღმერთო ჩემო, რა დაემართებათ ჩვენებს ახლა, რა დღეში ჩავარდება გენერალი! ეს ახლა მთელ სასტუმროს ყირაზე დააყენებს!“

— რას გაჩერებულხარ, შვილოსა, და თვალები დაგიჭყე-

ტია! — მიკიოდა ბებია, — სალამი დაგავინყდა თუ რა არის? ვინ იცის, გაამაყდი, აღარ გვკადრულობ? ან იქნებ ველარ მიცანი? ნახე, პოტაპირი, ველარ გვცნობს! — მიუბრუნდა ფრაკში გამონყობილ თეთრჭალსტუხიან ბებერ მსახურს, რომელსაც მელოტი თავი ვარდისფრად უბზინავდა, — უკვე მინაში ჩამანვინეს! ტელეგრამას ტელეგრამაზე გზავნიდნენ, მოკვდა თუ არაო? ვიცი, ყველაფერი ვიცი! მე კი, ხომ ხედავ, არ მოვმკვდარვარ, ცოცხალი გახლავართ.

ამასობაში გონს მოვეგე.

— რას ბრძანებთ, ანტონიდა ვასილიევნა, თქვენი ცუდი რატომ უნდა გამხარებოდა? — ვუპასუხე მხიარულად, — ესაა, გამიკვირდა... ან როგორ არ უნდა გამკვირვებოდა, ასე მოულოდნელად რომ...

— ნეტავ რა გაგიკვირდა? ჩავჯექი და გამოვგრიალდი. ვაგონში არხეინად ზიხარ, არ განჯლრევს. სასეირნოდ ხომ არ იყავი?

— დიახ, ვოკსალისკენ გავიარე.

— მომწონს აქაურობა, — მიმოიხედა ბებიამ, — თბილა და დიდებული ხეებია. ამისთანა რამ მიყვარს! ჩვენები შინ არიან? გენერალიც შინაა?

— ოჰ, ამ დროს უთუოდ შინ იქნებიან.

— აქაც გათვლილი აქვთ დრო და ცერემონიებს მისდევენ? თავს იწონებენ, გავიგე, ეტლიც ჰყოლიათ, les seigneurs russes! ვბრძანდებით! მაშ-მაშ, გაანიავენ ქონებას და ჰაიდა, საზღვარგარეთ! პრასკოვიაც აქ არის?

— პოლინა ალექსანდროვნაც აქ გახლავთ.

— ის ფრანგი კაცუნაც? თუმცა თვითონ ვნახავ ყველას. წინ გაგვიძეხი, ალექსეი ივანოვიჩი, პირდაპირ მასთან მიმიყვანე. თვითონ თუ ხარ აქ კარგად?

— არა მიშავს, ანტონიდა ვასილიევნა.



— შენ კი პოტაპინი, ამ ბაიყუშს უთხარი, კარგი ბინა შემირჩიოს, მაღალზე არ იყოს, ბარგიც ახლავე იქ შეიტანე. ნეტავ ყველა რად ეხვევა ამ ჩემს სავარძელს, ვინ შეეხვენათ, წამიყვანეო? ჰაი, ჰაი, თქვე სულით მონებო! ეგ ვინ გახლავს თან? — მკითხა უცებ.

— მისტერ ასტლეი ბრძანდება.

— მისტერ ასტლეი ვინლაა?

— მოგზაურია, ჩემი კარგი ნაცნობი, გენერალსაც იცნობს.

— ინგლისელი ყოფილა. იმიტომაც მომაშტერდა და პირს არ ხსნის. თუმცა ინგლისელები მიყვარს. აბა, წამიყვანეთ ახლა ზემოთ, პირდაპირ იმათთან. სად არის მათი ბინა?

ბებია ზევით გააქანეს. მე წინ მივუძლოდი. სასტუმროს განიერ კიბეზე ჩვენი ფრიად სასეირო პროცესიის დანახვაზე ყველა ჩერდებოდა და თვალდაჭყეტილი შემოგვცქეროდა. ამ წყლებზე ჩვენი სასტუმრო ყველაზე ძვირიანი და არისტოკრატიული გახლავთ. კიბესა თუ დერეფნებში მუდამ დიდებულიად მორთული მანდილოსნები და მედიდური ინგლისელები გვხვდებიან. განცვიფრებულსა და გაოგნებულ ობერკელნერს ბევრი ეკითხებოდა ჩვენს ამბავს და ისიც ყველას პასუხობდა, ეს წარჩინებული უცხოელი ქალბატონი გახლავთ, *une russe, une comtesse, grande dame*<sup>1</sup> და ახლა იმ ოთახებს დაიჭერს, ამ ერთი კვირის წინ *la grande duchesse de N-ს*<sup>2</sup> რომ ეკავაო. ამ დიდი შთაბეჭდილების მთავარი მიზეზი ბებუის მბრძანებლური გამომეტყველება იყო. უცნობს რომ დაინახავდა, ჯერ ცნობის-მოყვარეობით შეათვალერებდა და მერე ხმამაღლა მკითხავდა, ვინ არისო. ბებია წარმოსადეგი ქალი იყო. მართალია, სავარძლიდან ვერ დგებოდა, მაინც შეატყობდით, რომ საკმაოდ მაღალი გახლდათ. ტანი გამართულად ეჭირა და სავარძ-

---

1 რუსი, გრაფინია, დიდგვაროვანი ქალბატონი (ფრანგ.).

2 დიდებული ჰერცოგინია (ფრანგ.).

ლის სახელურებს არ ეყრდნობოდა. ჭაღარაშერეული დიდი თავი მალლა აენია. სახის ნაკვთებიც დიდრონი, მკაცრი ჰქონდა. რალაც დიდგულად და გამომწვევად იყურებოდა. მაგრამ ეტყობოდა, ეს გამოხედვა და მიმოხრა სრულიად ბუნებრივი იყო მისთვის. სამოცდათხუთმეტი წლის მიუხედავად, სახე საკმაოდ ცოცხალი ჰქონდა და არც კბილები აკლდა. შავი აბრეშუმის კაბა ეცვა და თეთრი თავსაბური ეხურა.

— ძალიან მაინტერესებს ეგ ქალი, — ჩამჩურჩულა მისტერ ასტლეიმ, რომელიც გვერდით მომყვებოდა.

„ტელეგრამების ამბავი იცის, დე გრიეზედაც სმენია, მაგრამ m-lle Blanche-ზე ჯერ, მგონი, არაფერი გაუგია“, — გავიფიქრე და იმწამსვე მისტერ ასტლეისაც ვამცნე ეს აზრი.

რანამს გაკვირვებამ გამიარა, სულ ცოდილო და, საოცრად გამახალისა იმ სურათის წარმოდგენამ, რა პირკატა ეცემოდა გენერალს ჩვენს შესვლაზე, და ფრიად მხიარულად გავუძეხი წინ ბეზიასა და მის ამაღას. ჩვენები მესამე სართულზე ცხოვრობდნენ. წინასწარ მოვახსენე კი არა, არც დამიკაკუნებია, ისე შევალე კარი და ბებია ზარ-ზეიმით შიგ შევაგორეთ. თითქოსდა განზრახ, ყველანი გენერლის კაბინეტში დაგვხვდნენ. თორმეტი საათი იქნებოდა, მგონი სადღაც აპირებდნენ გასეირნებას; ნაწილი — ეტლით, ნაწილი — ცხენებით, ერთი სიტყვით, სრული შემადგენლობით. სხვა ნაცნობებიც მოეპატიჟათ. გენერლის, პოლინას, ყმანვილებისა და მათი გადიის გარდა კაბინეტში დე გრიე, კვლავ საცხენოსნოდ მოსილი m-lle Blanche, დედამისი — madame veuve de Cominges, პატარა თავადი და კიდევ ვიღაც გერმანელი სწავლული მოგზაური იყვნენ. ეს გერმანელი ჩამოსვლის პირველ დღესვე ვიხილე მათთან. ბებუის სავარძელი შუაგულ კაბინეტში, გენერლისგან ორ-სამ ნაბიჯზე დავდგი. ღმერთო ჩემო, რა დამავინყებს იმ სურათს! ჩვენს შესვლამდე გენერალი რალაცას ჰყვებოდა, დე გრიე უსწორებდა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ეს ორი-სამი დღე m-lle Blanche და დე გრიე რატომღაც მეტისმე-

ტად თავს ევლებოდნენ პატარა თავადს — *à la barbe du pauvre général.*<sup>1</sup> ჰოდა, მთელი საზოგადოება იქნებ ნაძალადევ, მაგრამ მაინც ფრიად მხიარულ და შინაურულ განწყობაზე გახლდათ. ბეზის დანახვაზე გენერალმა პირი დაალო და სიტყვა შუაზე გაუწყდა. ისე დაჭყიტა თვალები და შეაცქერდა მონუსხული, გეგონებოდა, ბასილისკო<sup>2</sup> გამოეცხადაო. ბეზიაც უხმოდ და უმოძრაოდ მისჩერებოდა, — მაგრამ, ჰოი, რა ზეიმი, გამონვევა და დაცინვა ეხატებოდა თვალებში. ასე უყურებდნენ ერთმანეთს ათიოდე წამს. კაბინეტში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. დე გრიე ჯერ გაშეშდა, მაგრამ მალე საოცარმა შეშფოთებამ გადაჰკრა სახეზე. *Mlle Blanche*-ს წარბები აეზიდა, პირი დაელო და უაზროდ მიშტერებოდა ბეზიას. თავადი და სწავლული გერმანელი უდიდესი გაცეებით ჭვრეტდნენ ამ სურათს! პოლინას ჯერ მეტისმეტი გაკვირვება და შეცბუნება დაეტყო, მერე უცებ მიტკალივით გათეთრდა, წუთის შემდეგ კი სისხლი მოაწვა და ლოყებზე ალმური მოედო. დიახ, ეს ყველასთვის დიდი ელდა გახლდათ! მე ხან ბეზიას ვუყურებდი და ხან — იქ მყოფებს. მისტერ ასტლეი ჩვეულებისამებრ დინჯად და უხმოდ იდგა განზე.

— აგერ, თავად გეახელით ტელეგრამის ნაცვლად, — დაარღვია ბოლოს სიჩუმე ბეზიამ, — რაო, არ მელოდით განა?

— ანტონიდა ვასილიევნა... საიდან, როგორ... — ნაილულულა საცოდავმა გენერალმა. ბეზიას ცოტა ხანს რომ შეეცადა და არაფერი ეთქვა, მგონი, სისხლი ჩაექცეოდა.

— როგორ და ჩავჯექი მატარებელში და წამოვედი... რკინიგზა რისთვის არსებობს? თქვენ კი ყველას გეგონათ, ფეხები გაფშოკა და ქონება დაგვიტოვაო? განა არ ვიცი, რომ აქედან ტელეგრამას ტელეგრამაზე გზავნიდი. ვინ იცის, რამდენი

---

1 საცოდავი გენერლის ცხვირწინ (ფრანგ.).

2 ხვლიკის სახეობა, გავრცელებულია ტროპიკულ ამერიკაში; აქ: ზღაპრული ცხოველი, ურჩხული, რომელიც შეხედვითა და სუნთქვით კლავს ყოველ ცოცხალ არსებას.



ფული დაგიჯდათ. იაფი ხომ არ იქნებოდა. მე კი დავკარი ფეხი და აქეთ გამოვგრიალდი. ეს ის ფრანგია? Monsieur de grie, თუ არ ვცდები?

— Oui, madame, — მიატანა დე გრიემ, — et croyez, je suis si enchanté... votre santé... C'est un miracle... vous voir ici, une surprise charmante.<sup>1</sup>

— მაშ, მაშ, charmante; გიცნობ, გიცნობ, შე მანჭიავ, არ იფიქრო, ამდენი მაინც დაგიჯერო! — ბებია მ ნეკი აჩვენა, — ეს ვინლა ბრძანდება, აქაურია? — თითი მიაშვირა ბებია მ m-lle Blanche-ზე. ამ კეკლუცი ფრანგი ქალის დანახვამ, საცხენოსნო კაბა რომ ეცვა და ხელში მათრახი ეკავა, ეტყობა, გააკვირვა.

— ეს medemoiselle Blanche de Cominges გახლავთ, ის კი მისი დედაა, madame de Cominges; ამ სასტუმროში ცხოვრობენ, — მოვახსენე მე.

— ქალი გათხოვილი ჰყავს? — უბოდიშოდ განაგრძო ბებია მ.

— Mademoiselle de Cominges გაუთხოვარი ბრძანდება, — მივუგე განზრახ ხმადაბლა და დიდი მოწინებით.

— მხიარული ქალია?

ვერ მივუხვდი, რას მეკითხებოდა.

— ხომ არ მოაწყენს კაცს? რუსული თუ იცის? აგერ, დე გრიემ ჩვენთან, მოსკოვში, ენა გაიტეხა და რის ვაი-ვაგლახით ამტვრევს ახლა.

ვუთხარი, m-lle de Cominges რუსეთში ნამყოფი არ გახლავთ-მეთქი.

— Bonjour! — მიუბრუნდა უცებ ბებია m-lle Blanche-ს.

— Bonjour, madame, — მოხდენილად გაუკეთა m-lle Blanche-მა რევერანსი საოცრად კდემამოსილი და თავაზიანი იერით, თუმცა სახითა თუ მთელი სხეულის მოძრაობით დაეშუ-

---

<sup>1</sup> დიახ, ქალბატონო... მერწმუნეთ, ისე ვარ აღტაცებული... თქვენი კარგად ყოფნა... სასწაულია პირდაპირ... აქ რომ გხედავთ... დიდებული სიურპრიზია (ფრანგ.).

რა, ყველასთვის ემცნო თავისი გაკვირვება, ეს რა უცნაურად მომმართესო.

— აბა, უყურე, თვალები დახარა, გაინაზა და გაიტყლარ-ჭა. ზედვე ეტყობა, რა ჩიტიც არის; ალბათ მსახიობი იქნება. მე აქ, სასტუმროში, ქვემოთ დავიდე ბინა, — მიუბრუნდა ანაზ-დად გენერალს, — შენი მეზობელი ვიქნები. ჰა, გიხარია თუ არა?

— რას ბრძანებთ, მამიდა! მერწმუნეთ, გულწრფელად... მთელი სულითა და გულით, — სასწრაფოდ ჩამოართვა სიტყვა გენერალმა, რომელიც ცოტა გონს მოეგო, ჰოდა, რაკი ენა საკმაოდ უჭრიდა და მედიდური ლაპარაკი სჩვეოდა, როცა თავის მოწონება უნდოდა, ახლაც ენად გაიკრიფა, — თქვენმა ავადმყოფობამ ისე შეგვაშფოთა, თავზარი დაგვეცა... ტელეგ-რამებიც ისეთი უიმედო მოგვდიოდა, უცებ კი...

— აბა, აბა, ნუ იტყუები! — მაშინვე გაანყვეტინა ბებია.

— არა, მაინც როგორ გაბედეთ ასე შორს გამომგზავრება? — სასწრაფოდ შეანყვეტინა თავის მხრივ გენერალმა და ხმასაც კი აუნია, თითქოსდა, ნუ იტყუებიო, არ გაუგია, — დამეთანხმეთ, რომ თქვენს ასაკში, თანაც ასეთი ავადმყოფობის შემდეგ... ყოველ შემთხვევაში, ეს ისეთი მოულოდნელი ამბავი გახლავთ, რომ ჩვენი გაოცება გასაგებია. მაგრამ ისე, ისე მიხარია... ჩვენ, ყველანი, არაფერს დავიშურებთ (გენერალმა ნაზად და აღტყინებით გაიღიმა), ეს სეზონი აქ ძალზე საამურად გაგატარებინოთ...

— ჰოდა, კმარა, ტყუილად ნუ ლაქლაქებ, არ იქნება, შენებურად არ აბრახუნო. როგორმე თვითონ მოვუვლი თავს. თუმცა, არც თქვენზე ვიტყვი უარს; ღვარძლიანი არ ვარ. მეკითხები, საიდან, როგორო. რაა აქ საოცარი? სულ უბრალოდ, ნეტავ რა გაგიკვირდათ ყველას. გამარჯობა პრასკოვია. აქ რას აკეთებ?

— გაგიმარჯოს, ბებია, — მიუახლოვდა პოლინა, — დიდხანს იმგზავრეთ?

— აი, მკითხა ქალმა ჭკვიანურად, თორემ დამინყეს აქ, ვაი და ვუიო! იცი, რას გეტყვი: ვინეჩი, ვინეჩი, მინამლეს, მინამლეს, ბოლოს გავყარე ექიმები და მნათე დავიბარე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან. თურმე ჩემისთანა სენისგან ერთი დედაკაცი თივის ნაფშვენით მოურჩინია. ჰოდა, მეც მიშველა; მესამე დღეს ოფლი მომივიდა და წამოვდექი. მერე ისევ შეიკრიბნენ ჩემი გერმანელები, სათვალე წამოიცვეს და ბჭობა გამართეს: „ახლა რომ საზღვარგარეთ წყლებზე წაბრძანდებოდეთ და იქ იმკურნალებდეთ, ყველაფერი გაგივლით“. რატომაც არა-მეთქი, ვიფიქრე? იმ ჩერჩეტმა ზაჟიგინის ქალებმა ვაი-ვიში ატეხეს: „თქვენი წასვლა ვის გაუგიაო!“ ვერ უყურებ მაგათ! ერთ დღეში მოვემზადე და წინა კვირის პარასკევს გამოვემგზავრე, თან მოახლე, პოტაპიჩი და ლაქია ფიოდორი ვი-ახლე, თუმცა ფიოდორი ბერლინიდან გავაბრუნე. ვნახე, რომ არ მჭირდებოდა, მარტოც მშვენივრად ჩამოვიდოდი... ცალკე ვაგონი ავიღე. მეზარგულები ყოველ სადგურზე გეგებებიან, ორ შაურად, სადაც გინდა, ციმციმ წაგიყვანენ, — დაასკვნა ბებია და მიმოიხედა, — ვიშ, რა ბინა დაგიჭერიათ; ნეტავ რა ფულით, შვილოსა? აკი ყველაფერი დააგირავე. ჯერ ამ ფრანგი კაცუნასი რამდენი გმართებს! განა არ ვიცი, ყველაფერი ვიცი!

გენერალი შეცბა.

— მე, მამიდა... გაოცებული გახლავარ... მგონი, სხვისი შემონმება... თანაც, ჩემი გასავალი შემოსავალს არ აღემატება... ჩვენ აქ...

— არ აღემატებაო? თქვი რაღა! ვინ იცის, ყმანვილებს უკანასკნელი საბადებელი წაართვი, მეურვევ!

— ასეთი სიტყვების შემდეგ... — აღშფოთებით დაინყო გენერალმა, — აღარ ვიცი...

— მაშ, მაშ, აღარ იცი! ალბათ რულეტის მაგიდას არ შორდები, ყველაფერი გაანიავე?

გენერალს ისეთი ელდა დასცა ამ სიტყვებმა, მღელვარება მამის დაახრჩო.



— რულეტის მაგიდასო! მე? ჩემი წონის კაცი... გონს მო-  
დით, მამიდა, იქნებ ისევ შეუძლოდ ბრძანდებით...

— ტყუი, ტყუი! ალბათ ვერც გაშორებენ; ყველაფერს  
იტყუები! აგერ, მეც ვნახავ მაგ მაგიდას, დღესვე ვნახავ. შენ  
მითხარი პოლინა, აქ რა არის სანახავი, ჰოდა, აგერ ალექსეი  
ივანოვიჩი დამათვალერებინებს. შენ კი, პოტაპიჩ, ჩამოწერე  
ერთი ის ადგილები, სადაც უნდა წავიდეთ. აქ რა უნდა ნახოს  
კაცმა? — ისევ პოლინას მოუბრუნდა უცებ ბებია.

— აქ ახლოს კოშკის ნანგრევებია, მერე შლანგენბერგი.

— ეგ შლანგენბერგი რაღაა? ჭალა?

— არა, მთა არის, ზედ კი პუანტია...

— პუანტი რაღაა?

— ყველაზე მაღალი ადგილია მთაზე, შემოღობილი. იქი-  
დან საოცარი გადმოსახედიანია.

— მერედა, იმ მთაზე სავარძლის ათრევა შეიძლება?

— მებარგულებს ბლომად ვიშოვით, — მივატანე მე.

ამ დროს ბებიას გადია ფედოსია მიეახლა მისასაღმებ-  
ლად და გენერლის შვილები მიჰგვარა.

— აბა, გეყოფათ ლოშნა! არ მიყვარს ბავშვების კოცნა:  
ცინგლიანები არიან. შენ როგორ ხარ აქ, ფედოსია?

— ძალიან კარგი ადგილი ყოფილა, ძვირფასო ანტონიდა  
ვასილიევნა, — მიუგო ფედოსიამ, — თქვენ როგორ გიკითხოთ,  
ქალბატონო? თქვენმა ამბავმა ისე შეგვანუხა ყველანი.

— ვიცი შენი ალალი გულის ამბავი. აქ რა, სულ სტუმრი-  
ანობა გაქვთ? — მიუბრუნდა ისევ პოლინას; — ეგ უსახური  
ვინღაა, სათვალე რომ უკეთია?

— თავადი ნილსკი გახლავთ, ბებია, — წასჩურჩულა პო-  
ლინამ.

— რუსია? მე კი მეგონა, ვერ გაიგებს-მეთქი! იქნებ ვერც  
გაიგონა! მისტერ ასტლეი უკვე ვნახე, აგერ, აქ ყოფილა ისევ,  
— თვალი მოატანა ბებიამ და უცებ მოუბრუნდა, — გამარჯო-  
ბა თქვენი!

მისტერ ასტლეიმ უსიტყვოდ დაუკრა თავი.

— აბა, კარგს რას მეტყვით? თქვით რამე! მიდი, გადაუთარგმნე, პოლინა.

პოლინამ გადაუთარგმნა.

— ვიტყვი, რომ დიდად მსიამოვნებს თქვენი ნახვა და კარგად ყოფნა, — დინჯად, მაგრამ ხალისით მიაგება მისტერ ასტლეიმ. ბებიას გადაუთარგმნეს და, ეტყობა, კმაყოფილი დარჩა.

— რა კარგი პასუხები იციან ინგლისელებმა. რატომღაც მუდამ მიყვარდა ისინი, ფრანგებს არც შევადარებ! მოდი, მიწახულებთ ხოლმე. შევეცდები მაინცდამაინც არ შეგაწუხოთ, — მიმართა ისევ მისტერ ასტლეის, — აბა, ერთი გადაუთარგმნე და ისიც უთხარი, რომ ქვემოთ ვდგავარ, ქვემოთ, ქვემოთ-მეთქი, გესმით, — გაუმეორა მისტერ ასტლეის და თითოთ ქვემოთ ანიშნა.

მისტერ ასტლეი ფრიად ნასიამოვნები დარჩა მიპატიჟებით.

ბებიამ დაკვირვებითა და კმაყოფილებით შეათვალიერა პოლინა და უცებ უთხრა:

— კი მეყვარებოდი, პოლინა, კარგი გოგო ხარ, მაგათ ყველას სჯობიხარ, ესაა, ხასიათი გაქვს ისეთი, პა-პა! თუმცა მეც მაგარი ვარ; აბა, ერთი მიტრიალდი. თავზე სხვისი თმა გადევს?

— არა, ბებია! ჩემი გახლავთ.

— კიდევ კარგი, ვერ ამიტანია ეს ახლანდელი სულელური მოდა. ძალიან ლამაზი ხარ, კაცი რომ ვიყო, შემეყვარებოდი. ნეტავ, რატომ არ თხოვდები? თუმცა დროა ნავიდე. გასეირნება მინდა, მატარებელში ყურყუტმა გული გამინწყალა... შენ კიდევ გაბრაზებული ხარ? — მიუბრუნდა გენერალს.

— როგორ გეკადრებათ, მამიდა, რას ბრძანებთ! — მიატანა გახარებულმა გენერალმა, — ვიცი, თქვენს ასაკში...

— Cette vielle est tombée en enfance<sup>1</sup>, — გადმომჩურჩულა დე გრიემ.

— აქ ყველაფერი მინდა ვნახო. ხომ დამითმობ ალექსეი ივანოვიჩს? — განაგრძო ბებია.

— როცა გენებოთ, თუმცა ჩვენც აგერ ვართ... მე, პოლინა და... monsieur დე გრიე... ჩვენთვის დიდი სიამოვნება იქნება, ყველგან გამოგყვით...

— Mais, madame, cela sera un plaisir<sup>2</sup>, — ჩაურთო დე გრიემ მომხიბლავი ღიმილით.

— მაშ, მაშ, plaisir! მეცინება შენზე, შვილოსა. თუმცა ფულს მაინც არ მოგცემ, — მიუტრიალდა ანაზდად გენერალს, — აბა, ახლა ჩემს ნომერში წამიყვანეთ: დავხედავ იქაურობას, მერე კი დასათვალთვლებლად წავიდეთ. აბა, ამწიეთ.

ბებია ისევ ასწიეს და ყველანი ერთად გავყევით კიბეზე. გენერალს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს კეტი დაჰკრეს და დაარეტიანესო. დე გრიე რალაც გეგმებს აწყობდა გუნებაში. M-lle Blanche-მა დარჩენა დააპირა, მაგრამ ბოლოს, რატომღაც, ჩვენთან ერთად არჩია წამოსვლა. თავადიც მაშინვე უკან გამოჰყვა. ზემოთ, გენერლის სადგომში მხოლოდ გერმანელი და madame veuve Cominges დარჩნენ.

## თავი მათე

წყლებზე — და, მგონი, მთელ ევროპაში — სასტუმროს მმართველები და ობერკელნერები ბინის შერჩევას უფრო საკუთარი, პირადი შეხედულებით ხელმძღვანელობენ, ვიდრე ჩამოსულთა მოთხოვნებით, და წარმოიდგინეთ, იშვიათად ცდებიან. მაგრამ ბებიას, არ ვიცი, რატომ, ისეთი მდიდრული

---

1 ეს დედაბერი სულ გამოტვინებულა (ფრანგ.).

2 მაგრამ, ქალბატონო, დიდი სიამოვნება იქნება (ფრანგ.).



სადგომი მიუჩინეს, მართლა გადაამლაშეს. ეს იყო ოთხი დიდებულად მორთული ოთახი, აბაზანით, ცალკე სამოახლოთი, პირისფარეშის სადგომით და სხვა და სხვა... ეს ოთახები მართლაც ვილაც *grande duchesse*-ს ეჭირა ამ ერთი კვირის წინ, რაც, ცხადია, მაშინვე მოეხსენებოდა ახალჩამოსულ სტუმრებს ფასის ასანევად. ბებია, უფრო სწორად, ბებუის სავარძელი ყველა ოთახში მოატარეს, და მანაც დაკვირვებით დაათვალიერა ყველაფერი. ხანში შესული ობერკელნერი მოწინებით მისდევდა უკან ამ პირველი ჩამოვლისას.

არ ვიცი, ვინ ეგონათ ბებია, ეს კია, მგონი, დიდად წარჩინებულ და, რაც მთავარია, მდიდარ ქალბატონად მიიჩნიეს. დავთარში ასეც ჩანერეს: „*Madame la générale princesse de Tarassevitcheva*“<sup>1</sup>, თუმცა ბებია კნეინა თავის დღეში არ ყოფილა. ალბათ ცალკე ვაგონით ჩამობრძანებამ, საკუთარმა მსახურებმა, უამრავმა ფუთამ, ჩემოდანმა და ზანდუკმა დააბრმავა ყველა. ხოლო სავარძელმა, მკვახე კილომ და ხმამ, უცნაურმა კითხვებმა, ასე უბოდიშოდ და მოუთმენლად რომ იძლეოდა, გამართულმა ტანმა, მბრძანებლურმა უხეშმა გარეგნობამ საბოლოოდ მოუხვეჭა საყოველთაო მოწინება. თავისი ბინის დათვალიერებისას ბებია უცებ გააჩერებინებდა ხოლმე სავარძელს, რაღაც საგანზე მიაშვერდა თითს და მოწინებით მოღიმარ, მაგრამ უკვე დამფრთხალ ობერკელნერს მოულოდნელ შეკითხვას მიახლიდა ფრანგულად. ფრანგული კი ისე ცუდად იცოდა, ჩვეულებრივ მე ვუთარგმნიდი ხოლმე. ობერკელნერის პასუხები ბებუას მეტწილად არ მოსწონდა და არც აკმაყოფილებდა. ესეც არის, რომ მართლაც უცნაურ კითხვებს იძლეოდა. მაგალითად, უცებ ერთი სურათის წინ დადგა, რომელიც ცნობილი მითოლოგიური შინაარსის სურათის უხეირო ასლი იყო.

— ვისი სურათია?

---

<sup>1</sup> გენერლის მეუღლე კნეინა ტარასევიჩევა (ფრანგ.).

— ალბათ ვილაც გრაფის მეუღლის გახლავთ, — მოახსენა ობერკელნერმა.

— აბა, როგორ არ იცი? აქ ცხოვრობ და არ იცი. აქ რატომ კიდია? თვალები ელამი რატომ აქვს?

დაბნეულმა ობერკელნერმა ამ კითხვებზე დამაკმაყოფილებელი ვერაფერი თქვა.

— აი, ჩერჩეტი! — განაცხადა ბებიაშ რუსულად.

მსახურებმა გზა განაგრძეს. იგივე ამბავი განმეორდა ერთი პატარა საქსონური ქანდაკების წინ. ბებიაშ დიდხანს ათვალიერა იგი და მერე რატომღაც ოთახიდან გაატანინა. შემდეგ იმაზე ჩააცვივდა ობერკელნერს: რა ღირს ის ხალიჩები, საძინებელში რომ არის დაგებული, ანდა სად ქსოვენო. ობერკელნერმა აღუთქვა, უთუოდ გამოვარკვევო.

— რა ვირები ყოფილან! — ჩაიბუზღუნა ბებიაშ და ახლა მთელი ყურადღება სანოლზე გადაიტანა.

— ეს რა გაფუშფუშებული სანოლია! აბა, აშაღეთ.

სანოლი აშაღეს.

— ყველაფერი მაჩვენეთ. ბალიშები გადმოიღეთ, პირები გადააძრეთ, ლეიბები ასწიეთ.

ლოგინი მთლად გადააქოთეს. ბებიაშ ყველაფერი დაკვირვებით დაათვალიერა.

— კიდევ კარგი, ბალღინჯოები არ ჰყოლიათ. თეთრეული გადააძრეთ და ჩემი დააფინეთ. ბალიშებიც ჩემი დადეთ. მეტი სმეტად მდიდრული ბინა კია ჩემისთანა ბებრუხანასთვის: ალექსეი ივანოვიჩი, ყმანვილების სწავლას რომ მორჩები, ხშირად მომაკითხე ხოლმე, მარტოს მომწყინდება.

— გუშინდლიდან გენერალთან აღარ ვმსახურობ, — მივუგე მყისვე, — სასტუმროში ახლა ცალკე ვარ ჩემთვის.

— ვითომ რა მიზეზით?

— ამ დღეებში აქ ბერლინიდან ერთი წარჩინებული ბარონი და მისი მეუღლე ჩამობრძანდნენ. გუშინ სეირნობისას, გერმანულად დაველაპარაკე ბარონს და ჩემი გამოთქმა არ მოეწონა.

— მერედა, რა?

— თავხედობად ჩამითვალა და გენერალთან მიჩივლა. გენერალმა კი გუშინვე დამითხოვა.

— კი მაგრამ, ხომ არ გაგილანძლავს ის ბარონი?

(თუმცა, რომც გაგილანძლა, არაფერი დაშავდებოდა!).

— ოჰ, არა! პირიქით, ბარონმა ჯოხი მომიქნია.

— კარგი დოყლაპია ყოფილხარ, როგორ გააბედვინე, შენს მასწავლებელს ასე მოჰქცევოდა, — მოუბრუნდა უცებ ბე-ბია გენერალს, — თან კიდევ დაგითხოვია! ყველანი ლაჩრები ყოფილხართ, დიახ, ლაჩრები, როგორც გატყობთ!

— ნუ წუხხართ, მამიდა, ჩემი საქმეების თვითონ ვიცი. ალექსეი ივანოვიჩმა კი მთლად სწორად არ გადმოგცათ, — მიუგო გენერალმა ცოტა არ იყოს მედიდური კილოთი.

— მერედა შენც გადაყლაპე? — ახლა მე მომიბრუნდა ბე-ბია.

— დავაპირე ბარონი დუელში გამომენვია, მაგრამ გენერალმა ამიკრძალა, — მივუგე, რაც შეიძლება თავმდაბლად და დინჯად.

— რატომ აუკრძალე? — ისევ გენერალს მიუტრიალდა ბებია (შენ კი, შვილოსა, გასწი აქედან, როცა დაგიძახო, მაშინ მოდი, — მიუბრუნდა ახლა ობერკელნერს, — რას დაგიღია პირი და დგახარ. ვერ ვიტან ამ ნიურნბერგელ ღორებს!) — ობერკელნერმა თავი დაუკრა და გავიდა. ბებიას ქათინაური, რა თქმა უნდა, არ გაუგია.

— რას ბრძანებ მამიდა, დუელი როგორ შეიძლება? — ჩაეცინა გენერალს.

— რატომ არ შეიძლება? ყველა მამაკაცი მამლაყინნაა; ჰოდა, წაეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს. ლაჩრები ხართ-მეთქი, აკი ვთქვი, თქვენი ქვეყნის დაცვა არ შეგიძლიათ. აბა, ამწიეთ! პოტაპიჩი, ამათ უთხარი, ორი მეზარგული მუდამ მზად იყოლიონ ჩემთვის, მოურიგდი და დაიქირავე. ორზე მეტი არ დამჭირდება. მარტო კიბეზე უნდა ამიყვანონ, სწორ ადგილას



კი, ქუჩაში, გამაგორებენ. ფულიც წინასწარ მიეცი, მეტი მონინება ექნებათ. თვითონაც გვერდიდან არ მომშორდე. შენ კი, ალექსეი ივანოვიჩი, სეირნობისას ის ბარონი მაჩვენე. ვნახო მაინც, ამისთანა რა ფონ-ბარონი ბრძანდება. აბა, ის რულეტის მაგიდა სადაა?

მოვახსენე, რულეტის მაგიდები ვოკსალის დარბაზებში დგას-მეთქი. ბევრია თუ ცოტა? ბლომად ხალხი თუ თამაშობს? ან მთელი დღე თუ თამაშობენ? როგორაა მოწყობილი? — დამაყარა ბებია კითხვები. მაშინვე ვუთხარი, ასე აღწერა საკმაოდ ძნელია და აჯობებს, საკუთარი თვალით ნახოთ-მეთქი.

— მაშ, პირდაპირ იქ წავიდეთ! შენ კი წინ გაგვიძეხი, ალექსეი ივანოვიჩი!

— რას ბრძანებთ, მამიდა, განა ნამგზავრზე არ მოისვენებთ? — ზრუნვით ჰკითხა გენერალმა, რომელსაც თითქოს შეშფოთება დაეტყო. მგონი, სხვებიც აფორიაქდნენ და ერთმანეთს გადახედეს. ალბათ ესირცხვილათ, ბებიას ვოკსალში გაჰყოლოდნენ, სადაც იგი, რა თქმა უნდა, რამე უცნაურობას ჩაიდენდა, ახლა უკვე საჯაროდ. არადა, წელან თვითონ გამოიდეს თავი, ყველანი გამოგყვებითო.

— ნეტავ რა მოსვენება მინდა? რამ დამლალა, ხუთი დღეა, ისედაც ერთ ადგილზე კუტივით ვზივარ, მერე აქაური წყაროები თუ სამკურნალო წყლები ვნახოთ, შემდეგ კი... რა ჰქვია იმას, მგონი, პუანტიო თქვი, პრასკოვია?

— პუანტი, ბებია.

— პუანტია და პუანტი იყოს. კიდევ სხვა რა არის აქ?

— აქ ბევრი რამ არის, ბებია, — შეიშმუშნა პოლინა.

— არც შენ გცოდნია, მგონი! მარფა, შენ მე გამომყვები, უთხრა ბებია თავის პირისფარეშს,

— მაგას იქ რა უნდა, მამიდა? — აფორიაქდა უცებ გენერალი, — არ შეიძლება. პოტაპიჩიცი არა მგონია, შეუშვან.

— რა სისულელეს როშავ! ვითომ მსახური რომ არის, იმი-

ტომ უნდა მივაგდო?! ეგეც ცოცხალი ადამიანია. ერთი კვირაა გზაში ვართ, მაგასაც უნდა ნახოს რალაც, ჩემ გარდა ვინ ნაიყვანს? მარტო ცხვირსაც ვერ გაჰყოფს ქუჩაში.

— კი მაგრამ, ბებია...

— ნეტავ, ხომ არ გერცხვინება ჩემი? თუ არ გინდა, დარჩი, ვინ გეხვეწება. დამიხედეთ გენერალს. მეც გენერლის ცოლი ვარ, თუ ასეა. ან რაში მჭირდება ამხელა კუდი გამომყვეს ქუჩაში, მართლა და მართლა? ალექსეი ივანოვიჩიც მშვენივრად დამათვალეებინებს ყველაფერს...

დე გრიემ მაინც დაიჩემა, ყველანი უნდა გამოგყვეთო. ზრდილობად დაიღვარა, თქვენი ხლება დიდი სიამოვნება იქნებაო, და სხვა. ყველანი ვოკსალისკენ დავიძარით.

— Elle est tombée en enfance, — ეჩიჩინებოდა დე გრიე გენერალს, — seule elle fera des bêtises<sup>1</sup>... — დანარჩენი ველარ გავიგე. მაგრამ, ჩემი აზრით, რალაც სხვა განზრახვა გაუჩნდა და, მგონი, იმედი კვლავ მოეცა.

ვოკსალამდე ნახევარი კილომეტრი იქნებოდა. ჯერ ნაბლის ხეივანი უნდა გაგვევლო ბალამდე, შემდეგ შეგვეხვია და პირდაპირ ვოკსალს მივადგებოდით. გენერალი ცოტა დამშვიდდა, ვინაიდან ჩვენი პროცესია საკმაოდ უცნაური, თუმცა მაინც დარბაისლური ჩანდა. ან რა იყო საკვირველი, თუ ნყლებზე სნეული ადამიანი ჩამოვიდა, ვისაც სიარული არ შეუძლია. მაგრამ გენერალს ალბათ ვოკსალი აფრთხობდა: აბა, სნეულსა და დაკუთულ დედაბერს რულეტზე რა ესაქმებოდა? პოლინა და m-lle Blanche აქეთ-იქიდან მიჰყვებოდნენ ბებიას სავარძელს. M-lle Blanche კისკისებდა, მოკრძალებულ მხიარულებას იჩენდა და ისე თავაზიანად ეკეკლუცებოდა ბებიას, ბოლოს მისი ქება დაიმსახურა. პოლინაც, თავის მხრივ, წარამარა ბებიას აურაცხელ შეკითხვაზე პასუხობდა: ვინ იყო ის კაცი, რომ ჩაგვიარა? ან ეს ქალი ვინაა, ეტლში რომ იჯდა? ქალაქი

---

<sup>1</sup> მარტომ შეიძლება სისულელეები ჩაიდინოს (ფრანგ.).

დიდია თუ პატარა? ბალი პატარაა თუ დიდი? ეს რა ხეებია? ეს რა მთებია? არის თუ არა იქ არწივები? ეს რა სასაცილო სახურავია? მისტერ ასტლეიმ, რომელიც გვერდით მომყვებოდა, მიჩურჩულა, ჩემი აზრით, ამ დილას ბევრი საგულისხმო რამ მოხდებოდა. პოტაპიჩი და მარფა სავარძელს უკან მოსდევდნენ. პოტაპიჩს ფრაკი ეცვა და თეთრი ჰალსტუხი ეკეთა. მარფას ჩაჩი ეკოსა თავზე, ჩითის კაბა და თხის ტყავის ჭრიჭინა ფეხსაცმელი ეცვა. ორმოცი წლის ლაჟღაჟა, მაგრამ ჭალარა-შერეული გაუთხოვარი ქალი იყო. ბებია გზაში ხშირ-ხშირად მათკენ ატრიალებდა თავს და ელაპარაკებოდა. დე გრიე და გენერალი ცოტა ჩამოგვრჩნენ და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. გენერალს სახე ჩამოსტიროდა. დე გრიე რაღაცას ეჩიჩინებოდა. იქნებ ამხნევებდა ანდა რჩევას აძლევდა. ბებიას ხომ წელან საბედისწერო სიტყვები წამოსცდა: ფულს არ მოგცემო. დე გრიემ იქნებ არ დაიჯერა, მაგრამ გენერალი კარგად იცნობდა თავის მამიდას. შევამჩნიე, დე გრიე და mademoiselle Blanche კვლავ ერთმანეთს უპაჭუნებდნენ თვალს. თავადსა და მოგზაურ გერმანელს ხეივნის ბოლოში მოვატანე თვალი. ჩამოგვრჩნენ და სადღაც სხვაგან შეუხვიეს.

ვოკსალში დიდი ზარ-ზეიმით მივედით. მეკარე და ლაქიები ისეთივე მონინებით შემოგვეგებნენ, როგორც სასტუმროს მსახურები, თუმცა ცნობისმოყვარეობით კი გვიცქერდნენ. თავდაპირველად ბებია მთელი დარბაზები შემოიარა, ზოგი რამ მოიწონა, ზოგი არაფრად ჩააგდო. ყველაფერზე გვეკითხებოდა. როგორც იყო, სათამაშო დარბაზებამდე მივალწიეთ. დახურულ კართან დარაჯად ატუზულმა ლაქიამ ელდანაკრავივით უმაღლ ფართოდ გაგვიღო კარი.

ბებიას გამოჩენამ რულეტის მაგიდასთან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რულეტის სათამაშო მაგიდებსა და დარბაზის მეორე ბოლოში მდგარ trente et quarante-ს ასე ას ორმოცდაათი თუ ორასი მოთამაშე დახვეოდა რამდენიმე რიგად. ვინც მოასწრებდა და მაგიდასთან ადგილს დაიკავებდა,



ჩვეულებისამებრ, ფეხს მანამ არ მოიცვლიდა, სანამ ყველაფერს არ წააგებდა. ტყუილად დგომისა და ადგილის დაკავების უფლებას არავინ მოგცემდა. მაგიდის გარშემო სკამები შემოენწყოთ, მაგრამ იმ სკამებზე იშვიათად ჯდებოდა ვინმე, მეტადრე, თუ ხალხი ბლომად იყო, ვინაიდან ფეხზე მდგომი უფრო მეტი ეტეოდა და ფულის ჩამოსვლაც უფრო მარჯვედ შეიძლებოდა. მეორე და მესამე რიგი პირველის უკან მიჭექყილიყო ადგილის განთავისუფლების მოლოდინში. მაგრამ ზოგჯერ მოთმინება აღარ ჰყოფნიდათ, ხელს გააძვრენდნენ და ფულს ჩადიოდნენ. ასე განსაჯეთ, მესამე რიგიდანაც ახერხებდნენ ხოლმე ასეთნაირად ფულის დადებას. ამიტომაც ყოველ ათ თუ ხუთ წუთშიც კი შეიძლებოდა რომელიმე მაგიდის ბოლოს ჩხუბი ამტყდარიყო იმის გამო, ვინ ჩამოვიდა ფულს. თუმცა ვოკსალის პოლიციას სიმარჯვე და მარიფათი არ აკლდა. სივინროვესა და ჭექყვას ვერსად გაექცევი, მაგრამ აქ უხარიათ კიდევ ხალხის მოზღვავება, ვინაიდან მაშინ უფრო მეტ ხეირს ელიან. მაგიდის გარშემო მჯდარ რვა კრუპიეს ასი თვალი აქვს გამობმული, თუ ვინ და რამდენი დადო. ანგარიშსაც ისინი ასწორებენ და ამტყდარ ჩხუბშიც მართალსა თუ მტყუანს ისინი სჯიან. უკიდურეს შემთხვევაში პოლიციას უხმობენ და ხელდახელ აგვარებენ საქმეს. პოლიციელები აქვე დარბაზში იმყოფებიან, სამოქალაქო ტანსაცმელი აცვიათ და სხვებისგან ვერ გამოარჩევ. ქურდებს სათამაშო დარბაზში ბლომად შეხვდები, მათთვის აქ დიდი გასაქანია და პოლიციელებიც განსაკუთრებით მათ უთვალთვალევენ. მართლაც, სხვაგან ეს ხალხი ან ჯიბეში უნდა ჩაუძვრეს ვილაცას, ანდა კარი გატეხოს, რაც, თუ არ გაუმართლა, ფრიად უსიამოვნოდ დამთავრდება. აქ კი, უბრალოდ შეუძლია მაგიდას მიადგეს, თამაში დაიწყოს და უცბად, ყველას თვალწინ, სხვისი მოგებულის ჩაიჯიბოს. თუ ვინმე გამოედავა, თაღლითს ხმამაღლა შეუძლია განაცხადოს, ამ ფულს მე ჩამოვედიო. თუ იმარჯვა და იქ დამსწრენი შეაყოყმანა, ხშირად მოგებულებიც რჩება,

ცხადია, თუკი ჩამოსული ფული დიდი არ არის. დიდი ფული კრუპიეებსა თუ სხვა მოთამაშეებს უთუოდ შენიშნული ექნებათ. მაგრამ პატარა ფულზე პატრონი აურზაურის შიშით ზოგჯერ დავას თავს ანებებს და განზე გადგება. მაგრამ თუ ქურდს დანაშაულზე წაასწრეს, მყისვე სამარცხვინოდ გამოაძევენ ხოლმე იქიდან.

ამ სურათს ბებია დიდი ცნობისმოყვარეობით უმზერდა შორიდან. ძალიან მოეწონა, ქურდებს რომ გარეთ მიაბრძანებდნენ. *Trente et quarante*-მა ნაკლებად დააინტერესა. რულეტის მაგიდა უფრო მოუვიდა თვალში, მეტადრე, ბურთი როგორ ტრიალებდა. ბოლოს სურვილი გამოთქვა, ახლოდან მინდა ვნახოო. არ ვიცი, რა გზით, მაგრამ ლაქიებმა და რამდენიმე იქ მოფუსფუსე აგენტმა (მეტწილად წაგებულმა პოლონელებმა, სვებედნიერ მოთამაშეებსა და უცხოელებს თავიანთ სამსახურს რომ სთავაზობენ) ბებიას მაშინვე გაუთავისუფლეს ამ ჭეჭყვაში მთავარი კრუპიეს გვერდით ადგილი და მისი სავარძელი იქ მიაგორეს. მაგიდას მყისვე შემოეხვივნენ დამსწრენი, რომლებიც თვითონ არ თამაშობენ და სხვების თამაშს უყურებენ (მეტწილად ინგლისელები თავიანთი ოჯახებით). უამრავი ლორწეტი მყისვე ბებიასკენ აღმოჩნდა მიმართული. კრუპიეებს იმედი მოეცათ: თითქოს ასეთი უცნაური მოთამაშე მართლა უჩვეულო რამეს უქადდათ. სამოცდაათი წლის კუტმა ქალმა რომ თამაში მოინდომოს, არც ისე ჩვეულებრივი შემთხვევა გახლავთ. მეც მოვახერხე გაძრომა და ბებიას გვერდით ამოვუდექი. პოტაპიჩი და მარფა სადღაც უკან, ხალხში დარჩნენ. გენერალი, პოლინა, დე გრიე და *m-lle Blanche* მოშორებით მაყურებლებს შეერივნენ.

ბებია მჯერ მოთამაშეები შეათვალა. ეს კაცი ვინ არის? ეს ქალი ვინააო? — მეკითხებოდა უკმეხად, ხმადაბლა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ. განსაკუთრებით ერთი ყმანვილი კაცი მოეწონა, რომელიც მაგიდის მეორე თავში იდგა, ძალზე დიდ ფულს — სულ ათასიანებს ჩამოდიოდა და როგორც ირგვლივ



ჩურჩულებდნენ, უკვე ორმოცი ათასამდე ფრანკი მოეგო. ეს ფული, ნაწილი ოქროდ და ნაწილი ბანკნოტებად, წინ ჰქონდა დახვავებული. ყმანვილს სახე გაჰფითრებოდა, თვალები ნაკვერჩხალივით უღვიოდა, ხელები უცახცახებდა. უკვე უანგარიშოდ ჩამოდოდა ფულს, რამდენსაც ხელით მობოჭავდა, მაგრამ მაინც სულ იგებდა და თავისკენ იხვეტდა. ლაქიები მის ირგვლივ ფუსფუსებდნენ, სავარძელს სთავაზობდნენ, ადგილს უთავისუფლებდნენ, რათა მისთვის არავის შეეშალა ხელი — იმ იმედით, მადლობას გულუხვად გადაგვიხდისო. ზოგი ხომ, მოგებით გახარებული, უანგარიშოდ არიგებს ხოლმე, რაც ხელს ამოჰყვება ჯიბიდან. ყმანვილის გვერდით ერთი პოლონელი ტრიალებდა, მონინებით წარამარა რალაცას ეჩურჩულებოდა ყურში, ალბათ ურჩევდა, სად დაედო — რა თქმა უნდა, გასამრჯელოს ხათრით, მაგრამ ყმანვილი არც უყურებდა, დაუთვლელად ჩამოდოდა და ფულებს იხვეტდა. ალბათ ველარც აზროვნებდა.

ბებია რამდენიმე წუთს თვალს არ აშორებდა. მერე უცებ აწრიალდა და ხელი მკრა: — ჩქარა მიდი და უთხარი, თავი დაანებოს, ფული წაიღოს და წავიდეს, თორემ წააგებს, ამწუთას ყველაფერს წააგებს! — აღელვებისგან ლამის სუნთქვა შეეკრა, — პოტაპიჩი რა იქნა? პოტაპიჩი მიუგზავნე! წადი, უთხარი, უთხარი-მეთქი! — ხელს მკრავდა ბებია, — მართლაცდა, რა იქნა პოტაპიჩი! *Sortez, sortez!*<sup>1</sup> — ახლა თვითონ დაუყვირა ყმანვილს. დავიხარე და მტკიცედ წავჩურჩულე, აქ ყვირილი არ შეიძლება, ეს კი არადა, ოდნავ ხმამაღალი ლაპარაკიც აკრძალულია, ანგარიშში რომ ხელი არ შეეშალოთ, თორემ ახლავე ყველას გაგვეყრიან-მეთქი.

— აფსუს! აფსუს! დაილუპა, მაშასადამე, თვითონაც ასე უნდა... ველარ მიცქერია, გულ-მუცელი მეთუთქება. ეს რა შტერი ყოფილა! — ბებია მსაჩქაროდ პირი იბრუნა.

---

<sup>1</sup> წადით, წადით აქედან (ფრანგ.).



იქ, მარცხნივ, მაგიდის გაგრძელებაზე, მოთამაშეთა შორის ერთი ახალგაზრდა ქალი გამოირჩეოდა, ვილაც ქონდრისკაცი ახლდა, არ ვიცი, ნათესავი თუ უფრო შთაბეჭდილების მოსახდენად მოყვანილი. ეს ქალი ადრეც მყავდა შემჩნეული. ყოველ ცისმარე დღე, ნაშუადღევის პირველ საათზე მოდიოდა სათამაშო დარბაზში და ზუსტად ორზე მიდიოდა. ყოველდღე თითო საათს თამაშობდა. აქ უკვე იცნობდნენ და მყისვე სავარძელს მიართმევდნენ ხოლმე. ჯიბიდან რამდენიმე ოქროს ფულს, რამდენიმე ათასფრანკიანს ამოიღებდა და ნელა, გულდინჯად, ანგარიშიანად ჩამოდიოდა. ფანქრით იწერდა ქალაქზე ციფრებს და ცდილობდა გამოეცნო, რა სისტემით ხდებოდა ამნუთას მოგება. საკმაოდ დიდ თანხას დებდა. ყოველდღე ერთ, ორ, დიდი-დიდი სამი ათას ფრანკს იგებდა, მეტს არა და მყისვე მიდიოდა. ბებია დიდხანს არ აცვილებდა თვალს.

— ნუ გეშინია, ამისთანა არ წააგებს! არამც და არამც არ წააგებს! ვინ არის, არ იცი?

— ფრანგია, მოგეხსენებათ, ვინც იქნება, — ნავჩურჩულე.

— ოჰო, ეტყობა, რა ჩიტიც არის. მაგარი ვინმე იქნება, აბა, ერთი ამიხსენი, რას ნიშნავს ყოველი დატრიალება და სად უნდა დავდო ფული?

ავუხსენი, როგორც შემეძლო, თამაშის მრავალრიცხოვანი კომბინაციები, rouge et noir, pair et impair manque et passe<sup>1</sup> და ბოლოს რიცხვთა სისტემის სხვადასხვა მნიშვნელობა. ბებია ყურადღებით მისმენდა, იმახსოვრებდა, ხელახლა მამეორებინებდა და იზეპირებდა. ყოველი სისტემა შეიძლებოდა მაშინვე მაგალითით მეჩვენებინა, დაზეპირება და დამახსოვრებაც ამიტომ ადვილი იყო. ბებია ძალიან კმაყოფილი დარჩა.

---

<sup>1</sup> ნითელი და შავი, ლუნი და კენტი, ნაკლები და მეტი (ფრანგ.).

— ეს zéro<sup>1</sup> რაღაა? აგერ იმ მთავარმა კრუპიემ, თმახუჭუჭა რომაა, ამწუთას zéro დაიძახა? მერედა რატომ მიიხვეტა თავისკენ ყველაფერი, რაც მაგიდაზე იყო? იმდენი ფული რატომ წაიღო? ეს რას ნიშნავს?

— Zéro, ბებია ბანკის მოგება გახლავთ. თუ ბურთი დატრიალდა და zéro-ზე დადგა, რაც მაგიდაზე დევს, ყველაფერი ბანკს ეკუთვნის. მართალია, უფლება გაქვს, ერთხელ კიდევ დაატრიალო, მაგრამ ბანკი არაფერს გაძლევს.

— უყურე ერთი! მაშ, არაფერს ვიგებ?

— არა, ბებია, თუ მანამდე zéro-ზე დადეთ და ისევ ზღრო გამოვიდა, ოცდათხუთმეტჯერ მეტს მიიღებთ.

— რაო, ოცდათხუთმეტჯერ მეტს? მერედა ხშირად გამოდის? ეგ სულელები რატომ zéro-ზე არ დებენ?

— იმიტომ, რომ ოცდათექვსმეტი შესაძლებლობაა, ბებია, სანინააღმდეგო.

— რა სისულელეა! პოტაპიჩი! პოტაპიჩი! მოიცა, ფული მეც მაქვს თან! აგერ! — ბებია მჯიბიდან გატენილი ქისა ამოიღო და იქიდან ერთი ფრიდრიხსდორი გამომიწოდა, — აჰა, აიღე და ახლავე zéro-ზე დადე.

— zéro, ბებია, ეს წუთია გამოვიდა, მაშასადამე, დიდხანს აღარ გამოვა. ბევრს წააგებთ, ცოტა მაინც აცალეთ.

— ნუ ტყუი, დადე!

— ბატონი ბრძანდებით, მაგრამ იქნებ სალამომდე აღარც გამოვიდეს და ათასამდე დაკარგოთ. ასეც მომხდარა.

— როშავ რაღაცას! მგლის შიშით ცხვარი ვის გაუნყვეტია. რა? წააგე? აბა, კიდევ დადე!

ეს მეორე ფრიდრიხსდორიც დაკარგეთ; ჩავედი მესამედ. ბებია თვალეხანთეხული მისჩერებოდა დატრიალებული ბორბლის კბილანებზე მოხტუნავე ბურთს და სავარძელში ცმუტავდა. მესამედაც წავაგეთ. ბრაზმორეული ბებია მოუთ-

---

<sup>1</sup> ნული (ფრანგ.).

მენლად ტრიალებდა და როცა zéro-ს ნაცვლად krupiem trente six<sup>1</sup> გამოაცხადა, მაგიდას მუშტიც კი დაჰკრა.

— ამას უყურე! — ჯავრობდა ბებია, — აღარ ეღირსება მაგ წყეულ ზეროსა თუ რალაც ჰქვია, გამოსვლა? ცოცხალი თავით zéro-ს გამოსვლამდე ფეხს არ მოვიცვლი! ყველაფერი ამ წყეული, თმახუჭუჭა კრუპიეს ბრალია! აბა, ორი ოქრო ერთად ჩადი, ალექსეი ივანოვიჩ, თორემ რომ გამოვიდეს, თითო-თითო ჩამოსვლით ვერაფერს მივიღებთ.

— ბებია!

— ჩადი, ჩადი-მეთქი! შენი ხომ არ არის!

ორი ფრიდრიხსდორი დავდე. ბურთი დიდხანს დაფრინავდა ბორბალზე და ბოლოს კბილანებზე აცეკვდა. ბებიამ სუნთქვა შეიკრა, ხელი მაგრად მომიჭირა და უცებ — ბაც!

— Zéro! — გამოაცხადა კრუპიემ.

— ხედავ, ხედავ! — სწრაფად მომიტრიალდა კმაყოფილი და გაბრწყინებული ბებია. — აკი გითხარით! ღმერთმა ჩამაგონა, ორი ოქრო ჩადიო. ახლა რამდენს მივიღებ? რატომ არ მაძლევენ? პოტაპიჩ, მარფა! ნეტა სად დაიკარგნენ? ჩვენები სადღა წავიდნენ? პოტაპიჩ, პოტაპიჩ!

— მერე, ბებია, — ჩავჩურჩულე, — პოტაპიჩი კართან დგას, აქ არ შემოუშვებენ. შეხეთ, ბებია, ფულს გაძლევენ, აიღეთ! — ბებიას ლურჯ ქალღმერთი შეხვეული დალაქული ორმოცდაათი ფრიდრიხსდორი გადმოუდეს და ოცი ფრიდრიხსდორი კიდევ ცალკე მიუთვალეს. მთელი ეს ფული ნიჩბით მივუხვეტე ბებიას.

— Faites le jeu, messieurs! Faites le jeu, messieurs! Rien ne va plus?<sup>2</sup> — გამოაცხადა კრუპიემ და რულეტის დასატრიალებლად მოემზადა.

— ღმერთო ჩემო! დავაგვიანეთ! ახლავე დაატრიალებენ!

---

1 ოცდათექვსმეტი (ფრანგ.).

2 ფული ჩამოდით, ბატონებო! ფული ჩამოდით! სხვა არავინ ჩამოვა? (ფრანგ.).



ფული დადე, დადე-მეთქი! — აწრიალდა ბებია, — რას აგვიანებ, ჩქარა, — მოთმინება დაეკარგა ბებიას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელი მკრა.

— აბა, სად დავდო, ბებია?

— სადა და zéro-ზე, zéro-ზე-მეთქი! რაც შეიძლება ბევრი დადე! აქ რამდენი გვაქვს? სამოცდაათი ფრიდრიხსდორი? რა გენაღვლება? ოცი ფრიდრიხსდორი ერთად დადე.

— გონს მოდით, ბებია! ზოგჯერ ორასი დატრიალების შემდეგაც აღარ მოდის! დამიჯერეთ, ყველაფერს წააგებთ.

— ნუ ტყუი, ნუ ტყუი! დადე! რა ენად გაიკრიფე! ვიცი, რასაც ვაკეთებ, — ბებია ბრაზისგან აცახცახდა.

— წესდების მიხედვით თორმეტ ფრიდრიხსდორზე მეტის დადება zéro-ზე ერთჯერად არ შეიძლება, ბებია! აგერ, დავდე კიდევ.

— როგორ თუ არ შეიძლება? ხომ არ მატყუებ? მუსიე! მუსიე! — ხელი ჰკრა მან მის მარცხნივ მჯდარ კრუპიეს, რომელიც ბორბლის დასატრიალებლად მომზადებულიყო, — combien zéro? douze? douze?<sup>1</sup>

კრუპიეს სასწრაფოდ ავუხსენი ფრანგულად მისი შეკითხვა.

— Oui, madame,<sup>2</sup> — თავაზიანად დაუდასტურა კრუპიემ და ესეც დააყოლა, — ისევე, როგორც თითოეული ჩამოსვლა, წესდების მიხედვით, ოთხი ათას ფლორინს არ უნდა აღემატებოდეს.

— სხვა რა ჩარაა, თორმეტი ჩადი!

— Le jeu est fait!<sup>3</sup> — დაიძახა კრუპიემ. ბორბალი დატრიალდა და ცამეტზე შეჩერდა. წავაგეთ!

— კიდევ! კიდევ! კიდევ დადე-მეთქი! — ყვიროდა ბებია.

1 რამდენია ნული? თორმეტი? თორმეტი? (ფრანგ.).

2 დიახ, ქალბატონო (ფრანგ.).

3 თამაში დაიწყო (ფრანგ.).

სიტყვა აღარ შევუბრუნე, მხრები ავიჩიჩე და კვლავ თორმეტი ფრიდრიხსდორი ჩავედი. ბორბალი კარგა ხანს ტრიალებდა. ბებია თვალს არ აშორებდა და მთელი სხეულით ცახცახებდა. „ნეტავ მართლა თუ ჰგონია, ისევ zéro გამოვა?“ — ვფიქრობდი და გაკვირვებით შევჩერებოდი. ბებიას სახე მოგების რწმენით გაჰბრწყინებოდა, სწამდა, რომ აი, ამწუთას zéro-ს დაიყვირებდნენ! ბურთი უჯრაში ჩახტა.

— Zéro! — დაიძახა კრუპიემ.

— მე რა გითხარი! — ზარ-ზეიმით მომიბრუნდა ბებია.

სწორედ ამწუთას ვიგრძენი, რომ მეც მოთამაშე ვყოფილვარ. ხელ-ფეხი მიკანკალებდა, თავი მიბრუოდა. რა თქმა უნდა, იშვიათია, ათჯერ დატრიალებისას zéro სამჯერ გამოვიდეს. თუმცა საოცრებად მაინც არ ჩაითვლება. ჩემი თვალით ვნახე ამ სამი დღის წინ, zéro რომ სამჯერ ზედიზედ გამოხტა. ერთმა მოთამაშემ, რომელიც ბეჯითად იწერდა გამოსულ ციფრებს, ხმამაღლა გამოაცხადა, გუშინ სწორედ ეს zéro მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოვიდაო.

როგორც ყველაზე დიდი ფულის მომგებს, ბებიას განსაკუთრებული ყურადღებითა და მოწინებით გადმოუთვალეს ფული. ზუსტად ოთხას ოცი ფრიდრიხსდორი, ანუ ოთხი ათასი ფლორინი და ოცი ფრიდრიხსდორი უნდა მიეღო; ოცი ფრიდრიხსდორი ოქროთი გადაუთვალეს, ოთხი ათასი კი ქალაღდის ფულით.

ახლა ბებიას აღარ მოუხმია პოტაპიჩი; საამისოდ აღარ ეცალა, არც ხელს იკვრევინებოდა და არც ცახცახებდა. ბებია, ასე ვთქვათ, შინაგან თრთოლას შეეპყრო და, ღრმად ჩაფიქრებული, მოშვილდულივით იჯდა.

— ალექსეი ივანოვიჩ! მან თქვა, ერთ ჯერზე მხოლოდ ოთხი ათასი ფლორინის ჩამოსვლა შეიძლებაო? აბა, აილე ეს ოთხი და წითელზე დადე, — გადაწყვიტა ბებიამ.

უარი მაინც არ გამოვიდოდა. ბორბალი დატრიალდა.

— Rouge! — გამოაცხადა კრუპიემ.

კვლავ ოთხი ათასი ფლორინი მოვიგეთ — მაშასადამე, მთლიანად რვა გამოვიდა.

— ოთხი აქ მომე, ოთხი კი ისევ წითელზე დადე, — მიბრძანა ბეზიამ.

ისევ ოთხი ათასი ჩავედი.

— Rouge! — დაიძახა კრუპიემ.

— მთლიანად თორმეცია! მოიტა აქ მთელი ფული, ოქრო ქისაში ჩამიყარე, ქალაღდის ფული კი შეინახე.

— აბა, კმარა! შინისკენ წავიდეთ! გააგორეთ სავარძელი!

## თავი მეთერთმეტი

სავარძელი დარბაზის ბოლოს, კართან მიაგორეს. ბეზია გაბადრული იცქირებოდა. ჩვენები მაშინვე შემოეხვივნენ და მილოცვები მიაყარეს. ხომ უცნაური იყო ბეზიას საქციელი, მისმა გამარჯვებამ ბევრი რამ გამოისყიდა. გენერალი უკვე აღარ შიშობდა, ამისთანა უცნაური ქალის ნათესაობით თავი მომეჭრებო. როგორც ჟინიან ბავშვს, ისეთი შემწყნარე და მხიარული ღიმილით მიულოცა ბეზიას, თუმცა სხვების მსგავსად ისიც დიდად განცვიფრებული ჩანდა. ირგვლივ ყველა ბეზიაზე ლაპარაკობდა და მისკენ უთითებდნენ. ბევრმა, უფრო ახლოს რომ დაეთვალთვლებინა, გვერდითაც კი ჩაუარა. მისტერ ასტლეი თავის ორ ნაცნობ ინგლისელთან განაპირებულიყო და ბეზიაზე საუბრობდა. რამდენიმე ქედმაღალი ქალბატონი, მაყურებელთა რიგებიდან, ქედმაღლური განცვიფრებით შესცქეროდა ბეზიას, როგორც საოცრებას. დე გრიე ლამის მილოცვებად და ტკბილ ღიმილად დაიღვარა.

— Quelle victoire!<sup>1</sup> — იძახდა იგი.

---

<sup>1</sup> რა გამარჯვებაა (ფრანგ.).



— Mais, madame, c'était du feu<sup>1</sup>, — დასძინა კეკლუცი ღიმი-  
ლით m-lle Blanche-მა.

— დიახ, დიახ, თორმეტი ათასი ფლორინი მოვიგე! თუმ-  
ცა რომელი თორმეტი, ოქრო აღარ ითვლება? ოქროთი თით-  
ქმის ცამეტი ათასი გამოვა. ეს რამდენი იქნება ჩვენებურად?  
ექვსი ათასი, ხომ?

ექვსი კი არა და შვიდსაც გადააჭარბებს, ახლანდელი  
კურსით კი, მგონი, რვამდეც ავიდეს-მეთქი, მოვახსენე.

— მერედა ხუმრობა ხომ არაა რვა ათასი! თქვენ კი ზი-  
ხართ აქ, დოყლაპიებო, და ხელს არ ანძრევთ! პოტაპიჩი, მარ-  
ფა, ნახეთ თუ არა?

— ეს რა ქენით, ქალბატონო? გაგიგიათ რვა ათასი რუბ-  
ლი! — ლამის იკლაკნებოდა მარფა.

— აი, ჩემგან თითოს ხუთ-ხუთი ოქრო!

პოტაპიჩი და მარფა ხელების დასაკოცნად მისცვივდნენ.

— მეზარგულეებსაც ჩემგან თითო-თითო ფრიდრიხსდო-  
რი ჩამოურიგე. ოქრო მიეცი, ალექსეი ივანოვიჩი. ეგ ლაქია თა-  
ვს რატომ მიკრავს, ან ის მეორე? მილოცავენ? მაგათაც თითო  
ფრიდრიხსდორი უბოძე.

— Madame la princesse... un pauvre expatrié... malheur continu-  
el... les princes russes sont si généreux<sup>2</sup>, — იგრიხებოდა ბეზიას სა-  
ვარძელთან მლიქვნელური ღიმილით ერთი უღვაშიანი კაცი,  
რომელსაც გაცვეთილი სერთუკი და ჭრელი ჟილეტი ეცვა...

— მაგასაც ფრიდრიხსდორი მიეცი. არა, ორი მიეცი; აბა,  
კმარა, თორემ საშველს არ მოგვცემენ. ამწიეთ და წამიყვანეთ!  
პრასკოვია, — მიუტრიალდა იგი პოლინას, — ხვალ კაბას გი-  
ყიდი, მაგ mademoiselle-საც... რა ჰქვია, mademoiselle Blanche?  
მაგასაც ვუყიდი. გადაუთარგმნე, პრასკოვია!

---

1 ეს ბრწყინვალე რამ იყო, ქალბატონო (ფრანგ.).

2 ქალბატონო კნეინა... ერთი საცოდავი ემიგრანტი ვარ... ბედისგან  
განწირული... რუსი თავადები ისეთი გულუხვები არიან (ფრანგ.)

— Mersi, madame, — ნაზი რევერანსი გაუკეთა m-lle Blanche-მა, თუმცა დამცინავად დაგრიხა ტუჩები და დე გრიესა და გენერალს გადახედა. გენერალი, ცოტა არ იყოს, დარცხვენილი ჩანდა და ძალიან გაუხარდა, როცა ხეივანს მივალნიეთ.

— ნახე აბა, ფედოსიასაც როგორ გაუკვირდება, — გაიხსენა ბებია გენერლის შვილების გადია, — მასაც საკაბის ფული უნდა ვაჩუქო. ჰეი, ალექსეი ივანოვიჩ, ალექსეი ივანოვიჩ, ერთი ამ მათხოვარსაც მიეცი!

გზაზე ერთი ჩამოგლეჯილი, მოკუზული კაცი მოდიოდა და ჩვენ შემოგვეყურებდა.

— იქნებ მათხოვარი კი არაა, გაიძვერაა, ბებია.

— მიეცი, მიეცი-მეთქი! ერთი გულდენი მიეცი!

მივედი იმ კაცთან და ფული ჩავუდე. მან დიდი გაოცებით შემომხედა, თუმცა გულდენი უხმოდ აიღო. ღვინის სუნი მეცა.

— შენ თუ გიცდია ბედი, ალექსეი ივანოვიჩ?

— არა, ბებია!

— არადა, როგორ გიელავდა თვალები, კარგად შეგამჩნიე.

— მე კიდევ ვცდი ბებია, უთუოდ ვცდი მერე.

— პირდაპირ zéro-ზე დადე! ნახე თუ არ მოიგო! ფული რამდენი გაქვს?

— მხოლოდ ოცი ფრიდრიხსდორი, ბებია!

— ცოტა გქონია, ორმოცდაათ ფრიდრიხსდორს, თუ გინდა, გასესხებ, აი, სწორედ ამ შეხვეულს მოგცემ. შენ კი შვილოსა, ჩემგან ვერაფერს მიიღებ, ტყუილად ნუ ელი! — უცებ გენერალს მიუტრიალდა ბებია.

გენერალს სახე მოელრიცა, მაგრამ არაფერი უთქვამს. დე გრიემ წარბი შეიკრა და გენერალს გადაულაპარაკა:

— Que diable, c'est une terrible vieille!<sup>1</sup>

— აგერ, მათხოვარი მოდის, კიდევ მათხოვარი! — დაიძახა ბებია, — მაგასაც გულდენი მიეცი, ალექსეი ივანოვიჩ.

---

<sup>1</sup> ეშმაკმა დალახვროს, ეს რა საშინელი დედაბერია (ფრანგ.).

ჩვენკენ ვილაც ჭალარა, ხისფეხა მოხუცი მოდიოდა. გრძელ-კალთება სერთუკი ეცვა და ხელში გრძელი ტროსტი ეკავა. ძველ ჯარისკაცს ჰგავდა. მაგრამ გულდენი რომ გავუნოდე, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და წყრომით შემათვალღერა.

— Was ist der Teufel!<sup>1</sup> — შემომყვირა და კიდევ ათიოდე საგინებელი სიტყვა მოაყოლა.

— შტერი ყოფილხარ! — მიახალა ბებამ და ხელი ჩაიქნია, — აბა, წამიყვანეთ, მომშივდა! ვისადილებ, მივწვები და მერე ისევ ჰაიდა, აქეთკენ.

— ისევ გინდათ თამაში, ბებია? — შევძახე მე.

— აბა, რა გეგონა? თქვენ რომ აქ დამჟავებულხართ, გინდათ მეც ასე ვიყო?

— Mais, madame, — მოგვიახლოვდა დე გრიე, — les chances peuvent tourner, une seule mauvaise chance, et vous perdrez tout... Surtout avec votre jeu... C'était terrible!<sup>2</sup>

— Vous perdrez absolument,<sup>3</sup> — წაიჟღურტულა m-lle Blanche-მაც.

— მერე თქვენ რა? ჩემსას წავაგებ, თქვენსას ხომ არა? ის მისტერ ასტლეი სადაა? — მკითხა ბებამ

— ვოკსალში დარჩა.

— აფსუს! ეგ მართლა კარგი კაცი ჩანს.

სასტუმროში ბებიას ობერკელნერი შემოხვდა კიბეზე. ბებამ მაშინვე იხმო და დასატრაბახებლად თავისი მონაგები აჩვენა. მერე ფედოსია დაიბარა, სამი ფრიდრიხსდორი აჩუქა და ბრძანა, სადილი მომართვითო. ფედოსია და მარფა ენად გაიკრიფნენ სადილობის დროს.

— გიყურებთ, ქალბატონო, და პოტაპიჩს ვეუბნები, ჩვე-

---

1 ეშმაკმა დალახვროს, ეს რას ჰგავს (გერმ.).

2 რას ბრძანებთ, ქალბატონო, ბედმა შეიძლება გიმტყუნოთ, ერთი უკულმა სვლა და... ყველაფერს წააგებთ... მეტადრე იმდენს ჩადიხართ... საშინელებაა (ფრანგ.).

3 უთუოდ ყველაფერს წააგებთ (ფრანგ.).



ნი ქალბატონი ამას რას აპირებს-მეთქი, — ლაქლაქებდა მარფა, — ღმერთო დიდებულო, ეს რამდენი ფული ეყარა მაგიდაზე! ჩემს სიცოცხლეში ამდენი ფული ერთად არ მინახავს. ირგვლივ კი სულ ბატონები სხედან. ნეტავ ამდენი ბატონი აქ საიდან შეიყარა, ვეუბნები პოტაპიჩს. ვფიქრობ, დედა ღვთისმშობელმა ხელი მოუმართოს-მეთქი. ვლოცულობ და გული კი, ქალბატონო, ლამის მიმდის, მთელი სხეული მიცახცახებს. ღმერთო, შენ უშველე-მეთქი, ვფიქრობ, და აკი გიშველათ კიდევ მაშინვე. მას აქეთ, ქალბატონო, სულ ვცახცახებ და ვცახცახებ.

— ალექსეი ივანოვიჩი, ნასადილევს, ასე ოთხ საათზე მოემზადე, წავიდეთ. მანამდე კი მშვიდობით. ჰო, არ დაგავინყდეს, ვინმე მკურნალი გამომიგზავნე, წყლები ხომ უნდა ვსვა. ვაითუ, არ გამახსენდეს.

ბეზიასგან გაბრუებული წამოვედი. სულ იმაზე ვფიქრობდი, რა დაემართება ახლა ჩვენებს და საქმე როგორ შეტრიალდება-მეთქი? ნათლად ვხედავდი, რომ პირველი შთაბეჭდილების ელდა ჯერაც არ განელეობდათ (მეტადრე გენერალს). ბეზიას გარდაცვალების ცნობისა და, მაშასადამე, მემკვიდრეობის მიღების ნაცვლად, ყოველ წამს რომ ელოდნენ, მისმა ჩამობრძანებამ სრულებით აურ-დაურიათ მთელი ზრახვები და გადანყვეტილებანი. შეცბუნებითა და, ცოტა არ იყოს, გაოგნებითაც შეხვდნენ ბეზიას რულეტზე თამაშის ამბავს. ეს კი სინამდვილეში ლამის პირველზე უფრო საგულისხმო იყო. მართალია, ბეზიამ ორჯერ გაუმეორა გენერალს, ჩემგან ფულს ნუ ელიო, მაგრამ იმედის გადანყვეტა მაინც არ შეიძლებოდა. აგერ, გენერლის საქმეებში ჩარეული დე გრიე ხომ არ კარგავდა იმედს. დარწმუნებული ვარ, არც გენერლის საქმეებში ასევე ჩარეული m-lle Blanche (აბა რა, ქალი გენერლის მეუღლეობასა და კარგა დიდ მემკვიდრეობას უმიზნებს!) დაკარგავდა იმედს და არაფერს დაიშურებდა ბეზიას მოსახიბლავად. განა ამპარტავანი პოლინაა, რომელსაც არც მილაქუცება შეუძლია

და არც ქედის მოხრა. მაგრამ ახლა, როცა ბებია ასე გამოიჩინა თავი რულეტის მაგიდასთან, ახლა, როცა ბებიას პიროვნება ასე თვალნათლივ და დამახასიათებლად გამომჟღავნდა (ერთი ჟინიანი, უფლების მოყვარე დედაბერი et tombée en enfance), — მგონი, მართლა დაიღუპა საქმე. ახლა ბებია ხომ პატარა ბავშვივითაა გახარებული, ამისთანა რამეს რომ მიაკვლია, და, როგორც წესი, ყველაფერს წააგებს. „ღმერთო! — ვიფიქრე (სულო ცოდვილო, ღვარძლიანი ღიმილით), — წელან ბებიას მიერ ჩამოსული ყოველი ფრიდრიხსდორი ხომ ეკლად ესობოდა გენერლის გულს, ბრაზით ხეთქავდა დე გრიეს და გაცოფებამდე მიჰყავდა m-lle de Cominges, რომელსაც პირიდან აცლიდნენ ლუკმას. ან თუნდაც ეს ამბავი: მოგებით გახარებული ბებია ყველას რომ ურიგებდა ფულს და ყოველი გამვლელი მათხოვარი ეგონა, მაშინაც კი წამოსცდა გენერლის მისამართით: „შენ მაინც არაფერს მოგცემ!“ მაშასადამე, ეს აზრი გასჯდომია თავში, აუკვიატებია და ასეთი სიტყვა მიუცია თავისთვის. „არა, მართლაც ცუდადაა საქმე!“

აი, ამაზე ვფიქრობდი, როცა ბებიასგან წამოსული სადარბაზო კიბით ზემოთ, ჩემს ოთახში ავდიოდი. ეს ყველაფერი მეტისმეტ ცნობისწადილს აღმიძრავდა. რა თქმა უნდა, წინათაც შემეძლო ამ მთავარი ხლართების გამოცნობა, რაც გენერლის გარშემო მყოფებს აკავშირებდათ, მაგრამ თამაშის ყველა ხერხი და საიდუმლო ჩემთვის მთლად მაინც არ იყო გარკვეული. პოლინას თავის დღეში ბოლომდე არ გადაუშლია ჩემთან გული. მართალია, შიგადაშიგ, თითქოს უნებურად, გულახდილობას იჩენდა, მაგრამ შემჩნეული მქონდა, რომ ხშირად, თუმცა ხშირად კი არადა, თითქმის ყოველთვის ან ყველაფერს გაამასხრებდა, ან განზრახ აბურღავდა და მცდარად მომაჩვენებდა. ჰოი, იგი ბევრ რამეს მიმაღავდა! ასეა თუ ისე, იმას კი ვგრძნობდი, რომ ამ იღუმალსა და დაძაბულ მდგომარეობას სადაცაა ბოლო უნდა მოეღოს. კიდევ ერთი დარტყმა და ყველაფერი დამთავრებული და გამჟღავ-



ნებული იქნება. ჩემი ბედი თითქოს სულ არ მადარდებდა, მერე რა, რომ მეც დაინტერესებული ვიყავი. ისე კი, მართლა უცნაურია ჩემი ამბავი: ჯიბეში კაცს სულ ოცი ფრიდრიხსდორი მიჭყავის, ამ უცხო მხარეში გადმოკარგული, უადგილოდ და უსახსროდ ვგდივარ, საიმედო წინ არაფერი მელის და... მაინც არაფერზე ვნაღვლობ! პოლინაზე ფიქრი რომ არ მანუხებდეს, ძალიანაც გამართობდა მოახლოებული დასასრული და გულიანად ვიხარხარებდი. ოღონდაც პოლინა მაფიქრებს; ვიცი, მისი ბედი წყდება, გული მიგრძნობს, მაგრამ, სულ ცოდვილო და, მისი ხვედრი სრულებით არ მადარდებს. მე მისი საიდუმლოებანი მინდა გავიგო. მინდა მოვიდეს ჩემთან და მითხრას: „მე შენ მიყვარხარ“, ხოლო თუ ეს არ მოხდა, თუ ეს ჩემი გიჟური ოცნება აუხდენელი დარჩა, მაშინ... ჰო, მაშინ რაღა ვინდომო? განა ვიცი კი, რა მინდა? მე თვითონ გზააბნეულივით ვარ; მხოლოდ მის გვერდით მინდა ვიყო, მისი შუქი, მისი შარავანდედი მეფრქვეოდეს მუდამ, ყოველთვის, მთელი სიცოცხლე, სხვა არაფერი მსურს! ან როგორ შემიძლია დავშორდე?

მესამე სართულზე მათი დერეფანი რომ ჩავიარე, თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა. მოვიხედე და ოციოდე ნაბიჯზე პოლინა დავინახე. ოთახიდან გამოდიოდა, თითქოს მიდარაჯებდა, მაშინვე თითით მიმიხმო.

— პოლინა ალექსანდროვნა...

— ჩუმად! — გამაფრთხილა მან.

— იცი, ეს წუთია თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა, — ვუთხარი მეც ჩურჩულით, — მოვიხედე და თქვენ დაგინახეთ! ელექტროდენი ხომ არ მოდის თქვენგან!

პოლინამ ალბათ ვერც გაიგონა, რა ვუთხარი. რაღაცას ფიქრობდა და მოღუშულმა მითხრა:

— აი, ეს წერილი წაიღეთ და მისტერ ასტლეის პირადად გადაეცით, ამწუთსვე. გთხოვთ, იჩქაროთ. პასუხი არ არის საჭირო, თვითონ...



პოლინამ აღარ დაამთავრა. გაოცებული ჩავეკითხე: „მისტერ ასტლეის-მეთქი?“

მაგრამ პოლინა უკვე კარს მიეფარა.

— ოჰო, თურმე მინერ-მონერაც ჰქონიათ! — რა თქმა უნდა, მაშინვე გავვარდი მისტერ ასტლეის მოსაძებნად. ჯერ სასტუმროში მივაკითხე. იქ რომ არ დამხვდა, ვოკსალში წავედი და მთელი დარბაზები შემოვირბინე, გულდანყვეტილი და ლამის სასონარკვეთილი შინისკენ რომ წამოვედი, შემთხვევით შემომხვდა გზაში. ვილაც ინგლისელების კავალკადას მოჰყვებოდა ცხენით. თითი დავუქნიე, გაჩერდა და წერილი მივეცი. ერთმანეთის შეხედვაც კი ვერ მოვასწარი. მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ მისტერ ასტლეიმ განზრახ გააჭენა მაშინვე ცხენი.

შემომენტო კი ეჭვის ცეცხლი? არ ვიცი, ისე ვიყავი სულიერად განადგურებული. იმის გაგებაც კი არ მინდოდა, რის თაობაზე ჰქონდათ მიმონერა. მაშასადამე, იგი პოლინას მესაიდუმლეს! „მეგობრობა მეგობრობაა, — ვფიქრობდი ჩემთვის (მაინც როდის მოასწრო მეგობრად გახდომა), — მაგრამ სიყვარული თუ არის აქ? — რა თქმა უნდა, არა“, — ჩამჩურჩულებდა გონება. თუმცა ასეთ ამბებში მარტო გონება რას გიშველის. ასე თუ ისე, ესეც უნდა გამერკვია. საქმე მოულოდნელად გართულდა.

სასტუმროში შესვლა ვერ მოვასწარი, რომ მეკარემ და თავისი ოთახიდან გამოსულმა ობერკელნერმა მითხრეს, თქვენ გეძებენ, სამჯერ გამოგზავნეს კაცი იმის გასაგებად, სად ხართო! გთხოვენ, გენერლის სადგომში აბრძანდეთ საჩქაროდ. ძალზე ცუდ გუნებაზე ვიყავი. გენერლის კაბინეტში მის გარდა დე გრიე და m-lle Blanche დამხვდნენ. დედა არ ახლდა. არა, ნამდვილად არ იყო დედამისი, მხოლოდ საჭიროების დროს, გამოსაჩენად გამოჰყავდათ სცენაზე. როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, m-lle Blanche მარტო აკვარახჭინებდა ყველაფერს. არა მგონია, იმ ქალს რამე სცოდნოდა თავისი შვილობილის საქმეების შესახებ.

სამივენი რალაცაზე გაცხარებით ბჭობდნენ. კაბინეტის კარიც მოეხურათ, ეს კი არასდროს უქნიათ. კართან რომ მივედი, ხმამალალი ლაპარაკი შემომესმა. დე გრიე თავხედურად და გესლიანად ლაპარაკობდა, m-lle Blanche გააფთრებული კიოდა, გენერალი კი საცოდავად იმართლებდა თავს. ჩემს დანახვაზე ხმას დაუნიეს და თავი შეიკავეს. დე გრიემ თმა გაისწორა და გაბრაზებულ სახეზე ღიმილი აიფარა — ო, როგორ მეზიზღება ეს საძაგელი, ოფიციალური, თავაზიანი წმინდა ფრანგული ღიმილი. განადგურებულმა და დაბნეულმა გენერალმა მედიდური იერი მიიღო, თუმცა, მგონი, ანგარიშმიუცემლად. მხოლოდ m-lle Blanche-მა შეინარჩუნა მრისხანე გამომეტყველება, ოღონდაც გაჩუმდა და მოუთმენელი მზერა მომაპყრო. უნდა ვთქვა, რომ აქამდე საოცრად აგდებულად მექცეოდა, სალამზეც არ მპასუხობდა, უბრალოდ ვერც მამჩნევდა.

გენერალმა ნაზი საყვედურით დაიწყო:

— ალექსეი ივანოვიჩ, ნება მიბოძეთ, გითხრათ, თქვენი საქციელი ჩემი და ჩემი ოჯახისადმი... ერთი სიტყვით, უალრესად საკვირველია... დიახ, დიახ, უალრესად საკვირველი გახლავთ...

— Eh! ce n'est pas ça, — წყენით და ზიზღით გაანწყვეტინა დე გრიემ (არა, აქ მართლა ის იყო ყველაფრის უფროსი!), — mon cher monsieur, notre cher général se trompe,<sup>1</sup> ასეთი კილოთი რომ მოგმართათ (მის სიტყვებს რუსულად განვაგრძობ), მაგრამ უნდოდა ეთქვა... ანუ მხოლოდ გაეფრთხილებინეთ, უფრო სწორად, სულით და გულით ეთხოვა, რომ ნუ დაღუპავთ! დიახ, დიახ, ნუ დაღუპავთ! სწორედ ამ გამოთქმას ვხმარობ...

— კი მაგრამ, რა გავაკეთე? — გავანწყვეტინე.

— რა და იმ დედაბრის, cette pauvre terrible vieille-ის<sup>2</sup> ხელ-

<sup>1</sup> თქვენ ისე ვერ ეუბნებით... ჩემო ძვირფასო, ჩვენი საყვარელი გენერალი ცდება (ფრანგ.).

<sup>2</sup> ამ საცოდავი, საშინელი დედაბრის (ფრანგ.).

მძღვანელობა რომ იკისრეთ (თუ როგორ ვთქვა?), — აერია სიტყვა დე გრიესაც. — ის ხომ მართლა წააგებს ყველაფერს! ხომ თქვენი თვალთ ნახეთ და მოწმე იყავით მისი თამაშის. რამდენჯერმე თუ წააგო, მერე ველარც მოაშორებ მაგიდას, ჯიბრზე ითამაშებს და ითამაშებს... ასეთ შემთხვევაში კი თავის დღეში ვერავინ იგებს, მაშინ კი... მაშინ...

— მაშინ ჩემს ოჯახს დალუბავთ! — გააგრძელა გენერალმა, — მისი მემკვიდრეები მე და ჩემი ოჯახი გახლავართ, ჩვენს მეტი ახლო ნათესავი არავინ ჰყავს. გულახდილად გეტყვით: საქმეები ძალიან, დიახ, დიახ, ძალიან აწეწილი მაქვს. ნაწილობრივ იცით ალბათ... მან რომ საკმაოდ დიდი თანხა, ან, ვთქვათ, მთელი ქონება წააგოს (ოჰ, ღმერთო ჩემო!), რა დღეში ჩაცვივდებიან ჩემი შვილები (გენერალმა დე გრიეს შეხედა)! რა მომივა მე (გენერალმა ახლა mademoiselle Blanche-ს გადახედა, რომელმაც ზიზლით აქცია ზურგი)! გვიხსენით, ალექსეი ივანოვიჩ, გვიშველეთ ყველას..

— მე რა შემიძლია, გენერალო... ან ჩემზე რაა დამოკიდებული?

— უარი უთხარით, მიატოვეთ!..

— ჩემ მაგივრად სხვას მოძებნის! — შევძახე მე.

— Ce n'est pas ça, ce n'est pas ça, — გაანყვეტინა ისევ დე გრიემ, — que diable! არა, არ მიატოვოთ, მაგრამ დაარიგეთ, ნამუსში ჩააგდეთ, სხვაზე გადაუტანეთ ყურადღება... ამდენს მაინც ნუ წააგებინებთ, რალაცით დააინტერესეთ.

— მერედა როგორ მოვახერხო? იქნებ თქვენვე იკისროთ, monsieur დე გრიე, — დავძინე, რაც შეიძლება მიამიტად.

არ გამომჰპარვია, რა ანთებული მზერა ესროლა mademoiselle Blanche-მა დე გრიეს. თვითონ დე გრიესაც აშკარად რალაც უჩვეულო გულახდილობა გაუკრთა სახეზე. რალაც ენიშნა თითქოს.

— საქმეც ის არის, რომ ახლა არ გამიკარებს! — შესძახა დე გრიემ და ხელი ჩაიქნია, — რომ შეიძლებოდეს! შემდეგ თუ...



დე გრიემ მრავლისმეტყველად შეხედა mademoiselle Blanche-ს.

— O mon cher monsieur Alexis, soyez si bon<sup>1</sup>, — მომაჯადოებელი ღიმილით მომიახლოვდა mademoiselle Blanche და ხელები დამიჭირა. ეშმაკმა დალახვროს, ამ ალქაჯს წამში შესძლება ფერისცვალება! აი, ამნუთას ისეთი ვედრება, ისეთი საყვარელი, ბაღღური, ცელქი ღიმილი გამოეხატა სახეზე, ისე ეშმაკურად ჩამიკრა თვალი ყველას უჩუმრად; ნეტავ ჩემი ხელდახელ მონადირება ხომ არ გადაწყვიტა? ოსტატურად კი გამოუვიდა, ოღონდაც ძალზე ტლანქად და გულის ამრევად.

მის კვალდაკვალ გენერალიც მომვარდა, მართლაც რომ მომვარდა:

— მაპატიეთ, ალექსეი ივანოვიჩ, წელან რომ ასე დავინყე, სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა... გთხოვთ, გემუდარებით, ჩვენებურად, რუსულად მდაბლად გიკრავთ თავს, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩვენი ხსნა. მე mademoiselle de Cominges-სთან ერთად გემუდარებით, გესმით თუ არა? — მეხვეწებოდა გენერალი და თვალით მანიშნებდა m-lle Blanche-ზე. საცოდავი სანახავი იყო.

იმავე წუთს კარზე სამჯერ ნელა და მორიდებით მოაკაკუნეს. დერეფანში ამ სართულის მსახური იდგა, უკან კი, რამდენიმე ნაბიჯზე, პოტაპიჩი ჩანდა. ეს ელჩები ბებიას გამოეგზავნა. ჩემზე ებრძანებინა, სასწრაფოდ მონახეთ და მომიყვანეთო. ჯავრობსო, — მითხრა პოტაპიჩმა.

— ჯერ ხომ ოთხის ნახევარია!

— ვერ დაიძინა, ბატონო, სულ ტრიალებდა, მერე უცებ ადგა, ბრძანა, სავარძელში ჩამსვითო, და თქვენთან გამოგვგზავნა. ახლა უკვე პარმალზე გახლავთ...

— Quelle mégeré!<sup>2</sup> — შეჰყვირა დე გრიემ.

---

1 ოჰ, ძვირფასო ალექსეი, დაგვდეთ პატივი (ფრანგ.).

2 ეს რა აფთარი ყოფილა (ფრანგ.).

ბებია მართლაც პარმალზე დამხვდა. გულს ასკდებოდა, ამდენ ხანს რომ ვერ მიპოვეს. ოთხ საათამდე ველარ დაეცადა.

— აბა, ამწიეთ! — შესძახა მან და ყველანი ისევ რულეტისკენ გავემართეთ.

## თავი მეთორმეტი

ბებია გაგულისებული იყო, მოუთმენლად ცმუტავდა. ეტყობა, რულეტზე ფიქრი თავში ღრმად გასჯდომოდა. დანარჩენს ყურადღებას უკვე აღარ აქცევდა. წელანდელივით გზაში აღარაფერს მეკითხებოდა. ერთმა მდიდრულმა ეტლმა რომ ჩაგვიქროლა გვერდით, მაშინ კი ასწია ხელი და მკითხა: „რა არის? ვისია?“ მაგრამ, მგონი, პასუხი არც გაუგია. ხან ჩაფიქრდებოდა, მაგრამ მეტწილად მოუთმენლად ცმუტავდა. ვოკსალს რომ მივუახლოვდით და შორიდან ბარონი ვურმერ-ჰელმი და მისი მეუღლე დავანახვე, ბებიამ უგულისყუროდ შეხედა, „ჰოო!“ — ჩაილაპარაკა გულგრილად და მყის უკან მომავალ პოტაპიჩს და მარფას მიუბრუნდა:

— თქვენ რალას მომდევთ? ყოველდღე ხომ ვერ წაგიყვანთ! ახლავე შინ გასწით! — როცა მსახურებმა საჩქაროდ თავი დაუკრეს და შინისკენ გაბრუნდნენ, მითხრა, — შენ ერთიც საკმარისი იქნები.

ვოკსალში უკვე ელოდნენ ბებიას. მაშინვე გაუთავისუფლეს კრუპიეს გვერდით ადგილი. ჩემი აზრით, ეს კრუპიეები, მუდამ ასე დინჯად რომ იქცევიან და თავი ჩვეულებრივ მოხელეებად მოაქვთ, რომელთათვისაც ვითომ სულერთია, მოიგებს თუ წააგებს ბანკი, სინამდვილეში ასე გულგრილად როდი უყურებენ წაგებას. რა თქმა უნდა, დარიგებულები არიან მოთამაშეთა მოსაზიდად და სახაზინო ინტერესების დასაცავად და ამისთვის პრიზებსა და პრემიებს იღებენ. ყოველ შემთხვევაში, ბებიას ისინი უკვე თავის მსხვერპლად მიიჩნევდ-

ნენ. შემდეგ ისე მოხდა, როგორც ჩვენები ვარაუდობდნენ. აი, როგორ იყო ყველაფერი.

ბებია მაშინვე zéro-ს მიაფრინდა და მიბრძანა, თორმეტ-თორმეტი ფრიდრიხსდორი ჩადიო. ჩავედი ერთხელ, მეორედ, მესამედ — zéro არ გამოვიდა. „ისევ ჩადი, ჩადი!“ — ხელს მკრავდა სულწასულობისგან ბებია, მეც ვემორჩილებოდი.

— რამდენი წავაგეთ? — მკითხა ბოლოს და მოუთმენლობისგან კბილები გააკრაჭუნა.

— უკვე მეთორმეტეჯერ ჩავედით, ბებია, ას ორმოცდაოთხი ფრიდრიხსდორი დავკარგეთ. სალამომდე იქნებ არც...

— ხმა-კრინტი! — გამანყვეტინა ბებიამ, — ჩადი zéro-ზე და წითელზეც ათასი გულდენი დადე. აჰა, ფული.

წითელზე კი გამოვიდა, მაგრამ zéro-ს მაინც არ დაადგა საშველი. ათასი გულდენი დაგვიბრუნეს.

— ხედავ, ხედავ! — მიჩურჩულა ბებიამ, — რაც წავაგეთ, თითქმის დავიბრუნეთ. ახლა ისევ zéro-ზე დადე, ათჯერ კიდევ ვცადოთ და მერე თავი გავანებოთ.

მაგრამ მეხუთე ჯერზე ბებიას მოეწყინა.

— გაანებე თავი მაგ ოხერ zéro-ს, აჰა, ეს ოთხი ათასი გულდენი და წითელზე დადე, — მიბრძანა ბებიამ.

— ბევრი იქნება, ვაითუ, წითელი არ გამოვიდეს, — შევებენე, მაგრამ ბებიამ კინალამ მცემა (თუმცა ისეთ მუჯლუგუნებს მკრავდა, ცემას თითქმის არაფერი აკლდა). სხვა რა გზა იყო, ჩავედი ისევ წითელზე წელან მოგებული ოთხი ათასი გულდენი. ბორბალი დატრიალდა. ბებია დინჯად, ამაყად იჯდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მოიგებდა.

— Zéro! — გამოაცხადა კრუპიემ.

ბებია ვერ მიხვდა, მაგრამ როცა დაინახა, კრუპიემ მისი ოთხი ათასი გულდენი მაგიდაზე დაყრილ სხვა ფულთან ერთად მიიხვეტა, ხოლო zéro, რომელსაც გამოსვლა არ ეღირსა და თითქმის ორასი ფრიდრიხსდორი დააკარგვინა, თითქოს მის ჯიბრზე მაშინ გამოხტა, როცა ბებიამ შეუკურთხა და თავი



მიანება, ხმამაღლა შეიცხადა და ხელები გაასავსავა. ირგვლივ სიცილი ატყდა.

— ღმერთო ჩემო! ამ წყეულს ვერ უყურებ, როდის გამოხტა! — მოთქვამდა ბებია. — დახე, რა შეჩვენებული ყოფილა! სულ შენი, შენი ბრალია! — მეცა გამძვინვარებით. — შენ გადამათქმევინე.

— ბებია, მე ჭკვიანურად გირჩიეთ, მაგრამ რა გამოვა, აბა, რა ვიცი?

— მე შენ გიჩვენებ, რა ვიციო! მომწყდი თავიდან! — განრისხებით ჩურჩულებდა იგი.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბებია! — გავტრიალდი წასასვლელად.

— ალექსეი ივანოვიჩი, ალექსეი ივანოვიჩი, დარჩი, სად მიდიხარ? რა იყო ვითომ? უყურე ერთი, ეწყინა! ჩერჩეტი! ცოტა ხანს კიდევ დარჩი, გული ნუ მოგდის. მეც კარგი სულელი ვარ! აბა, მითხარი, რა ვქნა ახლა!

— ვერაფერს გეტყვით, ბებია, თორემ ისევ მე დამაბრალებთ. თვითონ ითამაშეთ. მიბრძანეთ და ჩავალ.

— კარგი, კარგი! აგერ ეს ოთხი ათასი გულდენი ისევ წითელზე ჩადი! აჰა, საფულე გამომართვი, — ბებიამ ჯიბიდან საფულე ამოიღო და მომცა, — ჩქარა წაიღე, აქ ოცი ათასი რუბლი იქნება.

— ბებია, ამდენი ფული... — წავჩურჩულე მე.

— მოვკვდები და მაინც ამოვიგებ. ჩადი-მეთქი! — ჩავედი და წავაგე.

— ჩადი, ჩადი, რვა ათასი ერთად ჩადი!

— არ შეიძლება, ბებია, ოთხი ათასზე მეტის ჩასვლა არ იქნება!..

— მაშ, ოთხი ჩადი!

ამჯერად მოვიგეთ. ბებიას გული მოეცა, — ხედავ, ხედავ! — ხელი მკრა მან, — ისევ ოთხი ჩადი!

ჩავედი და წავაგე; შემდეგ კიდევ და კიდევ წავაგეთ.

— ბებია, თორმეტი ათასი მთლიანად დავკარგეთ, — მოვახსენე.

— ვხედავ, რომ დავკარგეთ, — წაილაპარაკა მან, თუ შეიძლება ასე ითქვას, დინჯი სიბრაზით, — ვხედავ, შვილოსა, ვხედავ, — ბუტბუტებდა იგი და ჩაფიქრებული მიშტერებოდა რალაცას, — ეჰ, რაც იყოს, იყოს, ოთხი ათასი გულდენი კიდევ ჩადი!

— ფული მეტი აღარ დარჩა, ბებია. საფულეში ჩვენი ხუთპროცენტიანებია და კიდევ რალაც ფულადი გზავნილები, ფული კი არ არის!

— ქისაში?

— ქისაში ხურდაა მხოლოდ.

— აქ თუა ზარაფხანები? მითხრეს, ჩვენი ბილეთების გადახურდავება შეიძლებაო, — მტკიცედ მკითხა ბებია.

— ო, რამდენიც გნებავთ! მაგრამ გადახურდავებისას იმდენს დაკარგავთ... ურიასაც კი მეხი დაეცემა!

— ნუ ჩმახავ რალაცას! ამოვიგებ ისევ! წამიყვანე! აბა, ერთი იმ დოკლაპიებს მიხმე!

გამოვაგორე სავარძელი, მებარგულებს დავუძახე და ვოკსალიდან გამოვედით.

— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა! — მბრძანებლობდა ბებია, — გზა გვიჩვენე, ალექსეი ივანოვიჩი, მოკლეზე წავიდეთ... შორსაა კიდევ?

— ორ ნაბიჯზეა, ბებია!

მაგრამ სკვერიდან რომ გადავუხვიეთ, ხეივანში მთელი ჩვენი საზოგადოება შემოგვეყარა: გენერალი, დე გრიე, m-lle Blanche და დედამისი. პოლინა არ იყო მათთან, არც მისტერ ასტლეი.

— აბა, აბა! არ გააჩეროთ! — კიოდა ბებია, — რა გინდათ? თქვენთვის არ მცალია!

მე უკან მივყვებოდი. დე გრიე მომვარდა.

— წელანდელი მონაგები და კიდევ თავისი თორმეტი ათა-

სი სულ წააგო. ახლა ხუთპროცენტეანების გადასაცვლელად მივდივართ, — სწრაფად ვუჩურჩულე.

დე გრიემ გაშმაგებით დაჰკრა ფეხი და გენერალს მიეჭრა ამ ამბის მოსახსენებლად. ჩვენ არ გავჩერებულვართ.

— გააჩერეთ, გააჩერეთ! — ჩამჩურჩულა გააფთრებით გენერალმა.

— თვითონ სცადეთ და გააჩერეთ, — წავულაპარაკე ჩუმად. გენერალი სავარძელს მიუახლოვდა.

— მამიდა, მამიდა! ჩვენ ახლა... — უთხრა გენერალმა აკანკალებული, ჩამწყდარი ხმით, — ცხენებს დავიქირავებთ და ქალაქგარეთ გავისეირნებთ... თვალწარმტაცი სანახაობაა... პუატი... გვინდოდა თქვენც დაგვეპატიეთ.

— მომწყდი თავიდან შენი პუატი! — გაგულისებით აუქნია ხელი ბებია.

— იქ სოფელია... ჩაის დავლევთ... — განაგრძო უკვე სასწონარკვეთილმა გენერალმა.

— Nons boirons du lait, sur l'herbe fraiche<sup>1</sup>, — დაუმატა საოცარი მძვინვარებით დე გრიემაც.

Du lait, de l'herbe fraiche — ამაზე მეტი იდეალი ხომ არც არსებობს პარიზელი ბურჟუისთვის. როგორც ცნობილია, ამ თვალსაზრისით უყურებს იგი „nature et la vérité“-ს<sup>2</sup>.

— დამეკარგე შენი რძიანად: თუ გინდა, თვითონ თქვლიფე, მე კი მუცელს მატკივებს ხოლმე. ან კი რას ჩამაცვივდით?! — აყვირდა ბებია, — ხომ გითხარით, არ მცალია-მეთქი!

სავარძელი ბანკირის კანტორასთან მივაგორეთ. ბებია სადარბაზოსთან დარჩა, მე კი ბილეთების გადასახურდავებლად შევედი. დე გრიე, გენერალი და m-lle Blanche მოშორებით დადგნენ. არ იცოდნენ, რა ექნათ, მაგრამ ბებია მწყრალად დაუბღვირა და ისინიც ვოკსალისკენ გაბრუნდნენ.

---

1 ჩვენ იქ რძესაც დავლევთ ქორფა ბალახზე (ფრანგ.).

2 „ბუნება და ჭეშმარიტება“ (ფრანგ.).



კანტორაში ისეთი საშინელი ანგარიშსწორება შემომთავაზეს, გადახურდავება ვერ გავბედე და ბებიასთან გამოვბრუნდი საკითხავად.

— აი, ეგ ყაჩაღები, ეგენი! — ხელი ხელს შემოჰკრა ბებიამ, — თუმცა რას იზამ! გადაცვალე! — შესძახა მან გადაჭრით, — დაიცა, აბა, ერთი ბანკირს დამიძახე!

— კანტორის თანამშრომელი რომ იყოს, ბებია?

— სულერთია, ვინც იქნება. ჰაიტი, ეგ ყაჩაღები!

კანტორის თანამშრომელს რომ ვუთხარი, გარეთ მოხუცებული, სნეული გრაფინია გელოდებათ, რომელსაც სიარული არ შეუძლია-მეთქი, დამთანხმდა და ბებიასთან გამომყვა. ბებია დიდხანს ამუნათებდა ხმამაღლა და რისხვით, ამისთანა თაღლითობა არ შეიძლებაო, და ნახევრად რუსულად, ნახევრად ფრანგულად და გერმანულად ევაჭრებოდა. მეც ვეხმარებოდი, ვთარჯიმნობდი. კანტორის დინჯი თანამშრომელი გვიყურებდა და უარის ნიშნად თავს უხმოდ აქნევდა. რალაც მეტიმეტი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ბებიას, ეს კი მართლა უზრდელობა იყო. ბოლოს ღიმილიც მოერია.

— მომწყდი აქედან! — დაუტატანა ბებიამ, — აგრემც დაუხრჩვიხარ ჩემს ფულს! მიდი, გადაახურდავებინე, ალექსეი ივანოვიჩი, არ მცალია, თორემ სხვასთან წავიდოდი...

— ეგ ამბობს, სხვები უფრო ნაკლებს მოგცემენო.

დანამდვილებით არ მახსოვს, რამდენზე გადაგვიხურდავეს, მაგრამ რალაც საშინელება კი იყო. გადავახურდავე თორმეტი ათას ფლორინამდე, ოქროთი, და ბებიას ფული გამოვუტანე.

— კარგი, კარგი, რა დროს დათვლაა, — ხელი ამიქნია ბებიამ, — აბა, ჩქარა წავიდეთ!

— იმ წყეულ zéro-ზე და წითელზე არამც და არამც აღარ ჩავალ, — წაილაპარაკა ვოკსალთან მიახლოებისას.

ამჯერად მართლა გულით შევეცადე დამეყოლიებინა ბებია ცოტ-ცოტას ჩასულიყო. ვარწმუნებდი, თუ საქმე კარგად

წავიდა, დიდი ფულის ჩასვლა მაშინაც შეიძლება-მეთქი. ბებია ჯერ დამთანხმდა, მაგრამ თამაში რომ დაიწყო, მოთმინება არ ეყო და ველარ დავაოკე. როგორც კი ათ, თორმეტ ფრიდ-რიხსდორს მოვიგებდით, მაშინვე მუჯღუგუნებს მკრავდა, — „ხედავ, ხედავ, ხომ მოვიგეთ — ათის მაგიერ რომ ოთხი ათასს ჩავსულიყავით, ოთხი ათასს მოვიგებდით, ახლა კი რა გამოვიდა? სულ შენი ბრალია!“

ბოლოს მეც გავჩუმდი და გადავწყვიტე, აღარაფერი მერჩია, თუმცაღა მისი თამაშის ცქერა გულს მიწუხებდა.

უცებ დე გრიე მოვარდა ჩვენს მაგიდასთან. სამივენი ჩვენ გვერდით იდგნენ. თვალი მოვკარი, m-lle Blanche თავისი დედისკოთი განზე გამდგარიყო და პატარა თავადს ეარშყებოდა. აშკარად შერისხულ გენერალს ზედაც არ უყურებდა, თუმცა საწყალი თვალ-წარბში შესცივინებდა, ფერფური მისდიოდა, ცახცახებდა და ბებიას თამაშსაც კი აღარ ადევნებდა თვალს. ბოლოს Blanche და თავადი გავიდნენ. გენერალი უკან გაეკიდა.

— Madame, madame, — დათაფლული ხმით ჩასჩურჩულებდა ყურში ბებიას დე გრიე, — madame, ასე არაფერი გამოვა... არა, ასე არ შეიძლება... — ამტვრევდა იგი რუსულს, — არა-მეთქი!

— შენც მოდი და მასწავლე, როგორ უნდა! — მოუბრუნდა ბებია. დე გრიე მყის დაფაცურდა, ფრანგულად აჭიკჭიკდა, ურჩევდა, უნდა დაიცადოთ, დრო შეარჩიოთ, რაღაც ციფრებს ანგარიშობდა... ბებია ვერაფერი გაუგო. დე გრიე წარამარა მთხოვდა, გადაუთარგმნეო. მაგიდას თითს ატაკებდა, აჩვენებდა. ბოლოს ფანქარს დასტაცა ხელი და ქალაღდზე გამოანგარიშება დაიწყო. ბებიას მოთმინება გაუნყდა.

— მომშორდი აქედან! რაღაც სისულელეებს როშავ! „Madame, madame“, თვითონ კი არაფერი გაგეგება, მომწყდი-მეთქი თავიდან!

— Mais, madame, — აჟღურტულდა დე გრიე და კვლავ დარიგებასა და ჩვენებას მოჰყვა. ეტყობა, ეშხში შევიდა.

— აბა, ჩადი ერთი, როგორც გეუბნება, ვნახოთ, იქნებ მართლა გამოვიდეს, — მიბრძანა ბებია.

დე გრიეს მხოლოდ ის ანუხებდა, ბებია ბევრ ფულს არ ჩასულიყო. ამიტომ ურჩევდა, ფული ციფრებზე დადეთ, ზოგან ცალ-ცალკე და ზოგან ერთად. მისი მითითებით თითო-თითო ფრიდრიხსდორი დავდე პირველიდან თორმეტამდე კენტრიცხვებზე და ხუთ-ხუთი ფრიდრიხსდორი თორმეტიდან თვრამეტამდე და თვრამეტიდან ოცდაოთხამდე. სულ თექვსმეტი ფრიდრიხსდორი ჩავედი.

ბორბალი დატრიალდა. Zéro! — გამოაცხადა კრუპიემ. ყველაფერი წავაგეთ.

— აი, შე ბაიყუშო! შე საძაგელო კაცუნა! — დაუტატანა ბებია დე გრიეს, — კარგი რჩევა კი სცოდნია ამ საზიზლარს! წადი, დამეკარგე აქედან! არაფერი გაეგება და მაინც ეჩრება!

უზომოდ განაწყენებულმა დე გრიემ მხრები აიჩეჩა, ბებიას ზიზლით გადახედა და გაშორდა. თვითონვე შერცხვა, რომ ველარ მოითმინა, ბრაზობდა, როგორ ავყევით?!

ყველანაირი ცდის მიუხედავად, ერთი საათის შემდეგ უკვე ყველაფერი წაგებული გვქონდა.

— აბა, შინისკენ! — დაიძახა ბებია.

ხეივანამდე კრინტი არ დასცდენია. მაგრამ ხეივანში რომ შევუხვიეთ და სასტუმროს გზას დავადექით, მაშინ კი აღმოხდა:

— ვაი, ჩერჩეტო ჩემო თავო! ვაი, შე ბებერო, ბებერო სულელო!

ავედით თუ არა ბინაში, ბებია მაშინვე დაიძახა:

— აბა, ჩქარა ჩაი და ახლავე მოემზადეთ, მივდივართ!

— სად მივდივართ, ქალბატონო? — შეჰკადრა მარფამ.

— შენ ვინ გეკითხება? დაეტიე შენს ტყავში! პოტაპირ, ბარგი ჩაალაგე. უკან, მოსკოვში მივემგზავრებით! თხუთმეტი ათასი რუბლი წავაგე ვერცხლით!

— თხუთმეტი ათასი! ღმერთო ჩემო! — შეიცხადა პოტა-



პირმა და ხელები გაასავსავა, ალბათ ბებიასთან თავი რომ გამოეჩინა.

— უყურე ამ სულელს! უკვე ზმუკუნი დამიწყო! ხმა-კრინტი! ბარგი ჩაალაგე! ჩქარა ანგარიში მომიტანონ!

— მატარებელი ათის ნახევარზე გადის, ბებია, — მოვახსენე ბებიას, იქნებ ცოტა დაოკდეს-მეთქი.

— ახლა რამდენია?

— რვის ნახევარი.

— აფსუს! თუმცა რა მნიშვნელობა აქვს! ალექსეი ივანოვიჩი, კაპიკი აღარ მაქვს. აჰა, გაიქეცი, ეს ორი ბილეთი გადამიხურდავე. თორემ წასასვლელი ფული აღარ დამრჩა.

როცა ნახევარი საათის შემდეგ სასტუმროში მოვბრუნდი, ჩვენები ბებიასთან დამხვდნენ. ბებიას გამგზავრების ამბავმა, მგონი, ფულის წაგებაზე უფრო შეაძრწუნა ყველა. მართალია, ბებიას გამგზავრებით მის ქონებას საშიშროება აღარ ელოდა, მაგრამ გენერალს რაღა ეშველებოდა? დე გრიეს ვინ გადაუხდიდა ვალს? m-lle Blanche, ცხადია, ბებიას სიკვდილს არ დაუცდიდა და ან პატარა თავადთან, ან სხვა ვინმესთან ერთად გაიპარებოდა. ამიტომაც შემოხვეოდნენ ირგვლივ, ანუ-გეშებდნენ და, დარჩიო, ეხვენებოდნენ. პოლინა არც ახლა იყო აქ. ბებია გააფთრებით უწიოდა სტუმრებს.

— თავი დამანებეთ, თქვე ქაჯებო! რა თქვენი საქმეა? ეს თხისწვერა რაღას გადამეკიდა, — უცაცხანებდა იგი დე გრიეს, — ან შენ რა გინდა, მეტიჩარავ, რას მელაქუცები? — ახლა m-lle Blanche-ს მიუბრუნდა იგი.

— Diantre<sup>1</sup>! — წაიჩურჩულა m-lle Blanche-მა და თვალები დააბრიალა, მერე უცებ გადაიკისკისა და გავიდა.

— Elle vivra cent ans<sup>2</sup>! — მიაძახა გასვლისას გენერალს.

— ოჰო, შენ თურმე ჩემს სიკვდილს ელი? — უკივლა ბე-

---

1 ეშმაკსაც წაუღია (ფრანგ.).

2 ეგ ასი წელი კიდევ იცოცხლებს (ფრანგ.).

ბიამ გენერალს, — მომწყდი აქედან! ყველანი გაყარე, ალექსეი ივანოვიჩი! რა თქვენი საქმეა? ჩემი გავფლანგე, თქვენი ხომ არა!

გენერალმა მხრები აიჩეჩა და წელში მოხრილი გავიდა. დე გრიე უკან მიჰყვა.

— პრასკოვიას დამიძახეთ ერთი, — უბრძანა ბებიამ მარფას.

მარფა და პოლინა ხუთი წუთის შემდეგ მოვიდნენ. მთელი ეს ხანი პოლინა თურმე თავის ოთახში იყო ყმანვილებთან ერთად. დღეს, მგონი, განზრახ არც აპირებდა გამოსვლას, სახეზე სიდინჯე ეხატა. დაღონებული და ჩაფიქრებული იყურებოდა.

— პრასკოვია, — უთხრა ბებიამ, — როგორც ამას წინათ მითხრეს, ეგ შენი სულელი მამინაცვალი თურმე ამ უტვინო და თავქარიანი ფრანგის შერთვას აპირებს, არ ვიცი, მსახიობია თუ კიდევ უარესი, მართალია თუ არა?

— დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, ბებია, — მიუგო პოლინამ, — მაგრამ თვითონ mademoiselle Blanche-ის სიტყვებს თუ დავიჯერებთ, რომელიც არ მალავს...

— საკმარისია! — ენერგიულად გააწყვეტინა ბებიამ, — ყველაფერი მესმის! მისგან მუდამ ამას ველოდი, მუდამ თავცარიელ ქარაფშუტად მიმაჩნდა. იბლინძება, აქაოდა, გენერალი ვარო (გენერლობა კი სამსახურიდან გადადგომისას მიიღო, მანამდე პოლკოვნიკი იყო). მე კი ყველაფერი ვიცი, ტელეგრამას ტელეგრამაზე რომ გზავნიდით მოსკოვში, — „აქაოდა, გაფშიკა თუ არა ფეხები ბებიამ?“ მემკვიდრეობას ელოდით: უფულოდ ეგ უნამუსო გომბიო, de Cominges თუ რა ჯანდაბაა, ლაქიადაც არ დაიყენებს, თანაც მისი ჩადგმული კბილების პატრონს. ამბობენ, თვითონ უამრავი ფული აქვს, ვახშით აძლევსო. შენ, პრასკოვია, არ გადანაშაულებ. ტელეგრამები შენ არ გამოგიგზავნია; არც ძველი ამბები მინდა გაგიხსენო. ვიცი, რა ფხუკიანი ხასიათი გაქვს და რა მწარე კბენა



იცვი ბზიკივით, მაგრამ მაინც მეცოდები: ცხონებული დედაშენი, კატერინა, ძალიან მიყვარდა. ჰოდა, გინდა მიატოვე აქაურობა და ჩემთან წამოდი. შენ ხომ წასასვლელი მაინც არსად გაქვს. ამათთან დარჩენა კი არ შეიძლება შენთვის, სახელი გაგიტყდება. დამაცა! — შეაჩერა ბებია პოლინა, — ჯერ არ დამიმთავრებია. მე შენ არაფერს მოგთხოვ, იცვი, მოსკოვში რა სასახლე მიდგას, გინდა მთელი სართული დაიკავე, თუ ჩემი ხასიათი არ მოგეწონა, კვირაობით ნურც ჩამოხვალ ჩემთან. ჰა, თანახმა ხარ თუ არა?

— ჯერ ეს მიბრძანეთ: მართლა ახლავე მიემგზავრებით?

— ხომ არ გგონია ვხუმრობ, შვილოსა? ვთქვი და მორჩა... მაგ თქვენს წყეულ რულეტს დღეს თხუთმეტი ათასი რუბლი მივაფშვნიტე. ხუთი წლის წინ ღმერთს აღთქმა მივეცი, მოსკოვის ახლოს ჩემს მამულში ხის საყდრის ნაცვლად ქვითკირისას წამოვჭიმავ-მეთქი... ამის მაგივრად კი აქ გავფლანგე ამდენი ფული. ახლა კი წავალ, გენაცვალე, და იქ ქვის ეკლესიას ავაშენებ.

— მერედა წყლებზე არ იმკურნალებით? აქ ხომ მაგისტრის ჩამობრძანდით?

— მომწყდი ერთი მაგ შენი წყლებით! არ გამაბრაზო, პრასკოვია; ჯიბრში ხომ არ მიდგები? შენ ის თქვი, წამოხვალ თუ არა?

პოლინამ გრძნობით უთხრა:

— დიდად გმადლობთ, ბებია, თავშესაფარი რომ შემომთავაზეთ. ჩემი მდგომარეობა ნაწილობრივ გამოიცანით. ისეთი მადლიერი ვარ, მერწმუნეთ; შეიძლება სულ მალე მოგაკითხოთ... ახლა კი იმდენად მნიშვნელოვანი მიზეზები მაქვს... ამწუთას ვერაფერს გადავწყვეტ... აი, ორი კვირა რომ დარჩენილიყავით...

— მაშასადამე, არ გინდა?

— მაშასადამე, არ შემიძლია... თანაც, და-ძმას ვერ მივატოვებ, ხოლო რაკი... მართლა შეიძლება სულ უპატრონოდ



დარჩნენ, მაშინ... მაშინ თუ ერთად შეგვიკედლებთ, რა თქმა უნდა, ჩამოვალ და მერნმუნეთ, ვალში არ დაგრჩებით! — დასძინა პოლინამ გულმხურვალედ, — ბავშვების გარეშე კი, ბებია, არ შემიძლია.

— კარგი, კარგი, ნუ წუნუნებ (პოლინას წუნუნები არც უფიქრია, არც ტირილი სჩვეოდა), — მაგ წინილებისთვისაც მოინახება ადგილი. საქათმე დიდია. თანაც დროა, სკოლაში წავიდნენ... მაშ, არ წამოხვალ? აბა, შენ იცი, პრასკოვია! სიკეთეს გისურვებდი, მაგრამ ხომ ვიცი, რატომაც არ მოდიხარ. მე ყველაფერი ვიცი, პრასკოვია! ეგ ფრანგი ხეირს არ დაგაყრის!

პოლინა წამოენთო. მეც გულზე მომხვდა ეს სიტყვები (თურმე ყველამ იცის! მე ერთს არ მცოდნია არაფერი!).

— აბა, აბა, ნუ იბღვირები... აღარ გავაგრძელებ... ოღონდაც ფრთხილად, ცუდი არაფერი მოხდეს, გაიგე? ჭკვიანი გოგო ხარ; და მენანები... ჰოდა, კმარა, ნეტავ მართლა არ გიყურებდეთ ჩემი თვალები! აბა, გასწი! მშვიდობით!

— ბებია, გაგაცილებთ! — უთხრა პოლინამ.

— არ მჭირდება, ხელს ნუ მიშლი, ყველამ თავი მომაბეზრეთ.

პოლინა ბებიას ხელზე ეამბორა. ბებიამ ხელი გამოჰგლიჯა და თვითონ აკოცა ლოყაზე.

გვერდზე რომ გამიარა, პოლინამ სწრაფად შემავლო თვალი და მაშინვე განზე გაიხედა.

— აბა, შენც კარგად მენახე, ალექსეი ივანოვიჩ! მატარებლის გასვლამდე ერთი საათი დარჩა. ალბათ ძალიან დაგდაღლე. აჰა, ეს ორმოცდაათი ოქრო გამომართვი.

— მადლობელი ვარ, ბებია, ძალიან კი მერიდება...

— აბა, აბა, არ დამინყო ახლა! — ისეთი რისხვით დამიტატანა ბებიამ, უარი ველარ გავბედე და გამოვართვი.

— მოსკოვში ადგილი თუ ვერ იშოვე, მე მომაკითხე, ვინმესთან გაგგზავნი. აბა, გამეცალე აქედან!

ჩემთან ავედი და ლოგინზე წამოვწექი. თავქვეშ ხელე-

ბი ამოვიდე და, მგონი, ნახევარი საათი დავყავი ასე პირაღმა. კატასტროფა უკვე მოხდა. საფიქრებელი, იცოცხლე, ბევრი მქონდა. გადავწყვიტე, ხვალ გადაჭრით მოვლაპარაკებოდი პოლინას. მაშ, მართალი ყოფილა იმ ფრანგი კაცუნას ამბავი! მაინც რა უნდა ყოფილიყო მათ შორის? პოლინა და დე გრიე! რატომ ღმერთი არ გაიცინებს!

ეს მართლა დაუჯერებელი იყო. უცებ წამოვხტი. არა, ახლავე უნდა წავიდე მისტერ ასტლეის მოსაძებნად და ყველაფერი დავაფქვევინო. ცხადია, ამ ამბისაც ჩემზე მეტი ეცოდინება. მისტერ ასტლეი? არ გამიხდა ისიც გამოცანა!

უცებ კარზე ვილაცამ მომიკაკუნა. გავაღე — პოტაპირი იყო.

— ალექსეი ივანოვიჩ, ბატონო, ქალბატონი გიბარებთ!

— რა მოხდა? ჯერ ხომ არ მიდის? მატარებლის გასვლას კიდევ ოცი წუთი უკლია.

— ძალიან დელავს, ბატონო, ველარ იცდის. ჩქარა, ჩქარა! ღვთის გულისათვის, არ დააყოვნოთ!

მაშინვე ქვევით გავქანდი. ბებია უკვე დერეფანში გამოეგორებინათ. ხელში საფულე ეჭირა.

— წინ გამიძებ, ალექსეი ივანოვიჩ, წავიდეთ!..

— სად, ბებია?

— მოვკვდები და მაინც ამოვიგებ! აბა, ჰაიდა, ლაპარაკი არ იყოს! იქ ხომ შუალამემდელა თამაში?

გაკვირვებისგან გავშეშდი. მერე დავფიქრდი და გადავწყვიტე.

— როგორც გენებოთ, ანტონიდა ვასილიევნა, და ვერ წამოგყვებით.

— ვითომ რატომ? ეს რაღას ნიშნავს? ხომ არ გაცოფდით ყველა!

— რა ვქნა, მერე სულ სანანებლად უნდა დამრჩეს. არ შემიძლია! არც მონზე მინდა ვიყო და არც მონაწილე; მე ნუ მთხოვთ, ანტონიდა ვასილიევნა. აგერ, თქვენი ორმოცდაათი

ფრიდრიხსდორი უკან ინებეთ; მშვიდობით ბრძანდებოდეთ!  
— ფულის შეკვრა იქვე, ბეზიას სავარძლის ახლოს მაგიდაზე  
დავდე, თავი დავუკარი და წამოვედი.

— რაებს როშავ! — მომადახა ბეზიამ, — ნუ წამოხვალ, ბა-  
ტონო, გზას მარტოც გავიგნებ! პოტაპირი, შენ წამომყევი! აბა,  
წამიყვანეთ!

მისტერ ასტლეი ვერ ვნახე და შინ მოვბრუნდი. გვიან, ნა-  
შუალამევის პირველ საათზე გავიგე პოტაპირისგან, რითაც  
დამთავრდა ბეზიასთვის ის დღე. რაც გადავუხურდავე, თურ-  
მე ყველაფერი, ანუ ჩვენს ფულზე ათასი რუბლი წაეგო... სწო-  
რედ ის პოლონელი ატორდიალება, რომელსაც ამას წინათ  
ორი ფრიდრიხსდორი მისცა. ის ხელმძღვანელობდა თურმე  
ბეზიას... პოლონელის გამოჩენამდე ჯერ პოტაპირი აიძულა,  
ფული დაედო, მაგრამ მალე გააგდო... სწორედ მაშინ გამოხტა  
ეს პოლონელი. თითქოს განზრახ რუსული სცოდნოდა და რის  
ვაი-ვაგლახით ამტვრევდა, თან ინგლისურსა და ფრანგულ-  
საც იშველიებდა... ასე რომ, რალაცას მაინც აგებინებდნენ  
ერთმანეთს... ბეზია უმოწყალოდ თათხავდა თურმე, თუმცა-  
ლა იგი ყოველ წამს „ფეხებს უკოცნიდა პანის“. „რა შედარება  
იყო თქვენთან, ალექსეი ივანოვიჩი, — მიყვებოდა პოტაპირი, —  
თქვენ ჩემი ქალბატონი, როგორც ბატონს, ისე გექცეოდით, ის  
პოლონელი კი, ჩემი თვალით დავინახე, თუ ვტყუოდე, ღმერ-  
თმა აქვე გამათავოს, — მაგიდიდანვე პარავდა ფულს... ერთი  
ორჯერ თვითონ ქალბატონმაც დაიჭირა და ისე გაათათხა, ისე  
გათათხა, ბატონო, არაფერი დააკლო... ერთხელ თმაზეც კი  
მოქაჩა, ღმერთმანი, არ ვტყუი, ირგვლივ სიცილიც კი ატყდა.  
ყველაფერი წააგო, ბატონო, ყველაფერი, რაც კი თქვენ გადა-  
უხურდავეთ. მოვიყვანეთ აქ და მარტო წყალი მოითხოვა, პირ-  
ჯვარი გადაინერა და დაწვა. ალბათ ძალიან დაილალა, რაკი  
მაშინვე ჩაეძინა. ღმერთმა ტკბილი სიზმრები მისცეს. ოჰ, რა  
ვუთხრა ამ უცხოეთს! — დაასკვნა პოტაპირმა, — აკი ვიძახდი,  
ხეირს არ დაგვაყრის-მეთქი. ერთი მალე დავბრუნდებოდეთ



მოსკოვში! ნეტავ რა გვაკლია იქ? ბალი გვაქვს, ყვავილები, იმისთანებს აქ ვერც ნახავ, სუნი დგას ისეთი; აგერ, ვაშლები დამნიფდება, სივრცე — ღმერთმა მოგცეს. მაგრამ არა, საზღვარგარეთ წამოვეხეტეთ! ვაი-ვაი-ვაი!..“

## თავი მეცამეტი

აგერ უკვე ერთი თვე იქნება ამ ჩემი ჩანაწერებისთვის, არეულ-დარეულმა, მაგრამ ძლიერმა შთაბეჭდილებებმა რომ დამანერინა, ხელი აღარ მიხლია. უბედურების მოახლოებას ადრევე მიგრძნობდა გული, მაგრამ იგი ასჯერ იმაზე მძიმე და მოულოდნელი გამოდგა, ვიდრე ველოდი. რალაც უცნაური, უგვანო და ტრაგიკული მოხდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც. ზოგიერთი ისეთი ამბავი გადამხდა, თითქმის სასწაულებრივი რომ დაერქმევა; ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე მგონია, თუმცა სხვის თვალში, მეტადრე თუ იმ ორომტრიალით ვიმსჯელებთ, იმხანად რომ ჩამითრია და დამაბზრიალა, მხოლოდ არცთუ ჩვეულებრივად შეიძლება მიჩნეულიყო. მაგრამ ყველაზე მეტად ის მაოცებს, თვითონ როგორ შევხვდი ამ ამბებს. აქამდე ვერაფერი გამიგია ჩემი თავის! რა სიზმარივით გაფრინდა ყველაფერი, თვით ჩემი გრძნობაც კი, მერედა რა ძლიერი, რა ჭეშმარიტი იყო... სად გაქრა იგი? მართალი გითხრათ, ხანდახან მაინც გამკრავს ხოლმე თავში: „ნეტავ ჭკუაზე ხომ არ შევცდი მაშინ და მთელი ეს ხანი საგიჟეთში ხომ არ დავყავი, ან იქნებ ახლაც იქ ვარ და ეს ყველაფერი მხოლოდ მომეჩვენა და აქამდეც მეჩვენება-მეთქი“.

შევაგროვე და გადავიკითხე ჩემი ჩანაწერები (იქნებ სულაც იმიტომ, რომ დავრწმუნებულიყავი, საგიჟეთში ხომ არ დამინერია!). ახლა მარტოდმარტო ვარ. შემოდგომა ახლოვდება, ფოთოლი ყვითლდება. ვაგდივარ ამ მოსაწყენ ქალაქში (ოჰ, რა მოსაწყენი ქალაქებია გერმანიაში!) და ნაცვლად

იმისა, ჩემს მომავალზე ვიფიქრო, მხოლოდ გარდასულ განცდებზე ვფიქრობ, ცოცხალი მოგონებებით ვსულდგმულობ, მხოლოდ და მხოლოდ იმ ქარაშოტს ვიგონებ, რომელმაც მეც ჩამითრია მაშინ იმ ორომტრიალში და მერე ისევ სადღაც გამრიყა. ზოგჯერ კიდევაც მგონია, რომ ისევ ქარაშოტი მატრიანებს, ისევ ჩამომიქროლებს ის ქარბუქი, ფრთას გამკრავს, ამიტაცებს, ზომიერების გრძნობას დამაკარგვინებს, კალაპოტიდან ამომავდებს და დამატრიალებს, დამატრიალებს, დამატრიალებს...

თუმცა იქნებ მეც ავდგე და გავჩერდე როგორმე, თუკი შეძლებისდაგვარად ავნონ-დავნონე, რაც თავს გადამხდა. გული კვლავ კალმისკენ მიმინევს; თანაც სალამოობით ხშირად საქმეც არაფერი მაქვს. საკვირველია, რომ თავის გასართობად აქაური ქეციანი ბიბლიოთეკიდან პოლ დე კოკის<sup>1</sup> რომანები მომაქვს (გერმანულად ნათარგმნი!), ჭირივით რომ მძულს, მაგრამ მაინც ვკითხულობ და ჩემი თავის თვითონვე მიკვირს: თითქოს მეშინია ჭკვიანური წიგნი წავიკითხო ან ჭკვიანურ საქმეს მოვეკიდო, ვაითუ, ახლახან მომხდარი ამბების ჯადო გამიფანტოს-მეთქი. თითქოს მართლა ისე ძვირფასი იყოს ჩემთვის ეს უგვანო სიზმარი და მისგან დატოვებული შთაბეჭდილებანი, რომ მეშინია კიდევ, რაღაც ახალი არ შეეხოს და უკვალოდ არ გაფანტოს! განა მართლა ასეთი ძვირფასია ჩემთვის ეს ყველაფერი? რა თქმა უნდა, ძვირფასია, ვინ იცის, ორმოცი წლის შემდეგაც ამ ამბების მოგონებაში ვიყო...

მაშ, ასე, ვინყებ წერას. თუმცა ამ ამბების მოყოლა ახლა უფრო მოკლედაც შეიძლება; ის შთაბეჭდილება უკვე აღარაა...

პირველ ყოვლისა, ბებიას ამბავს დავასრულებ. მეორე დღეს მან პირწმინდად წააგო ყველაფერი. თუმცა ასეც უნდა მომხდარიყო: ვინც ერთხელ დაადგება ამ გზას, — თითქოს

---

<sup>1</sup> შარლ პოლ დე კოკი (1793-1871) — ფრანგი რომანისტი და დრამატურგი. მიიჩნეოდა ფრივოლური (უხამსი, ფუქსავატური, არასერიოზული) რომანების ავტორად.



თოვლიანი გორიდან ციგით დაეშვაო, ვერანაირი ძალა ვერ გააჩერებს. ბებია მთელი დღე სათამაშო დარბაზში იყო, სადამოს რვა საათამდე. მის თამაშს არ დავსწრებივარ და მხოლოდ ნაამბობით ვიცი.

პოტაპიჩი გვერდიდან არ მოშორებია ქალბატონს ვოკსალში. ჭკუის მასწავლებელი პოლონელებიდან ბებიას იმ დღეს რამდენიმე გამოუცვლია. მისულა თუ არა, თავდაპირველად ის გუშინდელი პოლონელი გაუგდია, თმით რომ ათრია და მეორე აუყვანია. მაგრამ ის მეორე თურმე პირველზე უარესი აღმოჩნდა. ესეც რომ გააგდო და ისევ პირველი მოიხმო, რომელიც გაძევების შემდეგ მაინც იქვე ტრიალებდა და წარამარა სავარძლის ზურგიდან გამოყოფდა ხოლმე თავს, ბებია სასონარკვეთილებამ შეიპყრო. არც მეორე გაგდებულმა პოლონელმა ისურვა წასვლა, ერთი მარცხნიდან ამოუდგა, მეორე მარჯვნიდან, ხან ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ და ლანძღავდნენ ფულის ჩამოსვლის გამო, „ლაიდაკებით“ თუ სხვა პოლონური გინებით ამკობდნენ, ხან ისევ რიგდებოდნენ, ყოველგვარი წესების გარეშე თამაშობდნენ და კიდევაც აგებდნენ. წაჩხუბებისას თითოეული ცალკე ჩადიოდა ფულს, მაგალითად, ერთი რომ წითელზე დადებდა, მეორე შავზე ჩადიოდა. ბოლოს ისეთი რეტი დაასხეს ბებიას და ისე აურიეს თავგზა, იძულებული გახდა, ლამის ტირილით ეთხოვა მოხუცებული კრუპიესთვის, ესენი მომაშორეო. ისინი მართლაც მაშინვე გააგდეს, მათი ყვირილისა და აღშფოთების მიუხედავად: ორივე ერთად გაიძახოდა, რომ ბებიას მათი მართებს კიდევ, რომ მოატყუა და უსინდისოდ მოექცა მათ. სანყალი პოტაპიჩი ლამის ატირებული მიყვებოდა ამ ამბებს წაგების ღამესვე და შემომჩიოდა, ჩემი თვალით ვნახე, რა უნამუსოდ ქურდობდნენ და ჯიბეებში იტენიდნენ ფულსო. მაგალითად, გამოსთხოვდა ერთი პოლონელი ბებიას ფრიდრიხსდორს გასამრჯელოდ და, სადაც ბებია ჩავიდოდა ფულს, ისიც იქვე ახლოს დადებდა. თუკი ბებია მოიგებდა, მაშინვე აყვირდებოდა,



მე მოვიგე, ბებია მ კი წააგოო. იმათ რომ აძევებდნენ, პოტაპირმა ბებიას უთხრა, ჯიბეები ოქროებით აქვთ გამოტენილიო. ბებია იმწამსვე სთხოვა კრუპიეს, ეს ამბავი შეემონმებინათ. პოლიციაც მაშინვე მოვიდა და, პოლონელთა ყვირილის მიუხედავად (მამალს ხელს რომ წაავლებ, ისე ყიოდნენ თურმე), ჯიბეები დაუცარიელეს და ფული ბებიას დაუბრუნეს. წაგებამდე ხომ ბებია კრუპიეებსა და ვოკსალის უფროსებს მთელი ის დღე დიდ პატივში ჰყავდათ. ნელ-ნელა მთელ ქალაქს მოედო მისი ამბავი. წყლებზე ჩამოსული ყველა ეროვნების წარჩინებული თუ ჩვეულებრივი სტუმარი ვოკსალში მიდიოდა *une vieille comtesse russe, tombée en enfance*-ს სანახავად, რომელსაც უკვე „რამდენიმე მილიონი“ წაეგო.

ორი პოლონელის გაგდება მანც ვერ იხსნა ბებია გასაჭირიდან. მათ ნაცვლად მაშინვე მესამე მოევლინა, რომელიც უკვე წმინდა რუსულით ლაპარაკობდა და ჯენტლმენურადაც ეცვა, თუმცა მანც ლაქიას ჩამოჰგავდა. ეს დიდულვაშა და ყოყლოჩინა პანიც „ფეხებს უკოცნიდა“ და „ფეხის მტვრად ეგებოდა“, მაგრამ სხვებთან კი ქედმაღლურად და მტარვალისით იქცეოდა. ერთი სიტყვით, მაშინვე ბებიას მფარველად და მასწავლებლად წარმოაჩინა თავი და არა მსახურად. ყოველ ჩასვლაზე ათასნაირად ეფიცებოდა ბებიას, რომ თავადაც „ღირსებიანი“ პანია და ბებიას ფულიდან კაპიკს არ აიღებს. იმდენი ეფიცა, რომ კიდევაც შეაშინა და დააფრთხო ქალი. მაგრამ რაკი ამ პანმა თავდაპირველად მართლაც გამოასწორა ბებიას შეცდომები და მოაგებინა, ახლა თვითონვე აღარ იშორებდა გვერდიდან. ერთი საათის შემდეგ კი ის გაგდებაული ორი პოლონელი კვლავ ბებიას სკამის უკან გაჩნდა და კვლავ შესთავაზეს, როგორც გინდა გვიმსახურო. პოტაპირი იფიცებოდა, ჩემი თვალით დავინახე, „ღირსებიანმა“ პანმა რომ თვალი ჩაუკრა მათ და რალაც გადასცა ხელიდან ხელშიო. რაკი ბებიას სავარძლიდან თითქმის ფეხი არ გადმოუდგამს და არც უსადილია, ერთ-ერთი პოლონელი მართლაც

გამოადგა, გაიქცა და იქვე, ვოკსალის სასადილო დარბაზი-დან ჯერ ფინჯნით ბულიონი, მერე კი ჩაი მოურბენინა. უფრო სწორად, ამ საქმეზე ორივე პოლონელი ერთად გაცუხცუხდა. მაგრამ დღის ბოლოს, როცა აშკარა გახდა, რომ ბებია უკანასკნელ ბანკის ბილეთს აგებდა, მისი სკამის უკან უკვე ექვსამდე პოლონელს მოეყარა თავი, რომლებიც აქამდე კაციშვილს არ ენახა. როცა ბებია უკანასკნელ რუბლს აგებდა, ეს ექვსი არათუ რამეს ეკითხებოდა, ვერც კი ამჩნევდნენ, ლამის მის თავზე გადადიოდნენ, ფულს თვითონ იტაცებდნენ, როგორც უნდოდათ, ისე ჩადიოდნენ, დაობდნენ, ჩხუბობდნენ და ძმაკაცურად ელაპარაკებოდნენ „ღირსებიან“ პანის, რომელსაც ბებიას არსებობა, მგონი, აღარც ახსოვდა. მაშინაც კი, როცა ბებიამ ყველაფერი წააგო და სალამოს რვა საათისთვის სასტუმროში ბრუნდებოდა, სამი თუ ოთხი პოლონელი მაინც აქეთ-იქიდან მოსდევდა მის სავარძელს და მთელი ხმით გაჰკიოდნენ, ბებიამ რალაცაში მოგვატყუა და რალაც უნდა მოგვცესო. ასე მისდიეს სასტუმრომდე, საიდანაც კინწისკვრით ძლივს გაყარეს.

პოტაპიჩის ანგარიშით ბებიას იმ დღეს, გუშინდელი წაგების გარდა, ოთხმოცდაათი ათას რუბლამდე მიეფშვნითა. მთელი თავისი ბილეთები — ხუთპროცენტეები, შიდა სესხის თუ აქციები, რაც თან ჰქონდა, ყველაფერი ერთიმეორის მიყოლებით დაახურდავა. გამიკვირდა, ეს შვიდი-რვა საათი მაგიდასთან ფეხმოუცვლელად რამ გააძლებინა-მეთქი, მაგრამ პოტაპიჩმა მითხრა, სამჯერ მართლა დიდი ფული მოიგო და, იმედით ფრთაშესხმული, უკვე ველარ მოსწყდაო. თუმცა მოთამაშებმა კარგად იციან, როგორ შეიძლება, კაცმა დღე და ღამე გაასწოროს კარტის თამაშისას ერთ ადგილზე და ამ პროცესს თვალი ვერ მოსწყვიტოს.

ამ დღეს სასტუმროშიც დიდი ამბები მოხდა. ჯერ დილით, ასე თერთმეტ საათზე, როცა ბებია ისევ შინ იყო, ჩვენებმა, ანუ გენერალმა და დე გრიემ გადაწყვიტეს უკანასკ-

ნელი ღონე ეხმარათ. რომ გაიგეს, ბებია გამგზავრებას არ აპირებს, ისევ ვოკსალში მიდისო, მთელი შემადგენლობით (პოლინას გამოკლებით) ეახლნენ მას საბოლოო და, ასე განსაჯეთ, გულახდილი საუბრისთვის. მისთვის საზარელი შედეგების შიშით აკანკალებულმა, გულგანურულმა გენერალმა კიდევაც გადაამლაშა: ჯერ მთელი ნახევარი საათი ეხვენა და ემუდარა ბებიას, მერე გულახდილად გამოუტყდა, რომ დიდ ვალებშია ჩაფლული, არც ის დაუმალა, რა გაგიჟებით უყვარს m-lle Blanche (ისე დაებნა ჭკუა), შემდეგ კი მრისხანე კილო არჩია, აყვირდა კიდევ და ფეხები უბაკუნა ბებიას, ჩვენი გვარი შეარცხვინეთ, მთელი ქალაქის სალაპარაკო გაუხდითო... დაბოლოს: „რუსების სახელს ჩირქი მოსცხეთ! — ყვიროდა გენერალი, — იცოდეთ, პოლიცია აქაც არსებობს“. ბებია მ ბოლოს ჯოხით იფრინა იგი (მართლა ჯოხით). გენერალმა და დე გრიემ იმ დილას ერთი-ორჯერ კიდევ ითათბირეს, კერძოდ იმაზე: საჭიროა თუ არა პოლიციის ჩარევა? აქაოდა, ერთი საცოდავი, მაგრამ დარბაისელი ბებერი ქალი ისე გამოთაყვანდა, უკანასკნელ ფულს აგებსო და სხვა. ერთი სიტყვით, შეიძლება თუ არა პოლიციას სთხოვონ, აუკრძალოს თამაში ან ზედამხედველობის ქვეშ აიყვანოს ბებია? მაგრამ დე გრიე მხრებს იჩეჩავდა და პირში დასცინოდა გენერალს, რომელიც წინ და უკან დარბოდა კაბინეტში და უკვე რაღაც სისულელეებს როშავდა. ბოლოს დე გრიემ ხელი ჩაიქნია და სადღაც გაქრა. საღამოს გავიგეთ, რომ m-lle Blanche-თან ჰქონდა ფრიად საიდუმლო ბჭობა და მერე ჩვენი სასტუმროდანაც გადასულიყო. რაც შეეხება m-lle Blanche-ს, მან დილითვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება: საერთოდ ზურგი აქცია გენერალს და ახლოსაც აღარ გაიკარა. გენერალი რომ ვოკსალში გაეკიდა და m-lle Blanche იქ თავადთან ხელგაყრილი შემოხვდა, არც მან და არც m-me veuve de Cominges-მა არ ინებეს გენერლის ცნობა. პატარა თავადიც კი არ მიესალმა. მთელი ის დღე m-lle Blanche თავს ევლებოდა



თავადს, რათა საბოლოო გადაწყვეტილება წამოეცდენინებინა მისთვის. მაგრამ ვაი, რომ თავადმა სასტიკად გაუცრუა იმედები! ეს პატარა კატასტროფა საღამოს მოხდა. მაშინ გამჟღავნდა, რომ თავადს თურმე არაფერი ებადა და ისევ მისი იმედი ჰქონდა, რულეტზე სათამაშოდ თამასუქით ფულს მასესხებსო. აღშფოთებულმა m-lle Blanche-მა თავადი გააგდო და თავის ოთახში ჩაიკეტა.

იმავე დღით მისტერ ასტლეისთან წავედი, უფრო სწორად, მთელი დღია მის ძებნაში გავატარე, მაგრამ ვერც შინ, ვერც ვოკსალში და პარკში ვერ ვნახე. იმ დღეს თავის სასტუმროშიც არ უსადილია. უცებ, ხუთ საათზე, თვალი მოვკარი, რკინიგზის სადგურიდან პირდაპირ სასტუმრო d'Angeleterre-ში რომ მიიჩქაროდა. ძალზე შეწუხებული ჩანდა, თუმცა შეწუხებასა და გინდაც დაბნეულობას სახეზე ძნელად შეატყობდი. გულლიად გამომიწოდა ხელი და ჩვეულებრივ „ოჰო!“ შემოძახა ისე, რომ არც გაჩერებულა და არც ნაბიჯი შეუნელებია. მეც ავედევენე. მაგრამ ისეთ პასუხებს მაძლევდა, ვერაფრის კითხვა ვერ მოვასწარი. თან რატომღაც ძალიან მეჩოთირა პოლინაზე სიტყვის ჩამოგდება. ბებიას შესახებ რომ ვუამბე, ყურადღებით მომისმინა და მხრები აიჩეჩა.

— ყველაფერს წააგებს, — შევნიშნე მე.

— დიახ, — მითხრა, — იგი ჩემს გამგზავრებამდე გაემართა სათამაშოდ. დარწმუნებით ვიცოდი, რომ წააგებდა. დრო თუ მექნა, ვოკსალში მივალ სანახავად, ფრიად საგულისხმოა...

— სად იყავით? — შევძახე გაოცებით, აქამდე როგორ არ ვკითხე-მეთქი.

— ფრანკფურტში გახლდით.

— საქმეებზე?

— დიახ, საქმეებზე.

აბა, რაღა უნდა მეკითხა? ისევ გვერდით მივყვებოდი, როცა უცებ თავი დამიქნია, გზაზე მდგარ სასტუმრო „Des

quatre saisons“<sup>1</sup>-ისკენ გაუხვია და შიგნით შევიდა. უკან რომ ვბრუნდებოდი, გზაში ფიქრისას მივხვდი, ორი საათიც რომ მელაპარაკა, მაინც ვერაფერს გავიგებდი, რადგან... რა მეკითხა, თვითონაც არ ვიცოდი! დიახ, არ ვიცოდი! ჩემს კითხვას ახლა ვერაფრის დიდებით ვერ ჩამოვაყალიბებდი.

მთელი ის დღე პოლინა ხან ყმანვილებსა და გადიასთან დასეირნობდა პარკში და ხან შინ იჯდა. გენერალს უკვე დიდი ხანია გაურბოდა, თითქმის არ ელაპარაკებოდა, ყოველ შემთხვევაში, საგულისხმო რამეზე. ეს ადრევე შევამჩნიე. მაგრამ რადგან ვიცოდი, თუ რა გადახდა დღეს გენერალს, ვიფიქრე, შეუძლებელია გენერალმა გვერდი აუაროს, ანუ მნიშვნელოვან ოჯახურ საქმეებზე მაინც არ ჩამოუგდოს ლაპარაკი-მეთქი. ეს კია, როცა მისტერ ასტლეისთან საუბრის შემდეგ შინ ვბრუნდებოდი და გზაში პოლინა და ყმანვილები შემომხვდნენ, პოლინა ისე უშფოთველად იყურებოდა, თითქოსდა ოჯახურ უსიამოვნებათა ქარტეხილი მას ოდნავაც არ შეხებია. სალამზე თავი დამიქნია. შინ მთლად გაბოროტებული დავბრუნდი.

რა თქმა უნდა, ვურმერჰელმების ამბის შემდეგ თავს ვარიდებდი და მასთან ერთხელაც არ მილაპარაკია. თუმცა ეს უფრო ყოყობითა და მეტიჩრობით მომდიოდა, მაგრამ მერე და მერე მართლა მომივიდა გული. თუნდაც სულ არ ვყვარებოდი, ჩემი გრძნობების ასე გაქელვა, ჩემი სიყვარულის ასე აბუჩად აგდება მაინც არ ეკადრებოდა. ხომ იცის, როგორ მიყვარს, ხომ თვითონ მომცა ნება ასე მელაპარაკა მასთან! თუმცა ჩვენი ამბავი მართლა უცნაურად დაიწყო. ჯერ კიდევ ადრე, ასე ორი თვის წინ შევამჩნიე, რომ უნდოდა მისი მეგობარი, მესაიდუმლე გავმხდარიყავი და ნაწილობრივ კიდევაც მცდიდა. მაგრამ რატომღაც მაშინ არაფერი გამოვიდა. ამის ნაცვლად ასეთი უცნაური დამოკიდებულება დამკვიდრდა

---

<sup>1</sup> „წელიწადის ოთხი დრო“ (ფრანგ.).

ჩვენ შორის. იმიტომაც დავუნყე ასე ლაპარაკი. მაგრამ თუ ჩემი სიყვარული მართლა ასეთ ზიზღს ჰგვრის, რატომ პირდაპირ არ ამიკრძალავს?

არადა, არ მიკრძალავს; პირიქით, ზოგჯერ თვითონვე მიწვევს ხოლმე... თუმცა მერე კი, რა თქმა უნდა, სიცილს მაყურის. ნამდვილად ვიცი და შემჩნეული მაქვს, რა სიამოვნებას ჰგვრის, როცა ჯერ საუბარში ჩამითრევს, გამამწარებს და მერე უეცრად ისეთ ზიზღსა და უყურადღებობას გამოიჩენს, კაცი სახტად ვრჩები. თუმცა კარგად იცის, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. აგერ სამი დღე გავიდა ბარონის ამბის შემდეგ და ჩვენი განშორება ველარ ამიტანია. წელან რომ ვოკსალთან შევხვდი, გული ისე ამიძგერდა, ფერი დავკარგე, მაგრამ ხომ ვიცი, რომ ვერც ის გაძლებს უჩემოდ! მას ვჭირდები, დიახ, ვჭირდები — მაგრამ ნუთუ როგორც მასხარა ბალაკირევი<sup>1</sup> და მეტი არაფერი?

არა, აშკარად რაღაც საიდუმლო აქვს! — ბეზიასთან მისი საუბარი გულზე ეკალივით დამესო. აკი ათასჯერ მაინც ვთხოვე გულახდილი ყოფილიყო ჩემთან, თვითონაც ხომ იცის, მისთვის რომ მართლა თავს გავწირავ. ის კი მუდამ ლამის ზიზღით ბანზე მიგდებს სიტყვას და მისთვის თავის განწირვის ნაცვლად იმისთანა სისულელეებს მავალებს, როგორიც ბარონთან ჩამადენინა. განა არ უნდა აღშფოთდე კაცი? ნუთუ ეს ფრანგი ქვეყანას ურჩევნია? ან მისტერ ასტლეი რაღა შუაშია? ეს კი მართლა გაუგებარი იყო და, მიუხედავად ამისა, ღმერთო, როგორ ვიტანჯებოდი!

შინ რომ მივედი, გაცოფებულმა კალამს ვტაცე ხელი და აი, ეს მივწერე:

„პოლინა ალექსანდროვნა, კარგად ვხედავ, რომ დასას-

---

<sup>1</sup> იგულისხმება ივან ალექსანდროვიჩ ბალაკირევი (1699-1763) — იმპერატორ პეტრე I-ისა და მისი მეუღლის, ეკატერინეს მსახური; იმპერატრიცა ანა იოანოვნას კარის დროს — ხუმარა, რომლის ხუმრობებიც ხალხში პოპულარული იყო.



რული დადგა და, ცხადია, ის თქვენც შეგეხებათ. უკანასკნელად გიმეორებთ: გჭირდებათ თუ არა ჩემი სიცოცხლე? თუ რამეში მაინც დაგჭირდათ, მიმსახურეთ. ჯერჯერობით ჩემს ოთახში ვზივარ მეტწილად, წასვლას არსად ვაპირებ. დაგჭირდებით — მომწერეთ ან მიხმეთ“.

წერილი დავლუქე და მსახურს გავატანე, დავაბარე, პირდაპირ ხელში მიეცი-მეთქი. პასუხს არ ველოდი, მაგრამ სამი წუთის შემდეგ მსახური დაბრუნდა და მითხრა, მოკითხვა შემოგიტვალათო.

შვიდ საათზე გენერალთან დამიბარეს.

კაბინეტში დამხვდა, წასასვლელად გამზადებული. ქუდი და ჯოხი დივანზე ეგდო. რომ შევედი, შუა ოთახში იდგა ფეხებგაჩაჩხული და, მგონი, თავის თავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა. რომ დამინახა, ისეთი ყვირლით მომვარდა, უნებლიეთ უკან დავიხიე და კინალამ გავიქეცი. მაგრამ ორივე ხელი მტაცა და დივნისკენ წამათრია. თვითონ დივანზე დაჯდა, მე წინ, სავარძელში დამსვა და ვედრებით მომმართა, ჩემი ხელეები ისევ ეჭირა, წამწამებზე ცრემლები უბრწყინავდა, ტურები უცახცახებდა.

— მიშველეთ, ალექსეი ივანოვიჩ, მიშველეთ, შემიბრალეთ კაცი!

დიდხანს ვერაფერი გავუგე, „შემიბრალეთ, შემიბრალეთ კაცი!“ იმეორებდა და ლაპარაკობდა, გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ძლივს მივხვდი, რომ ჩემგან რჩევას თუ მსგავს რაღაცას ელოდა; ყველასგან მიტოვებულს, დარდითა და შფოთით აღვსილს, მე გავახსენდი და მხოლოდ იმიტომ დამიბარა, ჩემთან მაინც ელაპარაკა, ელაპარაკა და ელაპარაკა.

მგონი, თავის ჭკუაზე ვერ იყო, ყოველ შემთხვევაში, უაღრესად დაბნეული ჩანდა. ხელეებს გულზე იწყობდა და ლამის დაეჩოქა ჩემთვის (როგორ გგონიათ, რატომ?), ოღონდაც m-lle Blanche-თან მივგზავნოდი და ხვეწნით დამეყოლიებინა, გენერალს დაუბრუნდი და ცოლად გაჰყევი-მეთქი.

— რას ბრძანებთ, გენერალო? **Mademoiselle Blanche**-მა შესაძლოა, დღესაც არ იცის, ვინ ვარ, აბა, მე რა შემიძლია? — შევძახე.

მაგრამ გენერალთან კამათი წყლის ნაყვა იყო, არაფერი ესმოდა. შემდეგ ბებიასაც გადასწვდა, თუმცა საოცრად აბნეულად კი; პოლიცია რომ ჩაერია ამ საქმეში, ეს აზრი ახლაც ვერ ამოეგდო თავიდან.

— ჩვენში, დიახ, დიახ, ჩვენში, — წამოიწყებდა უცებ აღშფოთებული, — ერთი სიტყვით, ჩვენს კეთილმოწყობილ სახელმწიფოში, სადაც მთავრობა არსებობს, ამისთანა დედაბრებს იმნამსვე მეურვეებს უნიშნავენ ხოლმე! დიახ, დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ, — გადავიდოდა უცებ დატუქსვის კილოზე, წამოვარდებოდა და ბოლთის ცემას მოჰყვებოდა, — თუ აქამდე არ იცოდით, მოწყალეო ხელმწიფევ, — მიმართავდა ვიღაც წარმოდგენილ მოწყალე ხელმწიფეს, — ახლა გაიგებთ... დიახ, ბატონო... ჩვენში ამისთანა დედაბრებს მშვილდით მოლუნავენ ხოლმე, დიახ, მშვილდით... ოჰ, ეშმაკმა დალახვროს!

შემდეგ ისევ დივანზე დაეცემოდა, ერთი წუთის შემდეგ კი ლამის სლუკუნით ამბობდა, **m-lle Blanche** იმიტომ აღარ მომყვება ცოლად, რომ ტელეგრამის ნაცვლად ბებია ჩამოვიდა და აშკარა გახდა, მემკვიდრეობას ვერ მივიღებო. მას ეგონა, აქამდე არაფერი ვიცოდი. დე გრიეზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, ხელი ჩაიქნია:

— გაემგზავრა! რაც მებადა, ყველაფერი მის ხელშია. თავიდან ბოლომდე გაფცქვნილი ვარ! თქვენ რომ ფული ჩამოიტანეთ... იმ ფულიდან, — მგონი, შვიდას ფრანკამდე დამრჩა, მეტი არაფერი მაქვს. შემდეგ რა მეშველება, არ ვიცი!

— სასტუმროს ხარჯებს როგორღა გაასწორებთ, — შევძახე შიშით, — ან მერე... მერე რას აპირებთ?

გენერალმა ჩაფიქრებით შემომხედა, მაგრამ არ ვიცი,

ვერ მიხვდა თუ ვერ გაიგონა. ახლა პოლინა ალექსანდროვნა-  
სა და ბავშვებზე წამოვუნყე ლაპარაკი.

— ჰო, ჰოო! — მომაგება საჩქაროდ, მაგრამ მაშინვე ისევ  
თავადზე გადაიტანა სიტყვა, ახლა Blanche იმას გაჰყვებო და  
მაშინ... და მაშინ, — მე რა ვქნა, ალექსეი ივანოვიჩ? ღმერთს  
გაფიცებთ! რა მეშველება! ეს ხომ უმადურობაა! ეს ხომ უმა-  
დურობაა?

ბოლოს გენერალს ღვარად წასკდა ცრემლი.

აბა, რა უნდა გამეწყო ამისთანა კაცთან. არადა, არც  
მარტო დატოვება შეიძლებოდა: ვინ იცის, რა მოუვიდოდა.  
როგორც იყო, ვიხსენი მისგან თავი, ეს კია, გადიას ვთხოვე,  
მალიმალ შეხედე-მეთქი. გარდა ამისა, იმ სართულის მსახურ-  
საც ველაპარაკე. ჭკვიანი ბიჭი გამოდგა. დამპირდა, თვალი  
მეჭირებო.

ის იყო გენერალს გამოვექეცი, რომ პოტაპიჩი მომად-  
გა, ბებია გიბარებთო. რვა საათი იქნებოდა. ბებია ეს წუთია  
ვოკსალიდან დაბრუნებულიყო. ყველაფერი წაეგო. ჩავედი  
მასთან. სავარძელში იჯდა, მოქანცული და ავადმყოფური  
იერი ედო. მარფამ ჩაი მიართვა და ერთი ფინჯანი ჩაი თით-  
ქმის ძალისძალად დააღევინა. ხმაც და კილოც ძალიან შეს-  
ცვლოდა.

— გამარჯობა, ალექსეი ივანოვიჩ, — მითხრა მძიმედ და  
მედიდურად დახარა თავი, — მაპატიეთ, რომ კიდევ ერთხელ  
შეგანუხე, მოხუცს უნდა მომიტევო. მე, ჩემო კარგო, ყველა-  
ფერი იქ მივაფშვნიტე, თითქმის ასი ათას რუბლამდე. მართა-  
ლი იყავი, გუშინ რომ არ წამომყევი. ახლა გროში არ გამაჩნია.  
დაყოვნებაც არ მინდა, ცხრის ნახევარზე მატარებელს უნდა  
გავყვე. იმ შენს ინგლისელს, ასტლეი თუ რა ჰქვია, კაცი გა-  
ვუგზავნე, მინდა ერთი კვირით სამი ათასი ფრანკი ვესესხო.  
შენ უნდა დაარწმუნო, რამე არ იფიქროს და უარი არ მითხ-  
რას. მე შვილოსა, ქონება კიდევ დამრჩა. სამი სოფელი და ორი  
სახლი მაქვს, ფულიც მომენახება, ყველაფერი აქ კი არ წამო-



მილია. ამას იმიტომ ვამბობ, ეჭვი არ შეეპაროს... ოჰო, აგერ ისიც! მართლა კარგი კაცი ყოფილა.

მისტერ ასტლეი მაშინვე წამოსულიყო ბებიასთან. დაუფიქრებლად, ულაპარაკოდ გადაუთვალა სამი ათასი ფრანკი სესხად და ბებიამაც ვექსილზე ხელი მოუწერა. შემდეგ თავი დაუკრა და საჩქაროდ გავიდა.

— ახლა შენც წადი, ალექსეი ივანოვიჩი. მატარებლის გასვლამდე ერთი საათი დარჩა. მინდა მივწვე, ძვლები მტეხს. ნუ დამემდურები გამოთაყვანებულ ბებერს. ამის შემდეგ ახალგაზრდებს აღარ დაგაყვედრით ქარაფშუტობას. იმ თქვენი უბედური გენერლის გამტყუნებაც ცოდვა იქნება ჩემგან. ფულს კი მაინც არ მივცემ, როგორც მას უნდა, რადგან, ჩემი აზრით, დიდი ჩერჩეტი ვინმეა, თუმცა არც მე ვარ იმაზე ჭკვიანი. ჭეშმარიტად, სიბერეშიც მოგკითხავს და დაგსჯის ღმერთი სიამაყისთვის. აბა, მშვიდობით. მარფუშა, წამომაყენე.

მაინც მინდოდა ბებიას გაცილება. გარდა ამისა, რალაცის მოლოდინში ვიყავი, სულ მეგონა, სადაცაა რალაც მოხდება-მეთქი. ოთახში გული არ მიდგებოდა. წარამარა დერეფანში გამოვდიოდი, ნუთით ხეივანშიც კი ჩავედი და გავიარ-გამოვიარე. ჩემი წერილი ნათელი და პირდაპირი იყო, დღევანდელი კატასტროფა კი, რა თქმა უნდა, საბოლოო. სასტუმროში გავიგე დე გრიეს გამგზავრების ამბავი. დაბოლოს, თუ მეგობრობაზე უარს მეტყვის, იქნებ მსახურად გამომიყენოს. აქეთ-იქით გასაგზავნად მაინც როგორ არ გამოვადგები!

მატარებლის გასვლის დროს სადგურზე გავედი და ბებია ჩავსვი, ცალკე საოჯახო ვაგონი ეჭირათ. „დიდად მადლიერი ვარ შენი უანგარო სამსახურისთვის. პრასკოვიასაც გადაეცი, არ დაივიწყოს გუშინდელი ჩემი ნათქვამი, გელოდება-თქო, ასე უთხარი“, — გამომეთხოვა ბებია.

შინისკენ წამოვედი. ჩვენების სამყოფთან გადია შემხვდა და გენერლის ამბავი ვკითხე. „ეჰ, რა უშავს“, — მითხრა და-

ღონებით. მაინც შევედი, მაგრამ კაბინეტის კართან შევდექი. M-Ile Blanche და გენერალი რაღაცაზე გულიანად ხარხარებდნენ. Veuve Cominges-იც იქვე, დივანზე იჯდა. გენერალი სიხარულისგან, მგონი, ჭკუაზე აღარ იყო, რაღაც სისულელეებს როშავდა და ისე ჩაბჟირდებოდა ხოლმე სიცილისგან, მთელი სახე ემანჭებოდა, თვალებიც აღარ უჩანდა. შემდეგ მიამბოთვითონ ლანცჰე-მა, თავადი რომ გავაგდე და მითხრეს გენერლის ტირილის შესახებ, მინდოდა, დამემშვიდებინა და სანუგეშებლად წუთით შევედიო. რა იცოდა საცოდავმა გენერალმა, რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო და Blanche უკვე ბარგს ალაგებდა, რათა ხვალ დილის მატარებლით პარიზს გაფრენილიყო.

ასე ვიდექი გენერლის კაბინეტის ზღურბლზე ერთხანს და მერე შეუმჩნევლად წამოვედი, შესვლა გადავიფიქრე. ჩემი ოთახის კარი რომ შევალე, სიბნელეში ფანჯარასთან სკამზე ვილაც დავლანდე. ჩემს შესვლაზე არც წამომდგარა. სწრაფად მივუახლოვდი, შევხედე და სუნთქვა შემეკრა: პოლინა იყო!

## თავი მეთოთხმეტი

გაოცებისგან შევყვირე კიდეც.

— რა იყო? რა? — უცნაურად მეკითხებოდა იგი. ფერმკრთალი და დაღვრემილი ჩანდა.

— როგორ რა იყო? თქვენ? აქ, ჩემთან?

— მე თუ მოვედი, მაშასადამე, სულ მოვედი. ასე მჩვევია. ახლავე დარწმუნდებით. სანთელი აანთეთ.

სანთელი ავანთე. პოლინა მაგიდას მოადგა და გახსნილი წერილი წინ დამიდო.

— აბა, წაიკითხეთ.

— ეს დე გრიეს ნაწერია! — ხელი ვტაცე წერილს. ხელები მიცახცახებდა და სტრიქონები თვალებში მერეოდა. აღარ

მახსოვს, ზუსტად რა ეწერა, მაგრამ თუ სიტყვასიტყვით არა, შინაარსს მაინც ზუსტად გადმოგცემთ:

„Mademoiselle, — წერდა დე გრიე, — უსიამოვნო გარემოებამ მაიძულა აქედან დაუყოვნებლად გამგზავრება. ალბათ თვითონაც შეამჩნევდით, რომ თავს განზრახ ვარიდებდი თქვენთან საბოლოო ახსნა-განმარტებას, ვიდრე ყველა გარემოება არ გაირკვა. თქვენი მოხუცი (de la vieille dame) ნათესავის ჩამოსვლამ და მისმა სულელურმა საქციელმა გამიფანტა ყველა ეჭვი. ჩემი აწეწილი საქმეების გამო არ ძალმიძს კვლავ ვიქონიო ის საამო იმედები, რაც ერთხანს ესოდენ დიდ ნეტარებას მანიჭებდა. წარსულზე გულდანყვეტილს იმედი მაქვს, ჩემი საქციელი არ მოგცემთ იმის საბაბს, ჯენტლმენტად და პატიოსან კაცად (gentilhomme et honnête homme) არ ჩამთვალთ. თითქმის მთელი ჩემი ფული თქვენი მამინაცვლის ვალეებმა შეინირა, ამიტომ იძულებული ვარ იმ გზას მივმართო, რაც დამრჩენია. უკვე შევუთვალე ჩემს მეგობრებს პეტერბურგში, რომ დაუყოვნებლად გააყიდვინონ ჩემს სახელზე დაგირავებული მისი ქონება; მაგრამ ვიცი, თქვენმა ქარაფშუტა მამინაცვალმა თქვენი ფულიც გაფლანგა, ამიტომ გადავწყვიტე, ორმოცდაათი ათასი ფრანკი ვაპატიო და მის ქონებაზე აღებული გირავნობის სიგელების ნაწილი დავუბრუნო. ისე რომ, ახლა შეგიძლიათ მთლიანად აინაზღაუროთ, რაც დაკარგეთ, და სასამართლოს წესით მოსთხოვოთ მამულის დაბრუნება. იმედია, mademoiselle, ჩემი საქციელი თქვენთვის ფრიად ხელსაყრელი გახლავთ. იმის იმედიც მაქვს, რომ ამ საქციელით პირწმინდად ვიხდი კეთილშობილი კაცის ვალს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩემს გულში“.

— ჰო, ყველაფერი გასაგებია, — ვთქვი მე და მერე აღმოთებით დავაყოლე, — ნუთუ მისგან სხვა რამეს მოელოდით?

— არაფერსაც არ მოველოდი, — თითქოს მშვიდად მომიგო მან, თუმცა ხმა კი რაღაცნაირად გაბზარვოდა, — რა



ხანია უკვე გადავწყვიტე ყველაფერი: მისი ფიქრები ამოვიკითხე და გავიგე, რა ედო გულში. ეგონა, რომ ძალით... ძალით ავეკიდებოდი (პოლინამ აღარ დაამთავრა, ტურჩი მოიკვნითა და გაჩუმდა). შემდეგ განზრახ ორჯერ მეტი ზიზლით ვექცეოდი, ვიფიქრე, აბა, რას იზამს-მეთქი? მემკვიდრეობის თაობაზე ტელეგრამა რომ მოსულიყო, თავში ვახლიდი იმ იდიოტის (მამინაცვლის) ვალს და გავაგდებდი! დიდი ხანია უკვე მძულს. ოჰ, ის სულ სხვა კაცი იყო წინათ, სულ სხვა. ახლა კი, ახლა! ...ჰოი, რა სიხარულით მივაყრიდი იმ უნამუსო სახეში ორმოცდაათი ათასს და მივაფურთხებდი!.. ფეხითაც მივასრესდი ამ ფურთხს!

— მაგრამ ორმოცდაათი ათასზე დაბრუნებული გირავნობის სიგელი ხომ გენერალს აქვს? გამოართვით და დე გრიეს მიეცით.

— ო, ეს სხვაა! სხვა!..

— მართლაც სხვაა! თანაც გენერალს ახლა რაღა შეუძლია? ბებიაზე რას იტყვით? — უცებ შევძახე.

პოლინამ რაღაც უგულისყუროდ და მოუთმენლად შემომხედა და წყენით მითხრა:

— ბებია რა შუაშია? მე მასთან ვერ წავალ... და არც მსურს ვინმეს პატიება ვთხოვო, — დასძინა გაგულისებით.

— მაშ, რა უნდა ქნათ! არა, ნეტავ მაინც რამ შეგაყვარათ ეს დე გრიე! ოჰ, რა წუპაკი და არამზადაა! გინდათ წავალ და დუელში მოვკლავ! ახლა სადაა?

— ფრანკფურტშია, სამი დღე იქ დარჩება.

— თქვენი ერთი სიტყვა და ხვალვე პირველივე მატარებლით გავქანდები! — წამომცდა რაღაც სულელური გატაცებით.

პოლინას გაეცინა.

— მერე, პირველად იმას გეტყვით: ჯერ ორმოცდაათი ათასი ფრანკი დამიბრუნეთო. ან რატომ უნდა გამოგყვეთ დუელში?.. რა სისულელეა!

— კი მაგრამ, სად, სად ვიშოვოთ ეს ორმოცდაათი ათასი ფრანკი, — გავიმეორე კბილების ღრჭენით, თითქოსდა იატაკზე ეყარა და იქიდან შემეძლო აღება, — გამიგონეთ, მისტერ ასტლეიზე რას იტყვით? — ვკითხე და თავში რაღაც უცნაურმა აზრმა გამიელვა.

პოლინას თვალები აენთო.

— განა შენ თვითონ გინდა, რომ შენგან იმ ინგლისელთან ნავიდე? — შემომხედა მან გამსჭვალავად და მწარედ გაიღიმა. მაშინ პირველად მითხრა: შენო.

მაგრამ აღელვებისგან, მგონი, მაშინვე თავბრუ დაესხა და თითქოსდა ღონემიხდილი დაეშვა დივანზე.

მეხდაცემულივით ვიდექი და არც თვალებს, არც ყურებს არ ვუჯერებდი! მაშასადამე, ვუყვარვარ! მე მომაშურა და არა მისტერ ასტლეის! გაუთხოვარმა ქალმა მარტომ მომაკითხა სასტუმროს ოთახში, — მაშასადამე, საქვეყნოდ თავი მოიჭრა, — მე კი ავტუზულვარ მის წინ და მაინც ვერაფერს მივმხვდარვარ!

თავში ერთმა გიჟურმა აზრმა გამკრა.

— პოლინა! მხოლოდ ერთი საათი მაცალე! მხოლოდ ერთი საათი მომიცადე აქ და... დავბრუნდები! ეს... აუცილებელია! აი, ნახავ! აქ დამხვდი, იცოდე, აქ იყავი!

მან განცვიფრებით შემომხედა, მაგრამ მე უკვე გარეთ გავვარდი. მომაყვირა კიდევ რაღაც, ოღონდ არ დავბრუნებულვარ.

დიახ, დიახ, ზოგჯერ ყოვლად გიჟური და ერთი შეხედვით ყოვლად განუხორციელებელი აზრი და ფიქრი ისე ძლიერად გაგიჯდება თავში, ბოლოს თვითონაც შესაძლებლად მიიჩნევ... კიდევ მეტი: თუ ამ ფიქრს ძლიერი და დიდი სურვილიც მიემატება, მგონი, ისეთ ფატალურ, უცილობელ, შენი ბედის წიგნში ჩაწერილ ამბად მიიღებ, რომელიც შეუძლებელია, არ აგისრულდეს! იქნებ აქ კიდევ სხვა რაღაც არის, ნაზავი რაღაც წინათგრძნობათა, ნებისყოფის რაღაც უჩვეულო დაძა-



ბულობა, საკუთარი ფანტაზიით თავის მონამვლა თუ სხვა კიდევ, — არ ვიცი და ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ იმ სალამოს კი (რომელსაც ჩემს სიცოცხლეში ვერ დავივიწყებ) სასწაული გადამხდა თავს, თუმცა არითმეტიკულად სრულიად გამართლებული, ჩემთვის მაინც დღემდე სასწაულად დარჩენილი. ან რატომ მჯეროდა მაშინ ასე ძლიერად, საიდან მქონდა ეს ღრმა რწმენა, თანაც დიდი ხნის განმავლობაში? ვიმეორებ, ეს ჩემთვის იყო ალბათ არა ის შემთხვევა, რომელიც შეიძლება მოხდეს (და შეიძლება არც მოხდეს), არამედ ის, რაც შეუძლებელია, არ მოხდეს!

თერთმეტის თხუთმეტი წუთი იქნებოდა, როცა ვოკსალში ისე იმედიანად და, ამასთან, ისეთი აღელვებული შევედი, ჩემს სიცოცხლეში რომ არ განმიცდია. დარბაზებში ჯერ კიდევ საკმაოდ ირეოდა ხალხი, თუმცა დილანდელთან შედარებით ორჯერ ნაკლები იყო.

თერთმეტი საათისთვის სათამაშო მაგიდებთან მხოლოდ თავზე ხელაღებულ მოთამაშეებს ნახავთ, ვისთვისაც წყლებზე მხოლოდ რულეტი არსებობს, ვინც მხოლოდ ამისთვის ჩამოსულა. რაც ირგვლივ ხდება, ვერაფერს ამჩნევს, მთელი სეზონი, თამაშის გარდა, სხვა არაფერი აინტერესებს, დილიდან სალამომდე თამაშობს, შესაძლებელი რომ იყოს, დილამდეც ითამაშებდა და, როცა თორმეტ საათზე სათამაშო დარბაზი იკეტება, გულმოსული მიდის უკან. უფროსი კრუპიე რომ რულეტის დაკეტვის წინ, ასე თორმეტი საათისთვის, გამოაცხადებს: — *Les trois derniers coups, messieurs!*<sup>1</sup> ზოგჯერ ამ სამი უკანასკნელი თამაშისას მზად არიან, რაც ჯიბეში აქვთ, ყველაფერს ჩამოვიდნენ... და მართლაც, ყველაზე მეტად ამ დროს აგებენ. სწორედ იმ მაგიდას მივადექი, სადაც ამას წინათ ბებია იჯდა... მაინცდამაინც დიდი ჭყლეტა არ იყო და მაგიდასთან მალე დავიკავე ფეხზე დასადგომი ადგილი. ჩემ პირდაპირ

---

<sup>1</sup> უკანასკნელი სამი თამაში, ბატონებო (ფრანგ.).



მწვანე მაუდზე ცარციტ ეწერა: „Passe“. Passe — ცხრამეტიდან ოცდათექვსმეტის ჩათვლით ციფრების რიგს ჰქვია: პირველი რიგი, ერთიდან თვრამეტის ჩათვლით, Manque-ად იწოდება, მაგრამ ეს რაში მენალვლებოდა? გამოთვლისთვის სად მეცალა, ის კი არადა, არც გამიგია და არც მიკითხავს, რომელი ციფრი გამოვიდა ბოლოს. რა თქმა უნდა, ოდნავ მაინც ჭკვია-ნი მოთამაშე ასე არ მოიქცეოდა. ამოვიღე ჩემი ოცი ფრიდრიხსდორი და ჩემ წინ Passe-ზე დავყარე.

— Vingt deux!<sup>1</sup> — გამოაცხადა კრუპიემ.

მოვიგე და მთელი ფული, წინანდელიც და მონაგებიც, ისევ ჩავედი.

— Trente et un<sup>2</sup>, — დაიძახა კრუპიემ. ისევ მოვიგე! მაშასადამე, უკვე ოთხმოცი ფრიდრიხსდორი მქონდა! ეს ოთხმოცი ფრიდრიხსდორი შუა თორმეტ რიცხვზე დავდე (მოგების შემთხვევაში სამჯერ მეტი მერგებოდა, თუმცა მოგების შესაძლებლობა ორჯერ ნაკლები იყო). ბორბალი დატრიალდა და ოცდაოთხზე გაჩერდა. გადმომილაგეს ორმოცდაათ-ორმოცდაათ ფრიდრიხსდორის სამი შეკვრა და ათი ოქრო ცალკე. წინანდელთან ერთად უკვე ორასი ფრიდრიხსდორის პატრონი გავხდი.

მოვხვეტე ფულის ეს გროვა და ყველა ერთად ციებცხელებიანივით წითელზე დავყარე, მაგრამ უცებ გონს მოვეგე! მთელი სალამოს განმავლობაში მხოლოდ ამ ერთხელ ამიტანა შიშმა და ხელ-ფეხი ამიკანკალდა. თავზარი დამეცა და იმ წუთში შევიგრძენი, თუ რას ნიშნავდა ჩემთვის ახლა წაგება! ჩემი სიცოცხლე სასწორზე იდო!

— Rouge! — დაიძახა კრუპიემ და მეც სული მოვითქვი, ძარღვებში სისხლი ამიჩქეფდა. ანგარიში საბანკო ბილეთებით გამისწორეს. მაშასადამე, ახლა უკვე ოთხი ათასი ფლო-

---

1 ოცდაორი (ფრანგ.).

2 ოცდათერთმეტი (ფრანგ.).

რინი და ოთხმოცი ფრიდრიხსდორი მქონდა (მაშინ ჯერ კიდევ შემედლო ანგარიში).

შემდეგ, მახსოვს, ორი ათასი ფლორინი ისევ შუა თორმეტ ციფრზე დავდე და წავაგე: ჩავედი ჩემი ოქრო და ოთხმოცი ფრიდრიხსდორი და ისიც წავაგე. ბრაზით გაცოფებულმა დავტაცე ხელი დარჩენილ ორი ათას ფლორინს და პირველ თორმეტ ციფრზე დავყარე — ისე, ალაღბედზე, ანგარიშის გარეშე! წამით ისეთმა გრძნობამ ამიტანა, როგორიც ალბათ m-me Blanchard-ს ჰქონდა, როცა პარიზში საჰაერო ბუშტიდან ხტებოდა.

— Quatre! — დაიძახა კრუპიემ. წინანდელთან ერთად ისევ ექვსი ათასი ფლორინი დამიგროვდა. ახლა უკვე გამარჯვებულად ვგრძნობდი თავს, ახლა უკვე აღარაფრის მეშინოდა. ოთხი ათასი შავზე დავყარე. ცხრა კაცი, ჩემ კვალდაკვალ, შავზე ჩავიდა ფულს. კრუპიეები ერთმანეთს უყურებდნენ და რაღაცას ეუბნებოდნენ. ირგვლივ ყველა მოლოდინს შეეპყრო.

ბურთი შავზე გაჩერდა. აღარ მახსოვს ამის შემდეგ როგორ ან რამდენს ჩავდიოდი. სიზმარივით მახსოვს მხოლოდ, მგონი, უკვე თექვსმეტი ათასი ფლორინი მოვიგე. მაგრამ ერთბაშად სამჯერ მიმტყუნა ბედმა და აქედან თორმეტი წავაგე. შემდეგ უკანასკნელი ოთხი ათასი passe-ზე დავყარე (უკვე აღარაფერს ვგრძნობდი, მხოლოდ უაზროდ, ანგარიშმიუცემლად ველოდი, რა მოხდებოდა) და ისევ მოვიგე. შემდეგ ოთხჯერ ზედიზედ კვლავ მხვდა მოგება. მახსოვს მხოლოდ, რომ ფულს ათასობით ვიხვეტდი ჩემკენ. ისიც მაგონდება, რომ ყველაზე ხშირად შუა თორმეტი რიცხვი გამოდიოდა და სწორედ იმას ჩავაცვივდი. რატომღაც ზედიზედ გამოდიოდა, სამჯერ-ოთხჯერ გამოჩენის შემდეგ ქრებოდა, ორ დატრიალებაზე აღარ ჩანდა და მერე ისევ სამ-ოთხჯერ გამოჩნდებოდა. ეს საოცარი თანამიმდევრობა ზოგჯერ ზედიზედ ხდება და ფანქრით მოანგარიშე მოთამაშეებს სწორედ ეს უბნევთ თავგზას. მერედა, რა უღმობლად დაგცინებს ზოგჯერ ბედი!



მგონი, ჩემი იქ მოსვლიდან ნახევარ საათზე მეტი არ იქნებოდა გასული, როცა კრუპიემ უეცრად გამომიცხადა, რადგან ოცდაათი ათასი ფლორინი მოვიგე, ბანკს კი ერთ ჯერზე მეტის გადახდა არ შეუძლია, რულეტს ხვალ დილამდე ვხურავთო. ჩავიყარე ჯიბეებში ოქროები, ჩავბლუჯე ჩემი საბანკო ბილეთები და მაშინვე მეორე დარბაზის სათამაშო მაგიდაზე გადავედი. ყველა უკან გამომყვა. იქ მყისვე გამითავისუფლეს ადგილი და კვლავ ალაღბედზე დავინყე თამაში. არ ვიცი, რა სასწაულმა გადამარჩინა.

თუმცა ზოგჯერ რალაც ანგარიში მეც მომდიოდა თავში. ამოვიჩემებდი ხოლმე ზოგ ციფრსა და შესაძლებლობას, მაგრამ მალე იმათაც თავს ვანებებდი და ლამის ისევ უგონოდ ვთამაშობდი. ალბათ ძალიან მქონდა გულისყური დაფანტული, ვინაიდან, მახსოვს, კრუპიეებმა რამდენჯერმე შემისწორეს, ისეთ უხეშ შეცდომებს ჩავდიოდი. საფეთქლებზე ოფლმა დამასხა, ხელები მიკანკალებდა. პოლონელები მაღიმალ მომცვივდებოდნენ, თუ შეიძლება გვიმსახურეო, მაგრამ არავის ვუსმენდი. ბედმა არც ერთხელ არ მიმტყუნა! უეცრად ერთი ყაყანი და სიცილი ატყდა. „ვაშა, ვაშა!“ აყვირდა ყველა, ზოგმა კი ტაშიც შემოჰკრა. თურმე აქაც ოცდაათი ათასი მომიგია და ისევ იძულებული გახდნენ, ბანკი ხვალამდე დაეხურათ!

— წადით, ახლავე წადით აქედან, — მიჩურჩულებდა ვილაც მარჯვნივ. ეს ფრანკფურტელი ურია იყო, მთელი საღამო რომ გვერდით მედგა და, მგონი, ზოგჯერ თამაშისას მეხმარებოდა.

— ღვთის გულისათვის, გაეცალეთ აქაურობას, — ახლა მარცხნიდან ჩამჩურჩულა ვილაცამ ყურში. გადავხედე. ფრიად სადად და წესიერად ჩაცმული ქალი აღმოჩნდა, ასე ოცდაათი წლის. რალაც ფერმიხდილი, დაღლილი სახე ჰქონდა, მაგრამ წინანდელი სილამაზის კვალი მაინც ემჩნეოდა. ამ დროს ჯიბეებში ვიტენიდი ბანკის ქალაღებებს და მაგიდაზე დარჩენილ ოქროებს ვაგროვებდი. უკანასკნელი ორმოცდაათი ფრიდ-



რიხსდორის შეკვრა რომ ავიღე, მოვასწარი და იმ ფერმიხდილ ქალს შეუმჩნევლად ხელში ჩავუდე. იმნუთას საოცრად მომიინდა, ასე მოვქცეულიყავი. მახსოვს, რა დიდი მადლიერებით მომიჭირა თავისი წვრილი, გამხდარი თითები. ეს ყოველივე თვალის დახამხამებაში მოხდა.

მთელი ფული რომ მოვხვეტე, სასწრაფოდ *Trente et quarante*-ისკენ გავქანდი.

*Trente et quarante*-თან მუდამ არისტოკრატიული საზოგადოება იყრის თავს. ეს რულეტი კი არა, ბანქო გახლავთ, აქ ბანკს ასი ათასი ტალერის გაცემა შეუძლია. აქაც ოთხი ათას ფლორინზე მეტის ჩამოსვლა არ შეიძლება. ამ თამაშს არ ვიცნობდი და წითელისა და შავის გარდა, სად და როგორ დამედო, არაფერი გამეგებოდა. ამიტომაც სწორედ მათ ჩავაცვივდი. მთელი ვოკსალი ჩემ ირგვლივ შეკრებილიყო. არ მახსოვს, ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც თუ მომაგონდა პოლინა. რაღაც დაუოკებელ ნეტარებას მანიჭებდა მაშინ ჩემ წინ ზვინად დაყრილი საბანკო ბილეთების მოხვეტა და ჩაბლუჯვა.

განგება თითქოს მართლაც მწყალობდა. ჩემდა ბედად, ამჯერად ერთი ამბავი მოხდა, თუმცა ასეთი რამ არც ისე იშვიათია თამაშის დროს. მაგალითად, იღბალი ზოგჯერ წითელს ამოიჩემებს და ზედიზედ ათჯერ და ხანდახან თხუთმეტჯერაც გამოვს. სამი დღის უკან მითხრეს, წინა კვირას წითელი ოცდაორჯერ ზედიზედ გამოვიდაო. მსგავსი რამ რულეტზედაც კი არავის ახსოვს და ამიტომაც განცვიფრებით ჰყვებოდნენ. ცხადია, მაშინვე ყველა თავს ანებებს წითელს და ათჯერ გამოსვლის შემდეგ თითქმის აღარავინ ჩამოდის მასზე. მაგრამ გამოცდილი მოთამაშე არც წითლის საწინააღმდეგოდ მდებარე შავზე დებს ხოლმე მაშინ. მან კარგად იცის, რას ნიშნავს შემთხვევოს ეს „თავქეიფობა“. წესით, თითქოს წითლის ჩვიდმეტჯერ გამოსვლის შემდეგ ბორბალი უთუოდ შავზე უნდა გაჩერდეს. ხამი მოთამაშე სწორედ ამას ხარბდება, ორჯერ თუ სამჯერ მეტს ჩადის და საშინლად აგებს.

მაგრამ მე რალაც უცნაურმა ჟინმა ამიტანა. როცა შევამჩნიე, წითელი ზედიზედ შვიდჯერ გამოხტა-მეთქი, განგებ მას ჩავაცვივდი. დარწმუნებული ვარ, ნახევრად მაინც თავმოყვარეობის ბრალი იყო, რათა ჩემი უაზრო გამბედაობით მაყურებლები განმეცვიფრებინა. გარკვევით მახსოვს (ოჰ, რა საოცარი გრძნობა იყო), რომ უეცრად, ყოველგვარი თავმოყვარეობის კარნახის გარეშე, მართლაც საოცრად მომინდა კიდევ გამერისკა. იქნებ ამდენი ღელვით სული ვერ ძლება, უფრო და უფრო ღიზიანდება, უფრო ძლიერ განცდებს ითხოვს, ვიდრე ბოლოს არაქათი მთლად არ გამოეცლება. ჰოდა, წესდებით შესაძლებელი რომ ყოფილიყო ორმოცდაათი ათასი ფლორინის ერთ ჯერზე ჩამოსვლა, უთუოდ ყველას ერთად ჩავიდოდი. ირგვლივ ყვიროდნენ, ეს სიგიჟეა, წითელი უკვე მეთოთხმეტეჯერ გამოვიდაო!

— Monsieur a gagné déjà cent mille florins<sup>1</sup>, — მომესმა გვერდით ვილაცის ხმა.

ერთბაშად გონს მოვეგე. რაო? ამ სალამოს ასი ათასი ფლორინი მოვიგე! მეტი რა ჯანდაბად მინდა? დავტაცე ხელი ბილეთებს, ჩავიტენე ჯიბეებში, დაუთვლელად მოვხვეტე ოქრო, ფულის შეკვრები და ვოკსალიდან გამოვვარდი. მე რომ დარბაზებში გავდიოდი ჯიბეებგამობერილი და ოქროებისგან დამძიმებული, ყველა იცინოდა. მგონი, ნახევარ ფუთზე მეტი ოქრო იქნებოდა. დავინახე ჩემკენ გამოწვდილი რამდენიმე ხელი და სუყველას იმდენი ჩავუტენე, რაც მუჭს ამოჰყვა. ორმა ურიამ კართან გამაჩერა და მითხრა:

— ძალიან, ძალიან გაბედული კაცი ყოფილხართ! ოლონდაც ხვალ დილითვე გაემგზავრეთ აქედან, თორემ ისევ ყველაფერს წააგებთ...

მათთვის ყური არ მითხოვებია. ხეივანში ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. სასტუმრომდე ნახევარი ვერ-

---

<sup>1</sup> ბატონმა უკვე ასი ათასი ფლორინი მოიგო (ფრანგ.).

სი იქნებოდა. ქურდებისა და ყაჩაღების პატარაობის დროსაც არ მშინებია; არც ახლა მიფიქრია ამაზე. თუმცა რაზე ვფიქრობდი გზაში, არ მახსოვს; მგონი არც მიფიქრია... მხოლოდ უჩვეულო ნეტარებას ვგრძნობდი, მაგრამ ვერ ვიტყვი, გამარჯვების განცდა იყო, გამართლებისა თუ სიძლიერის. მაგონდებოდა პოლინაც. მახსოვდა და ვგრძნობდი, რომ ახლა მასთან მივდიოდი, მას შევხვდებოდი, ყველაფერს ვუამბობდი და ფულს ვაჩვენებდი... მაგრამ ის კი ძლივს გავიხსენე, წელან რა მითხრა ან მე რატომ წამოვედი. ამ საათ-ნახევრის წინ განცდილი და ნაგრძნობი ახლა უკვე დიდი ხნის წინანდელ, გამოსწორებულ, მოძველებულ ამბად მიმაჩნდა, რომელსაც აღარც კი გავიხსენებთ, რადგან ყველაფერი ახლიდან დაიწყება. თითქმის ხეივნის ბოლოს ვიყავი, როცა უეცრად შიშმა ამიტანა: ვაიმე, ახლა რომ მომკლან და გამძარცვონ-მეთქი! შიში ყოველ ნაბიჯზე მიორკეცდებოდა. თითქმის გავრბოდი. უცებ ხეივნის ბოლოს ჩვენი გაჩახჩახებული სასტუმრო გამოჩნდა. მადლობა ღმერთს — შინ მივაღწიე!

ავირბინე ჩემს სართულზე და სწრაფად შევაღე კარი. პოლინა ისევ იქ, დივანზე იჯდა. ანთებული სანთლის წინ, და ხელები ჯვარედინად დაეკრიფა. გოცეებით შემომხედა. იმწყურას ალბათ მართლაც საკმაოდ უცნაური სანახავი ვიყავი. წინ დავუდექი და ფული მაგიდაზე ამოვყარე.

## თავი მეთხუთმეტი

მახსოვს, საოცარი დაკვირვებით მომჩერებოდა, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია და არც შერხეულა.

— ორასი ათასი ფრანკი მოვიგე, — შევძახე და უკანასკნელი შეკვრაც ამოვიღე. მაგიდა საბანკო ბილეთებისა და ოქროების გროვამ დაფარა. თვალი ველარ მოვწყვიტე. შიგადაშიგ პოლინას იქ ყოფნაც მავიწყდებოდა. ხან ბანკის ბი-



ლეთებს ვანყობდი ერთმანეთზე, ხან ოქროებს ცალკე გროვად ვაქურებდი, ხან ყველაფერს მივყრიდი და ჩაფიქრებული ბოლთას ვცემდი ოთახში. მერე ისევ მაგიდასთან მივდიოდი და ისევ ფულს ვთვლიდი. უცებ თითქოს გონს მოვეგე და კარი საჩქაროდ გადავკეტე. გასაღები ორჯერაც კი გადავატრიალე. შემდეგ ჩაფიქრებული გავჩერდი ჩემი პატარა ჩემოდნის წინ.

— ვითომ ჩემოდანში ჩავანყო ხვალამდე? — მივუბრუნდი პოლინას და უცებ გამახსენდა მისი არსებობა. პოლინა კვლავ გაუნძრევლად იჯდა. თვალს არ მაშორებდა. მეუცხოვა და არ მომეწონა მისი მზერა! არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს სიძულვილი იყო.

მისკენ გავექანე.

— პოლინა, აი, ეს ოცდახუთი ათასი ფლორინი, ანუ ორმოცდაათი ათას ფრანკზე მეტი, ხვალვე სახეში მიაყარეთ იმ ფრანგს.

პოლინამ არ მიპასუხა.

— თუ გნებავთ, დილაადრიან მე თვითონ წავუღებ, ჰა?

პოლინას უცებ გაეცინა. დიდხანს, დიდხანს იცინა.

გაოცებითა და დაღონებით შევაცქერდი. ამ სიცილმა მისი დამცინავი კისკისი მომაგონა, როცა სიყვარულს ვეფიცებოდი. ბოლოს გაჩუმდა, წარბი შეიკრა და ქვეშ-ქვეშ გოროზად შემომაჩერდა.

— თქვენს ფულს არ ავიღებ, — მითხრა ზიზლით.

— რაო? ეს რას ნიშნავს? — შევძახე, — ვითომ რატომ?

— ტყუილუბრალოდ ფულს არავის ვართმევ.

— მე გაძლევთ, როგორც მეგობარი, მე სიცოცხლესაც არ დავიშურებ.

პოლინამ დიდხანს მომაპყრო გამომცდელი მზერა, მერე ჩაეცინა.

— ძვირად მაფასებთ, დე გრიეს საყვარელი ორმოცდაათი ათასი ფრანკი არ ღირს.

— ასე როგორ მელაპარაკებით, პოლინა! — აღმომხდა ყვედრებით, — განა დე გრიე ვარ?

— მძულხართ! დიახ!.. დიახ! დე გრიეზე მეტად არ მიყვარხართ! — შესძახა უცებ და თვალები ნაკვერჩხალივით გაუხდა.

მერე სახეზე ხელები აიფარა და ისტერიკული ტირილი წასკდა.

თითქოს ჭკუაზე ვერ იყო, უჩემოდ რალაც დამართოდა, და მისკენ გავქანდი.

— მიყიდე! გინდა, გინდა დე გრიესავით ორმოცდაათი ათასად მიყიდო? — წამოსცდა ქვითინით. მკლავები შემოვხვიე, დავუჩოქე, ხელ-ფეხი დავუკოცნე.

პოლინამ ტირილი შეწყვიტა. ორივე ხელი მხრებზე დამადო და ისეთნაირად ჩამაშტერდა, თითქოს ჩემს სახეზე რალაც უნდა ამოიკითხოსო. მისმენდა, მაგრამ რას ვეუბნებოდი, მგონი, არაფერი ესმოდა. რალაც წუხილი და ჩაფიქრება გამოეხატა სახეზე. მეშინოდა, ჭკუაზე არ შეცდეს-მეთქი. ხან მიმნდობი ღიმილით თავისკენ მიმიზიდავდა, ხან ხელს მკრავდა და კვლავ ისე კუმტად ჩამაცქერდებოდა.

ერთბაშად პოლინა გადამეხვია.

— ხომ გიყვარვარ, ხომ გიყვარვარ? შენ... შენ ხომ ჩემი გულისთვის ბარონი კინალამ დუელში გამოიწვიე! — მითხრა და ისე გადაიკისკისა, თითქოს რალაც სასაცილო და საამური გაახსენდაო. თან ტიროდა, თან იცინოდა. რა უნდა მექნა? თვითონაც ლამის ციებცხელებიანივით ვიყავი. მახსოვს, რალაცას მეუბნებოდა, მაგრამ რას, ვერაფერი გავიგე. ეს ბოდვა იყო თუ უაზრო ტიტინი, — თითქოსდა ეშურებოდა ჩემთვის რალაცა ეამბნა, მაგრამ შიგადაშიგ ისე მხიარულად გადაიკისკისებდა, შიში მიტანდა. „არა, არა, შენ კარგი ხარ, კარგი, ჩემი ერთგული!“ — მიმეორებდა იგი, ისევ მკლავებს მადებდა მხრებზე და მაშტერდებოდა: „შენ გიყვარვარ... კი, გიყვარვარ... ხომ გეყვარები?“ პირველად ვხედავდი ესოდენ

სიყვარულითა და სინაზით სავსეს და თვალი ვერ მომეშორებინა. რა თქმა უნდა, ეს ბოღვა იყო; მაგრამ... ვნებით სავსე ჩემს მზერას რომ შეამჩნევდა, უცებ ეშმაკურად ჩაიღიმებდა. ასევე უცებ, უმიზეზოდ, მისტერ ასტლეიც აგონდებოდა ხოლმე.

მისტერ ასტლეის წარამარა ახსენებდა (მეტადრე წელან, როცა ჩემთვის რალაციის მოყოლას ცდილობდა), მაგრამ რასთან დაკავშირებით, ვერა და ვერ მივუხვდი. მგონი, დასცინოდა კიდევ; წარამარა მიმეორებდა, იგი მელისო... იცი თუ არა, რომ ახლაც ალბათ ქვემოთ დგასო? „კი, კი, — აბა, ერთი გადაიხედე და ნახე, თუ ქვემოთ არ დგას!“ თან ხელს მკრავდა, მაგრამ როგორც კი ფანჯრისკენ გავიწევი, მაშინვე კისკისს ატეხდა და ყელზე შემომეხვეოდა.

— ხომ ნავალთ? ხომ ხვალვე ნავალთ? — მოაგონდებოდა ანაზღად შეშფოთებით, — ჰოდა (პოლინა ჩაფიქრდა), ბებიასაც ხომ დავენევი, როგორ გგონია? იქნებ ბერლინში დავენიოთ. ნეტავ რას იფიქრებს, რომ დაგვინახავს? მისტერ ასტლეი? ო, ეგ არამც და არამც არ გადმოხტება შლანგენბერგიდან (პოლინამ გადაიკისკისა). ჰო, ყური მიგდე: იცი, მომავალ ზაფხულს სად აპირებს გამგზავრებას? ჩრდილოეთ პოლუსზე სამეცნიერო გამოკვლევებისთვის და მეც მიმიწვია, ჰა, ჰა, ჰა! ამბობს, რუსებს ევროპელების გარეშე არაფერი გაგეგებათ და არაფერი შეგიძლიათო... მაგრამ კეთილი კია! იცი, „გენერალსაც“ ამართლებს, ამბობს, რომ Blanche-მა... რომ ვნებამო... თუმცა არ ვიცი, არა, — თითქოს დაებნა სათქმელი, — სანყლები, როგორ მეცოდებიან, ბებიაც მეცოდება... გამიგონე, გამიგონე, განა შეგეძლო დე გრიეს მოკვლა? არა, ნუთუ გგონია, რომ მოკლავდი? რა სულელი ყოფილხარ! ან მართლა გეგონა დე გრიეს მოსაკლავად გაგიშვებდი? შენ ხომ ბარონსაც ვერ მოკლავ, — დასძინა უცებ სიცილით, — ვაი, რა სასაცილოები იყავით მაშინ შენ და ბარონი. სკამიდან გიყურებდით; როგორ არ გინდოდა მაშინ მისვლა, მე რომ



გგზავნიდი. ვაი, რამდენი ვიცინე მაშინ, რამდენი ვიცინე, — დაუმატა კისკისით.

მერე ისევ მეხვეოდა და მკოცნიდა, ისევ ვნებიანად და ნაზად მეკვროდა სახით. უკვე აღარც ფიქრი შემეძლო და აღარც არაფერი მესმოდა. თავბრუ დამესხა...

მგონი, დილის შვიდ საათზე გამელვიდა. ოთახში მზე ანათებდა. პოლინა გვერდით მეჯდა და აქეთ-იქით ისე უცნაურად იყურებოდა, თითქოს ეს-ესაა ბნელეთიდან გამოვიდა და ახლარაღაცის გახსენებას ლამობსო. მასაც ეს ნუთია გაღვიძებოდა და მაგიდაზე დაყრილ ფულს დასჩერებოდა. თავი დამძიმებულ მქონდა, მტკიოდა კიდეც. პოლინას მკლავზე წავეტანე. მან კი ხელი მკრა და უცებ წამოხტა დივნიდან. ღრუბლიანი დღე იყო, გათენებამდე განვიმებულა. პოლინა ფანჯარას მიადგა, თავი და მკერდი გადაჰყო, იდაყვები ფანჯრის წირთხლს მიაბჯინა და სამიოდე წუთს ასე იყო. არც მისმენდა, რას ვეუბნებოდი და არც ჩემკენ მოტრიალებულა. შიშმა ამიტანა: ახლარა იქნება ან რით დამთავრდება-მეთქი ყველაფერი? უცებ პოლინა ფანჯარას მოშორდა, მაგიდას მოადგა, უსაზღვრო სიძულვილით შემომხედა და სიბრაზისგან აცახცახებული ტუჩებით მითხრა:

— აბა, მომეცი ახლა ჩემი ორმოცდაათი ათასი ფრანკი!

— პოლინა, ისევ დაინყე!

— ან იქნებ გადაიფიქრე? ჰა-ჰა-ჰა! იქნებ გენანება უკვე?

გუშინდელი გადათვლილი ოცდახუთი ათასი ფლორინი მაგიდაზე ეწყო. ავიღე და მივეცი.

— მაშ, ახლა ეს ჩემია? ჩემია? ჩემია? — ღვარძლით ჩამეკითხა იგი.

— აქამდეც შენი იყო.

— აჰა, ეს შენი ორმოცდაათი ათასი ფრანკი! — პოლინამ მოიქნია ფულის დასტა და მთხლიშა. ფული იატაკზე გაიფანტა. ნუთიც და პოლინა გარეთ გავარდა.

ვიცი, რა თქმა უნდა, იმნუთას პოლინა თავის ჭკუაზე არ

იყო, მაგრამ რამ გააგიჟა ასე, ვერ გამიგია. თუმცა მას აქეთ აგერ უკვე ერთი თვეა და ჯერაც ავად არის. რა დაემართა, ან რაც მთავარია, რა იყო მიზეზი, ასე რომ მოიქცა? შელახული თავმოყვარეობა? თუ ის ვერ მოინელა, რომ თავისით მოვიდა ჩემთან? ან იქნებ ვაგრძნობინე, რომ გავყოყორდი ჩემი ბედნიერებით და დე გრიესავით ვაპირებ ორმოცდაათი ათასი ფრანკით მოვიშორო? მაგრამ ხომ ვიცი, რომ ასე არ იყო, სინდისი მეუბნება, არა და არაო. ვგონებ, ნაწილობრივ მისი სიამაყის ბრალი იყო ყველაფერი: სიამაყემ უკარნახა, არ დაეჯერებინა ჩემთვის და შეურაცხყოფა მოეყენებინა, თუმცა თვითონაც ალბათ ეს ყველაფერი მთლად ნათლად ვერ აღეჭვა. თუ ასეა, რა თქმა უნდა, დე გრიეს მაგიერ მე მაზღვევინეს და, ასე ვთქვათ, უდანაშაულო დამნაშავე გამხადეს. ისე კი მართლა ბოღვა იყო ყველაფერი. ისიც ვიცი, რომ თვითონაც ჭკუა ჰქონდა არეული... და ამ ამბავს ყური არ ვათხოვე. იქნებ ამის პატიება არ შეუძლია ახლა ჩემთვის? მაგრამ ეს ახლა, მაშინ კი, მაშინ? განა მართლა ისე აერია ჭკუა და ისეთ მდგომარეობაში იყო, არ იცოდა, რას სჩადიოდა, როცა ჩემთან დე გრიეს წერილით მოვიდა? არა, იცოდა, დიახაც იცოდა, რასაც აკეთებდა.

ჰაიჰარად ჩავკუჭე ქალაღდის ფული და ოქრო ლოგინში, საბანი გადავაფარე და პოლინას ათიოდე წუთის შემდეგ გავეკიდე. დარწმუნებული ვიყავი, შინ გაიქცა-მეთქი. მინდოდა შევპარულიყავი და დერეფანში მეკითხა გადიასთვის, პოლინა როგორ არის-მეთქი. მაგრამ როგორ გავოცდი, როცა კიბეზე გადაი შემხვდა და მისგან გავიგე, რომ პოლინა შინ არ დაბრუნებულყო და მისი ამბის გასაგებად თვითონ მოდიოდა ჩემთან.

— აი, ახლა წავიდა ჩემგან, ათი წუთის წინ. ნეტავ სად უნდა წასულიყო? — ვკითხე.

გადიამ საყვედურით შემომხედა.

სასტუმროში უკვე ერთი მითქმა-მოთქმა ამტყდარი-



ყო. მეკარისა თუ ობერკელნერის სამყოფში ჩურჩულებდნენ, ფრეილენი ამ წვიმაში დილის ექვს საათზე სასტუმროდან გავარდა და hotel d'Angleterre-ისკენ გაიქცაო. მათ სიტყვებსა და გადაკრულებზე შევატყვე, უკვე იცოდნენ, მთელი ღამე ჩემთან რომ გაატარა. მოკლედ, გენერლის ოჯახის ამბავი ყველას გაეგო. იძახდნენ, გენერალი გუშინ გიჟივით იქცეოდა და მთელი სასტუმროს გასაგონად ტიროდაო. იმასაც ყვებოდნენ, რომ ჩამოსული ბებია მისი დედა იყო, რომელიც განზრახ გამოემგზავრა რუსეთიდან, რათა ვაჟისთვის m-lle Cominges-ის შერთვა დაეშალა, ემუქრებოდა, თუ არ დამიჯერებ, მემკვიდრეობას წაგართმევო. ჰოდა, რაკი გენერალმა მართლა არ დაუჯერა, გრაფინიამ მის თვალწინ განგებ წააგო მთელი ფული რულეტზე, ვაჟს რომ აღარაფერი დარჩენოდა. „Diese Russen!“<sup>1</sup> — აღშფოთებით იმეორებდა ობერკელნერი და თავს იქნევდა. სხვებიც იცინოდნენ. ობერკელნერი უკვე ანგარიშს ამზადებდა გენერლისთვის. ჩემი მოგების ამბავი ყველას გაეგო. პირველად ჩემი სართულის მსახურმა კარლმა მომილოცა. მაგრამ მათთვის არ მცხელოდა. სასტუმრო D'Angleterre-ში გავქანდი.

ადრე იყო. მისტერ ასტლეი არავის იღებდა. მაგრამ როცა გაიგო, მე ვიყავი, დერეფანში გამოვიდა, წინ დამიდგა და უხმოდ მომაპყრო გამოცივებული თვალები, აბა, რას მეტყვისო? უმალ პოლინაზე ვკითხე.

— ავად გახლავთ, — მითხრა მან. კვლავაც ჯიქურ მიმზერდა, თვალს არ მაცილებდა.

— მაშ, მართლა თქვენთანაა?

— დიახ, ჩემთან.

— კი მაგრამ... მართლა აპირებთ, რომ თქვენთან დატოვოთ?

— დიახ, ვაპირებ.

---

<sup>1</sup> ეს რუსები (გერ.).



— ეს ხომ აურზაურს გამოიწვევს, მისტერ ასტლეი, ეს შეუძლებელია. თანაც ავად არის, იქნებ ვერ შეამჩნიეთ?

— დიახ, შევამჩნიე და კიდევაც გითხარით, ავად არის-მეთქი. ავად რომ არ ყოფილიყო, წუხელ თქვენთან არ დარჩებოდა.

— მაშ ესეც იცით?

— ესეც ვიცი. გუშინ აქ უნდა მოსულიყო და ჩემს ნათესავ ქალთან წამეყვანა. მაგრამ ავად იყო და შეცდომით თქვენ მოგაკითხათ.

— წარმოგიდგენიათ! მაშ, მომილოცავს, მისტერ ასტლეი. ჰო, ეგ კარგი მომაგონეთ: ნეტავ გუშინ ჩემი ფანჯრის ქვემოთ ხომ არ იდექით მთელი ღამე? მის პოლინა მთელი ღამე ფანჯარასთან მგზავნიდა, მიდი და ნახე, მისტერ ასტლეი ქვემოთ ხომ არ დგასო. ბევრი იცინა.

— მართლა? არა. ქვემოთ არ ვიდექი, მაგრამ დერეფანში კი ვუცდიდი და ბოლთას ვცემდი.

— მას მკურნალობა სჭირდება, მისტერ ასტლეი.

— დიახ, ექიმს უკვე გამოვუძახე. თუ მოკვდა, პასუხს თქვენ მოგკითხავთ.

— რას ბრძანებთ, მისტერ ასტლეი, ეგ რამ მოგაფიქრათ? — ვკითხე გაოცებულმა.

— გუშინ მართლა მოიგეთ ორასი ათასი ტალერი?

— მხოლოდ ასი ათასი ფლორინი, მეტი არა.

— აი, ხომ ხედავთ! მაშასადამე, დღეს დილითვე პარიზში გაემგზავრებით.

— იქ რა მინდა?

— ფულიანი რუსები ყველანი პარიზში მიემგზავრებიან, — ისეთი კილოთი მითხრა მისტერ ასტლეიმ, თითქოს წიგნში წაიკითხაო.

— ამ ზაფხულს პარიზში რა ვაკეთო? თქვენც ხომ იცით, პოლინა რომ მიყვარს, მისტერ ასტლეი!

— ვითომ? მე კი დარწმუნებული ვარ, რომ არა. თანაც აქ

თუ დარჩებით, ალბათ ყველაფერს წააგებთ, პარიზში წასასვლელი ფული აღარ გექნებათ. აბა, მშვიდობით. მჯერა, რომ დღესვე პარიზს მიაშურებთ.

— კეთილი, მშვიდობით, ოღონდაც პარიზში არ გავემგზავრები. მაგრამ ჩვენთან რა ამბავი ატყდება, ამაზე არ ფიქრიათ, მისტერ ასტლეი? ჯერ გენერალი... ახლა მის პოლინას ამბავი. ეს ამბავი ხომ მთელ ქალაქს მოედება.

— დიახ, მოედება, თუმცა, მგონი, გენერალი ამაზე არ ფიქრობს და არც საამისოდ სცხელა. თანაც მის პოლინას ვერავინ აუკრძალავს, სადაც ისურვებს, იქ იცხოვროს. რაც შეეხება ამ ოჯახს, სიმართლე იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ოჯახი უკვე აღარ არსებობს.

მოვდიოდი და გზაში მეცინებოდა, რა დარწმუნებულია ეს ინგლისელი, რომ პარიზში გავემგზავრები-მეთქი. „თუმცა mademoiselle პოლინა რომ მოკვდეს, დუელში მიპირებს განვევას! აი, ხათაბალა!“ ვფიცავ, პოლინა მეცოდებოდა, მაგრამ მას მერე, რაც სათამაშო მაგიდასთან დავყავი და დასტობით ფული მოვხვეტე, სიყვარული თითქოს ჩემთვის ყველაფერს აღარ ნიშნავდა. თუმცა ამას ახლა ვამბობ, მაშინ კი ასე ნათლად არ მიგრძნია. ნუთუ მართლა მოთამაშედ ვარ გაჩენილი, ნუთუ მართლა... ასე უცნაურად მიყვარდა პოლინა? არა, არა, ღმერთია მოწამე, დღემდე მიყვარს იგი! მაშინ კი მისტერ ასტლეიდან წამოსული გზაში გულწრფელად ვიტანჯებოდი და ჩემს თავს ვაბრალებდი ყველაფერს. მაგრამ... მაგრამ ამ დროს ერთი მეტად უცნაური და სულელური ამბავი შემემთხვა.

გენერლისკენ რომ მივიჩქაროდი, მათი ბინის შორიანლოს ანაზღად კარი გაიღო და ვილაცამ დამიძახა. ეს m-me veuve Cominges გახლდათ, ვისთვისაც ჩემი დაძახება m-lle Blanche-ს ებრძანებინა. ავედი და m-lle Blanche-თან შევედი.

მათ ორი პატარა ოთახი ეკავათ. ოთახიდან m-lle Blanche-ის კისკისი და ხმა ისმოდა. ეს ნუთია გამოღვიძებოდა.

— A, c'est lui! Viens donñ, bêta! მართალია, que tu as gagné une montagne d'or et d'argent? J'aimerais mieux l'or<sup>1</sup>.

— მოვიგე, — სიცილით ვუპასუხე.

— რამდენი?

— ასი ათასი ფლორინი.

— Bibi, comme tu es bête. ჰო, ჰო, შემოდი, არაფერი მესმის. Nous ferons bombance n'est-ce pas? <sup>2</sup>

შევედი მის სანოლში. Blanche იწვა და ვარდისფერი ატლასის საბანი ეხურა. შავგვრემან, გასაოცარი სილამაზის მხრებს — ამისთანა მხრებს მხოლოდ სიზმარში თუ ნახავს კაცი — ოდნავ უფარავდა ქათქათა მაქმანებით განწყობილი ბატისტის პერანგი და მის შავგვრემან კანს საოცრად შვენოდა.

— Mon fils, as-tu du cœur?<sup>3</sup> — შემომძახა და გადაიკისკისა. სიცილი მუდამ მხიარული და ზოგჯერ გულწრფელიც კი ჰქონდა.

— Tout autre...<sup>4</sup> — ოდნავ შევცვალე კორნელის<sup>5</sup> სიტყვები.

— აი, ხომ ხედავ, vois-tu, — ატიკტიკდა უცებ Blanche, — ჯერ ერთი, წინდები მომიძებნე და ფეხზე ჩაცმა მიშველე, — meorec, si tu n'es pas trop bête, je te prends à Paris<sup>6</sup>. ხომ იცი, ამნუთას მივემგზავრები.

— ამნუთას?!

— ნახევარ საათში.

ბარგი მართლაც ჩალაგებული ჰქონდა და ჩემოდნებიც გამზადებული. ყავაც კარგა ხანია მოეტანათ.

— Eh bien! თუ გინდა, tu verras Paris. Dis donc qu'est ce que

---

1 ისაა ის, აქ მოდი, ბრიყვო! მართალია, რომ მთელი ზვინი ოქრო-ვერცხლი მოიგე? ოქრო კი მერჩივნა (ფრანგ.).

2 რა სულელი ხარ, ბიბი... ახლა ხომ წავიქეიფებთ (ფრანგ.)?

3 მამაცი თუ ხარ, შვილო ჩემო (ფრანგ.).

4 ყოველი სხვა (ფრანგ.).

5 ფრანგი დრამატურგი, მიჩნეულია ფრანგული ტრაგედიის მამად (1606-1684).

6 თუ მართლა ბრიყვი არ იქნები, პარიზში წავიყვან (ფრანგ.).



c'est qu'un outchitel? Tu étais bien bête, quand tu étais outchitel<sup>1</sup>. ჩემი წინდები სადღაა? აბა, ჩამაცვი ჩქარა!

M-lle Blanche-მა მართლაც გამომიყო თავისი პატარა მომხიბლავი, შავგვრემანი ნაქანდაკევი ფეხი, რომელიც ასე ლამაზი ჩანს ხოლმე ფეხსაცმელში. გამეცინა და აბრეშუმის წინდა ჩამოვაცვი. თვითონ კი ისევ ლოგინზე იჯდა და შეუჩერებლად ტიკტიკებდა.

— Eh bien, que feras-tu, si je te prends avec? ჯერ ერთი, je veux cinquante mille francs. ფულს ფრანკფურტში მომცემ. Nous allorts à Paris, ჩვენ იქ ვიცხოვრებთ et je te ferais voir des étoiles en plein jour<sup>2</sup>. ისეთ ქალებს ნახავ, შენს სიცოცხლეში რომ არ შეხვედრიხარ. გამიგონე...

— დაიცა! ორმოცდაათი ათასი ფრანკი თუ მოგეცი, მე რაღა დამრჩება?

— Et cent cinquante mille francs, დაგავინყდა? გარდა ამისა, თანახმა ვარ, ერთი ან ორი თვე შენთან ვიცხოვრო, que sais-je! ამ ას ორმოცდაათ ფრანკს კი, რა თქმა უნდა, ორ თვეში დავამღერებთ. აი, ხედავ, je suis bonne enfant<sup>3</sup>, და წინასწარვე გეუბნები, mais tu verras des étoiles.

— ეს ყველაფერი ორ თვეში?

— უყურე, როგორ შეეშინდა! Ah, vil esclave!<sup>4</sup> არა, გესმის თუ არა, რომ შენს სიცოცხლეში ეს ყველაზე დიდებული თვე იქნება! Et après le déluge! Mais tu ne peux comprendre, va! წადი, დამეკარგე აქედან, ამის ღირსი არ ხარ! ვაი, que fais-tu?<sup>5</sup>

---

1 შენ პარიზს ნახავ. ერთი მითხარი, მასწავლებელი რას ნიშნავს? დიდი ბრიყვი კი ჩანდი, როცა მასწავლებელი იყავი (ფრანგ.).

2 ნეტავ რას იზამ, თან რომ წავიყვანო? ორმოცდაათი ათასი ფრანკი მჭირდება... პარიზში წავალთ... და იქ დღისით, მზისით ვარსკვლავებს გაჩვენებ (ფრანგ.).

3 რა კეთილი გოგო ვარ (ფრანგ.).

4 ოჰ, სულმდაბალო მონავ (ფრანგ.).

5 მერე წყალს წაულია ყველაფერი! მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებ! რას აკეთებ (ფრანგ.)?

იმწუთას მეორე ფეხზე ვაცმევდი წინდას, მაგრამ სულ-  
მა წამძლია და ფეხზე ვაკოცე. Blanche-მა გამომგლიჯა და ფე-  
ხის წვერებით სახეზე ცემა დამინყო. ბოლოს გამაგდო კიდეც  
ოთახიდან. „Eh bien, mon outchitel, je t'attends, si tu veux<sup>1</sup>. თხუთ-  
მეტი წუთის შემდეგ მივდივარ!“ — მომაცხა უკან.

შინ რეტდასხმული დავბრუნდი. რა ჩემი ბრალია, თუ m-lle  
პოლინამ ფულის დასტა ცხვირ-პირში მომაცხალა და ჩემს თავს  
გუშინვე მისტერ ასტლეი არჩია. დასტიდან გადმოვარდნილი  
რამდენიმე ცალი საბანკო ბარათი ისევ იატაკზე ეგდო. ავიღე  
და შევინახე. იმწუთას კარი გაიღო და თავად ობერკელნერმა  
შემოაბიჯა ჩემს ოთახში (აქამდე ზედაც არ მიყურებდა). შე-  
მომთავაზა: თუ ინებებთ, ქვემოთ, გრაფ ვ-ს ყოფილ ჩინებულ  
ნომერში ჩაგაბრძანებთო.

წამით ჩავფიქრდი და უცებ შევძახე:

— ჩქარა ანგარიში! ახლავე მივდივარ, ათი წუთის შემ-  
დეგ. „ჯანდაბას, იყოს პარიზი! — ვიფიქრე გულში. — ალბათ  
ჩემი ბედიც ეს ყოფილა-მეთქი!“

თხუთმეტი წუთის შემდეგ, მართლაც, სამნი ერთად ვის-  
ხედით საოჯახო ვაგონში, მე, m-lle Blanche et madame veuve  
Cominges. Blanche მიყურებდა და სიცილით კვდებოდა. Veuve  
Cominges მხარს უბამდა; ვერ ვიტყვი, მეც მხიარულ გუნებაზე  
ვიყავი-მეთქი. მაგრამ გუშინდელს აქეთ უკვე შევეჩვიე ბედის  
აღრუხე შეგდებას. იქნებ ამდენმა ფულმა მართლაც დამა-  
რეტიანა და ტვინი ამირია. Peut-être, je ne demandais pas mieux<sup>2</sup>.  
მეგონა, დროებით, მხოლოდ დროებით იცვლება-მეთქი დე-  
კორაცია. „მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისევ აქ გავჩნდები და  
მაშინ... მაშინ ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს, მისტერ ასტლეი!“  
არა, რამდენადაც ახლა მაგონდება, მაშინაც ძალიან დალო-

---

1 აბა, ჩემო მასწავლებელო, თუ მოისურვებ, გელოდები (ფრანგ.).

2 იქნებ მხოლოდ ამისკენ ვილტვოდი (ფრანგ.).

ნებული ვიყავი, თუმცაღა იმ ქარაფშუტა Blanche-თან ერთად გულიანად ვხარხარებდი.

— შენ რაღას იცინი! ოჰ, რა ბრიყვი ხარ! მართლა რა ბრიყვი! — შეწყვეტდა ხოლმე Blanche კისკისს და დადინჯებული მომდგებოდა, — დიახ, დიახ, მაგ შენს ორასი ათას ფრანკს ნირვას გამოვუყვანთ, სამაგიეროდ, mais tu seras heureux, comme un petit roi<sup>1</sup>, ჩემი ხელით გაგინასკვავ ჰალსტუხს და Hortense-საც გაგაცნობ. როცა მთელ ფულს დავამლერებთ, ისევ ჩამოხვალ აქ და ისევ მოხსნი ბანკს. ურიებმა რა გითხრეს? მთავარი გაბედვაა, რაც შენ არ გაკლია, ამიტომაც პარიზში კიდევ ბევრჯერ ჩამომიტან ფულს. Quant à moi, je veux cinquante mille francs de rente et alors...<sup>2</sup>

— გენერალი?

— გენერალი თავადაც იცი, ყოველ ცისმარე დღე ამ დროს ჩემთვის თაიგულჩის საყიდლად მიდის. ამჯერად განზრახ დავაღლე ყველაზე იშვიათი ყვავილები მოეტანა. რომ დაბრუნდება, ჩიტი გაფრენილი დახვდება სანყალს. აი, ნახე, თუ უკან არ დაგვედევნოს. ჰა, ჰა, ჰა! ძალიანაც გამიხარდება. პარიზში გამომადგება. აქ კი მის ვალებს მისტერ ასტლეი გადაიხდის...

აი, ასე გავემგზავრე მაშინ პარიზში.

## თავი მეთექვსმეტი

აბა, რა მეთქმის პარიზზე? ეს ყველაფერი, ცხადია, ბოღვა და სისულელე იყო. იქ სამ კვირაზე ცოტა მეტხანს დავყავი და ამ დროში ჩემს ასი ათას ფრანკს კიდევ მოელო ბოლო. მე ვამბობ მხოლოდ ამ ასი ათასზე. მეორე ასი ათასი m-lle Blanche-ს მივეცი — ორმოცდაათი ათასი ფრანკფურტში და კი-

1 ბედნიერი იქნები, პატარა მეფესავით იცხოვრებ (ფრანგ.).

2 მე რაც შემეხება, ორმოცდაათი ათასი ფრანკის რენტა მექნება და მაშინ (ფრანგ.).



დევ ორმოცდაათი ათასის თამასუქი სამი დღის მერე პარიზში, თუმცა ერთი კვირის შემდეგ იმის ფულიც ამართვა, „et les cent mille francs, qui nous restent, tu les mangeras avec moi, outchitel!“<sup>1</sup>. იგი მუდამ მასწავლებელს მეძახდა ხოლმე. ძნელია m-lle Blanche-ზე უფრო ანგარიშიანი და ძუნწი ადამიანის ნახვა, როცა საქმე მის საკუთარ ფულს შეეხება. ჩემს ასი ათასზე კი პირდაპირ გამომიცხადა, ეს ფული იმისთვის მინდა, პირველ ხანებში პარიზში ფეხი მოვიკიდო და კარგად მოვეწყოო. „ახლა ერთხელ და სამუდამოდ ფეხზე დავდექი, უკვე ველარავინ წამაქცევს, ყოველ შემთხვევაში, ასეთი თადარიგი დავიჭირე“, — დასძინა ესეც. თუმცა ის ასი ათასი თითქმის თვალით არ მინახავს. ფული მუდამ m-lle Blanche-ს ჰქონდა. ჩემს ქისაში კი, რომელსაც ყოველდღე მიქექავდა, ას ფრანკზე მეტი არასოდეს მქონია, მუდამ უფრო ნაკლებიც იყო.

„ნეტავ რად გინდა ფული?“ — მეტყორდა ხოლმე ზოგჯერ საოცარი პირდაპირობით და მეც არ ვედავებოდი. სამაგიეროდ, თავისი ბინა ამ ფულით შესანიშნავად მოიწყო. როცა ახალ ბინაში გადამიყვანა და ოთახები დამათვალიერებინა, ასე მითხრა: „აი, რა შეიძლება გააკეთო კაცმა სულ მცირედი სახსრებით, თუკი ჭკუა და გემოვნება არ გაკლია“. თუმცა ეს მცირედი სახსრები ზუსტად ორმოცდაათი ათას ფრანკს შეადგენდა. დანარჩენი ორმოცდაათი ათასით m-lle Blanche-მა ეტლი და ცხენები შეიძინა. გარდა ამისა, ორჯერ გავმართეთ წვეულება ანუ სალამო, რომლებსაც Hortense, Lisette და Cléopâtre დაესწრნენ, საკმაოდ ლამაზი და ბევრი რამით ნამდვილად გამორჩეული ქალები. ამ სალამოებზე იძულებული ვიყავი მასპინძლის ყოვლად სულელური როლი მეთამაშა. მივგებებოდი და გამერთო ვილაც გამდიდრებული, წარმოუდგენლად უვიცი და ურცხვი ვაჭრუკანები, სამხედრო პორუჩიკები, უბადრუკი ავტორები და ჟურნალების

---

<sup>1</sup> ამ დარჩენილ ასი ათასს ჩვენ ერთად დავამლერებთ, ჩემო მასწავლებლო (ფრანგ.).

ჭიაღუები, რომლებიც მოდური ფრაკებითა და ჩალისფერი ხელთათმანებით გამოცხადდნენ და ისე იბლინძებოდნენ, პეტერბურგსაც დაგავინყებდნენ. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს. ასე განსაჯეთ, ჩემი სასაცილოდ აგდებაც მოინდომეს, მაგრამ შამპანურით გამოვთვერი და უკანა ოთახიდან არც გამოვსულვარ. ვერ გადმოგცემთ, ყველაფერმა ისე ამირია გული. „C'est un outchitel, — ასე მაცნობდა ყველას m-lle Blanche, — il a gagné deux cent mille francs,<sup>1</sup> მაგრამ მე რომ არა, არც ეცოდინებოდა, რაში დაეხარჯა ეს ფული. შემდეგ ისევ მასწავლებლად დადგება; ხომ არ იცით, ვის უნდა მასწავლებელი? რაღაც ხომ უნდა გავუხერხოთ“. მთელი ეს დრო ისეთი დაღონებული და მოწყენილი ვიყავი, შამპანურს ხშირად ვენაფებოდი. ამ ბურჟუებისა და ვაჭრების წრეში, სადაც თავი ამოვყავი, ყოველი სუ გამოანგარიშებული და გამოზომილი იყო. პირველი ორი კვირა Blanche-ს დიდად არ ვუყვარდი. მართალია, დიდებულად მპრანჭავდა და ჰალსტუხს ყოველდღე თავისი ხელით მინასკვავდა, გულში აშკარად ვეზიზღებოდი, ოღონდ ეს ოდნავადაც არ მანალვლებდა. სევდიანი და მოწყენილი ხშირად მივდიოდი ხოლმე „Château des Fleurs“-ში,<sup>2</sup> სადაც ყოველ საღამოს ვთვრებოდი და კანკანს ვსწავლობდი (კანკანს იქ საძაგლად ცეკვავენ), ისე რომ, შემდეგ სახელიც კი გავითქვი ამით. Blanche-მა ბოლოს და ბოლოს მართლა ამილო ალლო. თავიდან თურმე ასე ეგონა, თითქოსდა ჩვენი ერთად ცხოვრების ჟამს ფანქრით და ქალაღლით კუდში ავედევნებოდი და ანგარიშს დავუწყებდი, რამდენი დახარჯა, რამდენი მომპარა, რამდენს დახარჯავს კიდევ და რამდენს მომპარავსო. დარწმუნებული იყო, ყოველი ათი ფრანკის გამო ჩხუბი და დავიდარაბა გვექნებოდა. ჰოდა, წინასწარვე ჰქონდა გამზადებული პასუხი, რა უნდა ეთქვა, თუ აყალმა-

---

<sup>1</sup> ეს მასწავლებელი გახლავთ... რომელმაც ორასი ათასი ფრანკი მოიგო (ფრანგ.).

<sup>2</sup> ყვავილების კოშკი (ფრანგ.).

ყალს ავტეხდი. მაგრამ როცა დაინახა, ჩხუბს არც ვაპირებდი, პირველ ხანებში თვითონ იწყებდა ხოლმე თავის მართლებას. ძლიერ რომ გაცხარდებოდა, გააბამდა ლაპარაკს და მომაყრიდა და მომაყრიდა, მე კი, ტახტზე წამოგორებული, ჭერს უმოძრაოდ მივშტერებოდი და ხმას არ ვცემდი, განცვიფრებული დადუმდებოდა. ჯერ თურმე დოყლაპია ვეგონე, „un outchitel“ და ახსნა-განმარტებას მყისვე წყვეტდა. გულში, ვინ იცის, ფიქრობდა: „თუკი თვითონ არ ესმის ამ სულელს, მე რად უნდა გავაგებინო“. ჰოდა, გავიდოდა მეორე ოთახში, მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ ისევ შემომაკითხავდა (ეს იმ პერიოდში იყო, როცა ფულს უთავბოლოდ ფანტავდა, თუმცა ჩვენი სახსრები ამის უფლებას არ აძლევდა: მაგალითად, სხვა ბედაურები იყიდა და წყვილში თექვსმეტი ათასი ფრანკი მისცა).

— ხომ არ მიჯავრდები, Bibi? — მომიახლოვდებოდა იგი.

— აარა! თავი ნუ მო-მა-ბეზ-რეე! — ვეტყოდი და ხელით ვიშორებდი. ისიც გაოცებული უმაღ გვერდით მომიჯდებოდა.

— იცი, იმიტომ გავბედე ამდენი ფულის მიცემა, რომ ასეთი შემთხვევა ადამიანს იშვიათად მოგეცემა. მერე ოცი ათას ფრანკად შეგვიძლია გავყიდოთ.

— მჯერა, მჯერა, მშვენიერი ბედაურებია, ახლა დიდებული ეტლი გეყოლება. გამოგადგება. ჰოდა, მორჩი ახლა!

— მაშ, გული მოგდის?

— რაზე უნდა მომივიდეს? ჭკვიანურად იქცევი, რაც გჭირდება, რომ იმარაგებ. შემდეგში გამოგადგება. ვხედავ, რომ მართლაც ასე უნდა მოიქცე, თორემ სხვა გზით მილიონს ვერ ჩაიგდებ ხელში. ჩვენი ასე ათასი მხოლოდ დასაწყისია, ზღვაში წვეთი.

Blanche, რომელიც ჩემგან ასეთ მსჯელობას არ ელოდა (ყვირილისა და საყვედურების ნაცვლად!), სახტად დარჩა.



— ვაჰ... აი, თურმე როგორი ყოფილხარ! Mais tu as l'esprit pour comprendre! Sais-tu, mon garçon<sup>1</sup>, შენ მასწავლებელი კი არა — უფლისწული უნდა ყოფილიყავი! მაშ, არ ნანობ, რომ ფული ასე გვიქრება ხელიდან?

— ჯანდაბას ფული, ნეტავ მალე სულ გაქრეს!

— Mais... Sais-tu... mais dis donc, შენ ხომ მდიდარი არ ხარ? Mais sais-tu, ეს ხომ მეტისმეტია, ფულს რომ არაფრად აგდებ. Qu'est ce que tu feras après, dis donc?<sup>2</sup>

— Après ჰომბურგს<sup>3</sup> მივემგზავრები და კიდევ ასი ათას ფრანკს მოვიგებ.

— Oui, oui, c'est ça, c'est magnifique!<sup>4</sup> ვიცი, უთუოდ მოიგებ და აქ ჩამოიტან. Dis donc, შენ ისე იზამ, მართლა თავს შემაყვარებ! Eh bien, ასეთი რომ ხარ, ამ ხნის განმავლობაში სულ მეყვარები და ერთხელაც არ გიღალატებ. იცი, აქამდე მართლა არ მიყვარდი, parce que je croyais, que tu n'est qu'un outchitel (quelque chose comme un laquais, n'est-ce pas?). მაგრამ მაინც არ გღალატობდი, parce que je suis bonne fille.<sup>5</sup>

— აბა, აბა, ნუ იტყუები! იმ ალბერტთან, შავტუხა ოფიცერი რომაა, რალა იყო, გგონია, ამას წინათ არ დავინახე?

— Oh, oh, mais tu es...<sup>6</sup>

— ნუ ტყუი, ხომ არ გგონია, გული მომდის? ფეხებზე არ მკიდია. Il faut que jeunesse se passe<sup>7</sup>. აბა, ხომ ვერ გააგდებ, რო-

---

1 თურმე საკმაო ჭკუა გქონია და გესმის! იცი, ჩემო ბიჭო (ფრანგ.).

2 კი მაგრამ... აბა, თქვი... კი მაგრამ... მერე რალას იზამ, თქვი (ფრანგ.).

3 გერმანიაში, ჰესენ-ჰომბურგის საგრაფოს (XVII-XIX სს.) დედაქალაქი. ახლანდელი ბად-ჰომბურგი.

4 აი, ეს დიდებულია (ფრანგ.).

5 მეგონა, მასწავლებელი იყავი მხოლოდ (ეს ხომ თითქმის ლაქიასავითაა, არა?)... ვინაიდან კეთილი გოგო ვარ (ფრანგ.).

6 ოჰ, შენ ხომ (ფრანგ.).

7 ახალგაზრდობაში უნდა დაასრულო (ფრანგ.).

ცა ჩემამდე გყავდა და გიყვარდა. ოღონდაც ფული არ მისცე, გესმის?

— მაშ, არ მინყრები? Mais tu es un vrai philosophe, sais-tu? Un vrai philosophe! — შესძახა Blanche-მა აღტაცებით, — eh bien, je t'aimerai, je t'aimerai, tu verras, tu sera content!<sup>1</sup>

მას აქეთ Blanche თითქოს მართლაც შემეთვისა და კიდევ დამიმეგობრდა. ასე გაიარა ჩვენმა უკანასკნელმა ათმა დღემ. აღთქმული „ვარსკვლავები“ არ მინახავს, მაგრამ ზოგი პირობა მართლაც შეასრულა, გარდა ამისა, Hortense გამაცნო, ეს თავისებურად შესანიშნავი ქალი, ვისაც ჩვენს წრეში Thérèse-philosophe-ს ეძახდნენ...

თუმცა ეს ამბები სალაპარაკოდ არც ღირს. აქედან შეიძლება სულ სხვა მოთხრობა გამოვიდეს, სულ სხვა ელფერის, მაგრამ არ მსურს აქ მივანებო, საქმე ის არის, რომ სულითა და გულით ვნატრობდი, ეს ყველაფერი მალე მორჩენილიყო. თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ასი ათასი ფრანკი თითქმის ერთი თვე გვეყო. ეს კი გულწრფელად გამიკვირდა: ასეა თუ ისე, ამ ფულიდან ოთხმოცი ათასი Blanche-მა თავის საყიდლებს მოახმარა. სახარჯოდ კი ოცი ათას ფრანკზე მეტი არ დაგვრჩენია და მაინც გვეყო. Blanche ბოლო დღეებში თითქმის არაფერს მიმაღავდა (ყოველ შემთხვევაში, ზოგ რამეში არ მატყუებდა). ჰოდა, გამომიტყდა, ჩემს ვალებს შენ მაინც არ გადაგახდევინებო. „ჩემს დანახარჯებსა და თამასუქებზე შენთვის ხელი არ მომიწერინებია, — მეუბნებოდა ხოლმე, — მეცოდებოდი და იმიტომ; სხვა კი უთუოდ ასე მოიქცეოდა და ციხეში ამოგაყოფინებდა თავს. ხომ ხედავ, როგორ მიყვარხარ და რა კეთილი ვარ! მარტო ეს ოხერი ქორწილი რამდენი მიჯდება!“

ქორწილი კი მართლა გადავიხადეთ. ეს მოხდა ჩვენი ერ-

---

<sup>1</sup> არა, შენ ნამდვილი ფილოსოფოსი ყოფილხარ, იცი, ნამდვილი ფილოსოფოსი! კი, მე შენ მეყვარები, მეყვარები, ნახე, რა კმაყოფილი დარჩები (ფრანგ.).

თად გატარებული თვის ბოლოს და ჩემი ასი ათასის ნარჩენებიც ალბათ იმას მოხმარდა. ასე დამთავრდა საქმე ანუ ჩვენი ერთად ცხოვრება: ამის შემდეგ ფორმალურად უკვე გადაყენებული გახლდათ.

ეს შემდეგნაირად მოხდა: ჩვენი ჩამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ პარიზში გენერალი ჩამოვიდა, პირდაპირ Blanche-ს მოადგა და იმ დღიდან თითქმის ჩვენთან ჩასახლდა, თუმცა ბინა, მგონი, სადღაც ცალკე ჰქონდა. Blanche დიდი ალტაცებით, კისკისითა და ნივილ-კივილით შეხვდა და კიდევაც გადაეხვია. მას შემდეგ გვერდიდან აღარ იცვილებდა, ყველგან თან დაჰყვებოდა: ბულვარზე, სასეირნოდ, თეატრსა თუ ნაცნობებში. საამისოდ გენერალი ჯერ კიდევ ვარგოდა, ვინაიდან ფრიად მედიდური და რიხიანი გარეგნობა ჰქონდა. საკმაოდ მაღალი იყო, ქილვაშ-ულვაშს იღებავდა (ადრე კირასირთა<sup>1</sup> პოლკში მსახურობდა), სახე თუმცა შეშუპებოდა, მაინც კარგად შენახული უჩანდა. თავის დაჭერა ჩინებული იცოდა, ფრაკსაც კობტად ატარებდა. პარიზში თავისი ორდენებიც ჩამოიკიდა. ამისთანა კაცის თანხლებით ბულვარზე გასვლა არათუ სამარცხვინო, შეიძლება ითქვას, საპატიოც გახლდათ. კეთილი და სულელი გენერალი საოცრად კმაყოფილი დარჩა. პარიზში კაცი აკანკალებული გვენვია, ეგონა Blanche მიწვილებს და სახლიდან გამაგდებსო. ამიტომაც საქმის ასეთმა შეტრიალებამ ალტაცებით აავსო და მთელი ის თვე სულ ასე უაზროდ ალტაცებული დადიოდა. სწორედ ამ გუნებაზე დავტოვე პარიზში. უკვე აქ, რულეტენბურგში, გავიგე, რომ ჩვენი უეცარი გამგზავრების შემდეგ გენერალი იმ დილასვე ცუდად გამხდარა, უგრძნობლად დაცემულა და მთელი კვირა გიჟივით ყოფილა, არეულად ლაპარაკობდა. მკურნალობა დაუნყეს, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერს თავი ანება, ჩაჯდა ვაგონში და პარიზს გამოექანა. Blanche, ცხადია მისთვის უებარი წამალი

<sup>1</sup> ზოგიერთი კავალერიული ნაწილის ჯარისკაცი ან ოფიცერი XX საუკუნემდე.



გამოდგა. ეს კია, ალტაცებული განწყობილების მიუხედავად, ავადმყოფობის ნიშნები მაინც დიდხანს გამოჰყვა. მსჯელობა ან გონივრული ლაპარაკი უკვე აღარაფერზე შეეძლო. ყოველ სიტყვაზე, ოჰოო, ჩაილაპარაკებდა და თავს დაგვიქნევდა — ეს იყო და ეს. ხშირად რალაცნაირი ნერვიული, ავადმყოფური სიცილი აუტყდებოდა ხოლმე; ზოგჯერ კი მოჭმუხნიდა ხშირ წარბებს და საათობით მოღუშული იჯდა. ბევრი რამ უკვე აღარ ახსოვდა; საშინლად უგულისყურო გახდა და ხშირად თავის თავს ელაპარაკებოდა. მხოლოდ Blanche-ს შეეძლო მისი გამხიარულება; კუთხეში დაძმარებული, მოღუშული ჯდომაც ხომ იმას ნიშნავდა, რომ Blanche დიდი ხანია არ ენახა, ან Blanche სადღაც წავიდა და არ წაიყვანა, ან წასვლისას არ მოეფერა. თუმცა იმ დროს რომ გეკითხათ, რა განუხებსო, ვერაფერს გეტყოდა და ვერც თავის ცუდ გუნებასა და დაღონებას გრძნობდა. ასე იჯდა ხოლმე ერთი-ორი საათი (ამის მონმე ორჯერ გახლდით, როცა Blanche, მგონი, ალბერტთან წავიდა მთელი დღით), მერე უცებ აწრიალდებოდა, დაიწყებდა აქეთ-იქით ცქერას, თითქოს რალაც უნდა გაიხსენოს ანდა ვილაცას ეძებსო. მაგრამ როცა ვერავის დაინახავდა და ვერც იმას გაიხსენებდა, რა უნდა ეკითხა, კვლავ გარინდებული იჯდა მანამდე, ვიდრე მორთულ-მოპრანჭული Blanche სიცილ-კისკისით შემოიჭრებოდა, შეანჯღრევდა, გამოაცოცხლებდა და გადაკოცნიდა, თუმცა კოცნას მისთვის იშვიათად იმეტებდა. ერთხელ ისე გაუხარდა Blanche-ის დანახვა, სიხარულისგან ატირდა, რამაც ძალიან გამაკვირვა.

მისი ჩამოსვლისთანავე Blanche-მა ჩემთან გენერლის ვეკილობა დაიწყო. გამიბამდა ხოლმე მჭევრმეტყველურად, რომ ჩემი გულისთვის უღალატა გენერალს, ვინაიდან უკვე თითქმის მისი საცოლე იყო და სიტყვა ჰქონდა მიცემული, რომ მის გამო მიატოვა გენერალმა ოჯახი, დაბოლოს, სხვა რომ არა, მე მის ოჯახში ვმსახურობდი და დიდი სირცხვილია, თუ არ ვგრძნობ, რომ... ჩუმად ვუსმენდი, ის კი ქაქანებდა და ქაქანებ-

და, ვიდრე ბოლოს არ გამეცინა და საქმეც ამით დამთავრდა, ესე იგი, პირველად ისევ ბრიყვად ჩამთვალა, მერე კი გონიერ და კარგი ხასიათის კაცად მალიარა. ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს, პატივი მხვდა ამ ღირსეული ასულის სრული კეთილგანწყობა დამემსახურებინა (Blanche მართლაც კეთილზე კეთილი გოგო იყო, რა თქმა უნდა, თავისებურად. პირველად თურმე ვერ შევაფასე!). „შენ ჭკვიანი და კეთილი კაცი ხარ, — მეუბნებოდა ხოლმე ბოლო ხანებში, — მაგრამ ვაი, რომ ასეთი სულელი აღმოჩნდი! ვერაფერს, ვერაფერს შეიძენ!“

„Un vrai russe, un calmouk!“<sup>1</sup> მან რამდენჯერმე გამაყოლა გენერალს, ქალაქში გაასეირნეო, როგორც ლაქიას გაგზავნიან ხოლმე ფინიასთან ერთად. გენერალი თეატრშიც დამყავდა, Bal-Mabile-ში და რესტორნებშიც. საამისოდ Blanche ფულს მაძლევდა, თუმცაღა გენერალს თავისი ფული ჰქონდა და ხალხში ძალიან უყვარდა ხოლმე საფულის ამოღება. ერთხელ ლამის ჭიდაობა დამჭირდა, რომ პალე-რუაიალში Blanche-ისთვის შვიდასფრანკიანი გულსაბნევი არ ეყიდა, რომელიც ძალიან მოეწონა. იმას კი აბა, რაში სჭირდებოდა შვიდასფრანკიანი გულსაბნევი? მეტადრე, რომ გენერალს ათას ფრანკზე მეტი არც ჰქონდა. ვერაფრით გავარკვიე, ეს ფული ვინ მისცა? ალბათ მისტერ ასტლეის ნაწყალობევი იქნება, აკი სასტუმროს ვალიც მთლიანად მან გადაუხადა. რაც შეეხება იმას, რა თვალით მიყურებდა გენერალი, ვფიქრობ, რომ ჩემი და Blanche-ის დამოკიდებულებას ვერც ხვდებოდა. მართალია, ყური კი ჰქონდა მოკრული, დიდძალი ფული რომ მოვიგე, მაგრამ მაინც Blanche-ის შინაურ მდივნად ან მსახურად მივაჩნდი. ყოველ შემთხვევაში, მუდამ ქედმაღლურად მელაპარაკებოდა და ზოგჯერ დატუქსვასაც კი დამიწყებდა ხოლმე. ერთხელ მე და Blanche მართლა ძალიან გვაცინა, როცა დილით ყავას ვსვამდით. გენერალი ფხუკიანი კაცი არ იყო,

<sup>1</sup> ნამდვილი რუსი, ყალმუხი (ფრანგ.).

მაგრამ უცბად გამიბრაზდა, რაზე, — დღემდე არ ვიცი და, მგონი, არც თვითონ იცოდა. ერთი სიტყვით, მომდგა და მომდგა, á bâtons-rompus<sup>1</sup> დამინყო, მიყვირა და მიყვირა, ლანირაკი ხარო... მე შენ ჭკუას გასწავლიო... მე შენ გაჩვენებო... და სხვა და სხვა. ვერაფერი გავუგეთ. Blanche სიცილით კვდებოდა. ძლივძლივობით დავამშვიდეთ და სასეირნოდ წავიყვანეთ. თუმცა ბევრჯერ შემიმჩნევია, როგორ დაღონდებოდა ხოლმე, ვილაც თუ რალაც ენატრებოდა, რალაცაზე წუხდა, Blanche-ის იქ ყოფნის მიუხედავად. ასეთ წუთებში ერთი-ორჯერ თვითონ გამიბა ლაპარაკი, მაგრამ წესიერად ვერაფერი გამაგებინა. ხან სამსახურს მოიგონებდა, ხან თავის განსვენებულ ცოლს, მამულს, ოჯახს. რალაც სიტყვას გაიხსენებდა და, გახარებული, დღეში ასჯერ მაინც იმეორებდა, თუმცა ეს სიტყვა არც მის გრძნობებს გამოხატავდა და არც მის ნააზრევს. რამდენჯერმე შვილები მოვაგონე; მაგრამ წინანდელივით მომაყრიდა სიტყვებს და სასწრაფოდ სხვა საგანზე გადავიდოდა: „ღიახ-ღიახ! შვილები, კი, მართალი ხართ, შვილები!“ მხოლოდ ერთხელ აუჩვილდა გული, მაშინ თეატრში მივდიოდით: „საწყალი ბავშვები! — დაინყო უცებ, — ღიახ, საწყალი ბავშვები, ბატონო ჩემო!“ იმ საღამოს კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა, საწყალი ბავშვებიო! პოლინაზე რომ დავუნყე ერთხელ ლაპარაკი, ლამის ცოფი მოერია. „ეგ უმადური ქალია, — აღმოხდა მას, — ბოროტი და უმადური! მთელ ოჯახს ლაფი დაასხა! აქ რომ კანონი ჭრიდეს, მაგას ვუჩვენებდი სეირს! ღიახ, ბატონო ჩემო, ღიახ!“ რაც შეეხება დე გრიეს, მისი სახელის გაგონებაც არ შეეძლო: „იმან დამლუბა, გამძარცვა, ყელი გამომჭრა! ორი წელიწადის განმავლობაში მაჯლაჯუნასავით მანვა! თვეობით მესიზმრებოდა! ეგ-ეგ, ეგ... არ გამაგონოთ მისი სახელი!“

ვამჩნევდი, Blanche-სა და გენერალს შორის რალაც ხდე-

---

<sup>1</sup> მიეთ-მოეთი, უთავბოლო ლაპარაკი (ფრანგ.).



ბოდა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ხმას არ ვიღებდი. პირველ-  
მა თვითონ Blanche-მა მაუწყა ეს ამბავი, ჩვენს დაშორებამდე  
ზუსტად ერთი კვირის წინ.

— Il de la chance<sup>1</sup>, — მეტიტინებოდა იგი, — babouchka ახ-  
ლა მართლა ავად არის და უთუოდ მოკვდება. მისტერ ასტლე-  
იმ ტელეგრამა გამოგზავნა. დამეთანხმე, რომ მაინც მისი მემ-  
კვიდრეა. მაგრამ რომც არ იყოს, ხელს არაფერში შემიშლის.  
ჯერ ერთი, თავისი პენსია აქვს, მეორეც — ცალკე, გვერდით  
ექნება ოთახი და თავს ძალიანაც ბედნიერად იგრძნობს, მეც  
madame la générale-ის პირობაზე კარგ წრეში ვიტრიალებ (ეს  
იყო მუდამ Blanche-ის ოცნება), შემდეგ რუსი ქალბატონი გავ-  
ხდები, j'aurai un château, des moujiks, et puis j'aurai toujours mon  
million<sup>2</sup>.

— მაგრამ ეჭვიანობა რომ დაგინყოს და ღმერთმა იცის...  
რა მოგთხოვოს? ხომ გამიგე?

— ოჰ, არა, non, non, ვერ გაბედავს! ნუ გეშინია, თაღარი-  
გი უკვე დავიჭირე, ალბერტის სახელზე რამდენიმე თამასუქ-  
ზე ხელი მოვანერინე. ოდნავ რალაც და მაშინვე დავსჯი; ვერა,  
ვერ გაბედავს!

— თუ ასეა, გაჰყევი...

ქორწილი შინაურულად, ზარ-ზეიმის გარეშე გადავიხა-  
დეთ; მონვეული იყო ალბერტი და კიდევ რამდენიმე ახლობე-  
ლი. Hortense, Cléopâtre და სხვები გადაჭრით უარყავით. ნეფე  
ფრიად დაინტერესებული გახლდათ თავისი მდგომარეობით.  
Blanche-მა თვითონვე გამოუნასკვა ჰალსტუხი, თმაზე საცხი  
ნაუსვა, ფრაკსა და თეთრ ჟილეტში გამოპრანჭული გენერა-  
ლი très comme il faut<sup>3</sup> გახლდათ.

---

<sup>1</sup> ბედი სწყალობს (ფრანგ.).

<sup>2</sup> სასახლე მექნება, გლეხები მეყოლება, მერე კი ჩემი მილიონიც მე-  
ქნება (ფრანგ.).

<sup>3</sup> დიახ, რიგიანი შესახედავი (ფრანგ.).

— Il est pourtant très comme il faut<sup>1</sup>, — გამომიცხადა გენერლის ოთახიდან გამოსულმა Blanche-მა, თითქოსდა თვითონაც გაუკვირდა, გენერალი რომ très comme il faut იყო. მე ისე ნაკლებად მაინტერესებდა წვრილმანები და ისეთი ზარმაცი მაყურებელი ვიყავი ამ ამბებისა, უკვე ბევრი რამ დამავინყდა. მახსოვს მხოლოდ, რომ Blanche de Cominges კი არა, du-Placet აღმოჩნდა, ისევე როგორც დედამისი არ გამოდგა veuve Cominges. რატომ იყვნენ აქამდე ორივენი de Cominges, არ ვიცი. მაგრამ გენერალი ამითაც კმაყოფილი დარჩა, ასე განსაჯეთ, de Cominges-ზე უფრო du-Placet მოეწონა. ქორნილის დილას გამოპრანჭული გენერალი დარბაზში ბოლთას სცემდა, საოცრად დინჯი და მედიდური სახით იმეორებდა: „Mademoiselle Blanche du-Placet! Blanche du-Placet! Du-Placet! ქალწული ბლანკა diu-plaset!“ და სახე კმაყოფილებით უბრწყინავდა. ეკლესიაში, მერთან თუ შინ გამართულ საუბრეზე არათუ გახარებული და კმაყოფილი, გაამაყებულიც კი ჩანდა. ორივეს რალაც დაემართათ. Blanche-საც საოცარი ღირსება დასტყობოდა.

— ახლა სულ სხვა თავდაჭერა მმართებს, — მითხრა მეტიხმეტი სიდინჯით, — mais vois-tu, ერთ საძაგელ ამბავზე არ მიფიქრია: წარმოიდგინე, ჩემი ახლანდელი გვარი, ვერა და ვერ დავისწავლე: zagorianski, zagorianski, madame la générale de Sago-sago, ces diables des noms russes, enfin madame le générale à quatorze consonnes! Comme c'est agréable, n'est-ce pas?<sup>2</sup>

ბოლოს ჩვენი განშორების დღეც დადგა. Blanche-მა, ამ ჩერჩეტმა Blanche-მა დამშვიდობებისას კიდევ წაიტერა: „Tu étais bon enfant, — სლუკუნებდა იგი, — je te croyais bête es tu en

---

<sup>1</sup> არა, მართლა ძალიან რიგიანი შესახედავია (ფრანგ.).

<sup>2</sup> მაგრამ იცი... გენერალ ზაგო-ზაგოს მეუღლე, ეს რა დანყველილი რუსული სახელებია, მოკლედ, გენერლის მეუღლე და კიდევ თოთხმეტი თანხმოვანი, რა სასიამოვნოა, არა? (ფრანგ.).

evais l'air', თუმცა ეს გშვენის კიდევ“. ბოლოს ხელი ჩამომართვა, უცებ შესძახა: „Attends!“<sup>2</sup> თავის ბუდუარში შევარდა და ერთი წუთის შემდეგ ორი ათასფრანკიანი ბილეთი გამომიტანა. ამას კი მართლა არ დავიჯერებდი! „დაგჭირდება ალბათ, იქნებ დიდად სწავლული outchitel ბრძანდები, მაგრამ ძალიან ბრიყვი ვინმე ხარ, მეტს კი არამც და არამც არ მოგცემ. ვიცი, მაინც წააგებ. აბა, მშვიდობით! Nous serons toujours bons ამის, ხოლო თუ ისევ მოიგებ, უთუოდ ჩემთან ჩამოდი, et tu seras heureux<sup>3</sup>.

თავად ხუთასი ფრანკი მქონდა მხოლოდ, გარდა ამისა, ათას ფრანკად ღირებული საათი, ბრილიანტის საკინძეები და კიდევ ათასი სხვა წვრილმანი, ისე რომ, კარგა ხანს არხეინად შემეძლო ცხოვრება. განზრახ დავრჩი ამ პატარა ქალაქში; ჯერ ერთი, აზრის მოსაკრებად და, რაც მთავარია, მისტერ ასტლეის ველოდები. დანამდვილებით ვიცი, აქ გაივლის და ერთი დღე საქმეზე დარჩება. მისგან შევიტყობ ყველაფერს... მერე კი — მერე პირდაპირ ჰომბურგს გავემგზავრები. რულეტენბურგში აღარ წავალ, გაისამდე მაინც. მართალს ამბობენ, ერთსა და იმავე მაგიდაზე თამაშმა დათარსვა იცისო. ნამდვილი თამაში კი სწორედ ჰომბურგში ყოფილა.

## თავი მეჩვიდმეტი

აგერ უკვე წელიწადი და რვა თვე იქნება, ამ ჩანაწერებში არ ჩამიხედავს. დარდმა და ნალველმა მომაგონა ისინი და თავის გასართობად გადავიკითხე. მაშინ იმაზე გავჩერდი, ჰომბურგში წავალ-მეთქი. ღმერთო! თურმე შედარებით რა არხე-

---

1 შენ კარგი ბიჭი ყოფილხარ, მე კი დოყლაპია მეგონე (ფრანგ.).

2 მოიცა (ფრანგ.).

3 ჩვენ მუდამ მეგობრები დავრჩებით... და ბედნიერი იქნები (ფრანგ.).



ინი გულთ დამინერია მაშინ ეს სიტყვები! არა, არხეინით კი არა, რაოდენი თავდაჯერებითა და ურყევი იმედებით! ნეტავ ოდნავ მაინც თუ მეპარებოდა ეჭვი ჩემს თავში? აგერ უკვე წელიწად-ნახევარზე მეტი გავიდა და, მგონი, მათხოვარზე უარესი გავხდი! თუმცა მათხოვარი რაა! მიმიფურთხებია მათხოვრობისთვის! უბრალოდ, თავი დავიღუპე! თუმცა რა შუაშია შედარება, ან რა საჭიროა საკუთარი თავისთვის ზნეობის ქადაგება! ამისთანა დროს ზნეობის ქადაგებაზე ბრიყვული განა რა არის! ოჰ, თავმომწონე ადამიანებო, რა ამაყი კმაყოფილებით დაგინყებენ ხოლმე ეს ყბედები თავიანთი შეგონებების კითხვას! რომ იცოდნენ, თავად რა კარგად მესმის ჩემი ახლანდელი ყოფის მთელი სიბილწე, რა თქმა უნდა, ენა არ მოუბრუნდებათ ჭკუის სასწავლებლად. ან რა უნდა მითხრან ისეთი, რაც მე არ ვიცი? ან განა ესაა მთავარი? საქმეც ის არის, რომ ბორბლის ერთი მოტრიალება და ეს ზნეობის მქადაგებლები (დარწმუნებული ვარ) პირველები თვითონ მოვლენ მეგობრული სიცილ-ხარხარით მოსალოცად. ახლანდელივით არც არავინ შემაქცევს ზურგს. თუმცა ფეხებზე მკიდია ყველანი! რა ვარ ახლა მე? მე ვარ zéro. რა ვიქნები ხვალ? ხვალ შეიძლება მკვდრეთით აღვდგე და ახალი ცხოვრება დავიწყო! ისევ ადამიანად ვიქცე, ვიდრე მთლად არ დამიკარგავს ამის უნარი!

მაშინ მართლა ჰომბურგში გავემგზავრე, მაგრამ... მერე რულეტენბურგშიც გახლდით, სპაშიც და ბადენშიც კი ჩემი ყოფილი ნუპაკი ბატონის, მრჩეველი ჰინცეს კამერდინერად. დიახ, მთელი ხუთი თვე ლაქია გახლდით ციხიდან გამოსვლის შემდეგ (მე ხომ რულეტენბურგში ციხეშიც ვიჯექი ერთი იქაური ვალის გამო. ვილაც უცნობმა შეიტანა ჩემ მაგიერ ფული. ვინ იყო? მისტერ ასტლეი? პოლინა? არ ვიცი. ეს კია, რომ ვალი — ორასი ტალერი გადაიხადეს და ციხიდან გამომიშვეს). სად უნდა წავსულიყავი? ჰოდა, იმ ჰინცესთან დავინყე სამსახური. ამ ახალგაზრდა და თავქარიან კაცს თავის შენუხება

ეზარებოდა, მე კი სამ ენაზე შემეძლო წერაც და ლაპარაკიც. პირველად მდივნის ადგილი მეჭირა და ორმოცდაათ გულდენს ვიღებდი თვეში. მაგრამ ბოლოს ნამდვილ ლაქიად გადავიქეცი: ჰინცეს მდივნის შენახვის საშუალება არ გააჩნდა და ჯამაგირი დამიკლო. რადგან სხვა გზა არ მექონდა, დავრჩი და თავისთავად ლაქია გავხდი. წესიერად არ ვჭამდი, არ ვსვამდი, სამაგიეროდ, ხუთ თვეში სამოცდაათი გულდენი დავაგროვე. ერთ საღამოს ბადენში გამოვუცხადე, უნდა დავშორდეთ-მეთქი. იმავე საღამოს რულეტზე წამოვედი. ოჰ, როგორ მიცემდა გული! არა, ფულის გამო არა, ფული არ იყო ჩემთვის ძვირფასი! მხოლოდ ის მინდოდა, ყველა ამ ჰინციებს, ობერკელნერებს, ბადენის დიდებულ ქალბატონებს ხვალ ჩემზე ელაპარაკათ, ჩემი ამბავი მოეთხროთ, ხოტბა შეესხათ და თაყვანი ეცათ ჩემი ახალი მოგების გამო. ეს ბავშვური ოცნება და ნატვრა იყო, მაგრამ... ვინ იცის, იქნებ პოლინასაც შევხვედროდი, მისთვის ყველაფერი მომეყოლა და ისიც ნახავდა, რომ ბედის ამ სულელურ მუჯღუგუნებზე მალლა ვიდექი... ო, ფული არ იყო ჩემთვის მთავარი! დარწმუნებული ვარ, ისევ რომელიმე Blanche-ს დავახარჯავდი და ისევ პარიზში ვიგრილებდი სამი კვირა თექვსმეტიათასიანი ცხენებით. დანამდვილებით ვიცი, რომ ძუნწი არ ვარ. ისიც კი მგონია, ბუნებით მფლანგველი ვარ-მეთქი, მაგრამ მაინც რა ცახცახი მიტანს და სუნთქვა მეკვრის კრუპიეს ყოველ დაძახებაზე: trente et un, rouge, impaire et passe ან: quatre, noir, pair et manque! რა ხარბად დავყურებ სათამაშო მაგიდაზე დაყრილ ლუიდორებს, ფრიდრიხსდორებსა და ტალერებს, სვეტებად დაწყობილ ოქროს, კრუპიეს ნიჩაბი რომ ნაკვერჩხლებივით მოელვარე გროვებად ფანტავს ან ბორბლის ირგვლივ არშინის სიგრძეზე გველივით განოლილ ვერცხლის ფულს. სათამაშო დარბაზთან მიახლოებისას, ორი ოთახის იქით ფულის წკრიალი რომ მესმის, ლამის კრუნჩხვები მივლის.

ოჰ, რა დიდებული იყო ის საღამოც, როცა ამ ჩემი სამოც-

დაათი გულდენით წავედი სათამაშო მაგიდისკენ. ჯერ ათი გულდენი ჩავედი ისევ passe-ზე. Passe რატომღაც საოცრად მწამს. წავაგე. დამრჩა კიდევ სამოცი გულდენი ვერცხლით. ვიფიქრე და zéro ვარჩიე. ხუთ-ხუთი გულდენით დავინყე zéro-ზე ჩასვლა. მესამე ჩასვლაზე უცებ zéro გამოვიდა. ას სამოცდათხუთმეტი გულდენი რომ მივიღე, სიხარულით კინაღამ გული გამისკდა. მგონი, ასი ათასი ტალერის მოგებაც არ გამხარებია ასე. მაშინვე ასი გულდენი rouge-ზე ჩავედი — მოვიგე. ორასივე ისევ rouge-ზე დავდე — მოვიგე, ოთხასივე noir-ზე დავდე — მოვიგე. რვაასივე manque-ზე ჩავედი — მოვიგე. ხუთი წუთიც არ იყო გასული, რაც მქონდა, იმასთან ერთად ათას შვიდასი გულდენი დამიგროვდა! დიახ, ამისთანა წუთები წინანდელ მარცხს გავინყებს! მე ხომ აქ სიცოცხლეზე მეტი გავწირე — და ისევ ადამიანად ვიგრძენი თავი!

სასტუმროს ნომერი დავიკავე, ოთახში ჩავიკეტე და ღამის სამ საათამდე ვითვალე ფული. დილით რომ გამოვიღვიძე, ლაქია აღარ მერქვა. იმავე დღეს გადავწყვიტე ჰომბურგს გამგზავრება: იქ არც ლაქია ვყოფილვარ და არც ციხეში ვმჯდარვარ. მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი, როცა სათამაშოდ წავედი, მხოლოდ ორჯერ ჩავალ-მეთქი. ათას ხუთასი ფლორინი კი წავაგე... მაგრამ ჰომბურგში მაინც წავედი. აგერ უკვე ერთი თვეა, აქ ვარ.

რა თქმა უნდა, მუდმივად შფოთსა და მოუსვენრობას ვგრძნობ, ცოტ-ცოტა ფულით ვთამაშობ, რალაცას ველი, მთელი დღეები სათამაშო მაგიდას არ ვცილდები და თამაშს ვაკვირდები. სიზმარშიაც კი თამაში მეღანდება. მაგრამ, ამასთან ერთად, იმასაც ვგრძნობ, თითქოს გამოვცარიელდი, თითქოს რალაცა ჭაობში ჩავეფლე. ამას იმ შთაბეჭდილებით ვასკვნი, რაც მისტერ ასტლეის ნახვისას ვიგრძენი. იმ დროიდან ერთმანეთი აღარ გვინახავს და შემთხვევით შევხვდით. აი, როგორ მოხდა: ბაღში მივდიოდი და ჩემთვის ვანგარიშობდი, რომ თითქმის უფულოდ ვარ, თუმცა ორმოცდაათი გულ-



დენი კიდევ მაქვს და, გარდა ამისა, ამ სამი დღის წინ ოთახის ვალიც მთლიანად გავასწორე სასტუმროში. მაშასადამე, შემძლია მხოლოდ ერთხელ წავიდე ახლა რულეტზე. თუ რამეს მოვიგებ, თამაშს გავაგრძელებ, წავაგებ და ისევ ლაქიად უნდა დავდგე, თუკი აქ ჩამოსული რუსებიდან მასწავლებელი არავის უნდა. ამ ფიქრში გართული ჩვეულებრივ დავადექი პარკის გზას, რომ იქიდან ტყით გადავსულიყავი მეზობელ სამთავროში. ყოველდღე ასე ვსეირნობდი და ზოგჯერ ოთხი საათი ხეტიალის შემდეგ ჰომბურგში დაღლილი და მშვიერი ვბრუნდებოდი. ბალიდან პარკში რომ გავედი, უეცრად სკამზე მისტერ ასტლეი დავინახე. პირველმა მან შემამჩნია და დამიძახა. გვერდით დავუჯექი. ცოტა მედიდურობა რომ შევამჩნიე, სიხარული დავიოკე, თორემ მართლა ძალიან გამახარა მისმა დანახვამ.

— მაშასადამე, აქ ხართ! ასეც მეგონა, რომ შეგხვდებოდით, — მითხრა, — თავს ნუ შეინუხებთ და თქვენს ამბავს ნუ მომიყვებით. ამ წლისა და რვა თვის განმავლობაში რაც გადაგხდათ, ყველაფერი ვიცი.

— ოჰო! აი, თურმე როგორ ადევნებთ თვალს ძველ მეგობრებს! ბარაქალა, რომ არ დაგავინყდით... დაიცა, დაიცა, ეგ კარგი მომაგონეთ — თქვენ ხომ არ დამიხსენით რულეტენბურგის ციხიდან, სადაც ორასი გულდენის გამო ვიჯექი? ვილაც უცნობმა გამომიხსნა.

— ო, არა, არა! რულეტენბურგის ციხიდან არ დამიხსნიხართ, მაგრამ ვიცოდი კი, რომ ორასი გულდენისთვის ჩავსვეს.

— ის მაინც იცით, ვინ დამიხსნა?

— არა, ნამდვილად არ ვიცი, ვინ დაგიხსნათ.

— საოცარია, ჩვენი რუსებიდან არავინ მიცნობს აქ და, ვგონებ, არც არავინ დამიხსნიდა, ეს იქ, ჩვენში იციან ხოლმე მართლმადიდებლებმა მართლმადიდებლის გამოხსნა. მე კი ვფიქრობდი, ვინმე ახირებული ინგლისელი იქნებოდა-მეთქი.

მისტერ ასტლეი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული მისმენდა. ალბათ ეგონა, სასონარკვეთილსა და განადგურებულს მნახავდა.

— ძალზე მიხარია, რომ სულის სიმხნევე და მხიარულება შეგრჩენიათ, — მითხრა საკმაოდ უგემურად.

— გულში კი ვინძლო კბილებს აკრაჭუნებთ, მიწასთან გასწორებული და დამცირებული რატომ არა ვარ, — ვუპასუხე სიცილით.

მისტერ ასტლეი უცებ ვერ მიმიხვდა. მაგრამ როცა მიხვდა, გაელიმა.

— მომწონს თქვენი შენიშვნები. მაგ სიტყვებმა ჩემი წინანდელი ჭკვიანი, ალტაცებული და ამასთან ცინიკოსი მეგობარი მომაგონა. მხოლოდ რუსებს შეუძლიათ ეგ ზომ სანინააღმდეგო თვისებების შერწყმა თავის თავში. ადამიანს მართლაც უყვარს საკუთარი მეგობარიც კი თავის წინ დამცირებული იხილოს. მეტწილად დამცირებაზეა დამკვიდრებული სწორედ მეგობრობა. ჭკვიანმა ხალხმა დიდი ხანია იცის ეს ჭეშმარიტება. მაგრამ ამ შემთხვევაში, მერწმუნეთ, სულით და გულით მიხარია, რომ იმედდაკარგულს არ გხედავთ. მითხარით, არ აპირებთ თამაშის მიტოვებას?

— ჯანდაბას მისი თავი! იმწამსვე მივატოვებ, როგორც კი...

— როგორც კი მოიგებთ? ასეც ვფიქრობდი; ნუ დაამთავრებთ — ვიცი, ეს შემთხვევით წამოგცდათ, მაშასადამე, სიმართლეა. თამაშის გარდა სხვა რას აკეთებთ?

— არაფერს...

მისტერ ასტლეიმ გამოცდა მომიწყო. თურმე არაფერი ვიცოდი, გაზეთებს თითქმის არ ვკითხულობდი და ამ დროის განმავლობაში ერთი წიგნიც არ გადამიშლია.

— სულ გამოფიტულხართ, — მითხრა მან, — არა მარტო ცხოვრებაზე აიღეთ ხელი, არა მარტო საკუთარი და საზოგადო ინტერესები, მოქალაქისა თუ ადამიანის მოვალეობანი და მეგობრები (მეგობრები კი მაინც გყავდათ) დაივიწყეთ, არა

მარტო სხვა მიზნებზე თქვით უარი, მოგების გარდა, საკუთარ მოგონებებზეც ხელი აიღეთ. მე მახსოვხართ თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან და ფიცხელ წუთებში; მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაშინდელი საუკეთესო შთაბეჭდილებაც აღარ გახსოვთ. თქვენი ოცნება, თქვენი ყველაზე დიდი ნატვრა, დარწმუნებული ვარ, არ შორდება pair-სა და impair-ს, rouge-ს, noir-ს, შუა თორმეტ ციფრსა თუ ასე შემდეგ.

— კმარა, მისტერ ასტლეი, თუ შეიძლება ნულარ მომაგონებთ, — შევძახე ბრაზით, ლამის ღვარძლითაც, — იცოდეთ, არაფერი დამვიწყებია; მხოლოდ დროებით ამოვიგდე თავიდან ყველაფერი, მოგონებანიც კი, — სანამ ჩემს მდგომარეობას მკვეთრად არ გამოვასწორებ; მაშინ კი... მაშინ ნახავთ, როგორ აღვდგები მკვდრეთით!

— ათი წლის შემდეგაც აქ დამხვდებით. სანაძლეოს ჩამოვალ, თუ ცოცხალი ვიქენი, რომ აქ, ამ სკამზე მოგაგონებთ ამას.

— ჰოდა, კმარა, — გავანყვეტინე მოუთმენლად, — ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ წარსული არ დამვიწყებია, ნება მიბოძეთ გკითხოთ: ახლა სად არის მის პოლინა? თუ თქვენ არა, მაშასადამე, მან დამიხსნა. იმ დღის შემდეგ მასზე არაფერი მსმენია.

— ო, არა, არა! არა მგონია, მას დაეხსენით. ახლა შვეიცარიაში გახლავთ. თუ გინდათ მასიამოვნოთ, მის პოლინაზე ნურაფერს მკითხავთ, — მითხრა მტკიცედ და წყრომითაც კი მისტერ ასტლეიმ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენც დაგიკოდათ გული! — გამეცინა უნებურად.

— მის პოლინა ყველაზე შესანიშნავია მათ შორის, ვინც პატივისცემის ღირსია. მაგრამ გიმეორებთ, თუ ჩემი სიამოვნება გინდათ, მის პოლინაზე ნურაფერს მკითხავთ: მას არასოდეს იცნობდით, ამიტომ თქვენგან მისი ხსენება ჩემს ზნეობრივ გრძნობას შეურაცხყოფს.



— მაშ, ასეა საქმე! თქვენ მართალი არ ხართ; მე და თქვენ სალაპარაკო ამის გარდა აბა, სხვა რა გვაქვს? ჩვენი მოგონებები ხომ ესაა?.. თუმცა ნუ გეშინიათ, თქვენი გულის საიდუმლოებანი არ მჭირდება... მინდა მხოლოდ, ასე ვთქვათ, მის პოლინას გარეგნული მდგომარეობა ვიკითხო, მხოლოდ და მხოლოდ მისი ახლანდელი ამბავი. ეს ორი სიტყვითაც შეიძლება ითქვას.

— ბატონი ბრძანდებით, იმ პირობით კი, რომ ორი სიტყვით მოვრჩეთ. მის პოლინა დიდხანს ავადმყოფობდა; ახლაც ვერ არის კარგად; რამდენიმე ხანს დედაჩემსა და ჩემს დასთან ცხოვრობდა ჩრდილოეთ ინგლისში, ნახევარი წლის წინ ბებიამისი — ხომ გახსოვთ ის დამთხვეული ქალი — გარდაიცვალა და პირადად მას შვიდი ათასი გირვანქა დაუტოვა. ჩემი და გათხოვდა და ახლა მის პოლინა მის ოჯახთან ერთად მოგზაურობს. მისი პატარა და-ძმაც, ბებიას ანდერძით უზრუნველყოფილნი, ლონდონში სწავლობენ. გენერალი კი, მისი მამინაცვალი, ამ ერთი თვის წინ გარდაიცვალა პარიზში, გული გაუსკდა. Mademoiselle Blanche კარგად ექცეოდა, მაგრამ მოასწრო და, რაც გენერალმა ბებიისგან მიიღო, ყველაფერი მიისაკუთრა... ეს არის და ეს, მგონი, ყველაფერი.

— დე გრიეზე რას მეტყვით? ისიც ხომ არ მოგზაურობს შვეიცარიაში?

— არა, დე გრიე შვეიცარიაში არ მოგზაურობს და არ ვიცი, სად არის; გარდა ამისა, ერთხელ და სამუდამოდ გიკრძალავთ ასეთ ქარაგმებსა და უპატიოსნო დაპირისპირებას, თორემ საქმე ჩემთან გექნებათ.

— ეს რა მესმის! ჩვენი ძველი მეგობრობის მიუხედავად?

— დიახ, ჩვენი ძველი მეგობრობის მიუხედავად.

— უკაცრავად, მისტერ ასტლეი, უკაცრავად, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ აქ საწყენსა და უპატიოსნოს ვერაფერს ვხედავ. მე ხომ პოლინას არ ვამტყუნებ. გარდა ამისა, ფრანგი და რუსი ქალიშვილი, ზოგადად რომ ვთქვათ, მისტერ

ასტლეი, ეს ისეთი საკითხი გახლავთ, რომელსაც ჩვენ ვერ გადავწყვეტთ და ვერც ბოლომდე ჩავწვდებით.

— თუ დე გრიეს მის სახელთან არ ახსენებთ, ძალიან გთხოვთ, ამიხსნათ, რას გულისხმობთ: ფრანგი და რუსი ქალიშვილიო, რომ ბრძანეთ? რატომ დაუპირისპირეთ? რა შუაშია აქ სწორედ ფრანგი და უთუოდ რუსი ქალიშვილი?

— აი, თქვენც ჩავარდით გულისხმაში, ოღონდაც ეს გრძელი ამბავია, მისტერ ასტლეი. აქ ბევრი რამ წინასწარ უნდა იცოდეთ. თუმცა რაოდენ სასაცილოც უნდა იყოს ერთი შეხედვით, დიახაც მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ. ფრანგი, მისტერ ასტლეი, ეს დასრულებული, ლამაზი ფორმაა. როგორც ბრიტანელი, შეიძლება არ დამეთანხმოთ. მეც, როგორც რუსი, არ ვეთანხმები, თუნდაც, ვთქვათ, შურით. მაგრამ ჩვენს ქალიშვილებს რომ ჰკითხოთ, შესაძლოა, განსხვავებული აზრი ჰქონდეთ. რასინი<sup>1</sup> შეიძლება გაპრანჭულ, დამახინჯებულ, ნელსაცხებლებით შეთითხნილად მიიჩნიოთ. იქნებ არც ნაიკითხოთ. მეც ის გაპრანჭულ, დამახინჯებულ, ნელსაცხებლებით შეთითხნილად მიმაჩნია, ერთი მხრივ სასაცილოდაც კი, მაგრამ ის მომხიბლავია, მისტერ ასტლეი, რაც მთავარია, გვინდა თუ არა, მაინც დიდი პოეტია. ფრანგის ანუ პარიზელის ეროვნული ფორმა უკვე მაშინ დაიხვეწა, როცა ჩვენ ჯერაც დათვები ვიყავით. რევოლუციამ ბევრი რამ მემკვიდრეობით შეიძინა თავადაზნაურობისგან. ახლა ყოველ უხამს ფრანგს შეუძლია ყოვლად დახვეწილი ქცევა, თავდაჭერა და აზრებიც კი იქონიოს თავისდა უნებურად. ყოველივე ეს მას მემკვიდრეობით ერგო. თვითონ შეიძლება ყველაზე თავცარიელი და ყველაზე უნამუსო იყოს. იმასაც გეტყვით, მისტერ ასტლეი, რომ ჭკვიან, კეთილ, აღზრდით არცთუ ძალიან დამახინჯებულ რუს ქალიშვილზე მიმნდობი და გულდია არსება ამქვეყნად ძნელად მოიძებნება. დე გრიეს შეუძლია მისი გული სულ

<sup>1</sup> ფრანგი პოეტი და დრამატურგი (1639-1699).

ადვილად მოინადიროს, თუ შენიღბული გამოეცხადა. მას დახვეწილი ფორმა აქვს, მისტერ ასტლეი, და რუს ქალიშვილს ეს ფორმა მის ნამდვილ არსად, მისი სულისა და გულის ბუნებრივ გამოხატულებად მიაჩნია და არა მემკვიდრეობით მიღებულ სამოსად. თქვენდა სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდეთ, მისტერ ასტლეი, რომ ინგლისელები მეტწილად უხეში და მოუქნელი ხალხი ხართ, რუსები კი სილამაზეს საკმაოდ ფაქიზად შეიგრძნობენ და დიდადაც ეტრფიან. მაგრამ სულიერი სილამაზე პიროვნების თავისებურებისგან რომ განასხვაოს, ადამიანს გაცილებით მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება სჭირდება, ვიდრე ეს ჩვენს ქალებსა და მით უმეტეს ქალიშვილებს აქვთ, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტი გამოცდილება მაინც. მის პოლინას კი, მაპატიეთ, ნათქვამს უკან ვერ წავიღებ, ძალიან დიდი დრო სჭირდება, რომ არამზადა დე გრიეს თქვენი თავი არჩიოს. დაგაფასებთ, მეგობრად მიგიღებთ, გულსაც გადაგიშლით, მაგრამ იმ გულის მეუფედ მაინც საზიზღარი, არამზადა და უბადრუკი მევახშე დე გრიე დარჩება. დარჩება, ასე ვთქვათ, სიჯიუტისა და თავმოყვარეობის გამო, ვინაიდან ეს დე გრიე ოდესღაც მომხიბლავი მარკიზის, გულგატეხილი ლიბერალის და მისი ოჯახისა და ქარაფშუტა გენერლის გულისთვის გაკოტრებული (ვითომ კი?) კაცის შარავანდედით მოევლინა. ეს რომ სიცრუე იყო, შემდეგლა გამჟღავნდა. თუმცა მერე რა: ყველას მაინც წინანდელი დე გრიე ურჩევნია, — მორჩა და გათავდა! ჰოდა, რაც უფრო მეტად სძულს ახლანდელი დე გრიე, მით მეტად მისტირის წინანდელს, რა ვუყოთ, რომ იგი მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობდა. თქვენ შაქრის მხარშავი ბრძანდებით, მისტერ ასტლეი?

— დიახ, ლოველისა და კომპის ცნობილ შაქრის ქარხანაში მიდევს წილი.

— აი, ხომ ხედავთ, მისტერ ასტლეი, სად შაქრის მხარშავი, სად — აპოლონ ბელვედერელი. მე კი შაქრის მხარშავიც არ გახლავართ; რულეტის ერთი უბადრუკი მოთამაშე ვარ, ლაქი-



ადაც კი ვუდექი სხვას. მის პოლინას ალბათ ესეც მოეხსენება. როგორც ვხედავ, კარგი პოლიცია ჰყავს.

მისტერ ასტლეი დაფიქრდა და მერე აულელვებლად მითხრა:

— ამ აბდაუბდას მხოლოდ გაბოროტება გალაპარაკებთ. თან არც მაინცდამაინც ორიგინალური ბრძანდებით.

— გეთანხმებით! მაგრამ სწორედ ის არის უბედურება, ჩემო კეთილშობილო მეგობარო, რომ რაოდენ მოძველებული, უხამსი და სასაცილოც უნდა იყოს ჩემი ბრალდებები, მაინც ჭეშმარიტება გახლავთ! მე და თქვენ მაინც ვერაფერს მივალწევთ!

— ეს საზიზღარი მონაჩმახია... ვინაიდან... მაშ, იცოდეთ, უმადურო და უღირსო, სულნამცეცა და უბედურო კაცო, — მისტერ ასტლეის ხმა აუკანკალდა და თვალები აუელვარდა, — რომ ჰომბურგში განზრახ ჩამოვედი მისი დავალებით, რომ მენახეთ, დიდხანს და გულითადად მესაუბრა და მისთვის თქვენი გრძნობები, ფიქრები, იმედები და... მოგონებები მომეხსენებინა!

— მართლა? მართლა? — აღმომხდა მე და ცრემლი ღვარად წამსკდა თვალებიდან. ჩემს სიცოცხლეში, მგონი, პირველად ავტირდი.

— დიახ, უბედურო კაცო, მას უყვარდით, ახლა კი შემიძლია გაგიმხილოთ, ვინაიდან დალუპული კაცი ხართ! კიდევ მეტიც, რომ გითხრათ, ახლაც უყვარხართ-მეთქი, სულერთია, მაინც აქ დარჩებით! დიახ, დალუპული ხართ. ნიჭიც გქონდათ, ცოცხალი ბუნებაც და არც ცუდი ადამიანი იყავით; შესაძლოა სამშობლოსაც გამოსდგომოდით, მას ხომ ასე სჭირდება ხალხი, მაგრამ ვიცი, აქ დარჩებით, უკვე ვერაფერი გიშველით, თქვენი საქმე წასულია. მე არ გადანაშაულებთ. ჩემი აზრით, ყველა რუსი ასეთია ან ამისკენ მიილტვის. თუ რულეტი არა, სხვა მსგავსი რამ დალუპავს. გამონაკლისი იშვიათია. პირველი თქვენ არ ხართ, ვისაც შრომის არაფერი გაეგება (მე თქ-

ვენს ხალხს არ ვგულისხმობ). რულეტი — მეტწილად რუსე-ბისტვის მოგონილი თამაშია. აქამდე პატიოსანი იყავით და ქურდობას მაინც ლაქიობა არჩიეთ... მაგრამ შემდეგ რა იქნება, გაფიქრებაც კი მაშინებს. კმარა, მშვიდობით! რასაკვირ-ველია, უფულოდ ხართ? აჰა, ეს ათი ლუიდორი აიღეთ, მეტს არ მოგცემთ, ვიცი, მაინც წააგებთ. აიღეთ და მშვიდობით იყავით! გამომართვით!

— არა, მისტერ ასტლეი, იმის შემდეგ, რაც ახლა მითხარით...

— წა-ი-ღეთ-მეთქი! — დამიყვირა მან, — მჯერა, კეთილშობილება მთლად არ დაგიკარგავთ და, როგორც ჭეშმარიტ მეგობარს, ისე გაძლევთ. რომ ვიცოდე, ახლავე მიატოვებთ თამაშსა და ჰომბურგს და სამშობლოში წახვალთ, დაუყოვნებლივ მოგცემდით ათას გირვანქას ახალი ცხოვრების დასაწყებად. მაგრამ იმიტომაც გაძლევთ ათ ლუიდორს და არა ათას გირვანქას, რომ ვიცი, ათასი გირვანქა თუ ათი ლუიდორი — თქვენთვის ამჟამად სულერთია, მაინც წააგებთ. გამომართვით და მშვიდობით იყავით.

— გამოგართმევთ, თუ ნებას მომცემთ დამშვიდობებთ-სას გადაგეხვიოთ.

— ოჰ, სიამოვნებით!

ერთმანეთს გულწრფელად გადავეხვიეთ და მისტერ ასტლეი წავიდა.

არა, არ არის მართალი! არა და არა! მე თუ პოლინასა და დე გრიეს ამბავი მეტისმეტად უხეშად და ბრიყვულად განვსაჯე, მანაც მეტისმეტი უკმეხობა და სიჩქარე გამოიჩინა რუსების შეფასებისას. ჩემს თავზე არ ვამბობ. თუმცა... თუმცა, ჯერჯერობით ეს ყველაფერი მაინც არ არის! ეს მხოლოდ სიტყვებია, ცარიელი სიტყვები, აქ კი საქმეა საჭირო! მთავარი ახლა შვეიცარიაა! ხვალვე, — ოჰ, ნეტავ ხვალვე შეიძლებოდეს დავკრა ფეხი და იქ გავემგზავრო! ხელახლა დავიბადო, მკვდრეთით აღვდგე. უნდა დავუმტკიცო... პოლინამ



უნდა იცოდეს, რომ კიდევ ვივარგებ ადამიანად. ოღონდ მო-  
ვინდომო და... თუმცა ახლა გვიანია — ხვალ კი... ოჰ, გული  
წინასწარ მითქვამს, სხვანაირად არც შეიძლება იყოს! ახლა  
თხუთმეტი ლუიდორი მაქვს, მე კი თხუთმეტი გულდენითაც  
დამიწყია ხოლმე! ჭკვიანურად, ფრთხილად თუ ვითამაშე... —  
არა, ნუთუ მართლა უსუსური ბავშვი ვარ! ნუთუ მართლა არ  
მესმის, ჩემი საქმე რომ წასულია, მაგრამ — ვითომ რატომ არ  
შეიძლება კვლავ მკვდრეთით აღვდგე. დიახ, დიახ! საკმარისია  
ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვიქონიო ჭკუა და მოთმინება —  
და მორჩა! საკმარისია ერთხელ გამოვიჩინო სიმტკიცე, რომ  
ერთ საათში მთლიანად შევცვალო ჩემი ბედი! თავიდათავი —  
ხასიათის სიმტკიცეა. ამ შვიდიოდე თვის წინ რულეტენბურგ-  
ში, ჩემი საბოლოო წაგების წინ, განა იგივე არ მოხდა! ეს ხომ  
სიმტკიცის გამოჩენის შესანიშნავი შემთხვევა იყო. ყველაფე-  
რი, ყველაფერი წავაგე მაშინ... გამოვედი ვოკსალიდან. ერთი  
ვნახოთ, ჯიბეში კიდევ ერთი გულდენი მიჩხრიალებს. „ოჰო,  
მაშ, სადილის ფული მქონია!“ — გავიფიქრე, მაგრამ ასი ნა-  
ბიჯი რომ გავიარე, აზრი შევიცვალე და დავბრუნდი. ეს გულ-  
დენი manque-ზე ჩავედი (იმჯერად manque-ზე). იცით, მართლა  
რალაც უცნაური გრძნობა გიპყრობს, როცა უცხო მხარეში  
გადახვეწილი, შენს ქვეყანას, მეგობრებს მოშორებული, ხვალ  
რომ არ იცი, რას შეჭამ, აიღებ და უკანასკნელ, შენს უკანას-  
კნელ გულდენს ჩახვალ! მაგრამ მოვიგე და, ოცი წუთის შემ-  
დეგ ვოკსალიდან გამოსულს, ჯიბეში ას სამოცდაათი გულდე-  
ნი მიჩხრიალებდა. ეს სინამდვილე გახლავთ! აი, რა შეუძლია  
ზოგჯერ უკანასკნელ გულდენს! მაგრამ ვთქვათ და არ გამე-  
ბედა მაშინ, სულით დავცემულიყავი?..

ხვალ, ხვალ, გადანყდება ყველაფერი!

წიგნის ელექტრონული ვერსია  
მოამზადა: აკაკი ციციშვილმა

[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)



# სარჩევი

## მოთამაშე

(მთარგმნელი რუსუდან ქეზულაძე)

თავი პირველი .....	5
თავი მეორე.....	16
თავი მესამე.....	23
თავი მეოთხე .....	28
თავი მესხუთე .....	35
თავი მეთხუთე .....	45
თავი მეშვიდე .....	54
თავი მერვე .....	62
თავი მეცხრე .....	72
თავი მათე .....	82
თავი მეთერთმეტი .....	97
თავი მეთორმეტი .....	108
თავი მეცამეტი .....	122
თავი მეთოთხმეტი.....	135
თავი მეთხუთმეტი.....	145
თავი მეთექვსმეტი .....	157
თავი მეჩვიდმეტი.....	169